მაია კოზიაშვილი

საბჭოთა რეფლექსიები 1921- 1940 წლების ქართულ მწერლობაში

თბილისი
2021

რედაქტორი:
ნინო მინდიაშვილი – ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები:
თამარელა წოწორია – ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი;
ნინო მამარდაშვილი – ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი;
ლევან ბებურიშვილი – ფილოლოგიის დოქტორი.

© მაია კობიაშვილი – ფილოლოგიის დოქტორი, 2021.

ყველა უფლება დაცულია

წიგნი დაიბეჭდა გამომცემლობაში „საქართველოს მაცნე".

მის.: ქ. თბილისი, ედ. მაღალაშვილის ქ. №5
ტელ.: 568 10 54 67; 574 40 08 57
ელ.ფოსტა: sakmacne@gmail.com
www.saqmatsne.ge

ISBN 978-9941-16-747-8

შინაარსი

რედაქტორისგან 4

შესავალი 5

თავი I
XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიის ეპოქალური თავისებურებანი

პროლეტარული მწერლობის იდეოლოგიური წანამძღვრები .. 10

პროლეტარული მწერლობის რეფლექსია ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში 34

თავი II
პროლეტარიზმის ასახვა ქართულ მწერლობაში XX საუკუნის 20-30-იან წლებში

პროლეტმწერლებისა და „თანამგზავრების“ შემოქმედებითი თავისებურებანი 52

პროლეტარული ნარატივი ჟურნალ „მნათობში“ 94

იდეოლოგიური წნეხი და შემოქმედებითი პოზიცია 134

თავი III
სტალინის მხატვრული სახე სალიტერატურო სივრცეში

ბელადის სახე კონსტანტინე გამსახურდიასა და გიორგი ლეონიძის მხატვრულ ტექსტებში 171

სტალინის ფსიქოტიპი გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში .. 193

დასკვნა 221

გამოყენებული ლიტერატურა 224

რედაქტორისგან

საბჭოთა პერიოდი მკვლევართათვის ბევრი რაკურსით არის სინტერესო, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ტოტალიტარული ეპოქის ლიტერატურული რეფლექსია.

მონოგრაფიაში წარმოდგენილია 1921-1940 წლების ლიტერატურული პროცესების, მწერალთა პოზიციების, საბჭოთა რეჟიმის გავლენებისა და დამკვიდრებული ტენდენციების ნარატივი.

განხილულია ქართველ მწერალთა შემოქმედებითი პოზიციები, მთავრობისა და ცენზურის დამოკიდებულება კლასიკოსთა მიმართ და მათი რეაგირება ეპოქის მთავარ გამოწვევებზე. წარმოჩენილია შემოქმედთა ჩაბმის პროცესი საბჭოთა მწერლობის ფერხულში, გაანალიზებულია როგორც პროლეტარული ხასიათის ნაწარმოებები, ასევე, ტოტალიტარიზმის სისასტიკეს გადარჩენილი ქართული მწერლობის შედევრები. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა იმ ემპირიულ მასალას, რომელიც გაბნეულია მკვლევრთა ნაშრომებში.

ავტორი საარქივო მასალებსა თუ მხატვრულ ტექსტებზე დაყრდნობით, ლიტერატურის ისტორიკოსის პოზიციიდან განიხილავს მე-20 საუკუნის ქართველ მწერალთა საბჭოთა მემკვიდრეობას, 1921-1940 წლების ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებასა და საზოგადოებრივი აზრის დინამიკას, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს გაიაზროს საბჭოთა ეპოქის ერთ-ერთი ურთულესი პერიოდის ლიტერატურული რეცეფცია.

„ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყველი,
გამომაჩინებელი აღმწერლისაი საუკუნოდ".

ცოდვილი არსენ ამარტოლი

შესავალი

წარსულის შეფასება, მისი დამუშავება და მრავალწახნაგოვან პრიზმაში განჭვრეტა მნიშვნელოვანი საქმეა ლიტერატურის ისტორიული ასპექტების გასააზრებლად.

გამოწვევებითა და ცვლილებებით სავსე თანამედროვე სამყაროში წარსულის კვლევა ერთ-ერთი აქტუალური მიმართულებაა, ამ შემთხვევაში წარსულის გაანალიზებისთვის მნიშვნელოვან მასალას გვაძლევს ქართული საბჭოთა ლიტერატურა, რომელიც იძლევა შესაძლებლობას გავაანალიზოთ ის მოვლენები, ფაქტები, მიმდინარეობები, რომლებმაც, გარკვეულწილად, XXI საუკუნის საზოგადოებრივი ცხოვრება განაპირობეს.

მწერლობას, რელიგიის მსგავსად, შეუძლია ადამიანთა შთაგონება და მართვა. მისი, როგორც იდეოლოგიური ტრიბუნის ერთ-ერთი და მნიშვნელოვანი ასპარეზი არის პრესა, კერძოდ, ჟურნალ-გაზეთები. ბოლშევიკური რეჟიმი უშუალო დამკვეთი იყო. თუმცა, გამოირჩეოდა ნაკადი, რომელიც წნეხის გარეშეც აღიარებდა ბოლშევიზმის მნიშვნელობას.

20-იანი წლებიდან მოყოლებული მწერლები თანდათანობით პარტიის აგიტატორებად იქცნენ. მათ ევალებოდათ მიზნობრივი წერა, პარტიისა და მთავრობის იდეოლოგიის პროპაგანდა.

ლიტერატურათმცოდნეობითი ხასიათის ნაშრომები მალე კარგავენ თავიანთ ძალასა და მნიშვნელობას, რადგან იცვლება საზოგადოების დამოკიდებულება ცხოვრების მიმართ და, თავისთავად, იცვლება შეხედულებებიც.

ლიტერატურული კრიტიკის კომპლექსურმა გაანალიზებამ აუცილებელი გახადა საბჭოთა ეპოქის პირველი ოცწლეულის ახლებურად და, რაც მთავარია, ძირეულად გააზრება და შესწავლა, მნიშვნელოვანია ახალი ნარატივების შემოტანა და

განხილვა, კერძოდ, იმ ემპირიული მასალისა, რომელიც შექმნა საბჭოთა იდეოლოგიამ ქართული ლიტერატურის და, საერთოდ, ლიტერატურის ისტორიის სივრცეში.

მიუხედავად არსებული წყაროებისა, საბჭოთა იდეოლოგიური სტერეოტიპების შესახებ მასალა მწირია და შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროლეტარიზმის პირობებში თანაარსებობისა და თანამოღვაწეობის საკითხი აქამდე მონოგრაფიულად სათანადოდ შესწავლილი არ არის.

ბოლშევიზმის რეჟიმსა და მხატვრულ აზროვნებას შორის დაპირისპირებამ მტკივნეული გამოცდილების ათეული წლები მიითვალა, საბჭოთა სინამდვილე, რომლის ორგანული ნაწილი იყო ქართული საბჭოთა ლიტერატურა, დღეს უკვე გარდასული პერიოდია, დასრულებული ისტორიული ეტაპია.

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ქართულ მწერლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრებამ თავისი კვალი დააჩნია ხელოვნების ყველა სფეროს და განსაკუთრებით, ლიტერატურას. საბჭოურ იდეოლოგიას შეეწირა შემოქმედებითი თავისუფლება. არსებულმა რეჟიმმა, როგორც ძალადობრივი მმართველობის ფორმამ, დიქტატორული წნეხის ქვეშ მოაქცია უამრავი მწერალი. ყველაზე მძიმე 20-30-იანი წლები აღმოჩნდა. მოდერნიზმსა და საბჭოთა იდეოლოგიას შორის გაბატონებულმა ანტაგონიზმმა გააჩინა ნიჰილიზმი ტერორით დათრგუნულ საზოგადოებაში, რაც ლიტერატურაში, ბუნებრივია, შემდგომი პროცესების განმსაზღვრელი აღმოჩნდა. ხელისუფალთა უალტერნატივო მოთხოვნით ლიტერატურა პროლეტარიატის ინტერესებისა და საბჭოთა რეჟიმის იდეოლოგიის გამომხატველი უნდა ყოფილიყო, რამაც მწერლობაში სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურული კანონი დაამკვიდრა. არსებულმა რეალობამ მწერლობას განუსაზღვრა კონკრეტული მიზნები: ყველა ჟანრისა და ფორმის ლიტერატურული ნაწარმოები საბჭოეთის ხოტბით უნდა ყოფილიყო შთაგონებული. ეს პირდაპირი დაკვეთა იყო, რაც ქართველი ხალხის ცნობიერების დაჩლუნგებას, დამონებას, „ბორკილთან“ შეჩვევა-შეფერებას გულისხმობდა.

პირველ რიგში, საჭიროა შევეხოთ იმ ნიშნებს, რომლებითაც ხასიათება აღნიშნული პერიოდის ლიტერატურული პროცესი.

ამასთან, აუცილებელია იმ თეორიული მასალის წარმოჩენა, რომელიც პროლეტარული ნაწარმოების გააზრებასა და სწორად გაგებაში დაგვეხმარება. მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებთ იმის განსაზღვრას, რა მიმართულებისაა ესა თუ ის ლიტერატურული ნაწარმოები, რა პოზიცია ჰქონდა ამა თუ იმ მწერალს, იყო იდეოლოგიის აშკარა მიმდევარი, თუ მდუმარებით გამოხატავდა დაპირისპირებულ პოზიციას; იკვეთება თუ არა ხელოვანის ნააზრევში პროლეტარული ტენდენციები, როგორ შეიძლება განვასხვაოთ ჭეშმარიტად პროლეტარული მწერალი დეკადენტური ხასიათის მწერლისგან. უნდა გავითვალისწინოთ, როგორ იკვლევენ და რა შეფასებას აძლევენ თანამედროვე კრიტიკოსები როგორც საბჭოთა დროის კლასიკოსთა მოდერნისტულ შემოქმედებას, ასევე მათ თანადროულ კრიტიკოსთა გამოსვლებს.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის ქრონოლოგიურ ჩარჩოებად უნდა დასახელდეს 1921-1991 წლები. მნიშვნელოვანია ამ პერიოდის ლიტერატურული პროცესების გადახედვა:

– XX საუკუნის I ნახევრის 20-30-იან წლებში ბოლშევიკური კონიუნქტურა როგორ აღიქვამდა „არასაიმედო“, ზოგჯერ „მავნე“ მწერალთა შემოქმედებას, თუნდაც ეს შემოქმედება ყოფილიყო საბჭოეთისა და სოციალიზმის განმადიდებელი მოტივებით გაჯერებული.

– რა ძირითადმა მიზეზებმა უბიძგა ქართველ მწერლებს პროლეტარული „ქოლგის“ ქვეშ გაერთიანებულიყვნენ;

დაკვირვების ობიექტივში ხვდება მწერალთა ქმედების ოთხი ალტერნატიული გზა:

მწერალთა მორჩილება;
მწერალთა ემიგრაცია;
მწერალთა განადგურება;
მწერალთა იმედგაცრუება.

ამგვარად, ქართველ მწერალთა რამდენიმე ნაკადი გამოიკვეთა, ერთმა ნაკადმა საკუთარ პრინციპებზე უარი თქვა და მიზანმიმართულად შექმნა ტექსტები, რომლებიც სულაც არ განირჩეოდა პროლეტარ მწერალთა შემოქმედებისგან. თუმცა, რეჟიმის მახვილ თვალს არ გამოჰპარვია, ვინ გულწრფელი იყო, ვინ – არა.

საბჭოურმა იდეოლოგიამ შემოქმედებითი თავისუფლების წინააღმდეგ აამუშავა მანქანა. ტოტალიტარულმა რეჟიმმა მწერალთა დიდ ნაკადს მკაცრად მოსთხოვა საზოგადოებაში შეესრულებინა ერთგვარი კატალიზატორის როლი, რაც შეიძლება სწრაფად ზიარებოდა ქართველი ხალხი საბჭოთა იდეებს. ხელისუფალთა უპირობო მოთხოვნით ლიტერატურა პროლეტარიატის ინტერესებისა და საბჭოთა რეჟიმის იდეოლოგიის გამომსატველი უნდა ყოფილიყო. იდეოლოგიისადმი ყველაზე სტაბილური, სწორხაზოვანი დამოკიდებულება პროლეტარულ მწერლობას აღმოაჩნდა. მისი პოზიციები აბსოლუტურად დაემთხვა რეჟიმის მოთხოვნებს.

წიგნში წარმოდგენილია პროლეტარ და არაპროლეტარ, მაგრამ ე. წ. „თანამგზავრთა", კერძოდ, გალაკტიონ ტაბიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი ლეონიძის შემოქმედება, საბჭოთა დროის კრიტიკოსთა გამოსვლები, წერილები, მიმართვები, ცენზურული ხასიათის შენიშვნები, საგაზეთო სტატიები, კრიტიკოსების – დავით დემეტრაძის, დიმიტრი ბენაშვილის, ბენიტო ბუაჩიძის, ბესარიონ ჟღენტის, შალვა რადიანის, ფილიპე მახარაძის, ლავრენტი ბერიას, კალე ბობოხიძისა და სხვათა კრიტიკული თუ მუქარის შემცველი წერილები, ასევე, თვით მწერლების საპასუხო წერილები და ზოგადი ხასიათის ნარატივი. მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის პოსტსაბჭოთა კრიტიკოსების ნარატივი, რაც საბჭოთა მწერლობის მიმართ გაჩენილ დისკურსში გამოვლინდა. წიგნში, ასევე, გამოყენებულია 1980-90-იანი და 2000-იანი წლების კრიტიკული წერილები, კერძოდ, სერგი ჭილაიას, აკაკი ბაქრაძის, ავთანდილ ნიკოლეიშვილის, სოსო სიგუას, მარიამ მირესაშვილის, ნანა გაფრინდაშვილის, ირმა რატიანის, ზეინაბ სარიასი, „საბჭოთა კვლევის ლაბორატორიის" ცნობილი დისკუსიები; საქართველოს ეროვნულ არქივსა და ლიტერატურის მუზეუმში დაცული მასალები.

განსკუთრებულ ინსპირაციის წყაროს წარმოადგენს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ განხორციელებული სამეცნიერო პროექტის ფარგლებში გამოცემული მონოგრაფია „ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა გასაბჭოებიდან მეორე მსოფლიო ომამდე 1921-1941".

რომელშიც შესულია შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში მოპოვებული აქამდე უცნობი მასალები შეწირულებზე, გაწირულებსა და გადარჩენილებზე.

წიგნში სიახლე გახლავთ ახალი შეფასებები საბჭოეთის მსხვერპლად აღიარებულ მწერალთა შემოქმედებითი პროცესებისა და თანამედროვე შეხედულებების ფონზე მოვლენების ობიექტურად შეფასება.

წიგნში განხილულია XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს ეპოქალური მახასიათებლები, სოცრეალისტური დისკურსისა და ქართული საბჭოთა ლიტერატურის რამდენიმე თავისებურება გასაბჭოებამდე; პროლეტარული მწერლობის იდეოლოგიური წანამძღვრები; ასევე, პროლეტარული მწერლობის რეფლექსია ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში.

მნიშვნელოვანი ყურადღებაა გამახვილებული იოსებ ბესარიონის ძე სტალინის სახის გამოკვეთაზე სალიტერატურო სივრცეში. კერძოდ, ბელადის მხატვრული სახის წარმოჩენაზე ორ განზომილებაში, როგორც თანაგანცდად სინამდვილეში (საბჭოთა საზღვრებში – კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი ლეონიძის, მიხაილ ბულგაკოვის შემოქმედებაში, ასევე, საზღვრებს გარეთ გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში). მიმოვიხილეთ ბელადის სახე კონსტანტინე გამსახურდიას და გიორგი ლეონიძის მხატვრულ ტექსტებში, სტალინის ფსიქოტიპი გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში; აქვე განვიხილეთ მიხაილ ბულგაკოვის რომანის, „ოსტატი და მარგარიტა“, ზოგიერთი მნიშვნელოვანი რაკურსი, როგორც გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებითი იდეის თანხვედრა.

მწერლებისა და კრიტიკოსების ნააზრევთა ტენდენციების ფონზე გამოკვეთილია ახალი ხედვა, ახლებური შეფასება ეპოქალური ნიშნის მწერლობისა და გაცემულია პასუხი მნიშვნელოვან კითხვებზე:

– ემსახურებოდნენ თუ არა კლასიკოსები სტალინურ რეჟიმს;

– რა როლი შეასრულა საბჭოურმა შემოქმედებამ სოციალისტური ინდუსტრიის შენებაში;

– როგორია რეალური სახე ბელადისა;

– წნეხის პირობებში მსახურება ჩრდილავს თუ არა ღირსეულ მწერალთა ავტორიტეტს.

თავი I

XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიის ეპოქალური თავისებურებანი

პროლეტარული მწერლობის იდეოლოგიური წანამძღვრები

XX საუკუნის დასაწყისიდანვე იჩინა თავი ანტიბოლშევიკურმა განწყობამ. ილიას სახელს ბევრი ანტირუსული და ღრმად ნაციონალური ამბავი, კერძოდ, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შექმნის იდეა უკავშირდება, პარტიისა, რომელმაც 1905 წელს შეადგინა პროგრამა, რომლის უპირველესი მიზანი ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა იყო. ეს იმ პერიოდში უპრეცედენტო მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

ეროვნული დემოკრატიზმი თავისი შინაარსით ევროპული ფენომენი იყო. ამ მოძღვრებას საქართველოს ევროპულად გარდაქმნის, ანუ ქვეყნის ევროპეიზაციის ილია ჭავჭავაძისეული იდეის განხორციელებაშიც მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა დაკისრებული.

ბუნებრივია, ილიას იდეალები რუსეთს არ მოეწონა, ამიტომაც 1907 წელს ის თავიდან მოიშორეს. ილიას მკვლელობის დეტალები დღემდე კამათის საგანია. ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით, ილიას მკვლელობა ჩაფიქრებული ჰქონდათ სოციალ-დემოკრატებსა და ბოლშევიკებს, ილიას მიერ მათი რევოლუციური გზების დაგმობისა და ხალხში მისი უსაზღვრო პოპულარობის გამო.

რუსეთი სასტიკად გაუსწორდა ყველას, ვინც „სხვა“ გზით მიდიოდა. არ არჩევდა თავისიანსა და უცხოს. 1918 წლის 14 ივლისს ბოლშევიკთა სისასტიკეს შეეწირა რომანოვთა უკანასკნელი მეფე, ნიკოლოზ მეორე და მისი ოჯახი: ჯერ სასტიკი პატიმრობა და შემდეგ – გაუსამართლებლად ჩახოცვა. მეფის ოჯახი საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლად არის მიჩნეული. 1918 წელს საბოლოოდ გაუქმდა რუსეთის საიმ-

პერატორო კარი და რუსეთში ბოლშევიკურმა რევოლუციამ გაიმარჯვა. დაიწყო სრულიად ახალი ცხოვრება, ახალი გამოწვევები, გაჩნდა ახალი პრობლემები. ეს თარიღი საქართველოსთვის ნანატრი თავისუფლების, სუვერენიტეტის აღდგინების თარიღად ითვლება, რაც რუსეთის პოლიტიკური თუ სხვა მიზნებისთვის სრულიად მიუღებელი იყო. სამი წლის შემდეგ ლეგიტიმურად მოპოვებული თავისუფლება დაემხო და საქართველო საბჭოთა იმპერიის ნაწილად გამოცხადდა. ეს უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენა წინ უძღვის ახალი რეჟიმის ქადაგება-დამკვიდრებას, რაც სრულიად გასაგებს ხდის საქართველოში წარმოშობილ ანტირუსულ რეაქციას. ბურჟუაზიული ფასეულობების ხელყოფა და საღად მოაზროვნეთა განადგურება რუსეთის მთავარ ამოცანად იქცა. ამ ნიადაგზე აღმოცენდა საბჭოთა რეჟიმის მთავარი მეხოტბე – პროლეტარული მწერლობა.

როცა ვსაუბრობთ სოციალისტური რეალიზმის კლასობრივ, პარტიულ და იდეოლოგიურ კრიტერიუმებზე, უნდა აღინიშნოს, რომ მწერალთა ნაწილი, სამწუხაროდ, დაემსგავსა მარიონეტებს, სათამაშო თოჯინებს, ისინი პათეტიკურად იმეორებდნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მოწოდებებს. პარტიის „აღმშენებლობითი" კურსი გულისხმობდა, ლიტერატურის მესვეურებს უმალვე აესახათ თავიანთ ლექსებში, პიესებსა და მოთხრობებში ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციისა და ელექტრიფიკაციის მიღწევები.

სიტყვა „სოციალიზმი" ლათინური სიტყვაა და საზოგადოს, საერთოს, საყოველთაოს ნიშნავს. მწერლობაში ტერმინი „სოციალიზმი" პირველად იხმარა ფრანგმა მწერალმა პიერ ლერომ თავის წერილში 1834 წელს. ლორენც შტეინის (გერმანელი მეცნიერი) თქმით, „სოციალიზმს" უახლოესი კავშირი აქვს თანამედროვე საზოგადოებრივ წყობილებასთან საზოგადოდ და კერძოდ, პროლეტარიატის განვითარებასთან" („შეისწავლეთ სოციალიზმი" 1920: N2,3).

ამავე ნომერშია წერილი „ინტელიგენტი პროლეტარები", სადაც ვკითხულობთ: „საერთო ეკონომიკური გაჭირვება იწვევს თვით ინტელიგენტების გაპროლეტარებასაც... იურისტები, მწერლები, მხატვრები წლობით ამაოდ ელიან ამა თუ იმ

თანამდებობას კერძო თუ სახელმწიფო სამსახურში. მაგრამ ამაოდ... ერთი საშუალება რჩებათ ასეთებს: მიმართონ სამსახურისთვის კაპიტალისტებს, მაგრამ აქაც დიდი უარით უხვდებიან მათ, რადგან დღე ერთია და მთხოვნელი – ათასი... გამოდის, რომ ინტელიგენტებიც ძალაუნებურად უნდა შეუერთდნენ პროლეტართა ჯარს, პროლეტართა რაზმებს..., დადგება ჟამი ჭეშმარიტი სოციალიზმისა, რომელიც მოვალე იქნება და საამისო შეძლებაც ექნება, რომ ყველას საქმე მისცეს, ყველა დააკმაყოფილოს, ყველას თავისი ადგილი მიუჩინოს საერთო მუშაობაში, ყველა გაათანასწოროს – გააბედნიეროს"+... („შეისწავლეთ სოციალიზმი" 1920:4). სწორედ, ამ „ბედნიერების" იდეით უმღეროდნენ პროლეტარები საბჭოთა გამოწვევებს, ქვეყანა მოიცვა ელექტრიფიკაციის, ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის საყოველთაო ხოტბა-შეძახილებმა, ქარხნისა და ფაბრიკის საყვირის ხმამ, შეჯიბრებებმა, ხუთწლედის გეგმებმა, ლოზუნგებმა და საბჭოთა პათეტიკამ. მწერლობას დაეკისრა კლასობრივი ბრძოლის მქადაგებლის ფუნქცია და გაჩნდა მუქარა – ვინც არ უმღერებდა, მას ელოდა სიკვდილით დასჯა.

ჟურნალ „სპეკალში" ნანა გაფრინდაშვილის მიერ გამოქვეყნებულია წერილი „სოცრეალისტური დისკურსი და ქართული საბჭოთა ლიტერატურის რამდენიმე თავისებურება". (გაფრინდაშვილი 2010: სპეკალი N1) მკვლევარი გარკვეულ ფორმულირებას აძლევს სოცრეალიზმის ეპოქალურ მახასიათებლებს. ეს მრავალგზის შეფასებული და აღიარებული სინამდვილეა. ჩვენი ინტერესის საგანი კი სოცრეალიზმის ფონზე ქართული მწერლობის საბჭოური და ანტისაბჭოური ხასიათის გამოკვეთა გახლავთ. ამის გამოსარკვევად აუცილებლად მივიჩნევთ თანმიმდევრულად წარმოვაჩინოთ ქართული მწერლობის განწყობა გასაბჭოებამდე და გასაბჭოებიდან 1940 წლამდე.

საზოგადოებას ახალი გონითი დამპყრობელი – პროლეტარული მწერლობა მოევლინა. პროლეტმწერალთა შემოქმედება, მართლაც, ახალი რჯულის ქადაგებას წააგავდა. ლენინი ხატად გამოცხადდა, სტალინი – წმინდანად, პარტმუშაკები – ქადაგებად და მოძღვრებად, ხალხი – მათზე

მლოცველად, ნორჩი ლენინელები, პიონერები, კომკავშირელები უფროსი თაობის პარტიულ მუშაკებს პატაკებს აბარებდნენ და მქუხარე ტაშით და ზეიმით ხვდებოდნენ რევოლუციის გამარჯვების თარიღებს. ამ ემოციათა ინდიკატორი, შეგნების ჩამომყალიბებელი, პროლეტართა ნაწარმოებებიც იყო, თუმცა, პროლეტარ მწერლებზე უკეთ, ხოტბა გამოსდიოდათ კლასიკოსებსაც, „ცისფერყანწელებსა“ და მწერლობის სხვა დაჯგუფებებისა თუ სკოლების მიმდევრებს.

კომუნისტების მიზანი იყო, კულტურა, რაც შეიძლება, პრიმიტიული ყოფილიყო, ისინი კატეგორიულად უარყოფდნენ აზრთა შეჯახებას, განწყობის, დამოკიდებულებისა და შეხედულებების განსხვავებულობას, აღიზიანებდათ მრავალფეროვნება. აქედან გამომდინარე, ქართული მწერლობა დაუშვებელია, ყოფილიყო დამოუკიდებელი, თავისუფალი და თვითმიზნური. „თუ მწერლობას ჩამოერთმევა ეროვნული შინაარსი, მაშინ ის დაკარგავს არსებობის პატივს და უფლებას, ის გადაიქცევა „ორღობის“ მწერლობად“, – წერს აკაკი ბაქრაძე „მწერლობის მოთვინიერებაში“ (ბაქრაძე 1990: 31-42). უნდა დავეთანხმოთ კრიტიკოსის ლოგიკას, რომ პროლეტარულ მწერლობას გამოცლილი აქვს (ან, არ დაჰყვა! (მ.კ)) ეროვნული შინაარსი, მაშასადამე, ის „ორღობისაა“.

რევოლუციით აღფრთოვანდა ბევრი ინტელიგენტი მწერალი. იმდროინდელი პუბლიცისტიკა ასახავდა დამოუკიდებელი საქართველოს საჭირბოროტო ეროვნულ, პოლიტიკურ, სოციალურ და ზნეობრივ საკითხებს. ამ მხრივ, აქტიურად ჩანან კრიტიკის ასპარეზზე ნიკო ლორთქიფანიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ტიციან ტაბიძე, გრიგოლ რობაქიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, ია ეკალაძე და სხვანი. აშკარად წარმოიშვა ორი მსხვილი ნაკადი: ეროვნული თვითშეგნების მწერლები და პროლეტარი მწერლები.

საბედისწერო 1921 წლის 25 თებერვლამდე, ორივე ნაკადის შემოქმედებითი კონტურები აშკარად მოხაზული იყო. თუმცა, შიგადაშიგ იშლებოდა საზღვრები, ირღვეოდა კონტურები, რაც, უდავოდ, ბოლშევიკური ტერორით იყო გაპირობებული. „ცისფერი ყანწების“ დეკლარაციაში, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „ბარრიკადში“, ვკითხულობთ: „სულ დაიღუპება ის ერი,

რომელიც დღეს ვერ შეჰქმნის კულტურას, რომელსაც არ ექნება უნივერსალური ხასიათი და რომელიც არ იქნება გამართლებული კაცობრიობის მასშტაბით... დევნა გადავიტანეთ საქართველოში... პოეზია ვერ უძლებს იმ ატმოსფერულ გავლენას, რომელსაც ახდენს რევოლუცია. ჩვენ აშკარათ ვამბობთ, რომ ჩვენ ვიყავით და ვიქნებით რევოლუციის მხარეზე, ამ შემთხვევაშიც აქვს ამას ეროვნული გამართლება, რადგან ქართველი ხალხი ბუნებით არის რევოლუციის მხარეზე... ჩვენ არ ვიცით, რა ფორმას მიიღებს რევოლუცია, ჩვენ არ ვიცით, რა კომპრომისზე წავა ის – მაგრამ ჩვენთვის ფაქტია, რომ ხერხემალმაგარი პროლეტარიატი ბრძოლას არ წააგებს. პოეზია კი ჰაერია, რომლითაც ის უნდა სუნთქავდეს. შესაძლებელია პირველ ბრძოლის დროს იყო გაუმართლებელი პრეტენზიები – თუნდაც პროლეტარული პოეზიის შექმნისა, მაგრამ პოეზიასაც აქვს თავის შინაგანი დიალექტიკა და ის თვითონ მონახავს თავის ბუნებრივ სახეს" (ტაბიძე 1922:2). დეკლარანტის სიტყვაში იკვეთება ორი ფაქტი:

1. „ცისფერი ყანწები" თავდაპირველად იყო რევოლუციის მხარეს;

2. მომავალი აჩვენებს „პოეზიის ბუნებრივ სახეს".

რამდენადაც ეპოქალური ნარატივის საქმეა გასაღების პოვნა, ვინ როდის და რომელ მხარეს იყო, ამდენად, ანგარიშგასაწევია „ბარრიკადის" ფურცლებზე გამოქვეყნებული დეკლარაციის შინაარსი, სადაც გარკვევით ვკითხულობთ „ცისფერყანწელთა" რევოლუციის მომხრეობის შესახებ. აგრეთვე, საუბარია კომპრომისზე. დეკლარაციაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პოზიცია, რომელიც არ გამოირჩევა რადიკალიზმით.

პროლეტარიატის მესვეურებს წმინდა და ნამდვილ ხელოვნებად მხოლოდ მამა-პაპათა გაკვალული გზით სვლა ესახებათ. ამას აქვს თავისი საფუძველი: ყველაფერი გასაგები და ცხადი უნდა იყოს, არავითარი სიმბოლო, არაფერი შეფარვით, არაფერი მისტიური! პროლეტარულმა მწერლობამ კატეგორიულად უარყო სიმბოლიზმი და დეკადენტური მიმართულების მწერლობა. ჟურნალ „პროლეტარული კულტურის" პირველ ნომერში განსაზღვრულია პროლეტარული ლიტერატურის ბუნება და

მიზნები. ხელოვნება პრიმიტიულად არის დაყოფილი ორ მიმართულებად. პირველია ბურჟუაზიულ-არისტოკრატული, რომლის დევიზია – „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ და მეორე – ხელოვნებას მიიჩნევენ იარაღად ცხოვრების სინამდვილის გადმოსაცემად, ბრძოლის ცეცხლის გასაჩაღებლად. ეს უკანასკნელი არის პოეზია მუშათა კლასისა, პროლეტარული გაგება ხელოვნებისა.

სწორად აფასებს სანდრო აბაშელი დამანგრეველ ბიძგებს, პროლეტარიატის დიქტატურის ძალას და ნაღვლობს, რომ უვლის „ტანს ჟრუანტელი“, „ოცნება თვალს ვეღარ ახელს“, „შარავანდედი ეკარგება პოეტის სახელს“. ეს შინაგანი კრთომა, სიმხდალის მსგავსი, მოსწონდათ კიდეც რეჟიმის „მამებს“, ამიტომაც დაინტერესდა მისი სახელით საბჭოთა კრიტიკა:

უცებ მოვარდა ქარიშხალი ზღაპრულ მდევებით,
და ატორტმანდა მწვანე სივრცე ცეცხლის რკალებში,
აივსო ჩემი ბროლის კოშკი ცის ნანგრევებით
და ქარმა სილა მომაყარა ღია თვალებში...
გუგუნებს ქარი და ოცნება თვალს ვეღარ ახელს,
გაბზარულ მიწას ხშირად უვლის ტანს ჟრუანტელი,
შარავანდედი ეკარგება პოეტის სახელს,
ვაიმე! ჰქრება პოეზიის წმინდა სანთელი!

(აბაშელი 1921: 3)

ახალი ცხოვრების წინაშე თავის დახრამ, წარსულთან გამომშვიდობებამ პოეტის შფოთვა და გოდება გამოიწვია. საბჭოეთი ამ „მგლოვიარეთა“ კვნესას სათავისოდ, პროლეტარიატის წისქვილზე წყლის დასხმად აღიქვამდა.

პროლეტარ მწერალთა შორის ვერავინ გადაურჩა რისხვას, შეურაცხყოფას, ამიტომაც დავით კასრაძე 1923 წლის გაზეთ „პოეზიის დღის“ პირველ ნომერში წერს: „ნუ გიკვირთ, თუ პირველი ჰანგები, რომლითაც მოიმღერიან პროლეტარი მგოსნები, პირად პატივ აყრილობაზე იქნება ჩივილი, აჯანყება... რაც ხშირად კოშმარის სახეს იღებს. აბაშელს და ობოლ მუშას დიდი მადლიერებით შეხვდება ჩვენი საზოგადოება, რომ ტვირთი დასძლიეს და რუსეთის პროლეტარული ხელოვნების ნიმუშები სათუთი ხელოვნებით გააქართულეს“ (კასრაძე 1923:3).

ამავე გაზეთში აქვეყნებენ სევდიან და დროებით ნაკარნახევი განწყობის ლექსებს გალაკტიონ ტაბიძე(„ავდრები“, „ოფორტი“), ვალერიან გაფრინდაშვილი(„სადღეგრძელო“), კოლაუ ნადირაძე („შუაღამე ზამთრის“) („პოეზიის დღე“ 1923:)[9].

„წრეულს ზამთარი უცნაურია, და ეს ქვეყანა ირევა შავათ“, – წერს კოლაუ ნადირაძე ლექსში „შუაღამე ზამთრის“. პოეტის ჩივილს საფუძვლად უდევს სოციალისტური რეალიზმის მოთხოვნა – მწერლობას აესახა ცალკეული პიროვნებებისა და კოლექტივების კომუნისტური მეტამორფოზა (კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“, ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვა“). სოცრეალიზმი მწერალს სთხოვდა, მთავარი გმირის სახით ეჩვენებინა გზა კომუნიზმისკენ. ამგვარ გმირს უნდა აღეზარდა მკითხველი კომუნიზმის მშენებლად.

სოციალისტური რეალიზმი კატეგორიულად უპირისპირდებოდა ყველას, ვინც შემოქმედებაში გამოხატავდა ილუზიებს, დაკარგულ იმედს, აუსრულებელ ოცნებას. კომუნიზმისკენ დარაზმულ საზოგადოებას სატირლად არ ჰქონდა საქმე. ეს ოპტიმიზმიც კი ტრაგედიაა, რადგან აბსოლუტურ სიყალბეზეა დამყარებული. თუმცა ამ მეთოდმა ფართოდ გაუღო კარი მედროვეებს, ჭეშმარიტი მწერლები კი, მიუხედავად დევნა-შევიწროვებისა, მაინც ახერხებდნენ გვერდი აევლოთ მისთვის (ნაკუდაშვილი 1997: 17-19). თუმცა კრიტიკოსი არ საუბრობს იმ საშუალებებზე, იმ მეთოდებსა და ხერხებზე, რომელთა გამოყენებითაც შეძლეს მათ გვერდის ავლა და უკვდავი ნაწარმოებების შექმნა.

რაკი პარტიამ გამოაცხადა ტერორი და ლიტერატურამ იკისრა, მოერგო მქადაგებლის როლი, ბევრი მწერალი მოექცა იდეოლოგიურ ტყვეობაში, აქტიურად ჩადგა ხელისუფლების სამსახურში და დირექტივებიც კი შეჰქონდათ ლიტერატურული მოვლენების განვითარებაში. პროლეტარული მწერლობა ცდილობდა განესაზღვრა ახალი შემოქმედებითი მეთოდი, ფორმა, შინაარსი. პიროვნებები კი, რომლებმაც შეინარჩუნეს ინდივიდუალური და პიროვნული ღირსებები, პავლე ინგოროყვა, გერონტი ქიქოძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, კონსტანტინე კაპანელი, მიხეილ ზანდუკელი, კორნელი კეკელიძე მათი პოზიციების შემფასებლებად მოგვევლინენ. 20-იანი

წლების პროლეტარული ლიტერატურის განვითარებაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს ჟურნალებმა: „მნათობი“ (1924-2007), „ქართული მწერლობა“ (1926-1930), „დროშა“ (1923), „პროლეტარული მწერლობა“ (1927-1931), „სალიტერატურო გაზეთი“ (1931) და სხვ. (ნიკოლეიშვილი 2002:9-12) პერიოდი, როცა დასახელებული ჟურნალები გამოდიოდა, იყო საბჭოთა აღმშენებლობის პირველი წლები. წარსულის ყოველგვარი ნაშთის გახელებით ნგრევისა და ტოტალური გასაბჭოების დასაწყისი.

რაც დრო გადიოდა, ხელისუფლება უფრო და უფრო ამკაცრებდა იდეოლოგიურ პოლიტიკას, მარწუხებში აქცევდა შემოქმედებითი აზროვნების თავისუფლებას. რადგან საბჭოთა პლატფორმა ჩამოყალიბების პროცესში იყო, ხელოვნება ჯეროვან პასუხს ვერ სცემდა ახალ გამოწვევებს, ამიტომ პარტიულ გაზეთებში „ხელოვნებას“ ეთმობოდა მცირე ადგილი, ინფორმაცია ერთი ან ორი წინადადებისგან შედგებოდა:

1922 წელს გაზეთი „კომუნისტი“ აქვეყნებს შეურაცხმყოფელ, გამაფრთხილებელ, ჩვეული სიმკაცრით და მუქარით აღსავსე ცნობას: „საქართველოში ფუსფუსებს ერთი კატეგორია ადამიანების, ფაქტობრივად, პროვოკატორებისა და ავანტიურისტების, რომელთა მიზანს შეადგენს თავიანთი გამოფიტული და მისუსტებული ძალებით ხელი შეუწყონ არსებულ ხელისუფლების ირგვლივ უნდობლობას, გამოურკვევლობის და პოლიტიკური მერყეობის ატმოსფეროს შექმნას ძველის რესტავრაციის ხელის შეწყობით... მაგალითად, „როგორ ძარცვავს საქართველოს საბჭოთა რუსეთი“, მაგრამ მოსისინე ენები ჯერ სავსებით არ არის ამოგლეჯილი... ჩვენ ვუსაყვედურეთ გაზეთ „ტრიბუნას“... და ვურჩიეთ, რომ მეტი ანგარიში გაუწიონ ზოგიერთ მომენტს, რათა სხვისი წისქვილები არ აამოძრაონ ხოლმე მოუზომელი სიტყვით“. ამ წერილიდან აშკარა ხდება გაზეთ „ტრიბუნას“ პოზიცია, მისი გამბედაობა, რაც ერთგვარ პრეცედენტად უნდა მივიჩნიოთ-იდეოლოგიურ ომში. ნათელია რეჟიმის, ხელისუფლების მობილიზება „ენის ამოსაგლეჯად“ („კომუნისტი“ 1922:2).

გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულია წერილი „ქართული კულტურის კრიზისი“, სადაც გარკვევით დაგმობილია თავი-

სუფლების იდეით აღსავსე მწერლობა, რომელიც ჩაიკეტა ვიწრო ინტელიგენტურ წრეში, რაც იწვევს სასოწარკვეთას და ნიჰილისტურ დამოკიდებულებას. პროლეტარიატი მას სთავაზობს გამოსავალს – დადგომას ისტორიულ, კლასობრივ თვალსაზრისზე, „სუვერენობაზე ლაპარაკი, როგორც ეს მათ წარმოუდგენიათ, ლაპარაკი მეტია... დღეს ერთი მთავარი პირობის დაცვაა საჭირო: ქართული კულტურის ყველა ძალები შეძლებისდაგვარად ერთი აზრით, ერთი მისწრაფებით გაიმსჭვალონ. სახელდობრ, იმით, რომ საბჭოთა ქვეყანაში მხოლოდ პროლეტარული კულტურის, პროლეტარული იდეოლოგიის დანერგვა შეიძლება და არა სხვა რომელიმესი... გახსოვდეთ კი, რომ ეს უთქვენოდაც მოხდება: ქართველი მუშა თვითონვე შექმნის მას, თუმცა დაგვიანებით, მარა მაინც შეჰქმნის და მაშინ თქვენი ხსენებაც აღარ იქნება“ (კალაძე 1922: 3). კარლო კალაძის რიტორიკის თანახმად, ქართული პროლეტარული მწერლობა შეძლებს აყვავებას. ეს იყო მუქარა, ზეწოლა ბოლშევიზმისადმი ამრეზილი, შევიწროვებულ ფარგლებში ჩაკეტილი მწერლობის მიმართ და მას გზა მხოლოდ ერთი ჰქონდა – გაპროლეტარება!

რეჟიმის სიმკაცრეს მოწმობს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული პატარა და ფრიად მნიშვნელოვანი განცხადება: „საყურადღებოთ: სახელმწიფო გამომცემლობის სარედაქციო კოლეგიის დადგენილებით, არცერთი ლიტერატურული ნაწარმოები არ შეიძლება იქნეს გამოცემული სახელმწიფო გამომცემლობის რეგისტრაციის გარეშე და საგამომცემლო კოლეგიის ნებადაურთველად“ (კალაძე 1922: 3)[ა]. ცენზურამ საკუთარ თავზე იტვირთა მწერლობის გაკონტროლება და საცერში გატარება. პრესის ფურცლებზე არსებულმა ნარატივმა მოგვცა შესაძლებლობა, რათა ზედმიწევნით აღვადგინოთ ისტორია და ნათელი მოვფინოთ მწერალთა პიროვნულ და შემოქმედებით რყევებსა თუ ეტაპობრივ ტრანსფორმაციას.

დაკვირვებამ და კვლევამ ცხადყო, რომ გარდაქმნის საწყისი პერიოდის მწერლობაში პოეზია გახდა უმთავრესი და ძირითადი მიმართულება. ევროპული კულტურის აშკარა გავლენამ გააჩინა რამდენიმე ლიტერატურული სკოლა, არაერთი დაჯგუფება. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობენ

მოდერნისტები, სიმბოლისტურმა შემოქმედებამ „აურია ტვინი“ ბევრს რეჟიმის მრწამსით, თუმცა პროზა ერთგვარად მოიკოჭლებდა. ამის თაობაზე საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი „ლომისი“ აქვეყნებს წერილს „ქართული პროზა“: „არის დრო ბობოქარი, დაუდეგარი და ქართველი მწერალი ისედაც ჩქარი და მოუსვენარი, დღეს მარტოოდენ ნერვების ცახცახით ცხოვრობს. ამგვარ პირობებში ძნელია გამოიჩინო ის მოთმინება, რომელიც პროზით მწერს სჭირდება. მაგრამ... მხატვრული პროზის განვითარებას ისიც უშლის ხელს, რომ მას ჯერ მოქალაქეობრივი უფლება ვერ მოუპოვებია და კიდევ, პროზით მწერი ვერ პოულობს შესაძლებლობას თავის ნაწერების გამოფენისას, ვერ პოულობს ადგილს პერიოდულ გამოცემებში. ყოველივე ეს ჰყინავს სურვილს მხატვრულ პროზის ფრთების გაშლისას“ (ბოჭორიშვილი 1923:2). აქ უნდა დავფიქრდეთ შეზღუდვის მიზეზზე. შეზღუდვა იყო როგორც შექმნის, ისე გამოქვეყნების საქმეში. ცხადია, „ადგილის ვერპოვნას“ განაპირობებდა შინაგანი სულიერი მრწამსი, მოქალაქეობრივი კრედო, იდეალი, პოლიტიკური ორიენტაცია და თვითგადარჩენის ბუნებრივი ინსტინქტი, ჭიდილი საკუთარ „მესა“ და არსებულ რეალობასთან. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოელთა სიმპათიებსა და ანტიპათიებს.

რა შენიშვნები ჰქონდა კრიტიკას მწერლებთან და რამდენად შეძლეს მათ ამის გათვალისწინება.რეჟიმის დემაგოგიური ინსტიტუტი ახერხებდა მათ გადარწმუნებას და ე. წ. „ნათლობას“. ეპოქის ბევრმა მწერლმა თვითგადარჩენის მიზნით წერა დროით ნაკარნახევი ლექსები, მოთხრობები, პიესები. იყვნენ მწერლები, რომლებიც ეთამაშებოდნენ ხელისუფლებასაც და საკუთარ შემოქმედებით ცხოვრებასაც. ვგულისხმობთ ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც ორგვარად აღიქმებოდა, თუნდაც „ჯაყოს ხიზნები“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „მთვარის მოტაცება“, „ჰაკი აძბა“ და სხვა. ამიტომაც ძნელია გარკვეული დასკვნა გამოვიტანოთ და ერთმნიშვნელოვნად მივაკუთნოთ ისინი ან საბჭოთა მწერლობას (არა პროლეტარულს!(მ.კ)), ან საბჭოთა ბორკილისგან თავისუფალს. ვფიქრობთ, ნაკლებად საკამათოა გალაკტიონ ტაბიძის საბჭოური ციკლის ლექსების პათოსი:

ხელი ხელს, ორივე კი პირსა ჰბანს...
გეგმა უნდა შევასრულოთ!..

(ტაბიძე 1966: 364-365)

მწერალთა სამსახურად ითვლებოდა რეჟიმის მსახურება. საბჭოეთის მიზანი ნათელია: მწერალთა გაპროლეტარება და პროლეტართა გამწერლება – იდეოლოგიის დამკვიდრების მომგებიანი გზა იყო. ამგვარ პოზიციას ირჩევენ გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, გიორგი ლეონიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ნიკო მიწიშვილი და სხვა. ფაქტია, მათ შექმნეს პროლეტარული ხასიათის ნაწარმოებები. ამ მიმართულებას აუცილებლად უნდა მიენიჭოს კონკრეტული კვალიფიკაცია როგორც მათი ლიტერატურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით, ასევე, მათი მოქალაქეობრივი პოზიციების განსაზღვრისათვის.

როგორი იყო პროლეტარული ლიტერატურა? პასუხი მარტივია: ღარიბი, ზედაპირული, გამჭვირვალე, პოეტურ კულტურას მოკლებული, უღირსებო, დემაგოგიური. პოეტთა, ასე ვთქვათ, უპრინციპობა, მართლაც, ბუნდოვანია, სასტიკია კრიტიკა მათ მიმართ, „მეძავ" ქალსაც კი ადარებენ მათ ამგვარ დამოკიდებულებას. მწერლური ღირსების ღალატი საკუთარი თავის ღალატად შეირაცხება, რაც ჩირქმოცხებულ მწერლებსა და პოეტებს თავის მართლების რეჟიმში აყენებს. ისმის კითხვა – „ბრალდებულნი" მართლაც დამნაშავენი არიან, თუ დროებამ პოეტობა ერთგვარ ბორკილად, მარწუხად, ყულფად უქციათ – ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად მნიშვნელოვანია ჩავუკვირდეთ მათ ნაწარმოებებს, შექმნის ტემპს, ხანგრძლივობას, „მუზას", პათოსს და ცხოვრებისეულ ნიუანსებს. ეს ისტორიაა, მათ თავიანთი შემოქმედებით დაწერეს სწორედ ის ისტორია, რომელიც მრავალი ეჭვის, კითხვისა და ქვეკითხვის პასუხად უნდა მივიჩნიოთ.

იყო თუ არა აღქმული სტალინის თანამედროვეთაგან მისი ტირანული ბუნება? როდიდან შეწყვიტეს „დითირამბები" და რა მოხდა? საინტერესოა, რა პასუხი გასცეს საკუთარ თავს, საკუთარ მკითხველს ტიციანმა, გალაკტიონმა, ლეონიძემ და სხვებმა. ისტორია ცხადყოფს, რომ ზოგმა სიცოცხლით ზღო,

ზოგმა ღვთის ნებით დატოვა ქვეყანა, ისე, რომ მათზე ტირანიამ ვერ თუ არ აღასრულა თავისი ნება. საბჭოთა ლაბირინთებში გზააბნეული პოეტები და მწერლები ზოგი გადარჩა, ზოგსაც თავად რეჟიმმა მოუღო ბოლო.

ცალკე დაკვირვების საგანია გაორებული პოეტების ნაკადი. რას სთავაზობდა სამშობლოზე უკეთესს, დამოუკიდებლობაზე ძვირფასს, თავისუფლების სანაცვლოს კომუნისტური სამყარო მწერლებს?! რა ხდიდა მათ იძულებულს, რომ ფეხქვეშ გაგებოდნენ ბოლშევიზმისგან ნაშობ ტირანს? თითქოს დაუჯერებელია გულწრფელობა დაარქვა მათ შემოქმედებას საბჭოთა ბელადის მიმართ, რომელმაც „წამების ჯვარი“ აჰკიდა მათ. რეალურად, საკუთარი სიცოცხლე ტვირთად, სხეული ბორკილად უნდა დასწოლოდა მათ სულს, რადგან ისინი ტიპურ ჯალათებად აქცია ახალმა ყოფამ. დაუჯერებელია, რომ ვერ შეიცნობდნენ თავიანთ რეალურ მდგომარეობას ან სახეს. რჩება ერთი ახსნა: ან ეს იყო ბრძოლა მიზანში ამოღებული სიცოცხლის, ოჯახის წევრების, ახლობლების გადასარჩენად, რომ დიადის სათქმელად ხელსაყრელ მომენტს დალოდებოდნენ და გამოეყენებინათ, რათა შეექმნათ ჭეშმარიტი საგანძური, ან წარმოუდგენელია ამდენი ადამიანი გმირად ქცეულიყო და გაუგონარი გამძლეობა გამოეჩინა (თუმცა ქრისტიანული სამყარო ცნობს წმინდა ასი ათას მოწამეს!).

თანამედროვე კრიტიკა რამდენად მკაცრი, რადიკალური იქნება მათ მიმართ, რა კვალიფიკაციას მისცემს ბელადსა და კოლექტივიზაცია-ინდუსტრიალიზაციაზე სიმღერათა სერიას? საკითხი ასე უნდა დავაყენოთ: მათი ზნეობა მაშინ არის წმინდა, მართალი, როცა პარტიულობით ნაკარნახევი ნაწარმოებები შექმნეს, თუ, როცა ლაღი, თავისუფალი, ზეკაცური შემოქმედება შექმნეს? ამის საილუსტრაციოა ლადო გუდიაშვილის მიერ დახატული გრიგოლ რობაქიძე. „როდის იყო გულწრფელი ლადო გუდიაშვილი? მაშინ, როცა არწივისთავიანი გრ. რობაქიძე დახატა, თუ მაშინ, როცა გველისტანიანი გრიგოლ რობაქიძე გამოსახა? ვთანხმდებით იმაზე, რომ ლადო გუდიაშვილმა თავისი გულისნადები მაშინ გამოთქვა, როცა არწივისთავიანი გრიგოლ რობაქიძე დახატა, ხოლო როცა გველისტანიანი რობაქიძე დახატა, მაშინ მხატვარი კომპარტიის

განკარგულებას ასრულებდა, სხვა გამოსავალი იმ დროს არ ჰქონდა, მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა“ (ბაქრაძე 1990:40). ცნობილი ფაქტია, რომ გუდიაშვილი ტაძრის მოხატვისთვის დააპატიმრეს.

აკაკი ბაქრაძის დამოკიდებულება, გარკვეულწილად, ტენდენციურია. თუ გუდიაშვილის ქმედება ოდენ კომპარტიის განკარგულებით იყო ნაკარნახევი, რა იარაღით ან ბერკეტებით შევძლებთ ამის დადგენას? არ გამოვრიცხავთ, რომ გუდიაშვილის დამოკიდებულება რობაქიძის მიმართ მართლაც შეცვილილიყო, თუკი უკვე არსებობდა რობაქიძის მიმართ ანტიკამპანია თანამოაზრე მწერლებისა, მხედველობაში გვაქვს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის მისამართით გაგზავნილი მამხილებელი განცხადება რობაქიძის დასჯის მოთხოვნით, რომელსაც ხელს აწერენ ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი და ნიკოლო მიწიშვილი. განცხადება დათარიღებულია 1935 წლის 5 აპრილით. აქ მოვიშველიებდით შემფასებელთა იმ დიდ ნაკადს, რომელიც თვლის, რომ ეს იყო ან ფარსი, ან მოხდა იძულების ქვეშ, ან ფაქსიმილებია და, რომ „ცისფერყანწელებს“ ხელი არ მოუწერიათ, მაგრამ ამ ფაქტს საეჭვოს ხდის ის დუმილი, რაც აღნიშნულ მოვლენას მოჰყვა. ისინი ამ ვანდალურ ფაქტს არსად აპროტესტებენ. ჩვენი კეთილგანწყობითი ვარაუდების გარდა, ხელჩასაჭიდი არაფერი გვაქვს.

პროლეტარული მწერლობისთვის მიუღებელია მარტოობა, განცალკევება. მას არ მოსწონს თვალშისაცემი პოზა. საგულისხმო ფაქტია, რომ გრიგოლ მუშიშვილი სანდრო ეულს კარნახობს გვარი შეიცვალოს, აირჩიოს რამე პროლეტარული ბუნების. ამგვარ მეტამორფოზასაც ვერ იტანდა საბჭოეთი, რამეთუ მას არ იზიდავდა დეგრადირებული, სახეწაშლილი, ფანატიკოსი „იდიოტი“. კაცი, რომელიც გვარს უარყოფს, იდენტობის უმთავრეს სიმბოლოს, საკუთარ მეს უარყოფს, ის საშიშია, ეს ცხადია, თუმცა აღსანიშნია სწორედ ის ფაქტი, რომ ასეთები საბჭოთა რუსეთისთვისაც არასაიმედო, ანუ საშიში იყო. საბჭოეთს სახეწაშლილი მსახურება კი არა, საღი და წრფელი გონებით მოქმედება უნდოდა, ამიტომაც 1937 წელს, 17 აგვისტოს გრიგოლ მუშიშვილი გაასამართლეს და როგორც

ხალხის მტერს, ჯაშუშს, დივერსანტსა და ბანდის მონაწილეს, გამოუტანეს დახვრეტის განაჩენი. ამგვარი მენტალიტეტი კარგად ნაცნობია ჰაკი აძბას კუზმა კილგასეული შეფასებით: „ეს მონა ადამიანად მაინც არ გამოდგებოდა...“ (ქიაჩელი 1933: 35).

ყველაფრის გათვალისწინებით, ძნელია კონტურების გავლება, მკვეთრად გამიჯვნა რეალობისა და გამოგონილისა. ჩვენი მიზანია სწორედ ამ საზღვრის პოვნა, ჭეშმარიტებასთან მიახლოება, რადგან ხელაღებით თქმა, რომ ესა თუ ის შემოქმედი სხვადასხვა დროს სხვადასხვა პოზიციაზე იყო, ან ერთდოულად განიცდიდა პროლეტარულ განწყობასაც და ემსახურებოდა ჭეშმარიტ პოეზიასაც, ან იყო მოთამაშე, – ძალიან ზერელე, ზედაპირული შეფასება იქნება, რაც ლიტერატურის ისტორიის კონკრეტული ფურცლების სანდოობას ეჭვქვეშ დააყენებს.

ორმაგი ბუნება, პოზა, განწყობა დამახასიათებელი იყო საბჭოთა მწერლისათვის. ამდენად, მიგვაჩნია, რომ საბჭოთა პოეზიის „პატრიარქმა“, ირაკლი აბაშიძემ, რომელსაც გალაკტიონისადმი მიძღვნილ ლექსების ციკლში შეტანილი აქვს ლექსი „ყველა ვატარებთ საკუთარ ნიღაბს“, სრული სიმართლე გააცხადა:

ყველა ვატარებთ საკუთარ ნიღაბს:
მეც, შენც და ისიც,
ჩვენც, თქვენც და ვიღაც,
ცოტად თუ მეტად, კარგად თუ ავად,
მხოლოდ ჩვენ ხშირად ვერც ვხედავთ თავად...

(აბაშიძე 1986:30)

ან ლექსში „განმეორებულ ტრაგედიას უწოდეს ფარსი“. აბაშიძე წერს:

ნუ უწყენთ პოეტს აჩქარებას,
ნურც დაზანტებას,
ნუ უწყენთ პოეტს
პირზე ნიღაბს,
ნურც მკერდზე მიხაკს.

(აბაშიძე 1986:28)

მართალია, ეს სტრიქონები დროის ფეხდაფეხ არის შექმნილი, მაგრამ სინამდვილის ერთგვარ კვალიფიცირებას ემსახურება. რეპრესიების პერიოდში კეთილგანწყობას ვერ გაბედავდა ტიციან ტაბიძისა და გალაკტიონის „დაზანტების“ ან „აჩქარების“ გამო. ასეთი გამოცანები მრავლად გაჩნდა საბჭოთა პერიოდის მწერლობაში და მათი ავტორები არიან გალაკტიონი, გამსახურდია, „ყანწელები“. ასე, რომ ამგვარი რეალობის ფონზე არც მათი ხოტბა-დიდებაა დასაჯერებელი და არც ირაკლი აბაშიძის ჭირისუფლობა.

„პროლეტარიატი ერის უმრავლესობას წარმოაგდენს. მიუხედავად ამისა, ერის ინტერესებით ის ვერ იხელმძღვანელებს. ერი სხვაა, კლასი სხვაა. პროლეტარიატიც შედის ერში, მაგრამ იქ სხვა კლასები ბატონობენ. პროლეტარიატი მაშინ არის ამ სახელის ღირსი, როდესაც ის გათქვეფილი კი არ არის ერში, არამედ გამოყოფილია მისგან, როგორც განსაკუთრებული კლასი თავისი საკუთარი სამოქმედო მიზნით და სამოქმედო გეზით... როგორც ერიდან გამოყოფილი დამოუკიდებელი კლასი, პროლეტარიატი თავის საქმეს აკეთებს, თავისი მუშაა. ის დამჩაგვრელ კლასებს ებრძვის თავისი ინტერესების დასაცავათ“ (კომუნისტი 1920:1) – გაზეთი „კომუნისტი“, როგორც იდეოლოგიური მანქანა, ავრცელებდა და ამტკიცებდა ამგვარ პრინციპს, რაც, ერთმნიშვნელოვნად, იყო საზოგადოებრივი აზროვნების ჩარჩო, ყალიბი, რომლის იქით ყოველგვარი აზრი იყო დანაშაული. ასეთი სიმკაცრით მომზადდა აზროვნების ახალი ფორმა და შინაარსი, რამაც ბუნებრივად განაპირობა საბჭოთა ცნობიერება და მოამზადა ტოტალიტარული სახელმწიფოს შექმნის პლატფორმა. საბჭოეთი არ ფიქრობს ნიღბის მორგებას. ის პირდაპირ და მოურიდებლად ემიჯნება ერის საერთო ინტერესებს და კერძო მიმართულებით მიდის არა მარტო, არამედ სრული მობილიზებითა და პასუხისმგებლობით. ის აკეთებს „თავის საქმეს“. როგორც გაზეთი იუწყება, – „პროლეტარიატი ვერ გაიხდის სახელმძღვანელოდ მთელი ერის ინტერესებს, სანამ იგი დაჩაგრული კლასია. მხოლოდ მაშინ, როდესაც ის გადაიქცევა გაბატონებულ კლასათ და შეიქნება მთელი ცხოვრების ხელმძღვანელი, შესაძლებელი გახდება მათი ინტერესების გაერთიანება“ (კომუნისტი 1920:1)[5].

ამგვარი „ლოგიკის“ მიზანი იყო ეროვნული ინტერესების დაკნინება და უგულვებელყოფა, რათა მას არასდროს გაემარჯვა პროლეტარიატის კლასობრივ ინტერესებზე.

ჯერ კიდევ 1920 წელს გაზეთი „ერთობა“ აქვეყნებს წერილს „პოეზიის დღე“, რომლის შინაარსი ლიტერატურულ საღამოზე გამოსულ პოეტთა კიცხვაა: „ჩვენი პოეტები, მეტადრე, ახალგაზრდები, წარმოსდგნენ მსმენელთა წინაშე მეტად დიდი პრეტენზიებით და მეტად მცირე ძალებით. მათი ლექსები უმთავრესად „მე“-ზე იყო აშენებული და თავის თავის ქებას და თავის ნიჭის გაზვიადებას შეიცავს... რაც შეიძლება მეტად გაუგებარი, უჩვეულო, ახალი, უხმარი სიტყვები, რუსიციზმები და ევროპეიზმები“ – ამ თვისებათა გამო მათი პოეზია დაშორებულია ადამიანურობას, ხოლო გამომსვლელთა კილო „ზე კაცური“, „შმაგია“ და „გატყლარჭვით“ აგრძელებენ სიტყვებს. გაზეთი ამგვარ პოეტებს „გზადაკარგულებს“ უწოდებს და მოუწოდებს „უკან, პუშკინისა და ბარათაშვილისკენ“ (ერთობა 1920:2). კრიტიკა, ფაქტობრივად, მიმართულია ლექსის ფორმისა და შინაარსისკენ. ახალ დროებას არ სჭირდება მაღალი ფასეულობები, ილაშქრებს წინააღმდეგ ლოზუნგისა: „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. მიზანი აშკარაა – პროლეტარიატისთვის გასაგები ლიტერატურა უნდა იქცეს საზოგადოებრივი აზროვნების ნორმად.

ბოლშევიკების მიერ მათი ცნობიერების შესაფერი, ადვილად გასაგები პოეზიის შექმნისკენ მოწოდება, გასაგები პოზიციაა, პროლეტარიატი სიმბოლისტურ შემოქმედებას რადიკალურად ემიჯნება და მდარე, ასე ვთქვათ, „ორღობული“, გლეხური შემოქმედების მოთხოვნას აყენებს, ის უარყოფს ინტელიგენციას და მის მიერ დამკვიდრებულ გზას მწერლობაში.

გრიგოლ რობაქიძე გაზეთში „პოეზიის დღე“ 1921 წელს წერს: „დღევანდელი ხანა სოციალური რევოლუციის ხაზებში მიდის. იწყება ახალი ციკლი კულტურის. ეპოქა ინდივიდისა უთმობს გზას ეპოქას მასებისას... მთელი ძველი პოეტური ლექსიკონი ეხლა გამოუსადეგარია, საჭიროა ახალი გადმოცემა სამყაროსი, პოეზიამ უნდა მონახოს ახალი სიტყვა. სოციალური რევოლუცია ითხოვს პოეზიის რევოლუციას. დეტალები – გასაგებია ისედაც“ (რობაქიძე 1921:1). მწერლის სიტყვები სი-

ნამდვილის კონსტატირებას ემსახურება, მაგრამ იბადება კითხვა: გულწრფელია სიტყვების ავტორი? მართლაც შეძლებს რევოლუციური სიტყვებით გააჯეროს საკუთარი შემოქმედება, თუ ეს მხოლოდ ნერვებაშლილი, გაღიზიანებული შემოქმედის ცინიზმია, (შესაძლოა, უსასოობაა).

1920 წელი ის დროა, როცა ჯერ კიდევ არ დაწყებულა უსასტიკესი ტერორი. თუმცა აშკარად შეიმჩნევა ბოლშევიზმის განწყობაც, მიზნებიც და ძალაც. მას მხედველობის არეალიდან არ გამოპარვია არც ერთი შემოქმედის სულის რხევა. პერიოდი იყო უმძიმესი, ამიტომაც ბუნებრივ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ მწერალთა და ზოგადად, შემოქმედთა გაურკვეველ-დაუზუსტებელი ორიენტაციები. წნეხი, რომელსაც იყენებდა ბოლშევიკური რეჟიმი, ცალკე განხილვის თემაა. სწორედ, ზეწოლის ფორმებმა და სიმძიმემ ბევრი რამ შეცვალა, დააზუსტა, გადააფასა, მაგრამ ესეც იყო ეტაპობრივი, თანდათანობითი პროცესი და არა „ლენტის გადაჭრა“, ძველისა და ახლის რადიკალური გამიჯვნა. დიახ, პრესაბჭოური ქართული მწერლობის ნარატივი გვიჩვენებს იმ გზას, რომელზეც მოძრაობდა ქართული მწერლობა.

ვიდრე წმინდა წყლის პროლეტარი პოეტების „ღვაწლზე“ საუბარს დავიწყებთ, გადავხედოთ კლასიკოს პოეტთა იმ ნაკადს, რომელთა შემოქმედება მსოფლიო დონის შედევრებად აღიქმება. როგორ შეხვდნენ ისინი საბჭოთა რეჟიმს. რევოლუციას, როგორც ახალი ცხოვრების მაუწყებელს, ასევე მოლოდინს უკეთესი ცხოვრებისა, თავდაპირველად ყველა ინტერესით შეხვდა, რამდენადაც ადამიანი მუდამ არის უკეთესისკენ მიმსწრაფი, არც აღნიშნული ეპოქა იყო გამონაკლისი, მით უფრო, რომ უზარმაზარი გარდატეხა მოხდა და მართლაც, იწყებოდა ახალი ცხოვრება. როგორი იქნებოდა, ვის მოლოდინს გაამართლებდა და ვის წისქვილზე დაასხამდა წყალს – ძნელი განსაჭვრეტი იყო რევოლუციის გარიჟრაჟზე.

ამ პერიოდის მიმართ მწერლების დამოკიდებულება ყურადსაღებია, როგორც პლატფორმა შემდგომ განვითარებული მოვლენებისა და მათივე შინაგანი რყევებისა. ზოგ მწერალს შედარებით მყარი პოზიცია ჰქონდა ახალი ცხოვრების მიმართ. ამას დავარქმევთ თუ არა გულწრფელ რწმე-

ნას, შედეგი არ შეიცვლება. გალაკტიონ ტაბიძის „წერილი საბჭოთა მწერლების ფედერაციისადმი“ აშკარა მოწოდებაა მემარჯვენე ფრთისადმი. „არ მოვითხოვ 180 გრადუსით გადმოხრას. მე მოვითხოვ, რომ მან იქონიოს გამბედაობა. პირდაპირ შეხედოს თვალებში სინამდვილეს... სინამდვილე კი აი, როგორია: ჩვენი და მსოფლიო ლიტერატურის ბედი გადაწყდა არა გუშინ, არამედ 1917 წელს. მწერლობას მას შემდეგ არ უნდა შეშინებოდა არავითარი რეაქციის, არავითარი ძალდატანების, თქვენ კი საბედისწერო სისუსტე გამოიჩინეთ: გამოირკვა ულმობელი სიცხადით, რომ მემარჯვენეობა თავიდანვე თვითონ ცხოვრებისაგან იყო განწირული... თქვენ კი ქრონიკული ალიანსებით და კომპრომისებით სუსტი, ხანდახან ავანტიურისტული ხელმძღვანელობის წყალობით მიუახლოვდით ნაპრალს, მიდით გადაჩეხვამდე... თუ თქვენ გამბედაობა შეგწევთ, უნდა დაჰყაროთ ფარხმალი, აღიაროთ თავისი სრული უძლურება და გზა მისცეთ ახალს, თორემ რასა ჰგავს?.. ნუთუ მაინცდამაინც კატასტროფა უნდა მოხდეს... რომ თქვენ ჭაობიდან დაიძრათ? მიპასუხეთ: მე ამას მალაპარაკებს გრძნობა, რომელიც არ მასვენებს. მე ამას მალაპარაკებს მასა, რომელიც მიყვარს, მე ამას მალაპარაკებს რევოლუცია, მე მიყვარს მასა, მიყვარს რევოლუცია, მიყვარს ისეთი ადამიანი, რომელიც ებრძვის ძველ ცხოვრებას... დღეს საჭიროა მწერლობა – აქტიურად მებრძოლი ახალი ცხოვრებისათვის, პროლეტარული რევოლუციის იდეალებისთვის. აი, რა არის თავი და თავი“ (ჭილაია 1986:165-167). ჩვენ უნდა დავეთანხმოთ სერგი ჭილაიას აზრს, რომ პოეტი უმღერდა ახალ ეპოქას, რომელიც 1917 წლიდან დაიწყო. გალაკტიონ ტაბიძემ 1925 წელს გამოაქვეყნა „ასი ლექსი“, ამ ციკლში პოეტი აქვეყნებს რევოლუციისადმი მიძღვნილ ლექსებს:

ეკლიან გზაზე დაეცა ბევრი,
მხოლოდ მე ერთი გადავრჩი მგზავრი,
რომ გამომევლო ჯერ არსმენილი
ქარტეხილები ცეცხლთა ფენისა
და მომეტანა საქართველოში
სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა.

(ტაბიძე 1925: 167)

ამ ლექსის მიხედვით, ძნელია ხელაღებით თქმა, რომ გალაკტიონი პარტიას და ხელისუფლებას უმღერის, შესაძლოა ის მხოლოდ ახალ დროს უმღერის, ან, „გადარჩენაში" გულისხმობს შედევრებს.(მ.კ)

გალაკტიონ ტაბიძე ლექსში „1917. თებერვალი" აჩვენებს თავის დამოკიდებულებას, რომ ელის ახალ დროებაში ბედნიერებასა და ნათელ ცხოვრებას:

მე ვოცნებობ ახალ საქართველოზე,
იმ მინდვრებზე, ხვალ რომ დაიბადება.

(ტაბიძე 1917)

მოგვიანებით მას ლენინის ორდენითაც აჯილდოვებენ, თუმცა ძნელი დასაჯერებელია, რომ გალაკტიონს აბედნიერებდეს ლენინის ორდენი, რადგან რევოლუციის მონაპოვარი მწარედ აისახა საქართველოს და უშუალოდ პოეტის ოჯახზე, მრავალგზის დაკითხვებითა და მუქარით განაწამები მისი მეუღლის, ოლღა ოკუჯავას გამო, პოეტს არ ემღერებოდა, მაგრამ ეს – ცოტა მოგვიანებით, მანამდე იყო გულწრფელი, იმედიანი მოლოდინი. აქ საეჭვო ნაკლებია. პოეტის იმგვარი მეტამორფოზა, რომელიც გამოიხატა „მსოფლიოს ოდენი ლენინის ორდენის" მიღებით, ძნელი დასაჯერებელია. ფაქტად გვრჩება ლექსი, „ლენინის ორდენის მიღების დღე", რაც პოეტის მსახურებას უსვამს ხაზს. ეს ნიუანსი არაა, ეს ფაქტია, რომელიც ნასაზრდოებია დროის კარნახით:

ნახტომი ვის ჩვევია ვეფხვისთანა...
შვენის ზეცას მზე მსოფლიოს ოდენი,
გალაკტიონს კი – ლენინის ორდენი".

(ტაბიძე 1936:8)

ჟურნალ „მნათობის" N6-ში (1924) გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „1917" პირველ გვერდზეა მოთავსებული:

უნდა დასცე ძირს, გადაღუნო, წამოაჩოქო,
უნდა დასცე ძირს და მხოლოდ მკვდარს გადააბიჯო...
გვწყურია ნგრევა და სიკვდილიც...
გვსურს აკივლდეს კაცობრიობა
აუტანელი ტკივილებით...

(ტაბიძე 1924:7-9)

ამავე ნომერში გიორგი ქუჩიშვილი აქვეყნებს ლექსს „ჰიმნი პროლეტარიატისა".

„გზა!
გზა მოგვეცი ქვეყანავ ძველო!
მოვდივართ რისხვით!
მოვჰქრივართ ქარით!
მოვჰქრივართ!..
გუგუნებს ზარი
პროლეტარული..."

(ქუჩიშვილი1924: 12-14)

კოლაუ ნადირაძე პოემაში „წითელი მოედანი" ამტკიცებს აზრს, რომ „მძლავრი კუნთებით" მოსული მილიონები, დაღვრილი სისხლით გაპოხიერებული მიწიდან პური, „ახალი სიტყვა", „დიდი რუსეთი და დიდი ნება", მარადისობის ბაირაღებია. „ყანწელი" კოლაუ წერს:

დღეს გადარქმევა
ეჭირვება ყველა სახელებს,
მაგრამ
შენ რჩები
პირველყოფილი შენი სახით,
რუსეთის გულო,
სისხლისფერო
სამარადისო,
წითელო დროშა...

(ნადირაძე 1924: 17-31)

გრიგოლ კალანდარიშვილის წერილში „პოეზია ლენინზე" დამოწმებულია პროლეტარი მწერლის, იონა ვაკელის რამდენიმეტაეპიანი მოწოდება, ძველი დროის დაგმობის ყიჟინა:

...და მოდი, როგორც მძლავრი მიწის ძვრა
დახეთქე მიწა და შეარყიე,
სად უწინ შრომის გმირებს ჩეხავდნენ,
იქ თვით მტარვალი დაამარხვიე.

(ვაკელი 1924:195)

წერილში ციტირებულია პაოლო იაშვილისა და ვალერიან გაფრინდაშვილის ის ლექსები, რომლებშიც ლენინის „მთლიანი სულისა“ და რევოლუციური ცეცხლის ხოტბაა. ვალერიან გაფრინდაშვილი ლენინს ასე ახასიათებს:

> ის იყო უნაზესი სახელი, რომელსაც არქმევენ ბავშვებს...
> იქნება კაცობრიობაში მისი სახელის მარადი რეზონანსი.
> ელინური გმირები და ღმერთები – პერიკლე,
> ზევსი გაფრინდებიან და საუკუნოების სიმაღლეზე
> დადგება ლენინი... პოეზია დაეუფლა ლენინის სახელს,
> როგორც ისტორია.
>
> *(გაფრინდაშვილი 1924: 198)*

პაოლო იაშვილი ლენინს ახასიათებს, როგორც რევოლუციონერს, პროლეტარიატის საყვარელ პიროვნებას:

> ლენინი იყო არჩევანი ქვეყნიერების...
> ვიცი, ჩინეთში მებადური ჩამოხეული...
> რომლის ცოლშვილი ნაგავივით ქუჩაში ყრია,
> ახლა აკერებს თავის ბადეს და სტირის ლენინს...
> ამხანაგებო! ჩადგა წუთით ოქტომბრის ქარი,
> ვიმღეროთ ერთად, პოეტებო, მარში გლოვისა.
>
> *(იაშვილი 1924; 191)*

თუმცა, 1936 წელსაც ვალერიან გაფრინდაშვილი იმავე პოზიციაზე დგას, როცა თავისი ლექსების წინასიტყვაობაში წერს: „ახლანდელი ჩემი გზა არის სოციალისტური რეალიზმის გზა. მე მეკუთვნოდა ლოზუნგი: „დაბრუნება მიწასთან“, რომლითაც მე მოვუწოდებდი ჩემს ლიტერატურულ თანამოღვაწეებს რეალისტური შემოქმედების პოზიციებისკენ (1925 წელს) ჩემთვის, როგორც პოეტისთვის, უდიდესი როლი ითამაშა ოქტომბრის რევოლუციამ, რომელმაც გააჯანსაღა ჩემი შეხედულება და ჩემი მუშაობა... ლენინმა და სტალინმა მოახდინეს ჩემზე უდიდესი გავლენა და მე შეძლებისდაგვარად გამოვეხმაურე ჩვენი დღეების თემატიკას. სიმბოლიზმი უკვე განვლილი ეტაპია ჩემთვის და მე ვცდილობ ახლანდელ ჩემს ლექსებში სრულიად თავისუფალი ვიყო ჩემი წარსული მეთოდებისგან“.

მწერლის სიტყვებს სერგი ჭილაია ადასტურებს შეფასებით, რომ ის იყო „მოწინავე საბჭოთა პოეტი“ (ჭილაია 1986: 276). შესაძლოა, ეპოქის ნიშანია ესეც, ამ დროს საზოგადოება უკვე შეგუებული იყო აზრს, რომ ყველას, ღირსეულსაც და უღირსსაც ჰქონდა „საბჭოთა პოეტის“ სტატუსი.

„ყანწების გავლენა ქართულ პოეზიაზე გაფართოვდა. ყველა ლიტერატურული შკოლები მოექცნენ ყანწების გავლენის ქვეშ... „ყანწები“ მენშევიკური სახელმწიფოს სრული ანალოგიური მოვლენა არის. მაშინდელი ქართული აუდიტორია შერჩა „ყანწების“ ჭაობს... პირველი ტერორი ამ განწყობილებისა მოახდინა კომუნისტურმა რევოლუციამ. რევოლუცია იტევს ორ პერიოდს. წარსულის ნგრევისა და აღმშენებლობისა. პროლეტარული რევოლუციის შემდეგ აზროვნება რელიგიური განწყობილებიდან პრაქტიკამდის დადის. იწყება აზროვნების ახალი კონტურების გახსნა. ამ პოლუსებმა გაანადგურეს მისტიკოსების ბუნაგი... რღვევამ „ყანწების“ შკოლა წაიყვანა ახალი ძიებისაკენ. ერთმა პოლიუსმა აღიარა ახალი ქვეყნის დაწყება, მაგრამ შეგუების პრინციპი ვერ წამოაყენა და უკიდურეს დეკადენტიზმს შეუერთდა(ტიციან ტაბიძე, კოლაუ ნადირაძე, ვალერიან გაფრინდაშვილი), მეორე პოლიუსი დაიწყო რობაქიძემ ისევ რელიგიით“ – ვკითხულობთ ჟურნალ „მნათობში“ სიმონ ჩიქოვანის გამოქვეყნებულ წერილში „სასწრაფო განმარტება ჟურნალ H²SO⁴ გამოსვლის“ (ჩიქოვანი 1924:212-218).

კომუნისტური ეპოქა ხელოვნებაში ახალ ფორმებს საჭიროებდა, ეპოქალური მოვლენების ასახვას, რომელიც სრულად გაანადგურებდა ყველა ლიტერატურულ გემოვნებას. მან გარდაუვლად გამოაცხადა „ეპოქალური დაწმენდა“, ტერორი კომუნისტურ სახელმწიფოში დარჩენილ „ლიტერატურულ ნაგავის წინააღმდეგ“ (ჩიქოვანი 1924: N4). თაყვანი და დაფასება ჰქონდათ მწერლებს, მაგალითად, როგორიც სიმონ ჩიქოვანია, პროლეტარული მწერლობის გამორჩეული ფიგურა, რომლის დამოკიდებულება საბჭოთა მწერლობის მიმართ არც ეჭვს ბადებს და არც არავის აღიზიანებს. ის იმთავითვე მიეკუთვნა მწერლობის იმ ნაკადს, რომელმაც აღიარა ახალი ქვეყანა.

ერთი რამ ცხადია, რუსი თუ არარუსი კომუნისტები ვერ

გასცდნენ პრიმიტიული და მოსაწაყენი კულტურის შექმნას, კულტურისა, რომელიც კატეგორიულად ემიჯნება სხვადასხვაობასა და მრავალფეროვნებას. ქართულ მწერლობასაც არ ჰქონდა უფლება საბჭოურისგან გამოყოფისა. თავისთავადობისა, ინდივიდუალობისა. უუფლებობა იქცა როგორც ცხოვრების, ასევე სამწერლო ნორმად. თავის დახრა იქცა აუცილებლობად, ჩვეულებრივ ამბად. შეგუება იყო ძნელი, მაგრამ ერთადერთი გამოსავალი. მსახურება იყო ყოველი მოქალაქის შრომითი ვალდებულება. ამდენად, გასაკვირი არაა, მწერლებს ეწერათ დაკვეთით, ეწერათ ის, რაც ააშენებდა ახალ, სტალინურ ქვეყანას. მოკლედ, საბჭოთა შემოქმედება იყო ერთ-ერთი მთავარი იარაღი კოლექტივიზაცია-ინდუსტრიალიზაციის, ელექტრიფიკაციისა და საბჭოთა პოლიტიკური აღმშენებლობის საქმეში.

20-იანი წლების პროლეტარულმა მწერლობამ „რინგი" გამართა ბურჟუაზიულ-დეკადენტური მწერლობის წინააღმდეგ, საასპარეზოდ გაიხადა ყოველი ორგანო, ჟურნალი თუ გაზეთი, რომელთა გამოცემა ნებადართული იყო, ამ საქმეში ლომის წილი უდევს „მნათობსა" და „პროლეტარულ მწერლობას". ის ფაქტი, რომ, გარდა სოციალისტური აღმშენებლობის უწყებებისა, არსებობის უფლება არ ჰქონდა ოპოზიციური განწყობის პრესას, საზოგადოება თავისთავად მოექცა ინფორმაციულ ვაკუმში, ისმენდა და ეცნობოდა მხოლოდ ერთ მიმართულებას, ერთ აზრს, რომელსაც მთელი ქვეყანა მიჰყავდა ერთიანი საბჭოთა სახელმწიფოს შექმნისაკენ, იძლევა დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ ისტორიული მნიშვნელობა შეასრულა მწერლობამ და პრესამ საბჭოთა საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაში. თუ არ დაწერდნენ და არ გამოაქვეყნებდნენ პერიოდულ გამოცემებში თავიანთ შემოქმედებას ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, სანდრო კლდიაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე და სხვანი, მარად უცნობებად დარჩებოდნენ, მათი დითირამბები ლენინის, ბელადის, დაზგის, ქარხნის, მუშური სოფლის მიმართ იყო საშვი მწერლობაში ადგილის დასამკვიდრებლად, როგორიც არ უნდა ყოფილიყო ელექტორატი, მათ ისევე სჭირდებოდათ ტრიბუნა, მსმენელი

და მაყურებელი, როგორც პროლეტარებს. აქვე იბადება კითხვა, რომელი ლექსები იყო სისხლით ნაწერი – საბჭოური თუ ანტისაბჭოური? პროლეტარული თუ მისტიკური... მეორე მხარეს დგანან სანდრო ეელი, ირაკლი აბაშიძე, ობოლი მუშა, იონა ვაკელი და სხვანი, რომელთაც „სისხლი არ აღრიეს“ და რაც წერეს, მთელი არსებით უძღვნეს საბჭოთა საქართველოს აღშენებას, ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნის იდეას.

რეპრესიების სისასტიკემ განაპირობა პაოლო იაშვილის თვითმკვლელობა, ტიციანი და მიხეილ ჯავახიშვილი განადგურების შემდეგ, განსჯის გარეშე აღიარეს საბჭოთა რეჟიმთან დაპირისპირებულ გმირებად. ჩვენ, მიუხედავად იმისა, რომ ვუერთდებით პათოსს, მაინც უნდა ითქვას, რომ საზოგადოება მსხვერპლს წმინდანის დონეზე მოიაზრებს და ცოდვებსაც მიუტევებს, რადგან, ამ შემთხვევაში, სახეზეა ორი მხარე: გაწირულები და გამწირავები. დასკვნისათვის საინტერესოა თავად მწერალთა მოსაზრებები, კრიტიკოსთა შეფასებები „მეხოტბეობის ცოდვის“ საკითხზე. ეს რთული საკვლევ-საძიებელი საკითხია პროლეტარულ ლაბირინთებში და, ამავდროულად, გასაღებიც სინამდვილის შესაცნობად.

პროლეტარული მწერლობის რეფლექსია ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში

პოლიტიკური დისკურსი, როგორც ქმედითი პროცესი, მნიშვნელოვანი ბერკეტია ამა თუ იმ ეპოქალური მახასიათებლებისა და შინაარსის გასარკვევად. ანგარიშგასაწევია, ნანა გაფრინდაშვილის მოსაზრებით, თუ „რა იყო სოცრეალიზმის ეპოქის ჭეშმარიტი და ცრუ ფასეულობები, როგორი იყო მისი მხატვრული იდეოლოგია – საჭიროა ახლიდან შეფასდეს იგი და გაირკვეს ადგილი მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში“ (გაფრინდაშვილი 2010:N1).

ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარების მანძილზე უამრავი კრიტიკოსი იყო ჩართული სალიტერატურო პროცესის ანალიზში. მათზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. „დათბობის“ პერიოდამდე, გამომდინარე საბჭოთა ინტერესებიდან, კრიტიკა იყო მიკერძოებული, ტენდენციური. ცენზურა და კრიტიკა, ფაქტობრივად, ერთი მიმართულება იყო მწერლობისა და ამიტომაც მას მოეკითხება პასუხი ლიტერატურის ისტორიის იმ ეტაპზე და დღესაც, რადგან, სწორედ საბჭოთა კრიტიკოსების პარტიული აზროვნების შედეგად დამახინჯდა უამრავი მწერლის ისტორია, საზოგადოების ცნობიერება, დღემდე გრძელდება ძალისხმევა, სინათლე მოვფინოთ პროლეტარული აზროვნებით დაღდასმულ ქართულ მწერლობას. კრიტიკოსთა სია საკმაოდ გრძელია: ფილიპე მახარაძე, ბენიტო ბუაჩიძე, ბესარიონ ჟღენტი, შალვა დუდუჩავა, კანდიდ ჩარკვიანი, მალაქია ტოროშელიძე, მიხეილ კახიანი, ალექსანდრე თათარაშვილი, სერგი დანელია, მიხეილ ზანდუკელი, პარმენ ქიქოძე, შალვა რადიანი, ალექსანდრე ამაღლობელი, დიმიტრი ბენაშვილი, გიორგი ნატროშვილი, აკაკი გაწერილია. ალექსანდრე სულავა, გიორგი ჯიბლაძე, გიორგი შავგულიძე, ალექსანდრე კალანდაძე, შალვა აფხაიძე, დავით დემეტრაძე, გიორგი გამრეკელი, ვახტანგ მაჭავარიანი, ალი არსენიშვილი, იპოლიტე ვართაგავა, ნიკა აგიაშვილი, გრიგოლ მუშიშვილი, სერგი ჭილაია, ალექსანდრე სიგუა და სხვანი. ამ კრიტიკოსთა უმრავლესობა მწერალთა კავშირის მდივნები და ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები იყვნენ. უმეტესი მათგანი იყო შემ-

ფასებელიც და მსჯავრმდებელიც. ხშირ შემთხვევაში მათი ფსიქოლოგია ეყრდნობოდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებს და ისინიც საბჭოთა სოციალისტური იდეების ქურაზე აწრთობდნენ ნაწარმოებებს, ხშირად მუქარითა და ზიზღით უპირისპირებდნენ ლიტერატურულ დაჯგუფებებს, მემარჯვენეებსა და მემარცხენეებს, ერთმანეთსაც, თან ამხელდნენ ანტისოციალისტურ გამოვლინებებს, თან ხელს უშლიდნენ მათ, მეტად დაახლოებოდნენ სოციალისტური რეალიზმის პრინციპებს.

ცხადია, 1990-იანი წლები ბევრად განსხვავებულ ნარატივს ქმნის, გამოხატავს კატეგორიულ წინააღმდეგობას კლასიკოსებისა და დეკადანსის მიმართ. რეპრესიების მსხვერპლთა შემოქმედებაში სრულიად უარყოფს პროლეტარული განწყობის ლიტერატურას, როგორც შეუფერებელ და უმსგავსო პროდუქტს, რომლის შექმნის ერთადერთ საფუძვლად ტირანული სახელმწიფოს წნეხისგან თავის დახსნას მიიჩნევს. 2000-იანი წლებიდან საზოგადოებრივი კონიუნქტურა შეიცვალა, საბჭოეთი დაინგრა და საფრთხეებიც გაქრა. კანტიკუნტად, მაგრამ დაიწყო ეპოქალური ნარატივების გადახედვა და განსჯა. მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევია ბევრი კრიტიკოსის თვალსაზრისი საბჭოთა მწერლობის შესახებ.

წიგნში ახლიდან არის გადააზრებული აკაკი ბაქრაძის, სოსო სიგუას, ვიოლეტა ცისკარიძის, ლალი ავალიანის, ნინო ნაკუდაშვილის, სერგი ჭილაიას, თამარ ყალიჩავას, ეკატერინე ყაველაშვილის, ნუნუ გეგეშიძის, თამარ პაიჭაძის, ზეინაბ სარიას, ლაშა ბაქრაძის, ნინო ბექიშვილის, გიორგი კეკელიძის, ნინო მინდიაშვილის, ნანა გაფრინდაშვილის, მარიამ მირესაშვილის, ავთანდილ ნიკოლეიშვილის ნაშრომებში წარმოდგენილი დამოკიდებულებები, ეპოქალური მწერლობის მისამართით გამოთქმული მათი აზრები და შთაბეჭდილებები. კრიტიკოს-შემფასებლები როცა ეხებიან მემარჯვენე მწერლების ღირსებებს, უმძიმესი ვითარების ფონზე შექმნილ მწერლობას აღიქვამენ სტალინური ისტორიის (უფრო ისტერიის) გამოძახილად. ფაქტობრივად, ტენდენციურად აფასებენ რეალობას; ისინი არ აღიარებენ იმას, რომ მწერლები ემსახურებოდნენ სოციალისტური ქვეყნის მშენებლობას. ისტორიული ნარატივი კი სრულიად საპირისპიროს ამტკიცებს.

ხელისუფლების დიქტატს მოჰყვა მოდერნიზმის, როგორც ევროპული ფასეულობის აკრძალვა. რუსეთისთვის მიუღებელი იყო ევროპული ფასეულობები, მაგრამ 1925 წლიდან ნელ-ნელა საბჭოთა შემოქმედებითმა მოძრაობამ პოზა (პოზიცია) შეცვალა, ერთი შეხედვით, სხვადასხვა სახელოვნებო ასოციაციას, ლიტერატურულ წრეებსა და ჯგუფებს კონკურენციაში ჩაბმის უფლება მიეცათ, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ხაფანგი, რეალურად კი „პროლეტარული მწერლობა აღჭურვეს დიქტატის უფლებით... აიკრძალა როგორც პოლიტიკური, ისე შემოქმედებითი თავისუფლება... დასავლეთის კარები გადაიკეტა, მთელი ქვეყანა უზარმაზარ საკონცენტრაციო ბანაკს დაემსგავსა“ (სიგუა 2008:157).

1930-იან, ე. წ. განუკითხაობის წლებში, იყო სრული ქაოსი. საბჭოეთი ცალი ხელით ცდილობდა „დაელაგებინა“, „დაემშვიდებინა“ სიტუაცია ყოველ ფრონტზე, განსაკუთრებით, მწერლობაში, მეორე ხელით სპობდა და ანადგურებდა. ამ პროცესს ემსხვერპლა არა მარტო სიცოცხლე დიდი მწერლებისა, არამედ მათი შემოქმედებითი თავისუფლება და ეს აისახა კომპრომისში, ზოგჯერ ღალატშიც, როგორც სიცოცხლის გადარჩენის გარანტი. სოსო სიგუა ასე აფასებს გალაკტიონის საბჭოეთთან დამოკიდებულებას: „მუდმივმა შიშმა და ახლობელთა ტერორმა გალაკტიონი ბოლშევიკების აპოლოგეტად აქცია და ნევროტიკად ჩამოაყალიბა, რასაც მოჰყვა მისი დიდი ტალანტის დაცემა“ (იქვე: 162)[9]. მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკოსი სიგუა სინანულითა და შებრალების ტონით საუბრობს დასჯილ, დახვრეტილ, ნირნაცვალ მწერლებზე, მაინც გამოკვეთს ფაქტს, რომ მსახურებას ვერ ასცდნენ ეს მწერლები და თუ გენია ჩაუკლა საბჭოეთმა, სანაცვლოდ მიუგდო ფუჭი სიცოცხლის შანსი, რომელიც ბოლშევიკური სამზერითა და საცეცებით უმნიშვნელო იმპულსზეც კი კონტროლდებოდა.

„დახვრიტეს ნიკოლო მიწიშვილი, თუმცა ხელისუფლებას ერთგულად ემსახურა... დემნა შენგელაია ყოველთვის ხელისუფლების ერთგული და მორჩილი იყო... მოკვდა, როგორც შემოქმედი. რატომღაც სულ რევოლუციასა და მუშათა კლასს ეტმანესებოდა... მას ღუპავს კონფორმიზმი.

...ბოლშევიზმის მომღერლები გახდნენ ერთ დროს თავგა-

დაკლული ნაციონალისტები – იოსებ გრიშაშვილი და ალექსანდრე აბაშელი. კომუნისტური რეჟიმის დამხობას მოესწრო კოლაუ ნადირაძე. იგი მუდამ ჩრდილში იდგა და ამიტომ არ უწევდა ხელისუფლების რისხვა. თავად, როგორც პოეტიც, რეალობას თვალს არიდებდა. მხოლოდ ღრმად მოხუცს აღმოხდა გოდება 1921 წლის კატასტროფაზე".

„გალაკტიონის პოეზიაში ბიოგრაფია არ იკითხება, ხოლო სადაც ეპოქა ასახა, იქ დამარცხდა როგორც ხელოვანი".

„ბოლშევიკებმა, ერთი მხრივ, განადიდეს მწერლის სახელი, მაგრამ, მეორე მხრივ, ისე სასტიკად დათრგუნეს შემოქმედი, რომლის მსგავსი არ იცის კაცობრიობის ისტორიამ" (იქვე: 163-164)[ბ] – ამონარიდები საინტერესოა როგორც შემოქმედის პროფილის დასანახად, ისე კრიტიკოსის პოზიციის დასადგენად. მათში აქცენტირებულია ფაქტი, რომ მოდერნისტებს ნირი უცვალა ბოლშევიზმმა. ისინი ჩააყენა თავის რიგებში და გადააქცია საბჭოეთის მშენებლებად. რაც შეეხება სოსო სიგუას აზრს, რომ „პოეზიაში ბიოგრაფია არ იკითხება", პირობითი ნათქვამია. რეალურად, შემოქმედებაში იკითხება ნამდვილი ბიოგრაფია. სწორედ შემოქმედება ცხადყოფს, რომ მათი ცხოვრება იყოფა სხვადასხვა პერიოდად: მოდერნისტული, გაორებული და საბჭოური.

ქართული პერიოდ-გამოცემების ციფრული კოლექციის, კერძოდ, „ლიტერატურული ძიებანი" N22-ში გამოქვეყნებულია ცისანა გენძეხაძის ვრცელი წერილი „ ტრაგიკული 30-იანი წლების ექო ქართულ კრიტიკაში". ავტორი კრიტიკოსებს პირდაპირ ასახელებს და აღნიშნავს, რომ მათმა არასწორმა და ტენდენციურმა კრიტიკა-კომენტარებმა ხელი შეუწყო მწერალთა რეპრესიებს.

„ყველაფერი დროს არ შეიძლება გადავაბრალოთ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ის ავბედითი დრო მაინც განმსაზღვრელი იყო ადამიანთა ცხოვრების, არსებობისა და მოღვაწეობის. ჩვენ ტრაგიკულად გვეჩვენება 30-იანი წლების მოღვაწეთა ცხოვრება. იმდროინდელი მწერლებიცა და, მით უფრო, კრიტიკოსები ტრაგიკული ბედის მატარებელნი იყვნენ, რის გამოც მათდამი საყვედური მუდამ აზომილ-აწონილი უნდა იქნას, რათა ახლაც არ დავუშვათ საბედისწერო შეცდომები.

ხოლო, თუ მაინც საჭიროა ყოველივე ამის შეფასება, იმიტომ კი არა, რომ ახლა საქმეს ეშველება, ან რაიმეს გამოსწორებაა შესაძლებელი, რა თქმა უნდა, არა! წარსულის სწორი აღქმა-დეფინიციები, მისი სავალალო შედეგების გააზრება საჭირო და აუცილებელია იმისათვის, რომ მომავალმა თაობებმა იგივე არ გაიმეორონ.

მლიქვნელური პოლიტიკის გასატარებლად ქართველ მეცნიერებს უფლება მიეცათ გამოეცათ XX საუკუნის საზოგადოებრივი აზრისა და კლასიკური ლიტერატურის ისტორიები. შემქმნელი და დამწერი, დიახაც, ბევრი იყო: მ. ზანდუკელი, ვ. კოტეტიშვილი, გ. ქიქოძე, შ.რადიანი, ა. გაწერელია, ს. ჭილაია, დ. ბენაშვილი, გ. ნადირაძე, ს. ხუნდაძე, ლ. ასათიანი, მ. გოგიბერიძე, შ. ნუცუბიძე, ი. აბულაძე, იუს. აბულაძე, პ. ინგოროყვა, ს. ყაუხჩიშვილი, ალ. ბარამიძე, ივ. ჯავახიშვივლი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, არნ, ჩიქობავა, გ. წერეთელი, ვ. ბერიძე და ა.შ. და ა.შ. – არც ეს უფლება მიიღო ქართველმა ხალხმა უმსხვერპლოდ. რამდენიმე მეცნიერი ჩამოთვლილთაგან დააპატიმრეს. მ. გოგიბერიძე და ვ. კოტეტიშვილი დაიღუპნენ" (გენძეხაძე 2002: 12-14).

სერგი ჭილაია თავის „ოცწლეულში" ნაკლები კრიტიკითა და მეტი ხოტბით ახასიათებს საბჭოთა მწერლებს. ერთ ყალიბში ათავსებს ძველი და ახალი დროების მომღერლებს. ამ ნარკვევში არ ჩანს გაღიზიანება საბჭოეთის მეხოტბეობის მიმართ. რაც შეეხება დისიდენტურ ნაკადს, ის სწორედ ამ პერიოდში იწყებდა გააქტიურებას (მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია). ამიტომაც, ვფიქრობთ, რომ ამ პერიოდიდან შეფასებები განსხვავებულ შინაარსს იძენს. თუ ჭილაია სიამაყით აცხადებს, რომ გალაკტიონი, ტიციანი, ლეონიძე, იაშვილი და სხვანი საბჭოთა მწერლები არიან და ეს იმ დროისთვის არ აღიქმებოდა უარყოფით კონტექსტად, დღეს სრულიად სხვა ვითარებაა, კლასიკოსების საბჭოთა პოეტებად გამოცხადება ფრთხილად სახსენებელია და საკმაო სითამამესაც მოითხოვს. უფრო ღირსეული იქნება კრიტიკა გავათავისუფლოთ სუბიექტივიზმისგან, რათა არასწორმა შეფასებებმა ზიანი არ მიაყენოს არც ქვეყნის კულტურას, რომელიც 60-იანი წლებიდან დაადგა რეაბილიტაციის გზას და არც მწერლებს.

საბჭოთა და პოსტსაბჭოთა კრიტიკოსების ნაღვაწის ახლიდან შეფასება შემოქმედებითი მასალის პარალელურად, ემსახურება კლასიკოსების არა ლაფში ამოსვრას, არამედ ეპოქალური ნიშნების, მწერალთა ცხოვრების სიმძიმის ხაზგასმას, ამ ნარატივის გათვალისწინება ნათელს მოჰფენს შედევრების, როგორც საბჭოთა ალეგორიის გამომხატველი ნაწარმოებების გაგება-გააზრებას კონტექსტუალურ პრიზმაში.

სერგი ჭილაიას განმარტებით, ნამდვილ პოეტად „გ. ლეონიძე საბჭოთა ეპოქამ აქცია... მალე შეიგნო დეკადენტური პოეზიის მიუღებლობა საბჭოთა პოეტისთვის. 1929 წელს „ზამთრის მუხამბაზში“ წერდა:

მე მაჟრჟოლებს ჩემი დიდი დროება,
ხანძარები ხანძარებზე მოება.
დავინახე, მეხმა როგორ გააპო
საქართველოს საყდრული მყუდროება...
ლეონიძე! ამ დღეებს უდარაჯე,
გადმოღვარე თქეშა ლექსის წვიმები!

(ლეონიძე 1929:182)

სერგი ჭილაიას აზრით, ტიციან ტაბიძემ „ახალი ცხოვრების რევოლუციურ რომანტიკას მთელი მგზნებარებით უმღერა. მის ლირიკულ ხმაში მთელი სისრულით გამოვლინდა საბჭოთა საქართველოს სადიდებელი და სათაყვანებელი ღაღადისი:

მე თვითონ გავხდი ეხლა სხვა კაცი
და, ჩემო თავო, – გთხოვ და გიბრძანებ:
ხმა ამოიღე – სიტყვა დასძარი,
ამ ვაჟკაცობას ნუ უღალატებ.

(ტაბიძე, „როალდ ამუნდსენ“)

„... დაადგა ტიციან ტაბიძე ოქტომბრის რევოლუციის გზას და გახდა ერთ-ერთი გამოჩენილი საბჭოთა პოეტი... სიმბოლისტური ძიებებით, გამოგონებებით, მირაჟებითა და მოჩვენებებით გართულებული ლექსის კონსტრუქცია ორიგინალურად შეცვალა ნათელმა, რეალისტურმა პოეტურმა ქსოვილმა. ტ. ტაბიძის მიერ განვლილი ეს რთული შემოქმედებითი გზა ამტკიცებს, რომ ჭეშმარიტი პოეზიის გზა არასოდეს ეთიშება

ხალხის გზას“ (ჭილაია 1986:186). კრიტიკოსის ხმაში იგრძნობა კმაყოფილება, რწმენა, რომ დიდი კლასიკოსები საბჭოთა პერიოდმა გამოაწრთო ნამდვილ პოეტებად, 1980-იანი წლების ფონზე, როცა რეპრესიებით გაწირული მძლავრი შემოქმედებითი ნაკადის მიმართ გაჩნდა ნოსტალგიურ-სენსიტიური განწყობა, როცა ჭეშმარიტი აღიარების პერიოდი დაიწყო და ანტისაბჭოური ლოზუნგებიც გაჩნდა, აკაკი ბაქრაძე უკვე დაუფარავად კითხულობდა ლექციებს სტალინური ეპოქის სისაძაგლეზე, სერგი ჭილაია საბჭოეთის მოტრფიალე პოეტებად თვლის ტაბიძეებს, ლეონიძეს, იაშვილს და თავის ნარკვევში მათ პროლეტარ მწერალთა ნუსხაში ათავსებს.

დღეს განსაკუთრებით თვალშისაცემია მოდერნიზმის გამორჩეული მიმდევრის, სიმბოლისტური პოეზიის კოლორიტის, პაოლო იაშვილის ჭილაიასეული შეფასება. მას „ბუნებით მემარცხენედ“ მიიჩნევს, რომელსაც არ გასჭირვებია „რევოლუციის პირველი წლებიდანვე ადვილად ჩამოებერტყა სიმბოლიზმის „ბოროტი ტვირთი“ და მისი სალოცავი სულიერი სამებაც – ვერლენი, ბოდლერი და მალარმე... პაოლო იაშვილმა დეკადენტური სკოლის კედლები ყველაზე ადრე გამოარღვია და საბჭოთა მწერლობის პლათფორმას მოაშურა... სიმბოლისტობა „ხელს არ უშლიდა“ მას, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღესვე თეთრ ცხენზე ამხედრებული, წითელი დროშით შეხვედროდა თბილისის თავზე აღმართულ საბჭოთა რევოლუციის დროშას, რადგან მან თავის წარმოდგენაში რევოლუცია, როგორც ძველის უარყოფა და ნგრევა, გარეგნული ნიშნებით დაუკავშირა სიმბოლისტი პოეტების მანიფესტში გამოხატული ძველის უარყოფის პათოსს... ოციანი წლების მიწურულისთვის პაოლო იაშვილი ქართულ საბჭოთა მწერლობაში მტკიცედ შემოვიდა და დამკვიდრდა თავისი ლაღი, გულწრფელი და ფაქიზი ქართული სიტყვით“ (ჭილაია 1986:189-191).

კრიტიკოსი „პროლეტარული მწერლობის“ აგრესიაზე საუბრობს ძველი თაობის მწერლების მისამართით, რომ „ჟურნალი ტენდენციურად ეკიდებოდა მიხეილ ჯავახიშვილსა და ლ. ქიაჩელს, ი. გრიშაშვილსა და ალ.აბაშელს...“ კრიტიკოსი ლენინიზმის იდეის ხორცშესხმაზე ამახვილებს ყურადღებას,

კერძოდ, მეგობრულ თანამშრომლობაზე, პროლეტარიატის სამსახურში ჩადგომაზე; წყენას გამოთქვამს რაპპელების მისამართით, რომ ისინი „უხეშად ესხმოდნენ თავს ამ ძველი თაობის საუკეთესო წარმომადგენლებს, რომელთაც გულით ეწადათ საბჭოთა მწერლობის პლატფორმაზე გადმოსვლა“ (ჭილაია 1986:103). ამონარიდი გვაუწყებს, რომ ზედმეტი ტენდენციურობა და თავდასხმა ხელს უშლიდათ მწერლებს, მთელი ძალით ჩართულიყვნენ „პროლეტარულ ღვაწლში“, კრიტიკოსი ამაზე საუბრობს არა ტირანიის სიმძაფრის ჟამს, არამედ მაშინ, როცა საბჭოთა სახელმწიფოს უკვე წყალი აქვს შემდგარი და საცაა ჩამოიშლება. რასთან გვაქვს საქმე, ჯანსაღი კრიტიკა ჯერ კიდევ ცენზურის მონა იყო? ან, იქნებ, სერგი ჭილაიას მოსწონდა სტალინური ქვეყანა, ან, იქნებ, სიმართლეს ბრძანებს იგი?! აქედან ვასკვნით: ძველი იდეების მოტრფიალე მწერლებს არ ჰქონდათ რადიკალური პოზიცია, თუნდაც ჰქონოდათ, ისინი თანამშრომლობაზე უარს არ ამბობდნენ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ უფრო აგრესიული იყო პროლეტარიატი, ვიდრე დეკადანსის წევრი მწერალი, პროლეტარიატს რომ მთელი გულით სდომებოდა „გადმობირება“, თანამგზავრობა, კიდეც შეძლებდა. „გველსა ხვრელით ამოიყვანს, ენა, ტკბილად მოუბარი“ - აი, ამ მეთოდის არცოდნაზე საუბრობს ბატონი ჭილაია.

შეფასებისას წიგნის ავტორი ყურადღებას ამახვილებს რაპპელების ზღვარგადასულ „სიბრმავეზე“, რადგან ისინი თანამშრომლობაში ხელს უშლიდნენ ძველ მწერლებს, შექმნეს ქაოსი. მათ ზურგი გაიმაგრეს 1925 წლის ცნობილი დადგენილებით „პარტიის სალიტერატურო პოლიტიკის“ შესახებ, რომელიც თანამშრომლობისა და პროლეტართა რიგებში მიწვევას უნდა მომსახურებოდა და არა გაყრასა და თავდასხმებს. ატეხილი ქაოსის გამო 1932 წელს დაიხურა ჟურნალი „პროლეტარული მწერლობა“, როგორც სერგი ჭილაია გვაუწყებს, გარდაქმნის შესახებ „დადგენილებამ უდიდესი ისტორიული როლი შეასრულა საბჭოთა მწერლობის აღმავლობის საქმეში“ (იქვე: 106)[ა].

მოცემული ნარატივი მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაძლევს ძველი და ახალი თაობის მწერალთა ურთიერთმიმართებაზე,

ძველებს, რა თქმა უნდა, უმძიმდათ ღირებულთან განშორება, რეალურად არც განშორებიან, ამის საფუძველი თავად პროლეტარიატმა გაამყარა თავისი ხისტი დამოკიდებულებით. არ მისცა გასაქანი მწერლებს, ახალ ცხოვრებას მეტად დაახლოებოდნენ. თითქოს, პროლეტარიატის დახურულ კართან იდგნენ ძველი თაობის მწერლები, კართან, რომელიც ორ ბანაკად ყოფდა მწერლობას: „მოკავშირე და მტერი". რეალურად კი, როგორც ჭილაიას „ოცწლეულიდან" ვიგებთ, სულაც არ იყო ასე ცუდად საქმე. რომ არა უნიჭო მწერალთა ეჭვიანობა და აგრესია, „დათბობა" ბევრად ნაადრევ ეტაპზევე იქნებოდა შესაძლებელი. „რ. გვეტაძე ამბობდა: „ასეთი განწყობილება ბევრს აქვს პროლეტარულ მწერლობაში: თითქოს ორი მოწინააღმდეგე ბანაკი არსებობდეს და აქეთ წამოსულ კაცს, ძალიან გულითაც რომ მოდიოდეს, არ ხვდება მეგობრული ხელი. ეს კი ხელის კვრას ნიშნავს. არაამხანაგურ დამოკიდებულებას აქვს ადგილი პროლეტარული მწერლობის მხრივ". თანადროული თუ გვიანდელი კრიტიკა ერთნაირად აფასებს მწერალთა ორი ნაკადის ურთიერთგავლენას.

აკაკი ბაქრაძე გამოსავალს ვერ ხედავს იმ ავბედობის პერიოდში. თითქოს მწერლებს არ ჰქონდათ სხვა გზა, კომუნისტური დიქტატურის ეპოქამ იქადაგა ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი და გააჩინა „მწერლის ახალი ტიპი – მწერალ-ფლუგერი, რომელიც პოლიტიკური ქარის მიმართულებით ტრიალებს და ცხოვრობს დევიზით – აბა, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო" (ბაქრაძე 1990:41). აქ აქცენტირებულია, რომ მწერლები „პოლიტიკური ქარის მიმართულებით ტრიალებენ". რაც შეეხება გმირობას, ეს ნამდვილად უიშვიათესთა ხვედრია, ადამიანი ემოციური არსებაა, მას ან გონება მართავს, ან – გრძნობა. მწერალიც ადამიანია თავისი ემოციებით, შიშით, სისუსტით. ამიტომაც ბევრმა მწერალმა მოიდრიკა ქედი საბჭოთა ტირანიის წინაშე. რატომღაც, საზოგადოებრივი დაკვეთა არის ტენდენციური, რომ ეს ფაქტი ან დაიმალოს, ან შელამაზდეს. ვფიქრობთ, რაიმეს მტკიცება ზედმეტია, როცა რეალობა თავად მეტყველებს.

აკაკი ბაქრაძე „მწერლობის მოთვინიერების" წინასიტყვაობაში თავისებურ გამართლებას უძებნის თანამგზავრულ გა-

დახვევას. ძნელი სათქმელია, რას მოიმოქმედებს მუქარის, შეურაცხყოფის, წამების ქვეშ ადამიანი. თუმცა არ შეიძლება ასე სადად და კომპრომისებით მივუდგეთ ღირსების საკთხს.

ზეინაბ სარია წერილში, „სტანდარტიზაციის საბჭოთა ეპოქა და მზერაგაუმტარი გალაკტიონი", კატეგორიულად უარყოფს მსახურებაში გულწრფელობას გალაკტიონ ტაბიძის პროლეტარული განწყობის შემოქმედების ფონზე. ის თვლის, რომ გალაკტიონის ყოველი პროლეტარული შინაარსის ლექსი, ფაბრიკაზე, ქარხანაზე, დროშაზე და ა. შ. გაჯერებულია ირონიით, ცინიზმით, სარკაზმით, მაგრამ გენიოსი ისე ნიღბავს ამას, ისე მდაბლდება შეგნებულად პროლეტმწერლებამდე (მაგალითად ასახელებს მუშიშვილსა და ნარინდოშვილს), რომ საბჭოეთი ვერ მიუხვდა: „მოჩვენებითი მორჩილებით გალაკტიონი ცხადყოფს, რომ მისი ანტიუტოპიური პოეზიის ლირიკული გმირი ნონკონფორმისტია, ის იმგვარად ამბობს „დიახს", რომ „არა" იგულისხმებაო" (სარია 2006:273). ძნელია, ასე ხელაღებით უწოდო საბჭოთა მსახურებას სიყალბე და ფარსი, რადგან რეჟიმის მამებს გულწრფელებისაც არ სჯეროდათ, არათუ მოთამაშეებისა. ამდენად, ვერ დავეთანხმები ზეინაბ სარიას თვალსაზრისს, მაგრამ უნდა გავიზიარო მისი შეხედულება გალაკტიონის ირონიულობასთან დაკავშირებით. შესაძლო და ბუნებრივია, გალაკტიონი თვითკრიტიკისა და კრიტიკის ამ ხერხს შეგნებულად მიმართავდა, მწერლის ბუნებიდან გამომდინარე, ამ ნიუანსის უგულვებელყოფა არ შეიძლება.

პროფესორი სოსო სიგუა გამსახურდიას შესახებ წერს:

„30-იან წლებში მწერალთა ერთ ჯგუფს ლავრენტი ბერიამ კომუნისტურ პარტიაში შესვლა შესთავაზა. კონსტანტინეს ხუმრობით უთქვამს: პარტიაში როგორ არ შევიდოდი, მაგრამ ვიცი, მალე გასარიცხი ვიქნებიო. ბერიას გასცინებია და ძალა არ დაუტანებია. ლავრენტი მფარველობდა კონსტანტინეს, ბევრჯერ დაეხმარა. მწერალი თბილისში მის სახლში დადიოდა, მოსკოვშიც აკითხავდა. არსებობს ბერიასთვის გაგზავნილი კონსტანტინეს წერილები.

– მაინც რა იყო ბატონი კონსტანტინეს მიმართ ბერიას ასეთი უჩვეულო კეთილგანწყობის მიზეზი?

ცნობილია, რომ ლავრენტი ბერიამ შესთავაზა კონსტანტინე გამსახურდიას ბელადზე რომანის დაწერა. კონსტანტინემდე იმავე წინადადებით მიხეილ ჯავახიშვილისთვის მიუმართავს. ჯავახიშვილს შემდეგი პირობები წაუყენებია: კარგი ჰონორარი, მანქანა, მდივანი... მოკლედ, სრული კომფორტი. ამის შემდეგ ბერიას გამსახურდია დაუბარებია. პირობებზე მწერალს უთქვამს: არაფერი მინდა კალმისა და სუფთა ქაღალდის მეტიო. ბერიამ, ბუნებრივია, არჩევანი სწორედ კონსტანტინეზე შეაჩერა. მწერალმა მონიჭებული თავისუფლებით ისარგებლა და, სტალინზე რომანის წერის პარალელურად, ექვს თვეში „დიდოსტატის მარჯვენა" დაწერა.

1940 წელს გამართულ სხდომაზე მოეწყო „ბელადის" განხილვა. გამომსვლელებმა: დიმიტრი ბენაშვილმა, პავლე ინგოროყვამ და სხვებმა შეაფასეს კონსტანტინე გამსახურდიას იდეოლოგიური მრწამსი და პიროვნული დამოკიდებულება სტალინის მიმართ. რომანმა სერიოზული მოწონება დაიმსახურა, გამოითქვა მოკრძალებული შენიშვნები: „მცირეოდენი ლაქები მზესაც კი აქვს, მაგრამ მის ბრწყინვალებას ხელს არ უშლისო" (დ. ბენაშვილი); „სტალინის მიმართ ჩვენ არაფერი არ მიგვაჩნია დამაკმაყოფილებლად, სტალინის სათანადო მხატვრული სავსებით ასახვა იქნებ მიუწვდომელი საქმეც იყვეს, მაგრამ იმ მხატვრულ ნაწარმოებთა შორის, რაც სტალინის შესახებ დაიწერა, როგორც ქართულად, ისე სხვა ენებზე, კონსტ. გამსახურდიას რომანი აუცილებლად ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და გამართული ნაწარმოებია. რომანი გამთბარია სიყვარულით ბელადისადმი" (ინგოროყვა 1940: ფონდი 8.აღწ.1. №831. 41).

გრიგოლ რობაქიძის მწერლური ღირსებისა და ანტისაბჭოთა პროპაგანდისტობის შესახებ ბევრი დაიწერა. მისი შემოქმედებით დაინტერესებული კრიტიკოსები არაერთგვაროვანი, შეუთანხმებელი შეფასებებით გამოირჩევიან. ზოგი მას ადანაშაულებს სტალინის, ჰიტლერისა და მუსოლინის სახეების შექმნისათვის, ზოგი მხოლოდ მის გენიაზე აკეთებს აქცენტს. ჩვენთვის საინტერესოა გრიგოლ რობაქიძის პერსონა სტალინის სახის შექმნის კონტექსტში. სოსო სიგუა მას „დამარცხებულ ბელადს" უწოდებს. „ავტორიტეტულ პიროვნებას", რომელსაც ნოე ჟორდანიას მთავრობის კანცელარიაში

ჯერ უბრალო სტილისტის ადგილი ეკავა, ხოლო „ბოლშევიკებმა ის დააფასეს, პენსია დაუნიშნეს და ხელოვნების საქმეთა კომიტეტი ჩააბარეს...ბოლშევიკი კი არა, სოციალისტიც არ ყოფილა, მაგრამ იოლად შეეგუა ახალ ხელისუფლებას, რომლის ლიდერებს ადრევე კარგად იცნობდა, მაგრამ 1924 წელმა შეუცვალა თვალსაზრისი" (სიგუა 2008:169).

გრიგოლ რობაქიძის დაპირისპირება ბოლშევიკებთან უკავშირდება 1924 წლის აგვისტოს აჯანყებას. ჩანს, მისი იდეოლოგიური საყრდენი ყოველთვის იყო ეროვნული თავისუფლება, მაგრამ საბჭოეთის გარიჟრაჟზე მის რეაქციულ პოზიციებს ვერ ვხედავთ. ეს უნდა შეფასდეს მისი ცხოვრების ერთ-ერთ ეტაპად, განმსაზღვრელ ეტაპად, რადგან ის რადიკალურად გაემიჯნა და სხვა მწერლებისგან განსხვავებით პირი აღარ იბრუნა საბჭოეთისკენ.

გრიგოლ რობაქიძის „მთავარი სიძულვილის საგანი გახდა სტალინი, თავისი თანამემამულე, ვისი ინიციატივითაც დაამხეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და ქვეყანა ისევ რუსეთს შეუერთეს.

1935 წლიდან დაიწყო სახელმწიფო კამპანია. გადაუდგნენ გუშინდელი თანამოაზრენი და მოწაფენი – პაოლო, ტიციანი, ვალერიანი, ნიკოლო. მათი ხელმოწერებით გამოქვეყნდა პასკვილი „მნათობის" ფურცლებზე („მნათობი" 1935:187-189).

ლადო გუდიაშვილმა კარიკატურები დაუხატა, გუშინ რომ ღმერთკაცად მიიჩნევდა.

კონსტანტინე გამსახურდიამ ძველი შუღლი გააგრძელა.

1987 წლამდე მის სახელს ტაბუ დაედო... მაგრამ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „პოლიტიკას ადევნებული მწერალი წაგებულია და ისჯება კიდეც". რას გულისხმობს სოსო სიგუა დასჯაში? იმას, რომ მისი რეაბილიტაცია ყველაზე მეტად გაჭიანურდა თუ გაჭირდა? ან, იქნებ, იმას, რომ გერმანიის კატასტროფამ დეპრესია შეჰყარა და მისთვის დაიკეტა რედაქციების, პრესის, უნივერსიტეტების კარები, ან იმას, რომ ცხოვრება მარტოობაში და სიდუხჭირეში დაასრულა ოცნებით, მცხეთაში ვინმე ქართველ დედას აენთო მის სახელზე სანთელი, ელოცა მისი სულისთვის (გიგოლ რობაქიძის ცნობილი „ანდერძის" თანახმად).

დღეს გრიგოლ რობაქიძე უდავოდ დიდ მწერლად მიიჩნევა და მის ამ სიდიადეს განსაზღვრავს არა მხოლოდ მაღალოსტატური შემოქმედება, ფილოსოფიური სიღრმე, წიაღთან მიყვანების ხელოვნება, არამედ ყველაზე კოლორიტულს და ცნობადს ხდის უჩვეულო გამბედაობა სტალინის სახისმეტყველებისათვის.

საინტერესოა ერთი რამ. ტიციანს მოსაფიქრებლად ორი თვეც კი მისცა ბერიამ და მაინც ვერ შეძლო პაოლოს შესახებ დაეწერა, რომ უცხოეთის ჯაშუში იყო. იყო ზეწოლა, „მეგობრული" რჩევები – დაწერე, თორემ დაიღუპებიო, მაგრამ „ტიციანმა არ შეასრულა ბერიას დავალება, ვერ შებღალა თავისი სინდისი და მეგობრის სახელი", შედეგად კი ის 1937 წლის 8 ოქტომბერს დახვრიტეს, რატომ არ გამოიჩინეს „ცისფერყანწელებმა", კონსტანტინე გამსახურდიამ (თუმცა მისი გრიგოლ რობაქიძით „გატაცების" ამბავი ცნობილია), ლადო გუდიაშვილმა ამგვარივე ღირსება?! ბერიას შეეძლო ტიციანის სახელით გაევრცელებინა პაოლოს ძაგებისა და ბრალდების დამადასტურებელი საბუთი. ვფიქრობთ, საქმე უფრო მეტ სიზუსტეს ითხოვს. არ გამოვრიცხავთ, რომ ისინი მართლაც თანამშრომლობდნენ მთავრობასთანაც და კონტრრევოლუციურ, ნაციონალისტურ-ფაშისტურ ორგანიზაციასთანაც. არც იმის მტკიცება შეიძლება, რომ პაოლო ჯაშუში იყო, მით უმეტეს, ტიციანის დაკითხვის ოქმში, მრავალი ბრალდების უარყოფის გვერდით, არის აღიარება: „პაოლომ ორჯერ გამხადა თავისი ჯაშუშობის მონაწილეო". დაპატიმრებამდე უარყოფს, მაგრამ დაპატიმრებისა და წამების შემდეგ იძლევა ამ ცრუ ჩვენებას. „ჯაშუშობა" სტალინის მოწინააღმდეგე ბანაკთან ურთიერთობას გულისხმობს. მაგალითად, სოსო სიგუა წერს რობაქიძეზე, რომ მას „უნდოდა საქართველოს ლიდერად ეხილა ისეთი ზეკაცური უნარით ძალმოსილი პიროვნებები, როგორებიც იყვნენ ბენიტო მუსოლინი და ადოლფ ჰიტლერი... ეგონა, რომ ჰიტლერი სძლევდა სტალინს და საქართველოს თავისუფლება ეღირსებოდაო" (სიგუა 2008:172).

გიორგი ლეონიძეს კრიტიკა აღიარებს „საბჭოთა პოეტად". ცნობილ ფაქტს, რომ გიორგი ლეონიძე შედიოდა ქართულ სიმბოლისტ-დეკანდენტურ „ცისფერყანწელთა" ჯგუფში, ითვი-

სებდა მათ პრინციპებს, კრიტიკოს შალვა რადიანის აზრით, ის არ გაჰყოლია ამ გზას. მის შემოქმედებას, მართალია, ასდის „ნანგრევების სურნელი", უმღერის ძველ თბილისს, საიათნოვას, მაგრამ მისი შემოქმედების მთავარი თემა საბჭოთა სოციალიზმია. გიორგი ლეონიძე უმღერის სტალინს, ჩართულია აღმშენებლობის პროცესში, ფაქტობრივად, იდეოლოგიურ რეალიზატორს წარმოადგენს, თანაც აშკარად და მკვეთრად განიცდის „თემის სიდიადესო". იგივე კრიტიკოსი გულწრფელი პათეტიკით აცხადებს: „კაცობრიობის ისტორიას ჯერ არ ახსოვს ისეთი გმირი. ისეთი წინამძღოლი, რომელზედაც ხალხი ასე ამღერებულიყოს, როგორც მღერის დღეს იგი მშრომელთა მამაზე – დიდ სტალინზე" (რადიანი 1939:112-118).

ასეა თუ ისე, საბჭოეთმა ჩაკლა შემოქმედის თავისუფალი სული, მაგრამ გადარჩენილმა შედევრებმა ავტორთა სიცოცხლე იხსნეს სამარადჟამო და საიმქვეყნიო სიკვდილისგან. რომ არა „მთვარის მოტაცება", „დიონისოს ღიმილი", „დიდოსტატის მარჯვენა", „ჯაყოს ხიზნები", „ლამბალო და ყაშა", „თეთრი საყელო", „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში", „ეფემერა", „მთაწმინდის მთვარე", „ლურჯა ცხენები", „პირამიდები", „ანანურთან", „სერგეი ესენინს", „ყივჩაღის პაემანი" და სხვა, საბჭოთა ისტორიამ ისე გაახუნა მათი ავტორების სახელები, მათი ევროპული მაღალი გემოვნება, რომ დრო წალეკავდა და სახსენებლად არავის გაახსენდებოდა ტიციანი, გალაკტიონი, პაოლო, გოგლა, ჯავახიშვილი და სხვანი. სწორედ ამიტომ, რომ საბჭოთა მონსტრმა არია ავი და კარგი, ბოროტი და კეთილი, მზაკვარი და თავდადებული, ღირსეული და უღირსი, ტყუილი და მართალი, ამიტომ არის აუცილებელი მათი შემოქმედებითი და სამოღვაწეო პერიოდის ახლებური გააზრება. ნაშრომში, მოცულობიდან გამომდინარე, დეტალურად და სრულად ვერ წარმოჩნდებოდა ყველა ასპექტი და ნიუანსი, მაგრამ საერთო ფონი მაინც შეიქმნა, მოიხაზა კონტურები და სამომავლო კვლევისას გათვალისწინებულ იქნება, რომ სიღრმისეულად გაცნობიერდეს პროლეტარული მწერლობის მოღვაწეობისას მომხდარი „აპოკალიფსური წარღვნა" (სიგუა 2008:318), როგორც ვალერიან გაფრინდაშვილი თავად აფასებს ამ პერიოდს:

„გალაკტიონი საოცარი ენთუზიაზმით წერდა ლექსების

ციკლებს და პოემებს სოციალისტურ სამშობლოზე, ტიციანი დიდ საბჭოეთს უმღეროდა, პაოლო შრომის ჰიმნებს თხზავდა, ალექსანდრე აბაშელი, იოსებ გრიშაშვილი და ვალერიან გაფრინდაშვილი საიუბილეო თარიღებს ეძებდნენ კალენდრებში, კოლაუ ნადირაძეს დიდი რუსეთი და წითელი მოედანი ეზმანებოდა, გიორგი ლეონიძეს საქართველოს დამამხობელი სტალინი საქართველოს მხსნელად მიაჩნდა... წარსულის გამო მრისხანე წითელ ბომონს ბოდიშს უხდიდნენ და შესაწირი მიჰქონდათ. ეს იყო ლირიკის თვითმკვლელობა (არა მკვლელობა!)

ოციანი წლების საქართველოში ევროპეიზმი დამარცხდა – ჯერ პოლიტიკაში, შემდეგ ლიტერატურაში. გაიმარჯვა ლუციფერმა და ქვეყანას ბოროტი სული დაეუფლა“ (სიგუა 2008:318)[9].

მოყვანილი ეპიზოდი აჯამებს ეპოქის სისასტიკეს.

ტოტალიტარიზმის უმძაფრეს ხანაზე დღემდე გაუნელებელია ინტერესი. ამიტომაც იწერება კრიტიკოსთა წერილები, სტატიები, სადისერტაციო ნაშრომები. უკანასკნელ ხანს„ლიბერალში“ დაიბეჭდა ლევან ბერძენიშვილის სტატია „საბჭოთა პოლიტიკა და ჩანასახშივე დახვრეტილი შედევრები“ (ბერძენიშვილი 2018: 12 ივლისი), სადაც თამამად წერს ავტორი: „ეს პროცესი ერთბაშად არ დაწყებულა, მაგრამ რეპრესიების გაძლიერებასთან ერთად, მწერლები თანდათანობით დაექვემდებარნენ „მოთვინიერებას“ (როგორც აკაკი ბაქრაძე იტყოდა) და რაკი სხვა გამოსავალს ვერ ხედავდნენ, ჯერ უხალისოდ ჩადგნენ პროპაგანდის სამსახურში, შემდეგ კი ზოგიერთმა მათგანმა ამ საქმეში განსაკუთრებული მონდომებაც გამოიჩინა. ერთი-ორი გაიქცა და ასე უშველა თავს, დანარჩენები კი ნელ-ნელა ეფლობოდნენ საბჭოთა ჭაობში. ოფიციალური პროპაგანდისთვის ისინი უკვე დიდი პოეტები, დიდი პროზაიკოსები და კრიტიკოსები კი არ იყვნენ, არამედ „ამხანაგები გახდნენ“. ლევან ბერძენიშვილი ყურადღებას ამახვილებს იმ პათეტიკურ ტონზე, იმ ღვარძლით სავსე ტერმინოლოგიაზე, იმ მუდარის შემცველ მიმართვებზე, რომლებითაც გამოირჩეოდნენ ტიციანი, პაოლო იაშვილი და სხვანი ბუდუ მდივანთან დაკავშირებულ საპროტესტო მიტინგზე:

„უსაზღვროა მთელი ქართველი ხალხის კმაყოფილება ამ ერთადერთი სამართლიანი განაჩენის გამო“, – ამბობს პაოლო იაშვილი, რომელიც რამდენიმე ხნის შემდეგ, სწორედ იმის გამო, რომ ამ საქმეებში ჩაერთო და მიიღო მონაწილეობა, მწერალთა სახლში მოიკლავს თავს. თუმცა, მანამდე ამხელს ბუდუ მდივანს, მალაქია ტოროშელიძეს და სხვებს – „ზიზღი და კრულვა შევუთვალოთ მათ და მოვითხოვოთ დასჯა ისე, როგორც ხალხის დაუძინებელ მტრებს და სამშობლოს მოღალატეებს შეეფერება“.

კრიტიკოსი ლევან ბერძენიშვილი გამოირჩევა სხვა კრიტიკოსებისგან. ის აფასებს ქართული მწერლობის გადაგვარებისა და ლიტერატურის ღირსების შელახვას, თავის მოჭრაზე საუბრობს: „საშინელი პერიოდი იყო და საშინელი ამბები ხდებოდა. პრობლემა მხოლოდ ის კი არ იყო, რომ ქართულ ლიტერატურასაც, ისევე, როგორც ყველაფერ ქართულს, მაშინ თავი მოეჭრა, პრობლემა ისიც იყო, რომ ქართული ლიტერატურა გადაგვარდა, სერიოზული ლიტერატურა თითქმის აღარ იწერებოდა. გამსახურდიამ თავს ისტორიაში გაქცევით უშველა, თუმცა სამტომიანი „ბელადიც“ ჩაიფიქრა, რომელიც, მადლობა ღმერთს, თვითონ სტალინს არ მოეწონა და პირველი ტომის შემდეგ აღარ გამოცემულა. გალაკტიონმა შედევრების წერა თითქმის ოცი წლით გადადო (ვფიქრობთ, ეს საკითხი სპეციალური კვლევის საგანია (მ.კ.)). ჯავახიშვილს „ქალის ტვირთმაც“ ვერ უშველა, მაინც დახვრიტეს; „ცისფერყანწელების“ უმეტესობა გაანადგურეს...

და დღეს, იმ მილიონობით ადამიანთან ერთად, რომლებიც კომუნისტურმა ტოტალიტარულმა რეჟიმმა შეიწირა, უნდა გავიხსენოთ ის ათასობით შედევრიც – ლექსი, პოემა, მოთხრობა, რომანი, პიესა, რომლებიც ჩანასახშივე მოკლეს, რომლებიც ვერ დაიწერა, არ დაიწერა ან დაწერამდე დაიხვრიტა“ (ბერძენიშვილი 2018:12 ივლისი)[9].

საინტერესოა კრიტიკოსის მამხილებლური ტონი, რითაც ქართული სალიტერატურო სივრცე არაა განებივრებული. ამ ნარატივში სწორედ ამაზეა საუბარი. „ქართული ლიტერატურა გადაგვარდა“, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ეპოქის დაღი, ურთულეს პერიოდს გადარჩენილი შედევრები იმდენად ფა-

სეულია ქართული მწერლობისთვის და არა მარტო, რომ უკუღმართი დროის ფონზე აღიქმება შუქად ბნელში, ქართული მწერლობის შუქურად. აი, ასეთი პარადოქსებით სავსეა 1921-1940 წლების ქართული მწერლობის ისტორიული ეტაპი. დასკვნის სახით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ, რომ ბოლშევიკური რეჟიმი XX საუკუნის პირველი ნახევრის 20-30-იანი წლებში „არასაიმედო", ზოგჯერ „მავნე" მწერალთა შემოქმედებას (თუნდაც ეს შემოქმედება საბჭოეთისა და სოციალიზმის მოტივებით ყოფილიყო გაჯერებული), მუდმივი კონტროლით, გაფრთხილებითა და მუქარით თრგუნავდა. ქართულ სალიტერატურო სივრცეში გამოიკვეთა ის რაკურსები, რომლებმაც ბიძგი მისცეს ქართველ მწერლებს პროლეტარული იდეით გაერთიანებულიყვნენ; მწერალთა შემოქმედებითი იდეალის შეცნობისა და რეალური შემოქმედებითი მრწამსის კვლევისას გამოვლინდა სამი კატეგორია: დამორჩილებულნი, ემიგრაციაში გაქცეულნი და განადგურებულნი.

პროლეტარული ნაწარმოების გააზრება და სწორად გაგება მნიშვნელოვანია მწერლის პოზიციების ამოსაცნობად. კვლევისას გამოჩნდა, რომ ჭეშმარიტად პროლეტარ და დეკადენტური განწყობის მქონე მწერალს შორის იყო არსებითი განსხვავება, თუმცა თანამგზავრობის გზაზე დადგომამ აშკარად დაასვა დაღი მათ შემოქმედებას. შიშმა გამოიწვია მერყეობა და იქამდეც კი მივიდნენ მწერლები, რომ ხვეწნა-მუდარით ცდილობდნენ ხელისუფლებაში ნდობის მოპოვებას.

ბოლშევიკურმა რუსეთმა 1921 წელს გააუქმა 1918 წელს ლეგიტიმურად მოპოვებული თავისუფლება და საქართველო საბჭოთა იმპერიის ნაწილად გამოაცხადა.ბურჟუაზიული ფასეულობების განადგურება და საღად მოაზროვნეთა ხელყოფა რუსეთის მთავარ სამიზნედ იქცა. ამ ნიადაგზე აღმოცენდა საბჭოთა რეჟიმის მთავარი „სამკაული" – პროლეტარული მწერლობა, რომელმაც დაღი დაასვა ეროვნულ იდეოლოგიას და ყოველ ნაბიჯზე დაგებულ ხაფანგში აბამდა ევროპული გემოვნების მწერლებს. ძალაუნებურად მოხდა არისტოკრატი მწერლების „გაპროლეტარება". რევოლუციით ბევრი მწერალი აღფრთოვანდა, ზოგი მუდმივ რყევაში იყო, ზოგიც სხვადასხვა

დროს განსხვავებულ პოზიციაზე იდგა. „ცისფერყანწელები“ თავდაპირველად იდგნენ რევოლუციის მხარეს.

კვლევისას გამოაშკარავდა კრიტიკოსთა შენიშვნები მწერლების მისამართით და ისიც, თუ რამდენად შეძლეს მათ ამის გათვალისწინება. გამოიკვეთა, რომ რეჟიმის დემაგოგიური ინსტიტუტი ახერხებდა მათ გადარწმუნებას და ე. წ. „ნათლობას“. ეპოქის ბევრმა მწერალმა თვითგადარჩენის მიზნით წერა დროით ნაკარნახევი ლექსები, მოთხრობები, პიესები. იყვნენ მწერლები, რომლებიც „ეთამაშებოდნენ“ ხელისუფლებასაც და საკუთარ შემოქმედებით ცხოვრებასაც. აქ ვგულისხმობთ ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც ორგვარად აღიქმებოდა, მწერალი ან გაორებული იყო, ან მოთამაშე.

მოხდა მწერალთა გაპროლეტარება და პროლეტართა გამწერლება. ეს იდეოლოგიის დამკვიდრების მოგებიანი გზა იყო. ამგვარ პოზიციას ირჩევენ გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, გიორგი ლეონიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ნიკო მიწიშვილი და ბევრი სხვა. ფაქტია, მათ შექმნეს პროლეტარული ხასიათის ტექსტებიც.

ორმაგი ბუნება, პოზა, განწყობა დამახასიათებელი იყო საბჭოთა მწერლისათვის. რაკი პერიოდი იყო უმძიმესი, ამიტომაც, ბუნებრივ მოვლენად მივიჩნევთ მწერალთა და ზოგადად, შემოქმედთა გაურკვეველ-დაუზუსტებელ ორიენტაციებს. საზოგადოება შეეგუა იმ აზრს, რომ განურჩევლად ყველას ჰქონდა „საბჭოთა პოეტის“ სტატუსი. მსახურება იყო ყოველი მოქალაქის შრომითი ვალდებულება. ამდენად, გასაკვირი არაა, რომ მწერლები წერდნენ დაკვეთით, წერდნენ იმას, რაც აშენებდა ახალ, სტალინურ ქვეყანას.

ქართული ლიტერატურის ტოტალიტარული რეჟიმის წნეხის ქვეშ მოქცევამ გამოიწვია მდარე, უღირსებო ნაწარმოებების შექმნა, ამ სისასტიკემ იმსხვერპლა როგორც ბევრი მწერლის სიცოცხლე, ასევე შემოქმედებითი იდეალი. „ევროპული რადიუსით“ გამართული ნაწარმოებების (`ჯაყოს ხიზნები“, „გველის პერანგი“, „მთვარის მოტაცება“, „ლურჯა ცხენები“, „ეფემერა“...) გვერდით გაჩნდა პროლეტარული ნარატივი (`პირველი ნაბიჯი“, „კოლხეთის ცისკარი“, „გვადი ბიგვა~, სტალინისა და ლენინის სახოტბო ლექსები და ა. შ.).

თავი II

პროლეტარიზმის ასახვა ქართულ მწერლობაში XX საუკუნის 20-30-იან წლებში

პროლეტმწერლებისა და „თანამგზავრების“ შემოქმედებითი თავისებურებანი

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ტოტალიტარულმა რეჟიმმა, როგორც ძალადობრივი მმართველობის ფორმამ, დიქტატორის მსხვერპლად აქცია უამრავი მწერალი. ყველაზე სასტიკი 20-30-იანი წლები აღმოჩნდა. საბჭოურმა იდეოლოგიამ, ფაქტობრივად, აღკვეთა შემოქმედებითი თავისუფლება. ეს საქართველოს ისტორიაში ტერორის, განუკითხაობის, ანგარიშსწორებისა და დაუნდობლობის ეპოქა იყო. ბოლშევიკების მთავარ ამოცანას იდეოლოგიური მტრების განადგურება წარმოადგენდა. მწერალთა ცხოვრება და შემოქმედება ბოლშევიკური წყობის მესვეურთა მიერ იმართებოდა, ხდებოდა მოაზროვნეთა იდეოლოგიური ზომბირება და ტერორის გზით დიქტატურის სამსახურში ჩაყენება. ჩამოყალიბდა იდეოლოგიურად უტრირებული ლიტერატურული მიმართულება – პროლეტარული მწერლობა. იქმნებოდა დითირამბული ლექსები საბჭოთა ქვეყნის მესაჭეებზე, იწერებოდა ვრცელი რომანები საბჭოთა ადამიანების შრომასა და ძმობა-ერთობაზე, ამის პარალელურად, ცენზურა ანადგურებდა ესთეტიკური გემოვნების მქონე მწერლობის ნიმუშებს.

საბჭოთა პრესის ფურცლებმა შემოგვინახა ისტორიულ-ლიტერატურული რეალობა, რომელშიც მკვეთრად გამოვლინდა ბოლშევიზმის ყველა მეთოდი, ხერხი, შეფასების კრიტერიუმები, დამოკიდებულება ქართული მწერლობისა და კულტურის მოღვაწეებისადმი. კვლევამ მოგვცა მწერალთა შემოქმედებითი ასპექტების სიღრმისეული ანალიზი, გვიჩვენა ის მეტამორფოზა, რომელსაც განიცდიდნენ პროლეტარები, „თანამგზავრები“ თუ „ხალხის მტრები“. მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანისა და სიმართლის დადგენაში დიდი დახმარება გაგვიწია საბჭოთა მედია-საშუალებების დეტალურმა

შესწავლამ. კერძოდ, ჟურნალებმა: „მნათობი“, „პროლეტარული მწერლობა“, „ლიტერატურული საქართველო“ და სხვანი.

ეპოქის დოკუმენტური ნარატივის თავისებურებათა გასააზრებლად ფაქტების გამომზეურება მნიშვნელოვანი მომენტია.

კვლევის პროცესში შევისწავლეთ „შეწირულებისა“ და „გაწირულების“ გზა. ასევე, ვიკვლიეთ ე. წ. „გადარჩენილები“.

ამ პერიოდის შესაცნობად საინტერესოა პროლეტარ მწერალთა დასი: სანდრო ეული, ალიო მაშაშვილი, შალვა რადიანი, იაკინთე ლისაშვილი, კალე ბობოხიძე, ალექსანდრე ჭეიშვილი, ფრიდონ ნაროუშვილი, პავლე საყვარელიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ირაკლი აბაშიძე, ალექსანდრე გომიაშვილი, დიმიტრი ბენაშვილი. მათ ნიჭიერ მწერლებთან ანგარიშსწორება გადაწყვიტეს. მათ მიმართ ამოძრავებდათ შური, ზიზღი, რადგან აშკარა იყო მრწამსთა აბსოლუტური შეუთავსებლობა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ე. წ. „გადარჩენილები“ პირობითი ცნებაა, ის მოიცავს სხვადასხვა კატეგორიის, პოლიტიკური მრწამსის, იდეოლოგიური ინტერესების, შეხედულებებისა და დამოკიდებულებების ადამიანებს. სწორედ, კვლევის ინტერესი გახლდათ ერთი ეპოქის ფარგლებში სხვადასხვა რელსებზე მყოფი მწერლების გამიჯვნა, ჩვენება, თუ სად იყოფა და სად ერთდება ეს ხაზები.

20-იანი წლების დასაწყისში და უფრო ადრეც, რევოლუციის შემდგომ, მოდერნისტებისა და პროლეტარების ჟურნალ-გაზეთები გვერდიგვერდ არსებობდნენ: „ცისფერი ყანწები“, „მეოცნებე ნიამორები“, „შვილდოსანი“, „ბახტრიონი“, „ლაშარი“, „ბარრიკადი“, „რუბიკონი“, „ილიონი“, „ლომისი“, „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, „პოეზიის დღე“, „მნათობი“, „სახალხო საქმე“, „საქართველო“, „ლიტერატურული გაზეთი“, „შრომა“, „კომუნისტი“, „პროლეტარული მწერლობა“, „ერთობა“ და სხვ. ამ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ბელადსა და კოლექტივიზაცია-ინდუსტრიალიზაციაზე პროლეტარულ ნაწარმოებებს აქვეყნებდნენ როგორც მემარჯვენე, ანუ პროლეტარი, ასევე მემარცხენე, ანუ დეკადენტური მიმდინარეობის მწერლები.

რაკი ღიად ვეხებით არაპროლეტარების პროლეტარული განწყობის შემოქმედებას, უნდა გავმიჯნოთ მათივე შემოქმედებითი დისკურსები:

- რეჟიმის მიერ ნაკარნახევი პარტიული შემოქმედება;
- ლაღი, თავისუფალი, ზეკაცური შემოქმედება.

აქ ხაზგასასმელია ერთი რეალობა, როგორც ფაქტი – ისინი ქმნიდნენ საბჭოურს, რადგან სამსახური მოითხოვდა, ქმნიდნენ ზეკაცურს, რადგან სული და ნიჭი უკარნახებდათ. მიუხედავად „დათბობისშემდგომი" კრიტიკოსების შეფასებებისა (სიგუა, ბაქრაძე, სარია, გენძეხაძე...), რომ მათ წნეხი აწერინებდა მდარე ნაწარმოებებს, ჩვენ განსხვავებულ კვალიფიკაციას ვაძლევთ პროლეტარული ხასიათის ნაწარმოებთა სერიას – ისინი ამას წერდნენ შეგნებულად, უალტერნატივოდ იღებდნენ დაკვეთას. თუ ვიფიქრებთ, რომ ისინი სასწორზე დებდნენ საკუთარ სიცოცხლეს, ავტორიტეტს, მაშინ ვექცევით გარკვეულ ჩიხში, რადგან ფაქტები სხვას მეტყველებს. ისინი ემსახურებოდნენ საბჭოთა ინდუსტრიის მშენებლობას. უნდა დავეთანხმოთ აკაკი ბაქრაძეს, რომელიც ადეკვატურ ქმედებადაც კი აღიქვამს აღმშენებლობაში მონაწილეობას: „არის დრო, როცა მთელი ერი მიეცემა სასოწარკვეთილებას, აღარავის სჯერა სამართლიანობის, პატიოსნების, კეთილსინდისიერების და მხოლოდ საკუთარ ტყავს უფრთხილდება ადამიანი. ასეთია კომუნისტების დიქტატურის ეპოქა. ამ ეპოქაში გატარებულმა ლიტერატურის პარტიულობის პრინციპმა ჩამოაყალიბა მწერლის ახალი ტიპი – მწერალ-ფლუგერი, რომელიც პოლიტიკური ქარის მიმართულებით ტრიალებს და ცხოვრობს დევიზით – აბა, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო" (ბაქრაძე 1990:41), თუმცა ავტორი კვლევის წინასიტყვაობაში ამბობს: „არ ვიცი, თავად როგორ მოვიქცეოდი, იმათ მდგომარეობაში რომ ჩავვარდნილიყავი, წინასწარ არავინ უწყის, ვინ რას ჩაიდენს" (ბაქრაძე 1990:). ეს თავისთავად მართებული შეფასებაა და არც ვფიქრობთ ვინმეს განსჯას, რადგან სინამდვილეს არ სჭირდება მიკერძოებული დამოკიდებულებები. აქ შავით თეთრზე წერია, რომ მწერლები „პოლიტიკური ქარის მიმართულებით ტრიალებენ". რაც შეეხება გმირობას, ეს ნამდვილად უიშვიათეს რჩეულთა ხვედრია.

საბჭოთა პრესის ფურცლებზე გავეცანით ისეთ მწერლებს, როგორებიც არიან გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, სანდრო ცირეკიძე, სანდრო შანშიაშვილი, ვალერიან

გაფრინდაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, გრიგოლ რობაქიძე და სხვანი. საზოგადოების ინტერესი დღემდე არ დაკმაყოფილებულა და ისმის კითხვა – ბელადზე და ხუთწლედებზე შექმნილი მწერლობა აბსოლუტური გულწრფელობის გარეშე იქმნებოდა, თუ შემოქმედთ ჰქონდათ გარკვეული იმედი და მოლოდინი საბჭოეთისგან?!

ჩვენი მიზანი არაა იმის ჩხრეკა, რომ ჩრდილი მივაყენოთ კლასიკოსებსა და მათ შემოქმედებას. ვცდილობთ გავაანალიზოთ დეტალები, რადგან ის სიმპათია-ანტიპათიები, რომლებიც ჰქონდა ამ შემოქმედთა მიმართ საბჭოთა კრიტიკას, აღძრავს გარკვეულ ეჭვს. მაგალითისთვის საკმარისია გალაკტიონის შემოქმედების ნაწილი, რომელიც, ფაქტობრივად, „მაკულატურაა“ (ბაქრაძე 1990: 42) ყოველ შემთხვევაში, პროლეტმწერლობის დაკვეთას როგორ ასრულებდნენ, საბჭოთა ტენდენციებს რა დოზით მიჰყვებოდნენ, სად ჩანდა ძალდატანება და სად – ნება, როგორ აღიქვამდა ცენზურა და რა იწერებოდა მათ შესახებ. შევეცადეთ, საცნაური გაგვეხადა აქამდე ხელოვნურად მიჩქმალული და მიჩუმათებული სინამდვილე. საინტერესო და მნიშვნელოვანია თავად პროლეტარული მწერლობის თემატიკა, როგორც იდეოლოგიური მანქანისა.

გავავლეთ პარალელი მწერალთა სხვადასხვა კატეგორიას შორის, სახეზეა თემატური ერთგვაროვნება მუშა ობოლაძისა და გალაკტიონის ლექსებს შორის. სხვა საკითხია, რომ მუშა ვერ დაწერდა „ლურჯა ცხენებს“, მაგრამ „ლურჯა ცხენების“ ავტორი წერდა ლენინზე და ინდუსტრიალიზაცია-კოლექტივიზაციაზე. თანადროულ კრიტიკოსთა წერილებიდან აშკარად ჩანს, რომ ისინი დევნიდნენ ჭეშმარიტ პოეზიას, დანერგეს შიში, რომ კლასიკოსებს ეწერათ მხოლოდ რეჟიმის მიერ სტანდარტიზებული ნაწარმოებები, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ სიცოცხლეს ხელყოფა ემუქრებოდა. ვფიქრობთ, ძალიან არტისტული უნდა ყოფილიყო შემოქმედი, რომ ამდენი ჩასაფრებული დესპოტის ლაბირინთებში ემოძრავა, ამდენი მზაკვარი თვალისთვის გაეძლო, ამდენი თვალი და ყური შეეცდინა ისე, რომ სიყალბე არ გამჟღავნებულიყო, ე. ი. ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ

რიგმა მწერლებმა არსებული ვითარება გაითვალისწინეს და სრული შეგნებით იწყეს თანამგზავრობა. ეს ნიუანსი იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც მათი შემოქმედებითი მიმართულებისა და ტენდენციების დადგენა, განსხვავებების დანახვა, არქივში დაცული საქმეები, პრესა, კრიტიკოსების მოსაზრებები და დასკვნები, მთელი პროლეტარული მწერლობის დისკურსი გვაძლევს საშუალებას, ახლიდან გავიაზროთ 1921-1941 წლების პროლეტარული ნარატივი.

შინაარსით პროლეტარული მწერლობა გულისხმობდა მის მატერიალისტურ, ანუ რეალისტურ ხასიათს, დაშორებულს იდეალისტური მისწრაფებებისგან. მიგვაჩნია, რომ უნდა გავმიჯნოთ წმინდა წყლის პროლეტარი მწერალი პროლეტარული გადახრების მქონე მწერლისგან. ორივე ნაკადს აერთიანებს პროლეტარული რევოლუციონერობა. აი, რა ამოცანების წინაშე იდგნენ ისინი:

- საბჭოთა ავანგარდის მოთხოვნათა დაკმაყოფილება;
- მუშათა კლასის დამკვრელი რაზმის მიერ პროლეტარული ლიტერატურის შექმნა;
- პარტიული მწერლობის ჩამოყალიბება;
- პროლეტარული მწერლობის მიერ სრულიად ქართული მწერლობის ბოლშევიზაცია.

პროლეტარული პოეზიის დასაწყისი სანდრო ეულის სახელთან არის დაკავშირებული, მან შეძლო დამოუკიდებელი თემატური ხასიათი მიეცა პროლეტარული პოეზიისათვის. სანდრო ეული ითვლებოდა პროლეტარული პოეზიის პიონერად... ის სამწერლო ასპარეზზე თებერვლის რევოლუციის შემდეგ გამოვიდა, მისი რწმენით, საქართველოში გამოდარების დღე დგებოდა.

„პროლეტარული მწერლობა“, უწოდებს რა საქართველოს მეოცნებე პოეტთა გამო („ცისფერყანწელები“), „ბერწსა“ და „უსაშვილოსნოს“, უპირისპირებს ამ პოეტებს „ნაყოფიერ“ და ჭეშმარიტ შემოქმედს, როგორიც არის ალიო მაშაშვილი. კრიტიკოსი შალვა რადიანი მას მაღალ შეფასებას აძლევს, აღნიშნავს რომ მისი შემოქმედება ნათლად გამოხატავს პროლეტარიატის ინტერესებს, ემსახურება დიად მიზანს და დგება ქვეყნის (სსრკ) სამსახურში. პარმენ ქიქოძე მას „ინდუსტრიისა

და ქალაქის, ქარხნისა და შრომის პოეტს" უწოდებს. მისი ლექსები ხასიათდება კონკრეტიკით, ახალი განწყობილებებით და სწორედ ეს მოსწონთ პროლეტარიატის მამებს, ეს უნდა მოეწონოს (უპირობოდ!) მკითხველს (ქიქოძე 1927:117).

გიორგი მუშიშვილმა ასე ჩამოაყალიბა პროლეტმწერალთა, ანუ თანამედროვე ხელოვნების პრინციპი და მიზნები: „პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში, ხელოვნებას უნდა მიუდგეთ გამოყენება-სარგებლიანობის თვალსაზრისით და ცხოვრებასთან მეტი მჭიდრო კავშირის ამოცანები უნდა დაუყენოთ... პროლეტარულ მწერლობის ჰეგემონია დღესვე პრინციპათ უნდა იქნეს მიღებული – ხოლო მისი რეალიზაცია მომავლის საქმეა... ჩვენ ვებრძვით ჩვენთან აშკარათ მტრულათ განწყობილ ლიტერატურას, ამასთანავე ხელს უწყობთ თანამგზავრულ ფრთის გამოჩენას ლიტერატურაში" (ბუაჩიძე 1927: 73).

ირაკლი აბაშიძე „პროლეტარულ მწერლობაში"ხაზს უსვამს იდეოლოგიური ფრონტის გაშლას სკოლაში, საბავშვო დაწესებულებასა თუ ოჯახში, სადაც მიმდინარეობს მოზარდის აღზრდა, აუცილებელია ისინი აღიზარდნენ შთაგონებით, რომ მოუწევთ ცხოვრება სოციალიზმის პირობებში, ამიტომ პიონერებსა და ოქტომბრელებს ესაჭიროებათ აღჭურვა „სათანადო იარაღით – პოლიტიკური შეგნებით". მწერლის შეგნება მთლიანად პროლეტარიატის სამსახურშია და ამას მოწმობს მისივე სიტყვები: „ბავშვის სახით ჩვენს ხელშია ადამიანი ისეთი ჰასაკით, რომელიც მთლიანად ჩვენს განკარგულებაშია... ბავშვის მომავალი იმ კლასს ეკუთვნის, რომელსაც მისი აღზრდის სადავე ხელთ უჭირავს..." (აბაშიძე 1927: 74).

ამგვარი მოთხოვნებით, რომელთაც პროლეტარული მწერლობა უყენებდა ქართულ საზოგადოებას, აშკარად გამოიკვეთა ღრმა ფსიქოლოგიური გარდაქმნების მასშტაბები, მოტივები და ბრძოლის საშუალებები.

„პროლეტარული მწერლობა", როგორც ბრძოლისა და მოქმედების მნიშვნელოვანი პლაცდარმი, ქართული ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი, საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ორგანოა, რომელიც გამოდიოდა თბილისში, 1927-1932 წლებში.

ჟურნალს პირველ გვერდზე ეპიგრაფად წამძღვარებული ჰქონდა მოწოდება: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ რედაქტორი იყო დიმიტრი რონდელი. სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ ბენიტო ბუაჩიძე, ვალერიან ლუარსამიძე, ალიო მაშაშვილი, შალვა რადიანი, სანდრო ეული (ქურიძე).

ჟურნალი მიზნად ისახავდა პროლეტარული მწერლობის განმტკიცებას, პარტიის პოლიტიკური ხაზის სწორად გატარებას, შეურიგებელ ბრძოლას როგორც „მემარჯვენეობის“ ისე „მემარცხენე“ გადახრების წინააღმდეგ; ჟურნალში იბეჭდებოდა ახალი ცხოვრების ამსახველი ლექსები, მოთხრობები, პოემები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები.

სიტყვა „პროლეტარი“ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ნიშნავს დაქირავებულ მუშას, რომელსაც წარმოების საშუალებანი არ გააჩნია; ძველ რომში კი პროლეტარი იყო მოქალაქე – ღატაკთა წოდების წარმომადგენელი (უცხო სიტყვათა ლექსიკონი). http://www.nplg.gov.ge/

ნორმალურ ვითარებაში ხელოვნება და პოლიტიკა ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს, დამოუკიდებლად იარსებონ და ხელი არ შეუშალონ ერთმანეთს, რადგან ჭეშმარიტ ხელოვნებას შეუძლია შემოქმედის მწერლური და მოქალაქეობრივი ღირსებით დაჯილდოება. საბჭოეთმა კი ბევრ მწერალს ზნეობრივ-მორალური კრედო შეურყია. „კომუნისტებმა საზოგადოება ისე მოაწყვეს, რომ, არსებობა თუ გინდა შეინარჩუნო, აუცილებლად ნამუსი უნდა გაყიდო. ამან გამოიწვია ქართული მწერლობის ზნეობრივი დაქვეითება“, – წერს „მწერლობის მოთვინიერებაში“ აკაკი ბაქრაძე (ბაქრაძე 1990:42)[ა].

საბჭოთა ხელისუფლების უალტერნატივო მიზანი იყო თავისი გავლენის ქვეშ მოექცია საზოგადოების ფართო ფენები. „ლიტერატურული დაცემულობის“, ანუ „ესენინშჩინას“ საპირისპიროდ, ასე ვთქვათ, მისი აღდგენითი ფუნქციით შეიქმნა ჟურნალი „პროლეტარული მწერლობა“.

საბჭოთა კრიტიკა რუს პოეტ ესენინს უკავშირებს „ლიტერატურის დაცემას“, რაც გამოხატული იყო წარსულის ელემენტთა იდეალიზაციით, მას „ძველის მესაფლავედ“ აღიარებდა და უარყოფითად იყო განწყობილი ქართველ მწერალთა იმ ნა-

კადის მიმართ, რომელიც მოქცეული იყო ესენინისეულ რკალში. ტიციან ტაბიძის ცნობილი ლექსი „სერგეი ესენინ“ ამ დამოკიდებულების უტყუარი მაგალითია:

ხოლო ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია,
ჩვენ ალბათ სადმე ჩაგვაძაღლებენ.

(ტაბიძე 1985:119)

„მე ჩამოვიტან ხურჯინებით დაწერილ ლექსებს, მაგრამ ლექსებზე მეტი მომაქვს მაინც ნაღველი“ (ტაბიძე 1985: 111). ცხადია, საბჭოთა კრიტიკოსების თვალს არ გამოპარვია მისი ძალდატანებითი, იძულებითი განწყობა. ბენიტო ბუაჩიძე ირონიულად და თანაც წყრომით აღნიშნავს ტიციანის „პოეზიის ხელით შედგენილ საბრალდებო ოქმზე“: „ჭაბუკობა და გატაცება წაურთმევიათ, გული ბალღამით გადაუფისავთ, შთაგონების დავაჟკაცება არ უცლიათ და ნაღველი სასიკვდილოდ გაულესიათ, ამაზე მეტი აღარ შეიძლება. ამ ბრალდებების მისამართი თანადროული ცხოვრებაა... რომელიც საფუძვლად დაედო ახალ ცხოვრებას“ (ბუაჩიძე 1927:39). პროლეტარიატის მწერლობის მიზანი თავისი გავლენის ქვეშ მოქცევა იყო და ვხედავთ, თუნდაც, მხოლოდ ტიციანის მაგალითზე, რომ ის არ აპირებს კალამი დადოს, კალამს ხელიდან არ გააგდებს, მაგრამ მისი პოეზია იქნება „სასიკვდილოდ“ განწირული. აქ გასაგებია, პოეტი რა სიკვდილსაც გულისხმობს – ის „მკვდარ პოეზიად“ ნათლავს პროლეტარული ინტერესების მქადაგებელ შემოქმედებას. თუმცა, არც ასე ნათელია ყველაფერი. მისი და, ზოგადად, „ყანწელების“ ჩაბმა ტოტალიტარულ ფერხულში უამრავ კითხვას აჩენს. მათი შემოქმედება ოდენ ხარკი იყო საბჭოეთის წინაშე, დიად საუნჯეთა გადასარჩენად გაღებული, თუ თანადროულობის განწყობა მართლაც გადაედოთ?! თვითონ კრიტიკოსი ბუაჩიძე ასე განმარტავს ტიციანის დამოკიდებულებას: „პოეტს ალაპარაკებს კლასი, აქ კლასის ბრჭყალების გავლენა მჟღავნდება, – კლასის ნების, განწყობილებების და ინტერესების კარნახია. ამ შემთხვევაში პოეტი მხოლოდ ორგანიული თუთიყუშია ამ კლასის“ (ბუაჩიძე 1927: 40). რამდენად „ორგანული“ იყო, ეს ძნელი დასადგენია. თუმცა „თუთიყუშობა“ სახეზეა.

პროლეტარიატისთვის თავისუფლების ქადაგება, ზეციური შთაგონება მხოლოდ ლიტერატურის მსახურთა შორის აღმართული ბარიკადია. ღარიბი ლიტერატურა, ფაქტობრივად, უძრაობაა, სიკვდილია და სწორედ ამ სიკვდილის მსახურებას შეაჩვიეს „ზეკაცი“ მწერლები. ამ მოვლენას უწოდა ბაქრაძემ „ინტელექტუალური ექსპლოატაცია“, „როცა ადამიანს აიძულებენ, ის ილაპარაკოს და წეროს, რაც მას არ სწამს და არ სჯერა“ (ბაქრაძე 1990:67). პარადოქსულად აღიქმება კრიტოკოს ბაქრაძის თეზა, რომ „ადამიანს მკაფიოდ და ნათლად უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული თავისთვისაც და სხვისთვისაც, ვინ არის იგი, როგორი ადამიანი, რა იდეალს ემსახურება“ (იქვე:68)[9], არადა, წინასიტყვაობაში მაღალი იდეალებიდან წნეხის პირობებში გადახვევა გასაკვირი სულაც არ ჰგონია. ჩვენ ვეთანხმებით კრიტიკოსს, რომ მწერალმა, როგორც ერის წინამძღოლმა, რომელსაც ილიასგან გაკვეთილად აქვს მიღებული „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის“ (ილია 1961), ღირსებას არ უნდა უღალატოს. სულაც არ ვართ ძალიან მკაცრი და მომთხოვნი, რადგან საზოგადოების წინამძღოლობა მწერლის ბუნებრივი მდგომარეობაა და საით წარუძღვება, ეს სხვა საქმეა. რაც შეეხება მისადმი საზოგადოებრივ დაკვეთას, მოთხოვნას, – კომპრომისი მიუღებელია. ერთია, რომ ადამიანურად გაუსაძლისი იყო ტირანია, ამიტომაც თანამგზავრობა ამჯობინეს; მეორეა, რომ მერყეობისთვის დაისაჯნენ და არა რაიმე ხელჩასაჭიდი მტკიცებულებისთვის, რომელიც მათ ჯაშუშობას, კონტრბანაკებთან თანამშრომლობას, დივერსანტობასა და მსგავს ქმედებას დაადასტურებს (არცერთი დოკუმენტი არ მეტყველებს მათ მოღალატეობაზე!); მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ მერყევი შემოქმედებითი ხაზის მიუხედავად, მათ თავიანთი შედევრებით გენიალური პოეტ-მწერლების სახელი დაიმკვიდრეს. ამიტომაც ემძიმება საზოგადოებას სინამდვილის აღიარება. მით უფრო, თანამედროვე ადამიანებს არ გაუკვირდებათ მწერლისგან დროის შესატყვისი ქმედებანი.

გასაბჭოების შემდეგ ქართველ მწერალთა ერთი ნაწილი გულწრფელად თანაუგრძნობდა ბოლშევიკებს. მაგალითად, ტიციან ტაბიძემ გამოაქვეყნა ესე „პოეტები და რევოლუცია“,

პაოლო იაშვილმა კი ცნობილი ლექსი – „ახალ საქართველოს – 1921 წლის 25 თებერვალი“; ასევე, შეგვიძლია გავიხსენოთ გალაკტიონის რევოლუციური სულისკვეთების ლექსების სერია.

ლიტერატურაში გამოკვეთილი ეს დასი პოეტ-მწერლებისა საბჭოთა ინტერესებისა და იდეების „თანამგზავრებად“ იყვნენ შერაცხულნი. ამაზე ბევრს წერდა იმდროინდელი კრიტიკა (ბუაჩიძე, დემეტრაძე, ლუარსამიძე...).იმ პერიოდის კრიტიკოსები ვალერიან გაფრინდაშვილს განსაკუთრებულ და ყველაზე გამორჩეულ ატიპურ სიმბოლისტ პერსონად მოიაზრებდნენ, ბენიტო ბუაჩიძის შეფასებით, ის „ძირეულათ ამცდარია რეალობას და მანეკენების წრეში ტრიალებს“ (ბუაჩიძე 1927: 119). განსხვავებული და ამავდროულად, საბჭოეთისთვის მიუღებელი პოეტის – ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებას ჟურნალი „პროლეტარული მწერლობა“ უწევდა პოპულარიზაციას?! ჟურნალის ბიბლიოგრაფიულ განყოფილებაში ბენიტო ბუაჩიძე ინფორმაციას გვაწვდის ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსების პირველი ტომის გამოცემის შესახებ. დადებით კონტექსტში დართულია გარკვეული განმარტებები ავტორისა და მისი შემოქმედების შესახებ, რაც მეტად საინტერესოა არსებული ტენდენციების კონტექსტის გათვალისწინებით. რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, სიმბოლიზმს საბჭოური კრიტიკა „შემოქმედების უნარდაკარგული ფენის დეგენერაციას“ უწოდებდა, რომელიც „ბოდვით ირთობს თავს“ (იქვე:119)[9]. აშკარაა, რომ თანამგზავრების მიმართ კრიტიკა ერთგვარი მოთამაშის როლშია. თითის ქნევით საუბრობს, თუმცა აქტიურად ბეჭდავს, აქვეყნებს და, რიგ შემთხვევებში, დადებით შეფასებასაც აძლევს. ამას აქვს ახსნა – მდარე და უგემოვნო პროლეტარული მწერლობა ვერ ასრულებდა მაღალ მოთხოვნას, ამიტომაც აუცილებელი იყო, ნიჭიერ მწერლებს აეყვანათ საბჭოთა მონაპოვარი მაღალ რეგისტრში. საბჭოეთს კონკურენცია უნდა გაეწია დანარჩენი მსოფლიო მწერლობისთვის და ამიტომაც, ინტელიგენტი მწერლების არა ფიზიკური განადგურება, არამედ ახალ ყაიდაზე გარდაქმნა უფრო მნიშვნელოვანი იყო.

მართალია, ერთგვარი ღვარძლით აცხადებს ბუაჩიძე, რომ ვალერიან გაფრინდაშვილი შეგნებულად არის დაცილებული

რეალურ ცხოვრებას, საუბრობს მისი „ცხოვრებიდან ამოვარდნის" შესახებ, მართალია, „რევოლუციის შემდეგ ერთგვარი თანამგზავრული ტენდენციები დაეტყოო", მაგრამ აქვე სვამს კითხვას: „მკითხველის რომელი ფენისთვის არის ის დანიშნული და საჭირო? პოეტ ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედება უცხოა და შეუთავსებელი მუშურ-გლეხური უდიდესი ფენებისთვის" (იქვე:120-121)[9]. ცხადია, მისი ლექსები გასაგები, ახლობელი და მოსაწონია მხოლოდ „ყანწელებისთვის", თუმცა, ასე იყო თუ ისე, გაფრინდაშვილის „მისტიური" ლექსების ბეჭდვა და გამოცემა არ იყო აკრძალული 1927 წელს. სწორედ ამგვარ პოლიტიკაზე გავამახვილეთ ყურადღება წინა აბზაცში, როცა მწერალთა „ახალ ყაიდაზე გარდაქმნას" შევეხეთ.

სანდრო ეულს, პროლეტმწერალს, საქართველოს გასაბჭოება აბედნიერებს და ამაყად აცხადებს:

> აწ ხალხი ჩვენი პატრონია თავისუფლების, –
> ამხანაგებო! მზე ამოდის – დღე გაგვითენდა, –
> წითელ დროშების ხეივანში მზე ელვარებდა...
> საქართველოში დღე დგებოდა გამოდარების.
>
> *(ეული 1927: 18)*

„პროლეტარული მწერლობის" N3-ში პროლეტარ პოეტთა და მწერალთა ბირთვია თავმოყრილი: სანდრო ეული, იონა ვაკელი, კარლო კალაძე, ალიო მაშაშვილი, ფრიდონ ნაროუშვილი და სხვანი. ბიბლიოგრაფიული ნაწილი ეთმობა სანდრო ეულის ლექსების მიმოხილვას, სადაც ვკითხულობთ: „სანდრო ეული ითვლება პროლეტარული პოეზიის პიონერათ... ის სამწერლო ასპარეზზე თებერვლის რევოლუციის შემდეგ გამოვიდა... მაინც, პროლეტარული პოეზიის დასაწყისი სანდრო ეულის სახელთან არის დაკავშირებული, მან შეძლო დამოუკიდებელი თემატური ხასიათი მიეცა პროლეტარულ პოეზიისათვის" (პროლეტარ პოეტთა ჯგუფი 1927:N3). როგორც ბიბლიოგრაფი აღნიშნავს, მისი შემოქმედებისთვის და ზოგადად, პროლეტარული ლიტერატურისთვის ძირითადი მახასიათებელია კოლექტივიზმი. პოეტი იბრძვის ახალ დროში, ახალი ცხოვრების ალღოთი სავსე. ეულის შემოქმედება პროლეტარული პოეტის განცდებით არის სავსე, ანგრევს ძველს

და ქმნის ახალს. „ცისფერყანწელებიც“ წერენ საბჭოეთისთვის საამურ ლექსებს, მაგრამ ეულის „ღირსებამდე“ ბევრი უკლიათ. ცხადია, მათი ერთ სიბრტყეზე განთავსება მეტისმეტად ცინიკური იქნება, მაგრამ შემოქმედებითი ხაზები ხშირად ერთდება და ძალაუნებურად იქმნება სურათი: საბჭოთა მწერლის სახელის ქვეშ ერთიანდებიან გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, იონა ვაკელი, სიმონ ჩიქოვანი, ირაკლი აბაშიძე, სანდრო ეული და სხვანი.

სანდრო ეულთან დაკავშირებულ მიმოხილვაში პროლეტარული მწერლობის მკვეთრი კონტურებია გამოკვეთილი: პროლეტარი პოეტი უნდა განიცდიდეს კლასის ცხოვრებას, მის ქაოსს, სევდას, მიზანს; მიუღებელია „რყევა-ქანაობა“ და ზოგადობა. სწორედ ამ ნიშნებით ხასიათდება სანდრო ეული. მას არ ახასიათებს, როგორც ზოგ პროლეტარ პოეტს (სავარაუდოდ, „თანამგზავრები“ იგულისხმება), „გზის მოპირდაპირე სადგურებში – პერიოდულათ აღმა-დაღმა გადასხდომა“, ის ნეპის აღმშენებლობას სათანადოდ ასახავს საკუთარ პოეზიაში (ანი1927: 155-156).

საინტერესოა ქართველ მწერალთა ერთი ნაწილის შეფასება: „ზოგიერთი ქართველი მწერალი შიშველ მეძავის ირგვლივ იმპოტენტის რიტმულ რხევას უფრო განიცდის, ვიდრე თანადროულობას“. ლიტერატორი მიხეილ ჯავახიშვილს „თანამგზავრად“ მოიხსენიებს და „ელამ სარკეს“ უწოდებს, სამაგიეროდ, მოწონებას იმსახურებს ნიკოლო მიწიშვილის „თებერვალი“, რომელშიც ავტორი იძლევა ეპოპეის ეპიზოდს, კერძოდ, მენშევიკების დაბნეულობას, ბათუმიდან მათ ევაკუაციას.

„ბათომს წითლები უახლოვდებიან, „მთავრობა“ დაქსაქსულია... ქუჩაზე ყიდდენ დარცხვენილი ხმით „ერთობას“...

იყო სადღაც კრებები. თათბირი და ბჭობა. ვიღაცა ელაპარაკებოდა ვიღაცას. ვიღაცა სწყვეტდა საქმეს მნიშვნელოვანს და ამას აცხადებდა, ვიღაცა არ აცხადებდა არაფერსაც...“ (ლიტერატორი 1927:156).

„ობივატელი“ გახარებულია, რომ გადაურჩა ბოლშევიკებს, მისი სიხარული გადადის ექსტაზში: „უყვარს მოქალაქეს მსოფლიო, მზე, ქუჩა, რევკომი, წითელი ფერი და ყოველივე ფერიანი და უფერო. ყველა ფერს გაუმარჯოს, ფიქრობს

მოქალაქე, გაუმარჯოს ყველა ფერს და ყველა ფერს ვენაცვალე, „ოღონდ"... საქართველო ხომ არის და წითელი იყოს, თუ გინდ ყვითელი, სულ ერთია... თუ კაცი ჭკუით მოიქცა... მოჟნო" (ლიტერატორი 1927:157).

აღნიშნულ ნომერში ვაწყდებით პროლეტარ პოეტთა ხოტბას, ესენი არიან შაქრო ნავთლუღელი (სარქის კირაკოზოვი), რომელსაც აქვს საზოგადოებრივ-ლიტერატურული ღირებულების მქონე ლექსები, რადგან ეძღვნებოდა თბილისის მუშებს, ხელოსნებს, გაჭირვებულ კუსტარებს..., ასევე, გიგო ხეჩუაშვილი, ხელოსნებისა და მუშების მეხოტბე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, რომელიც პროლეტარ პოეტად აღიარეს ლექსით, „ლენინ".

ძალიან საინტერესოდ ჩამოაყალიბა მომხსენებელმა გიორგი მუშიშვილმა პროლეტარული ლიტერატურის მიზნები: „ჩვენ ვებრძვით ჩვენთან აშკარათ მტრულათ განწყობილ ლიტერატურას, ამასთანავე ხელს უწყობთ თანამგზავრულ ფრთის გამოჩენას ლიტერატურაში" (მუშიშვილი 1927:167). მისი განმარტებით, ძველი ფენა იყინება, რადგან ვერ სწვდება ახალ თანამედროვე გამოწვევებს, ამჟღავნებს კრიზისს, რაც გამოიხატება ძველი და ახალი ადამიანის დაპირისპირებაში.

პლენუმზე სიტყვით გამომსვლელმა მუშიშვილმა პროლეტარული მწერლობის უარყოფით მხარეზეც ისაუბრა. კერძოდ, ჩამორჩენილობაზე, ნაწილობრივ იდეოლოგიურ გადახვევებზე, ჯერჯერობით სისუსტეზე. თუმცა აღიარებს მას, როგორც „ძლიერ ლიტერატურულ მიმდინარეობას", რომელმაც უნდა გააძლიეროს საბჭოთა სინამდვილესთან დაახლოების ტენდენციები (იქვე: 167-168)*.

გიორგი ქუჩიშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქალაქს. მისი პოეზია ნამდვილად პროლეტარიატის ტრიბუნაა. მას ქიქოძე „ქუჩის პოეტადაც" კი მოიხსენიებს. უნდა აღინიშნოს, რომ ქუჩიშვილი ერთხანს განიცდიდა ბურჟუაზიულ ილუზიებს, რადგან საქართველოს გასაბჭოებისთანავე გამოხატა პროლეტარიატის ინტერესები და საბოლოოდ, სრულად შეიგნო პროლეტარიატის მიზანიც და გზაც ამ მიზნის განხორციელებისა:

ცეცხლი. მაშ ცეცხლი.
გააჩაღეთ, დაანთეთ ცეცხლი.
ცეცხლის ალმურში ჩაიფერფლოს
ქვეყანა ძველი.
ჩვენ ავაშენებთ:
ახალსა და ლამაზ ქვეყანას
ახალ კულტურით
და ახალი ყოფა-ცხოვრებით.

(ქუჩიშვილი 1927:116)

წერილი იტყობინება: „ქუჩიშვილი სახალხო ტრიბუნია, ამიტომ იგი პოპულარული და გასაგები უნდა ყოფილიყო“ (ქიქოძე 1927:116). ქუჩიშვილის ნაქები და აღიარებული პოეზია მხატვრულობისგან, მეტაფორებისგან დაცლილი პროლეტარული მწერლობის მაგალითია. არამხატვრულობა იყო მთავარი საზომი და, ვინც ამ მეტრს არ იცავდა, ვინც ამოუხსნელი და ბურუსით მოცული ფრაზებით წერდა, კრიტიკას და დევნას იმსახურებდა.

გიორგი ქუჩიშვილის შემოქმედება ლუმპენპროლეტარულია. ტერმინი „ლუმპენ-პროლეტარიატი“ (გერმ. lumpen „ძონძები“) კარლ მარქსმა შემოიღო. ამ ტერმინში იგი საზოგადოების მარგინალურ ფენებს მოიაზრებდა. ეს არის დემორალიზებული, დეკლასირებული ნაწილი, ფენა, რომელიც საზოგადოების ფსკერზე იმყოფება (მათხოვრები, მაწანწალები, ბომჟები, დამნაშავეები, პარაზიტული ელემენტები და სხვ.), შეგუებულია თავის მდგომარეობას. მას არ ძალუძს დამოუკიდებელი ბრძოლა თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სოციალურ-პოლიტიკური ორიენტაციის გაურკვევლობის გამო და შესაძლოა, სრულიად სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური ძალების მხარეზე აღმოჩნდნენ (მემარცხენე, ანარქისტული, ფაშისტური), ავტორიტარული თუ ტოტალიტარული იდეოლოგიისა და პოლიტიკის წყაროდ და რეზერვად იქცნენ (ინტერ: სამოქალაქო განათლების ლექსიკონი) [http://www.nplg.gov.ge].

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, გიორგი ქუჩიშვილი პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში ანუ პროლეტმწერალ-

თა დიდ ოჯახში არ ირიცხებოდა, რაც, კრიტიკოსთა შეხედულებით, მის პოეტობას სულაც არ აკნინებდა.

როგორც ბენიტო ბუაჩიძე იუწყება ჟურნალის 1929 წლის პირველ ნომერში, „პროლეტარული მწერლობის ხვედრითი წონა თვალსაჩინოდ გაიზარდა“ (ბუაჩიძე 1929: 72). პროლეტარული მწერლობა თავდაპირველად ლექსით დაიწყო, პოეზიით აიდგა ფეხი, სიმბოლისტურ პროზას კი არაფერი აკავშირებდა პროლეტარულ მწერლობასთან. პოეტთა ერთი ნაწილი უკვე გადავიდა პროლეტარული პროზის შექმნაზე – კ. ლორთქიფანიძე, კ. კალაძე, ნ. ზომლეთელი და სხვანი. ეპოქის ასახვა კი პოეზიაზე უკეთ ძალუძს პროზას. ბუაჩიძის პრეტენზია მდგომარეობს შემდეგში, რომ მწერლები გატაცებულნი არიან „ზედმეტი ადამიანის“ ჩვენებით და არა „ახალი ადამიანისა“. პროლეტარული პროზის უმთავრესი სამიზნე უნდა იყოს ახალი ცხოვრების აღმშენებელი ადამიანის ხატვა. თუმცა, ლიტერატურის შექმნის ამ ეტაპზე თვით კონსტანტინე ლორთქიფანიძესაც კი უჭირს „ახალი ადამიანის“ ხატვა, მაგალითად ასახელებს მოთხრობას „ხავსი“.

საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკა მეტისმეტად მგრძნობიარე, ჩასაფრებული იყო შემოქმედთა სულისკვეთების მიმართ, ის არ პატიობდა მწერლებს ერთ ადგილზე გაჩერებას, განმეორებას, მოითხოვდა „წინსვლას“ და ახალ-ახალი მუხტის შემოტანას. სანდრო ეული ლექსში „საოქტომბრო“ წერს:

> ვუმღერებ იმას, რაც გვიმღერია,
> ჩვენგან ათასჯერ გადანამღერებს.
>
> *(ეული 1929:74)*

კრიტიკოსი კი მისგან ითხოვს არა „ათასჯერ გადანამღერის“ გამეორებას, არამედ იმას, თუ რა ამღერებს, რა მისცა ახალმა ცხოვრებამ და იმღერონ არა ისე, როგორც უმღერიათ, არამედ ისე, როგორც არასდროს არ უმღერიათ“. მოთხოვნას აყენებს შინაარსზე. საბჭოეთი კატეგორიულია ყოველგვარი გადახვევის საკითხში. ის მწერლისგან სტაბილურობას ითხოვს, ახალი ცხოვრების მსახურებას. თუმცა გრძნობს ერთგვარ ხიფათს ლიტერატურული წრეების „ცისფერყანწელთა“ გავლენის ქვეშ მოქცევისა. თუ ბაქოს ყოველი ქუჩა პროლეტარული მუხტით

არის გაჯერებული, თბილისში რუსთაველის პროსპექტზე მოუყრიათ თავი მწერლებს. საჭიროა მათი დაშლა, გაბნევა ქალაქისა თუ სოფლის ყოველ წერტილში. არ უნდა იყოს ადგილი, სადაც პროლეტარიატი არ მართავს „აღლუმს“. „პროლეტარული მწერალი უნდა მოსცილდეს მთავარ ქუჩებს, გადავიდეს წარმოებაში, ქარხნებში, კოლმეურნეობებში“ (ბუაჩიძე 1929: 73).

მარქსისტული კრიტიკა გმობს „ცისფერყანწელთა“ ერთობას, „ერთ კაცს ვერ იპოვით მათ შორის, რომელიც კრიტიკულად უდგებოდეს თავისი ჯგუფის წევრს, ჩვენთვის ამ ფრიად მავნე და უბადრუკი ტრადიციის გადმოტანა ყოვლად მიუღებელია... გავიხსენოთ კრიტიკის ბრძანებითი კილოს შესახებ“ (ბუაჩიძე 1929:73)[ი]. საბჭოთა მანქანა აქტიურად იწყებს „თანამგზავრთა“ გადამუშავებას, თუმცა – დიდი სიფრთხილით, რაც აბსოლუტურად არ შეიცავს დათმობის ელემენტებს. პირიქით, სრულ შეურიგებლობას აცხადებს და იმავ წამიდან აკანონებს.

ჟურნალი იწყებს მკითხველთან მუშაობას, იცავს თანმიმდევრულობას. აუცილებელ პირობად მიიჩნევს დაადგინოს, თუ რა სურს მკითხველს, როგორი გემოვნება აქვს მას. პროლეტარულმა მწერლობამ უნდა მოიცვას ხელოვნების სხვა დარგებიც. ყოველ დარგში უნდა შექმნას ნიადაგი პროლეტარული სექტორის ჩასახვისთვის, გააძლიეროს თავისი უფლება. მასალა უნდა მიაწოდოს თეატრს, კინოს, „გააძლიეროს თავისი გავლენა მათზე და წარმართოს მუშაობა კომუნისტური იდეოლოგიის გზით“ (იქვე: ბ.ბ)[ბ]. ეს იყო უმთავრესი ამოცანა პროლეტარული მწერლობისა.

რამდენიმე სიტყვით შევეხებით სანდრო ეულის (ქურიძე) ცხოვრებასა და შემოქმედებას: შრომითი საქმიანობა დაიწყო ფოთში, ნავსადგურის მუშად; აქვე ჩაება რევოლუციურ გამოსვლებში. შემდეგ გადავიდა ბაქოში, სადაც 1914 წელს დააპატიმრეს. თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და აქტიურ რევოლუციურ ბრძოლას ეწეოდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი სათავეში ჩაუდგა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციას, რედაქტორობდა გაზეთ „კომუნისტს“. მისი ლექსები გამსჭვა-

ლულია რევოლუციური სულისკვეთებით, მაგრამ მწერლის შემოქმედებაში გვხვდება ლირიკული ლექსებიც, რომლებსაც ნამდვილი პოეტური სურნელი დაჰკრავს. მას ეკუთვნის საინტერესო პროზაული ნაწარმოებებიც: მოთხრობები „ამირან ვაშალომიძე“, „სიცოცხლის დაბრუნება“ და სხვა. სულით და ხორცით პროლეტარი შემოქმედი თავის ფსევდონიმს ასე განმარტავს: „რატომ დავირქვი ეული? (გ. მუშიშვილის წერილის პასუხად ჟურნალ „მნათობში“ N8) იმიტომ, რომ მაშინ, როცა ვიწყებდი წერას, მართლა ეული ვიყავი... უუფლებო, ბოგანო:

ვიყავ ეული, ბედით წყეული,
მწარეს ჩვეული, ყველგან თრეული...“
მაგრამ ეს შავი დრო წავიდა.
და მეც პოეტი
სანდრო ეული,
ბრძოლაში ცეცხლად
გადაქცეული,
ცეცხლის რაშით
ვარ გატაცებული.

(ეული 1929:75)

პროლეტარულმა მწერლობამ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ლენინზე შექმნილი ლექსებით. პროლეტპოეტთა შორის სანდრო ეული გამორჩეულია ლენინზე შექმნილ ლექსთა სიმრავლით, ისე, რომ ცალკე წიგნადაც კი გამოიცა. ლენინზე წერეს ლექსები კარლო კალაძემ, ალიო მაშაშვილმა, კონსტანტინე ლორთქიფანიძემ და სხვა პოეტებმა. საბჭოეთი მაინც განიცდიდა დეფიციტს, რადგან თვლიდა, რომ ლენინის სრული პორტრეტი არც ერთ მწერალს არ შეუქმნია, მეტიც, უნდა შექმნილიყო „ლენინიადა“, რაც იქნებოდა ეპოპეა ბრძოლისა და აღმშენებლობისა.

30-იანი წლებიდან ბევრად უფრო მოძლიერებულია საბჭოთა მწერლობა, კრიტიკოსები თავდაუზოგავად იწყებენ „მემარჯვენე ფრონტის ლიტარატურაზე მძლავრი იერიშის მიტანას“ (ბუაჩიძე1930: 114). პროლეტარულ ასოციაციებს დაევალათ „მედგარი დარტყმა, სისტემატური ბრძოლა“ მემარჯვენეებთან. ეს მოწოდება გაისმა პროლეტმწერალთა

სრულიად საკავშირო გაერთიანების პლენუმზე 1930 წლის 28 მაისს (ბუაჩიძე 1929: 115).

„პროლეტარული მწერლობის“ N7-ში ყურადღებას იპყრობს წერილის სათაური: „პროლეტარულ საბავშვო მწერლობისათვის“, ავტორი ირაკლი აბაშიძეა. იგი ხაზს უსვამს იდეოლოგიური ფრონტის გაშლის აუცილებლობას სკოლებსა და საბავშვო დაწესებულებებში, ოჯახში თუ, სადაც მიმდინარეობს მოზარდის აღზრდა, აუცილებელია ისინი აღიზარდნენ შთაგონებით, რომ მოუწევთ ცხოვრება სოციალიზმის პირობებში, ამიტომ პიონერებსა და ოქტომბრელებს ესაჭიროებათ აღჭურვა „სათანადო იარაღით – პოლიტიკური შეგნებით“ (აბაშიძე 1930:115). „პროლეტარული ბავშვი“ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოკვებილიყო ნაციონალისტურ-ფანტასტიკური და ცრურწმენაზე აგებული ლიტერატურით. ირაკლი აბაშიძე გამოთქვამს აზრს, რომ „ძველი“ საბავშვო მწერალი სრულიად გამოუსადეგარია ახალ დროსა და სინამდვილეში.

„უნდა მივიღოთ ყოველგავარი ღონისძიება, რომ ბავშვი არავის დავანებოთ. ბავშვი უნდა გახდეს მთლიანად ჩვენი და ეს მოხდება მაშინ, როცა მასთან წუთითაც არ მივუშვებთ რომელიმე რეაქციონერ მწერალს“ (აბაშიძე 1930:115)[9]. ამგვარი დამპყრობლობა ტირანიაა. ადამიანის დაპყრობა, დაჩლუნგება, დამონება იწყება იმ დროიდან, როცა ის იწყებს საგნების გაცნობიერებას, საგანთა დანიშნულებაში გარკვევას და ამაში მას გზამკვლევად და იდეოლოგიის სალაროდ ჰყავს მწერლობა. ფუნდამენტურ დავალებებს ასრულებდნენ სახელოვანი მწერლები, რომლებმაც სახელი თანადროულ საზოგადოებაში მოიხვეჭეს სწორედ პარტიისადმი მსახურებითა და დითირამბებით. ამის ნათელი მაგალითია ლენინზე, სტალინზე, ინდუსტრიალიზაციაზე, კოლექტივიზაციაზე, ელექტრიფიკაციაზე, ხუთწლედებზე, ფაბრიკის მუშებზე, ქარხნის საყვირებზე, წითელ არმიაზე, საბჭოთა დროშაზე შექმნილი ნაწარმოებები, რომლებიც სახელმძღვანელოებში შეჰქონდათ და შემოქმედნი იდეოლოგიური მანქანის მესაჭეებად (ბელადებთან ერთად) ეცხადებოდნენ საზოგადოებას. ამ ვითარებაში მსახურების უარყოფა გამორიცხულია, ისევე, როგორც თავად

შემოქმედნი ვერ (ან არ!) ამბობდნენ უარს, ასევე საზოგადოება ვერ უარყოფდა საბჭოეთის წინაშე მათ დამსახურებას.

საინტერესო შეფასებებს ვაწყდებით ჟურნალის ბიბლიოგრაფიულ ნაწილში. N7-8-ში ალექსანდრე სულავა გვაცნობს კოლაუ ნადირაძეს: „იგი „ყანწელებს" შორის ყველაზე ავადმყოფური, ბოგემური, დეკადენტური შემოქმედების მქონეა, სიმახინჯის ესთეტიკის რეალიზატორი („ავზნიანი ქალაქი")... მისი შემოქმედების მობრუნება ცხოვრების რეალური სინამდვილისკენ არც ისე ადვილი საქმეა. ასე, რომ, ასეთი ტიპის მწერლისათვის რევოლუცია, ლიტერატურული თანამგზავრობა, შეიძლება მხოლოდ მოჩვენებითი სახის იყოს" (სულავა 1930:172). ნდობის მინიმალური კოეფიციენტის ფონზე მახვილი მზერა მეტად გამჭოლი ხდებოდა სამიზნის მიმართ, რაც განაპირობებდა საბჭოთა თემატიკის მიმართ გააქტიურებულ მაამებლურ რეფლექსებს.

რამდენიმე ლექსი რევოლუციაზე კოლაუ ნადირაძის პროლეტარ მწერლად შერაცხვას ვერ წაადგებოდა. იგი უცხოდ, მიუღებელი იდეების ავტორად მოიაზრებოდა, რომელიც, კრიტიკოსთა აზრით, „ჩარჩა ობივატელური (საზოგადოებრივ თვალთახედვას მოკლებული, მეშჩანური შეხედულებების მქონე, მეწვრილმნე ადამიანი (მ.კ)) ჭაობის წუმპეში და იქიდან უცქერს სამყაროს" (სულავა 1930: 174).

ამგვარად შეფასებული პოეტის გარჯა სრულიად უშედეგო და მიუღებელი იყო პროლეტარული ლიტერატურისთვის. „თანამგზავრის" მისამართით ბრალდება აქცენტირდება თითქმის ყველა კრიტიკოსის წერილსა თუ გამოსვლაში. კოლაუ ნადირაძეც ე.წ. „ყალბ მწერლად" შეირაცხა. მის რევოლუციური ხასიათის ლექსებს საბჭოთა კრიტიკოსებმა „წითელი ხალტურა" (სულავა 1930:174)[ა] უწოდეს, რადგან მათში მარტო სიტყვა იყო წითელი, არსებითად კი, კრიტიკოსთა შეფასებით – მოკლებული გულწრფელობას, ყვითელი და ცარიელი. ტოტალიტარული სახელმწიფოს მსახურნი უნდობლობას უცხადებენ „ცისფერყანწელ" კოლაუს და „დამპალი პოეზიის პოეტად"(იქვე:174)[ბ] იხსენიებენ. ეს ის შემთხვევაა, როცა პოზიციას ძნელია ხელაღებით დავარქვათ მსახურება, რადგან იმდროინდელი კრიტიკა ამას სიყალბედ მიიჩნევდა

და სარწმუნოს მასში ვერაფერს ხედავდა, ე. ი., უნდა მივიღოთ ერთგვარ ცნობად, რომ ყალბად, თვალთმაქცურად ემსახურებოდნენ, მაგრამ, როცა საბჭოთა კრიტიკა ამა თუ იმ მწერალს ასეთი კატეგორიულად არ აფასებდა, მასში ხედავდა რამ „საიმედოს", „სანდოს". კოლაუ ნადირაძის მაგალითზე, შეგვიძლია გავმიჯნოთ თვით „ყანწელებიც": „ყალბი" და „საიმედო", რაც შეეხება „სანდოობას", ეს ყველაზე სკრუპულოზური საკითხია, რამდენადაც ცნობილია, რომ საბჭოეთი არავის ენდობოდა, თუნდაც თავის რიგებში. ამგვარად, „ერთგულების" ცნება პირობითია საკვლევ სინამდვილეში. ტოტალიტარული რეჟიმი თავს უპირობოდ ესხმოდა მერყევებს.რაც მეტ მერყეობას ამჩნევდა, მით მეტ ზეწოლას ახორციელებდა მასზე. საგულისხმოა, რომ კოლაუ ნადირაძე 30-იანი წლების რეპრესიებს არ ემსხვერპლა (გახმაურებული ფაქტი, რომ პოეტმა ერთხანად უარყო ავტორობა ლექსისა „1921 წლის 25 თებერვალი", გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდის არსებულ შეფასებასთან, თითქოს ის არ მერყეობდა).

ვთანხმდებით, რომ კოლაუ ნადირაძის რევოლუციური შინაარსის ლექსები არ გამოხატავენ სიმპათიას არსებული ახალი ცხოვრების მიმართ. პოეტი უფრო რეალურ ფაქტებს ასახელებს და სიმბოლისტურ მისტიკაში ახვევს თავის განწყობას. ეს, რა თქმა უნდა, კრიტიკოსთა მახვილ თვალს არ გამოპარვია, ამიტომაც ისე აფასებენ მის მსოფლხედვას, თითქოს მას არ შეეძლო რევოლუციის ნამდვილი შინაარსის გაგება:

გულმოღლეტილი
წითელ პერანგით
დიდი რუსეთი –
ვინ დააკავებს?..
მძლავრი კუნთებით მოიგრაგნება.

(ნადირაძე 1930:174)

ლექსში „1905 წელი" სინანული ჟღერს, ბავშვობისას რევოლუციის მოლოდინი სიხარულს ჰგვრიდა, მაგრამ ახლა უკვირს – რატომ? „მე არ ვიცოდი, თუ რისთვის მსურდა, ყველასთვის მეთქვა, რომ მიხარია, რომ მიყვარს ყველა" (იქვე:175)[9].

ჟურნალის N12-ში გაძლიერებულია კრიტიკა მერყევი მწერ-

ლების მისამართით. „თანამგზავრები“ გადადიან მემარჯვენე ნაკადში. მათ რიცხვს ეკუთვნის მიხეილ ჯავახიშვილი. თუმცა, ჟურნალი „თანამგზავრებს“ მეტი კეთილგანწყობით ახსენებს, რადგან ისინი ორგანულად იცვლებიან და რევოლუციის მხარეს გადადიან. საბჭოთა კრიტიკა თანამგზავრის პრობლემას მნიშვნელოვან ამოცანად მიიჩნევს. კერძოდ, მათ ახალ მოთხოვნებს უყენებს:

- მოეთხოვოს „რევოლუციის მიღება და საბჭოთა ხელისუფლებისადმი „თანაგრძნობა“;
- შეუერთდეს სოციალისტური შეტევების ტემპს;
- შეიგნოს პარტიის ღონისძიებათა სისწორე;
- დღევანდელ ეტაპზე გაიზიაროს მუშათა კლასის ძირითადი სოციალისტური ამოცანები;
- მონაწილეობა მიიღოს ამ ამოცანების გადაწყვეტაში.

ასეთი „თანამგზავრი“, პროლეტარ მწერალთა და კრიტიკოსთა ღრმა რწმენით, მუშათა კლასის „მოკავშირედ“ გადაიქცევა, ყველა ერთად კი წარმოადგენდა პროლეტარულ მწერლობას. ძირითადი ლიტერატურული ორგანიზაცია, რომელსაც პარტია ეყრდნობა, პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაა. უპირობო მოთხოვნა იყო, რომ ყველა მწერალი გაპროლეტარებულიყო.

„თანამგზავრობის“ ცნობილი ფორმულაა: „რომელ სადგურამდე?“ საბჭოეთს ასეთი პასუხი აქვს მათთვის: „ან იმგზავრეთ ჩვენთან ჩვენი მატარებლით, ან გადასხედით მოპირდაპირე მხრიდან მომავალ მატარებელში“. ეს მოწოდება გაპირობებული იყო იმ რეალობით, რომ ბევრი, შესაძლოა, იბრალებდა „თანამგზავრობას“, განიცდიდა რყევას და პოზიციები არ ჰქონდა გამორკვეული. მაგალითად, ტიციან ტაბიძე იყო თუ არა „თანამგზავრი“? ჟურნალი იუწყება, რომ მისი ზოგიერთი ლექსი მართლაც დააეჭვებდა მკითხველებსა და კრიტიკოსებს:

> ჩვენი ბავშვობის ოცნება ახდა:
> ვხედავთ ორპირში ორთქმავალ გემებს,
> ახლოს გაგვიარს ეზო და სახლთან
> და საბჭოების მზეს მიგვაგებებს...

დღეს ძველი ქვეყნის პანაშვიდია,
მიწა ქალამნად, ცა ქუდად მხურავს".

(ტაბიძე 1930:253)

თანადროულმაც და გვიანდელმა კრიტიკამაც ტიციანის ეს პათოსი სიყალბედ შერაცხა და არც შემცდარა. მალევე გამოაქვეყნა ტიციან ტაბიძემ ჟურნალ „ქართულ მწერლობაში" რეაქციონერული ლექსი „ოქროყანა":

მაშ, შევადედოთ ლექსის მაწონი,
ოქროყანიდან ჩამოვყვეთ ვირებს,
იქნებ არ იყოს ეს მოსაწონი,
მაგრამ არავინ არც გაიკვირვებს.

(ტაბიძე 1930: 14)

უფრო მძაფრი ცინიზმი, ალბათ, წარმოუდგენელიც კი არის. კრიტიკა ასეთ დასკვნას აკეთებს: „ტ. ტაბიძემ ერთ ლექსში თანამგზავრული ტენდენციები გამოამჟღავნა, მეორე ლექსში კი ყოველივეს გადაუსვა ხაზი. მაგრამ ეს მწერლები ტყვილა ცდებიან, თავს იტყვილებენ: ჩვენთვის ძალზე ადვილად გასარჩევია თეთრი შავისგან" („პროლეტ.მწერლობა" 1930: 100). ცხოვრებისეული პრაქტიკა და რეალობაა, როგორც წარსულში, ისე თანამედროვე ყოფაშიც, ბევრი რამ არ მოგვწონს, მაგრამ ვემსახურებით. ამ მსახურებას ზოგჯერ ახლავს იძულების განცდაც, მაგრამ არასოდეს ყოფილა ადამიანი და პოლიტიკური ცხოვრება ჰარმონიულად შერწყმულ-შეთანხმებული. ვფიქრობთ, „თანამგზავრებს" ანუ „მერყეებს" ხან სურდათ სიახლესთან შეგუება, ამას აშკარად ცდილობდნენ, ხან შინაგანი დისჰარმონია აშორებდათ რეჟიმის უმკაცრეს გამოწვევებთან. ამაში გასაკვირი არაფერია. საზოგადოების აღქმაა, ერთგვარად, მიკერძოებული, როცა ფიქრობს, რომ „გაწირულები" რადიკალურად ემიჯნებოდნენ საბჭოეთს და დრო იყო უმძიმესი, წნეხის ქვეშ წერდნენო. აბსოლუტური გაზვიადებაა ვითარების ასე კვალიფიცირება: მომაკვდინებელი წნეხის ქვეშ არც ყალბი სიმღერა შეუძლია ადამიანს და არც კერპების თაყვანცემა. მართალია, მუზა ქრება დისჰარმონიულ გარემოში, მაგრამ თაყვანცემა – არა, მით უმეტეს, სიცოცხლის

წყურვილი, რაც საკმარისი მიზეზია იმისთვის, რომ ცხოვრების გამოწვევებს აჰყვე. ამგვარი მსჯელობისას ალუზიურად ივლება პარალელი რელიგიურ მრწამსთან, უფრო კი – პირველ და მეორე მცნებასთან: „არასადა უვარჰყო უფალი ღმერთი შენი“ და „არ იწამო სხვა ღმერთი თვინიერ ჩემისა“. აღნიშნული მცნებების ერთგულება თავის არსში მოიცავს საკუთარი სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვისთვის მზაობას. მისი ერთგულება მოეთხოვებათ არამხოლოდ წმინდანებს. ის აერთიანებს ერთგულ, „უეჭვო“ მორწმუნეებს და მიჯნავს მერყეთაგან. ამდენად, ისეთი მთავარი ფასეულობის ღალატი, რასაც ჰქვია ღირსება და შემოქმედებითი მრწამსი, ადამიანს და, მით უფრო, შემოქმედს აშორებს ღვთაებრივი ბაძვის კონცეფციისგან, ამდენად, ღალატსა და მსახურებას შორის უნდა გავავლოთ ზღვარი, მსახურებას, რომელიც ცხოვრებისეული გამოწვევებით არის ნაკარნახევი, ადამიანი ხშირ შემთხვევაში იღებს, როგორც ყოველდღიურობას, მაშინაც კი, თუ არ მოსწონს ის. ჩვენ ვთვლით, რომ საქმე გვაქვს არა ღალატთან, არამედ მწერალთა მერყეობასთან.

მერყეობა, როგორც პოზიცია, რომელიც ახასიათებდათ „თანამგზავრებს“, ორმაგ არასტაბილურობას იწვევდა: პირველი, რომ საბჭოეთი არ მიიღეს „მთელი შეგნებით“ და მეორე, რომ მოდერნიზმსაც ვერ უერთგულეს.

მემარცხენე „თანამგზავრებიდან“ გალაკტიონ ტაბიძემ მაღალი შეფასება დაიმსახურა თავისი რევოლუციური ხასიათის ლექსებით. კრიტიკა მის ხმაში აშკარად კითხულობს ორგანულ განცდას აღმშენებლობისა, სიხარულს ახალი ცხოვრებისა. იგი სხვა ნეიტრალურ პოეტებს მოუწოდებს:

> აღარ ვარგა, როგორც წინად,
> ძველი გულით სიარული.
>
> *(ტაბიძე 1930:100)*

საბჭოთა კრიტიკა „თანამგზავრად“ აცხადებს სიმონ ჩიქოვანს, რომელიც „გულწრფელად ცდილობს წარსულთან შემაერთებელი ხიდების აფეთქებას“ (იქვე: 101). სიმონ ჩიქოვანი, მართლაც, არის ახალი დროის მომღერალი, სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმულია და სხვასაც ამისკენ უბიძგებს თავისი

შემოქმედებით, ის რადიკალურ არჩევანს აკეთებს: ემიჯნება ძველ, „ჭაობიან“ ცხოვრებას, რადგან ინდუსტრიის გზა მოსწონს:

მე თვით დავახრჩობ
ბულბულიანის ნაჭლექებ ხმას:
და ჩემს ძველ ტკივილს
მე თვით გავხდი დღეს სასაცილოს.

(ჩიქოვანი 1930:101)

კრიტიკა თანამგზავრული ტენდენციებით გამოარჩევს რაჟდენ გვეტაძეს, სერგო კლდიაშვილს, დემნა შენგელაიას, ამ უკანასკნელს მუდმივ მერყეობას შენიშნავს. სანდრო შანშიაშვილის თანამგზავრობას არ აღიარებს, რადგან მხოლოდ გადმოკეთებულ პიესებში შეინიშნება ეს განწყობა.

თანამგზავრისთვის დასმული კითხვა „რომელ სადგურამდე“? შეცვალეს ფორმულით „ბოლო სადგურამდე, ჩვენს საერთო მიზნამდე“ (იქვე: 103)[9].

ეს მიზანი ყველასთვის ნათელი იყო: რევოლუციური ეპოქის ორთქმავლით წინ, კომუნიზმისკენ!.

აშკარაა, რომ 1930 წელი გამოიკვეთა, როგორც ქაოსის, აშკარა ბრალდებების, მწერალთა დაჯგუფების შექმნის, ახალ არჩევანთა და, აქედან გამომდინარე, აგრესიის წლად. ამიტომ, საბჭოეთმა მკაცრი და ჩამოყალიბებული გადაწყვეტილება მიიღო:

„კლასიურ მტრებს ხელიდან უნდა გამოვტაცოთ ხელოვნებაც, ლიტერატურაც, ბიბლიოთეკაც და წიგნიც. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა პროლეტარული თეატრისათვის, პროლეტარული ხელოვნებისათვის, პროლეტარული ლიტერატურისთვის, საბჭოთა წიგნისა, საბჭოთა ბიბლიოთეკისა, საბჭოთა საბავშვო ლიტერატურისათვის“ („პროლეტმწერლობა“ 1930:105).

ვითარება, რომელიც აღვწერეთ, გვაძლევს დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ ამგვარ გადაჯგუფებას, ორიენტაციების ცვლას, მომატებულ აგრესიას იწვევდა „პროლეტარული მწერლობისა“ და ზოგადად, რევოლუციონერ ბოლშევიკთა თავდაჯერებული, მომთხოვნი, რადიკალური დამოკიდებულება: ყველა ერთ ორთქმავალში და ერთი მი-

მართულებით! სხვა მიმართულებას საბჭოეთი არ ცნობს, არასოდეს აღიარებს, არ შეეგუება.

ჟურნალი „პროლეტარული მწერლობა" 1931 წელს გამოვიდა. N1-ში დაიბეჭდა წინასიტყვაობა, რომელშიც გამოკვეთილია „იდეოლოგიურ მავნებლებთან" ბრძოლის გაჩაღებისთვის დაუღალავი გარჯის აუცილებლობა, ასევე, პროლეტმწერლების მიერ თანამგზავრების დაახლოებისა და მათი გაპროლეტარებისთვის მიზანმიმართული მუშაობის აუცილებლობლობის შესახებ. ამიტომაც ჟურნალის ფურცლებზე გვერდიგვერდ შევხვდებით გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ქუჩიშვილის, კალე ბობოხიძის საბჭოური განწყობის ლექსებს. ძნელია გარჩევა, ვინ ერთგულია, ვინ – არა.

ხუთწლედების სახოტბო ციკლიდან ყურადღებას იქცევს გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „მოდიან ლეგიონები":

ხელდაკრეფილი
და მუნჯი
მოწმე არავის სჭირდება;
აქტივობაა საუნჯე,
როს მტერი აგიხირდება!

(ტაბიძე 1931:37)

გასაბჭოებიდან მესამე ხუთწლედში პოეტი „ამარცხებს შიშს". საინტერესოა, რა შიშს გულისხმობს იგი:

ძირს შიში, –
იგი მკვდარია!
ჩვენ არ ვუსურვებთ ამ შაბლონს
მსოფლიო პროლეტარიატს,
სოციალისტურ სამშობლოს.

(ტაბიძე 1931: 37)

პროლეტმწერლისა და მემარცხენე მწერლის დამოკიდებულებებს შორის განსხვავება მკვეთრია. თუ დეკადანსელები მერყეობდნენ ხოტბასა და ძველის (ღირებულის) გამოტირებას შორის, პროლეტარი არასოდეს უხვევდა არჩეული გზიდან. საილუსტრაციოდ მოვიხმობთ ირაკლი აბაშიძის ლექსს „პირველი საბჭოთა თოვლი". რასაც იგი „ძმურ ჯარის ხმას" უწო-

დებს, იმავე მოვლენას ცოტა მოგვიანებით კოლაუ ნადირაძე ასე აფასებს: „შემოდიოდა სიკვდილი ცელით“, თუ ირაკლი აბაშიძისთვის თებერვლის თოვლი კრიალაა და აღტაცებას იწვევს, კოლაუსთვის თოვლი „თალხია“ და „სუდარაა“: „თოვდა და თბილისს ებურა თალხი“ („1921 წელი 25 თებერვალი“), ირაკლი აბაშიძეს აღტაცებით შეეძლო ეთქვა:

თებერვლის დღენი
გონებაში ცეცხლის თარიღად
ჩამრჩეს,
სანამდე სულიერთა რგოლში ვიქნები.
აქ იყო ძმური დახმარება,
ძმური ჯარის ხმა,
ჩრდილოეთიდან გამარჯვებულ ბოლშევიკების.

(აბაშიძე 1931:39)

ირაკლი აბაშიძეს მთელი არსებით უხაროდა, რომ მენშევიზმის ეპოქა მიდიოდა. ძნელია „პროლეტარულ გისოსებში გამომწყვდეული“ უწოდო გალაკტიონს, როცა ამბობს:

დამკვრელებს,
როგორც წესია,
ძმად არ სწამთ უიმედონი,
ჩვენი მზე რიონჰესია,
ჩვენი გზა – რკინა-ბეტონი...
აღმშენებლები მოდიან,
მოდიან ლეგიონები!

(ტაბიძე 1931: 37)ბ

პათეტიკური განწყობილება ან გადამდები იყო, ან – ხელოვნურად გამოგონილი. პროლეტარების, „თანამგზავრებისა“ თუ მოხარკეთა პათოსი იმდენად ჰგავს ერთმანეთს, ძნელია გამიჯვნა. ყოველ შემთხვევაში, იმ დროს, იმ ეტაპზე ასე ჩანდა, მერე კი, როგორც დატრიალდა ზოგი მათგანის ბედის ბორბალი, გაცილებით ადვილი გახდა გარჩევა.

გიორგი კაჭახიძის ლექსის მიხედვით, პროლეტარ მწერალთა მრწამსი ასეთია:

შევცინით შრომით საბჭოეთის მზეს და ბუნებას
და ვმესაჭეობთ ახალ ყოფის ახალ სურვილებს.
მშვენიერია.
უკეთესი წინ გვეგულება,
და ამ მაღლობებს ცხოვრებისას სისხლის გვარი აქვს:
სისხლში ეძებდა ქვეყანაზე შრომა უფლებას,
სისხლით მოჰქონდა დიქტატურა პროლეტარიატს.

(კაჭახიძე 1931:91)

გიორგი ქუჩიშვილის ლექსში „საბჭოთა საქართველო" სა-ყურადღებოა საქართველოს ინდუსტრიული აღმავლობისადმი ხოტბა. პოეტს მოსწონს ახალი დროება, ღრმად სჯერა, რომ „ცხოვრებას წარსულისკენ რა დააბრუნებს?!" პოეტი თავადვეა შემოქმედი ახალი ცხოვრებისა. ხევსურების „მოთვინიერებაც" კი შეძლეს საბჭოთა სკოლების გახსნით:

ხევსურებსაც კი გზას ვუხსნით,ვშველით ;
დღემდე აბუჩად აგდებულ მთაში
შეგვაქვს კულტურა
სკოლების ქსელით!..
...დიაღ, დიდია ჩვენი მიღწევა!

(ქუჩიშვილი 1931:93)

ელექტრიფიკაციამ მოისყიდა პოეტთა სულები. იცის პრო-ლეტარმა პოეტმა, რომ დროების მიღწევათა ქება-დიდება მკითხველში გააჩენს სიმპათიასა და სიყვარულს მესაჭეთა მიმართ, გარდაქმნის ახალი დროების იარაღად, რათა მისი ხელით აშენდეს კლდეზე მაგარი საბჭოების საქართველო. კალე ბობოხიძე ჭეშმარიტად პროლეტარი პოეტია. მას სჯერა „მავნე მგოსნებზე" პროლეტმწერალთა დიდი გავლენისა. მათი განადგურების ურყევი რწმენა ათქმევინებს:

ბობოლებივით მავნე მგოსნებს გაანადგურებს
სოციალისტურ მშენებლობის ცხელი ღადარი...

(ბობოხიძე 1931:102)

ამ რიგებში უხმობს პროლეტარ პოეტებს და მოუწოდებს, „მავნეს დაჰკრან“, მათ გვერდით დადგნენ, რომ გაამაგრონ „გრიგალების ნაამაგარი“ (კობახიძე 1931: 102). ნათელია, ვის გულისხმობდნენ პროლეტმწერლები „ბობოლა მგოსნებში“. ისინი, მართლაც, სხვა გემოვნების ლიტერატურას ქმნიდნენ, მაგრამ მაინც მოუწიათ იმ გზით სიარული, რომელიც დროებამ მიუთითა.

„პროლეტარული მწერლობა“ იძლევა ლიტერატურული ფრონტის მუშაობის შეჯამებას გასაბჭოებიდან ათი წლის თავზე. საბჭოთა კრიტიკოსი ბენიტო ბუაჩიძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მენშევიკური „კულტურა“ ხასიათდებოდა უსუსურობით, განუვითარებლობით, ხავსმოდებული ტრადიციებით, უფერული და უნიადაგო იყო „თავისუფალი“ – „დემოკრატიული საქართველოს“ მწერლობა. ისინი მტრულად შეხვდნენ საქართველოს რევოლუციას, მათი გაგებით, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დაარსება „წმიდათაწმიდას“ შელახვას უდრიდა (ბუაჩიძე;1931;110). ფაქტია, პროლეტარიატი იმდენად ამრეზით უცქერდა „ამ კატეგორიის“ მწერლებს, ცხადი იყო, დიქტატურა მოსპობდა და გაანადგურებდა. მენშევიკური კულტურა ბენიტო ბუაჩიძემ შეაფასა, როგორც „ანჩხლი“, ძირითადად, პუბლიცისტიკის საფუძველზე. ამ ფრთის რწმენით ისევ „ჩადგებოდა ნაგუბარში წყალი“ (იოსებ გრიშაშვილი).

ბენიტო ბუაჩიძე პაოლო იაშვილს და სანდრო აბაშელს, ამ დაჯგუფების წევრებს უწოდებს „ისტორიის მტვერის ნაცარქექიებს“ (ბუაჩიძე 1931:111), რომლებმაც თავიანთ შემოქმედებაში მრავალტანჯული სამშობლოს ბედი, დედოფლები, წმინდანები, მეფეები გააცოცხლეს, სენტიმენტებით აღსავსენი, მისტიროდნენ წარსულს, რითაც ჩრდილს აყენებდნენ საბჭოთა იდეოლოგიას. „ლაშარი“, „ლომისი“, „ბარრიკადი“, „ბახტრიონი“ ბრძოლის ილუზიებს უქმნიდა წარსულით დაინტერესებულ მკითხველ საზოგადოებას, ანუ, საბჭოთა კრიტიკოსის აზრით, შეცდომაში შეჰყავდათ ხალხი. გასაბჭოების პირველ წლებში ისინი აღსავსენი იყვნენ რეაქციონური იდეებით, ღვარძლითა და სიძულვილით. სანდრო აბაშელის თქმით, ეს ათი წელი იყო „დაუცხრომელი ნგრევისა“ (ბუაჩიძე 1931: 112).

ზოგადად, იმ პერიოდის კრიტიკოსები თვლიდნენ, რომ მწერლების ცალკეული ნაწილი დაადგა პოლიტიკური თვითგამორკვევის გზას, დაიწყეს თანამშრომლობა რევოლუციასთან, მათგან პირველს გამოკვეთდნენ გალაკტიონ ტაბიძეს, რომელმაც, მათივე თქმით, დაგმო თავისი წარსული და ურყევად ჩადგა სოციალიზმის აღმშენებელთა რიგებში. ცხადია, გალაკტიონის ამ პოზიციამ მემარჯვენე პოეტები აღაშფოთა. ბენიტო ბუაჩიძე დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ „დღეს გალაკტიონ ტაბიძე პროლეტარული რევოლუციის, სოციალისტური მშენებლობის მომღერალია... მან შეძლო თანამგზავრობის გზის გავლა და მოკავშირედ გახდომა“ (ბუაჩიძე 1931: 113).

ფუტურისტებსა და მემარცხენეებს პირველი ჩამოსცილდა სიმონ ჩიქოვანი და დაადგა ნაყოფიერ მუშაობას საბჭოთა მწერლობაში. ისიც „თანამგზავრიდან“ გადავიდა „მოკავშირეთა“ რიგებში.

„თანამგზავრად“ მოიაზრებოდა დემნა შენგელაია. მის „მოკავშირეთა“ რიგებში გადასვლას ხელს უშლიდა სიმბოლისტური ტრადიციები, საბჭოთა მწერალს კი არ ეპატიებოდა ამ ტრადიციებთან ახლობლობა. რაც შეეხება სანდრო შანშიაშვილს, ის „თანამგზავრობას“ ცდილობს და ვერ ახერხებს. ასევე ვერ გაუკეთებია არჩევანი ლეო ქიაჩელს, „შუა გზას ვერ გასცილებია“ (ბ.ბ.113)[ა].

ათი წლის მანძილზე მწერალთა რიგებმა განიცადა რეორგანიზაცია, დაშლა, გადაჯგუფება. მაგალითად, დაიშალა „აკადემიურ მწერალთა კავშირი“, „ცისფერყანწელთა“ ჯგუფში დაირღვა მთლიანობა, ამ ჯგუფის დიდი ნაწილი „თანამგზავრულ“ გზას დაადგა. კრიტიკოსი გამოარჩევს რაჟდენ გვეტაძეს. სიძნელეებით, მაგრამ თანამგზავრობას მიჰყვება ვალერიან გაფრინდაშვილი, მიუხედავად დიდი მერყეობისა, ტიციან ტაბიძემ შეძლო და გაიარა რეაქციონერობის გზა, თუმცა, დღემდე აღმოფხვრილი არაა მასში გადახრები ბურჟუაზიული განწყობისკენ. ეს შეფასება, შესაძლოა, ერთგვარ განაჩენადაც კი აღვიქვათ, რადგან, საბჭოთა კრიტიკოსთა აზრს ფრიად აფასებდა რეჟიმის ხელმძღვანელობა, გარდა აგიტატორობისა, მათ შუამავლისა და აგენტის როლიც აკისრიათ. ნიკოლო მიწიშვილსაც „თანამგზავრად“ მოიხსენიებს იმდროინდელი

კრიტიკა, თუმცა მას მძიმე ბრალდებად უყენებს იმ იდეის წამოყენებას, რომელიც ქადაგებდა „შემოქმედების გაორების თეორიას“. რაც შეეხება გრიგოლ რობაქიძეს, მიუხედავად იმისა, რომ, კრიტიკოსთა შეფასებით, მას გააჩნდა საბჭოთა საზოგადოებრივი პოზიციები, მაინც ბოლომდე დარჩა ორთოდოქსალურ-ბურჟუაზიული განწყობის მწერლად. პაოლო იაშვილს „სეზონურ პოეტს“ უწოდებს. საბოლოოდ კი ასე აფასებს „ცისფერყანწელებს“ ბენიტო ბუაჩიძე: „რევოლუციის ათი წლის თავზე მათ ვერ შეუგნიათ, რომ „ცისფერყანწელთა“ სახელწოდება, ეს თავადაზნაურული დარდიმანდობის დროშა სამარცხვინოა“ (ბუაჩიძე 1931: 114).

კრიტიკის ცეცხლში გაუტარებელი არც მიხეილ ჯავახიშვილი დარჩენილა. აი, რას წერს მასზე ბენიტო ბუაჩიძე: „ჯავახიშვილი, როგორც მწერალი, თითქმის საბჭოთა სინამდვილეში შეიქნა, მიუხედავად ამისა, ის ბურჟუაზიული, მეშჩანური წრეების მწერალი გახდა. „კვაჭი კვაჭანტირაძე“ ზერელე, ბულვარული რომანია, „ჯაყოს ხიზნების“ დადებითი და თანამგზავრული ტენდენცია იმაში გამოიხატება, რომ ამ ნაწარმოებში ქართველი აზნაურულ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის იმპოტენტობა, უნიათობაა ნაჩვენები, „მ. ჯავახიშვილი საბჭოთა მწერლების მოწინააღმდეგე გზას მიყვებოდა და მიყვება“ (ბუაჩიძე 1931: 115).

ბევრი მწერალი გაპროლეტარდა, მაგალითად გიორგი ქუჩიშვილი, რომელიც პროლეტარული ასოციაციის წევრიც კი გახდა. მან დაიმსახურა პროლეტარული მწერლის სახელი.

პროლეტარულ მწერლობას უზარმაზარი როლი ეკისრებოდა და ის ამ მისიას სრული ძალისხმევით ემსახურებოდა. პროლეტარულ მწერალთა პირველი ორგანოები იყო ჟურნალი „ქურა“, შემდგომ – „ორიონი“.

ე. წ. „მეორე მოწვევის“ პროლეტარ მწერლებს წარმოადგენენ ალიო მაშაშვილი, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ელიზბარ (გუგუნავა) პოლუმორდვინოვი და სხვ.

რეაქციონერი მწერლების წინააღმდეგ განსაკუთრებული ძალით გაილაშქრა ჯგუფმა „პროლემაფმა“ (პროლეტარული მწერლობის ახალი ფრონტი). ბოლოს ამ ჯგუფს შეემატნენ ირაკლი აბაშიძე, კალე ბობოხიძე, მუშა-მწერლები – ხეჩუაშვილი, ნავთლუღელი და სხვ. ალიო მაშაშვილი ურყევად

დგას საბჭოთა მწერლობის სადარაჯოზე. მისი პოემა „მე და ბარათაშვილი“ აღწერს ორ დროებას: ძველი და ახალი საქართველოს კულტურას.

ბენიტო ბუაჩიძის შეჯამება ერთგვარ ნათელს ჰფენს საკვლევ საგანს. გასაბჭოების ათი წლისთავზე გამოკვეთილია მონახაზი, რომლის თანახმად, „ცისფერყანწელებს“ ალმაცერად უყურებს ახალი დროება. ე.ი., მათი მცდელობა, საბჭოეთს მოაწონოს თავი, ოდენ არტისტიზმად, ან სულაც, ფარისევლობად და უპრინციპობად არის აღქმული, რაც, ყველა შემთხვევაში, ავისმომასწავებელი უნდა ყოფილიყო მათთვის.

პროლეტარული მწერლობა აუცილებლად უნდა ყოფილიყო მატერიალისტური, რეალისტური, დაშორებული იდეალისტური მისწრაფებებისგან. პროლეტარი მწერალი იგივე პროლეტარი რევოლუციონერია. აი, რა ამოცანების წინაშე იდგა იგი:

- დაეწიოს და გაუსწორდეს საკუთარი კლასის ავანგარდს;
- პროლეტარული ლიტერატურა მუშათა კლასის დამკვრელ რაზმად შეიქნას;
- ჩამოყალიბდეს პარტიულ მწერლობად;
- გენერალური ლოზუნგი იყო პროლეტარული მწერლობის ბოლშევიზაცია.

ყოველივე ამის საპირისპირო პოზიციაზე იდგნენ ბოჰემით გატაცებული ფრანგული კულტურის შვილობილები, „ცისფერყანწელი“ მწერლები. ბოჰემის სამშობლო საფრანგეთია, ამიტომ საბჭოთა რეჟიმის პარალელურად არსებული ეს ჯგუფი რეაქციას ბადებდა პროლეტარულ ნაკადში. საბჭოელთა მხრიდან მთავარი პრეტენზია მიმართული იყო ინდივიდუალიზმის, სოციალური და მორალური „უდისციპლინობისაკენ“. 1931 წლის პრესა აშკარად ამჩნევს „ორ ბანაკს შუა მდგომ და იდეოლოგიურად გამოურკვეველ“ („პროლეტ. მწერლობა“ 1931:125) მწერლებს: გრიგოლ რობაქიძეს, ვალერიან გაფრინდაშვილს, პაოლო იაშვილს, სანდრო ცირეკიძეს, ნიკოლო მიწიშვილს, ტიციან ტაბიძეს, შალვა კარმელს, ასევე, დეკადენტურ კოლექტივს.

მწვავედ აკრიტიკებენ გრიგოლ რობაქიძეს „ფალესტრას“ (დაუმთავრებელი რომანი) ბულვარულ-სენტიმენტალური გან-

წყობის გამო. მას „პორნოგრაფიულ მწერალადაც“ კი მოიხსენიებდნენ ამ რომანისა და „გველის პერანგის“ ავტორობისთვის.

ჟურნალი ლაბორატორიაა პროცესის შესასწავლად. აქ ჩანს, რომ კრიტიკამ გარკვეული შედეგი გამოიღო. ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, ნიკო მიწიშვილი უკვე გაურბიან ბოჰემასაც და რეაქციონერობასაც, ერთეულებმა კი პროლეტარიატის მოკავშირეობა გადაწყვიტეს, მაგალითად, რაჟდენ გვეტაძემ. კრიტიკა, ამავდროულად, სიამოვნებას ვერ ფარავს ნიკოლო მიწიშვილის ლექსში-„ათი წელი“ გამოხატულ განწყობაზე:

ამხანაგებო, ორივე მხრიდან
ამ წლების ტალღა მისრესდა გვერდებს:
მარჯვნივ – წარსული ნაცარს მაყრიდა,
მარცხნივ – ახალი მინგრევდა ღმერთებს...
და საუკუნის ახალი ძალა
სრესდა შუაკაცს, ანაპირებდა...
დავბარბაცებდი თავმოჭრილივით,
მერყეობაში და განსაცდელში...
ძველი ოცნება დუღილში დაშრა
და მესამე გზის გაჰქრა იმედი...
მე თქვენთანა ვარ ამ დიდ შარაზე,
როგორც პოეტი და მოქალაქე,
როგორც მესტამბე, როგორც ხაბაზი,
როგორც მუშა და როგორც დალაქი...
სოციალიზმის მეწამულ გზისკენ
გადაგვატაროს ლენინის ხიდმა.

(მიწიშვილი 1931: 127)

ვალერიან გაფრინდაშვილსაც აშკარად დაეტყო „ახალი დროების ბიძგები“. ისიც, ალბათ, შეარყია, დათრგუნა პროლეტარიატმა და აი, რა დაწერა:

აღმშენებლობის ვართ პოეტები
და გვასულდგმულებს რიტმი ახალი,

რომ ვიმუშაოთ გადამეტებით –
მივბაძოთ სტალინს, როგორც მაგალითს.

(გაფრინდაშვილი 1931: 128)

თუმც, არც ისაა გამორიცხული, ეს პათოსიც ყალბი, გათამამებული იყოს.

საბჭოთა პროლეტარული კრიტიკა რადიკალურად ითხოვდა „თანამგზავრთაგან" ბოჰემური წარსულისგან გათიშვას, „მერყეობის" დასრულებასა და ახალი ცხოვრების აღმშენებლობაში შემოქმედებითად ჩაბმას. მართლაც, გამოიკვეთა „თანამგზავრიდან" „მოკავშირედ" ტრანსფორმირებულ მწერალთა ჯგუფი. დილემა ასე უნდა გადაჭრილიყო: ან პროლეტარიატთან, ან ბურჟუაზიასთან! მესამე გზა არ არსებობდა, თუმცა მრავლად იყვნენ ამის მაძიებელნი. ჟურნალი იუწყებოდა, რომ პროლეტართა მტრის ბანაკში გადავიდნენ მიხეილ ჯავახიშვილი, გერონტი ქიქოძე და სხვ. ნაწილი კვლავაც მერყეობს, ხოლო ნაწილი აშკარად ებმება სოციალისტურ პრაქტიკაში. ამ კატეგორიაში ახსენებს გალაკტიონ ტაბიძეს, რაჟდენ გვეტაძეს, სიმონ ჩიქოვანს.

ნიშანდობლივია ერთი გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ ამ პოეტებს პროლეტარული განწყობა აშკარად გამოეხატათ, საბჭოთა კრიტიკა მაინც არ ენდობოდა ბოლომდე, რადგან ხედავდა „სავსებით ვერ დაძლეულ წვრილბურჟუაზიულ მერყეობას", მაგრამ პოეტები ჩაერთნენ ინდუსტრიულ პროცესებში, დაიწყეს გმობა „დემოკრატიული ილუზიებისა":

ეპოქა არის ნამგლის, ქურების,
ეპოქა, რამაც ძველი შეთოკა.
ეპოქა ძველის განადგურების,
ინდუსტრიალურ დროის ეპოქა.

(ტაბიძე 1931:133)

ხოტბა სხვებზე კარგად გამოსდიოდა გალაკტიონს, რაც გაპირობებული იყო მისი მაღალი პოეტური გემოვნებით, უნიკალური რითმისა და რიტმის განსაკუთრებული შეგრძნებით. მდარე შინაარსის ლექსსაც კი თავისებურ ყალიბში ასხამდა.

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ, შესაძლოა, ეს ცინიკური პათოსია, როგორც ზეინაბ სარია მიიჩნევს.

საბჭოთა ლიტერატურული პოლიტიკის მთავარი ამოცანები იყო:

- თანამგზავრთა მთლიანად გადაყვანა პროლეტარულ პოზიციებზე;
- კრიტიკა თანამგზავრთა შეცდომებისა;
- სრული გაქრობა ბურჟუაზიული გავლენებისა;
- დაუშვებლობა ლიბერალობის, მიჩქმალვის, მოთმენისა (მიუღებელ ელემენტებზე).

საბჭოეთს არ აკმაყოფილებდა მემარჯვენე მწერლების მიერ საბჭოთა ყოფის თემატიკაზე შექმნილი ნაწარმოებები, რადგან მათგან ითხოვდა იდეოლოგიურ მსახურებას, საბჭოურ მსოფლმხედველობას, ახლის შექმნის ფსიქოლოგიურ განწყობას. გადაჭრით გმობდა „მავნებელ“ მწერლებს, მათ მიიჩნევდა ორიენტირებულად ბანდიტიზმზე, პორნოგრაფიაზე, ღამის საცვლებზე; საბჭოთა კრიტიკოსთა შეფასებით, ისინი ლიტერატურაში ქმნიდნენ „ანტისანიტარიას“ („პროლ.მწერლ“. 1931: 133).

პროლეტარი პოეტი გიორგი მაისურაძე, დამკვრელთა რიგების წევრი, ახალი დროის გმირის თავდაჯერებით იმუქრება ლექსში „დამკვრელის სიტყვა“:

„გავანადგურებთ ახალ ქვეყნის ყველა მავნებელს“

(მაისურაძე 1931: 49)

გიორგი შატბერაშვილი კი უმღერის „ნავთის ხუთწლედის დამკვრელებს“ ლექსში „38.000.“ ნავთის ამოფრქვევით გახარებული, ამბობს: „38.000 ტონა, შადრევანივით ამოახველე!.. სიხარულია! ეს გაზაფხული მილიონების გაზაფხულია!..“ სასიმღერო ჰანგი უკვე გარკვეული აქვს და, ამ მოვლენასთან შედარებით, არაფერია „მთვარე“ და „ჭალა“:

რა საჭიროა ვუმღეროთ მთვარეს,
რა საჭიროა ვუმღეროთ ჭალას, –
დღეს საზეიმოდ მოედნებს რთავენ
და მოშრიალე დროშები ჩანან!!..
მეორე ხუთწლედი!!
არბევს ევროპას ეს მოძახილი!!

(შატბერაშვილი 1931:63-65)

გალაკტიონიც მიესალმა პროლეტარულ მწერლობას. მზადაა, წითელი არმიის მხარდამხარ იბრძოლოს, ააშენოს საბჭოთა კოლექტივი, ჩადგეს სოციალისტური ქვეყნის აღშენების პროცესში:

ჩვენი გზაა – კომუნა, თქვენი – ერუსალიმი,
პროლეტარულ მწერლობას ჩვენი ტკბილი სალამი!..
ვჭედოთ, ჯარო წითელო,დისციპლინა ძლიერი,
ვჭედოთ კოლექტივები...
ვჭედოთ, რომ გამოვჭედოთ ქვეყნად სოციალიზმი".

„ყველა წითელარმიელი იდგეს როგორც ლომი" – გამორჩეულია როგორც ფორმით, ასევე შინაარსითაც. გალაკტიონის შინაგანი ბუნება აპროტესტებს ეპოქის კონცეპტებს:

მუშებს თავისი უნდათ გაზეთი
და გაზეთისთვის არა აქვთ გროში.
საზიზღარი დრო! უსაზიზღრესი,
ვინემ გახრწნილი ლეშების სუნი,
როცა ზიდავენ მკვდრებს რკინისგზები
და ტელეგრაფთა კვნესის ზუზუნი...
ამ დროს ღვინოსთან მოღიმარ ჯენტლმენს
უახლოვდება მაღაროს მთხრელი,
მოგვიმატეო, დროა ხელფასი!
ვკვდებით შიმშილით, არ მოგვდევს წელი...

ლექსში ხაზგასმულია „ჯენტლმენის" ცინიზმით აღსავსე გამომეტყველება, რაც აღიზიანებს გალაკტიონს, რადგან ის „მწარედ დასცინის" მუშას:

„– წელიწადსა აქვს .....365 დღე
თქვენ კი მუშაობთ მხოლოდ რვა საათს
[მესამედს წლისას] 122 დღეს,
გამოაკლეთ კვირა დღეები.....52 დღე,
დარჩა 70 დღე.
შაბათობითაც სადილის შემდეგ
არვინ მუშაობს .....26 დღე,
დარჩა 44 დღე.
საათიანი კიდევ შაბაში საუზმისათვის, ესეც ...13 დღე,
დარჩა 31 დღე.
ყოველ წელს კუთვნილი შვებულება .....14 დღე,
დარჩა 17 დღე.

კანონით დამტკიცებული უქმეები შეადგენს ....12 დღე,
დარჩა 5 დღე.
მაგრამ ბოლოს და ბოლოს 5 დღე წელიწადში,
თქვენ ან ავად ხართ, ან სამუშაოზე არ მოდიხართ
რაიმე სხვა მიზეზის გამო .....5 დღე,
დარჩა 0 დღე.
და ამავე დროს, ბატონებო,
თქვენ გინდათ მიიღოთ მომატებული ხელფასი.
არა, ეს შეუძლებელია!"

(ტაბიძე 1931: 41)

ვფიქრობთ, ლექსში გალაკტიონის ჩვეული ირონია გამოიხატა. აი, რას წერს გალაკტიონზე „პროლეტარული მწერლობა": „1914-21 წლებში გალაკტიონ ტაბიძე მისტიკოსი იყო, ლანდებისა და მოჩვენებების რომანტიკოსი, ეროტიული შემოქმედების შემქმნელი, რელიგიური ექსტაზით გაჟღენთილი, პატრიოტული თრთოლვით გამორჩეული, იზიდავდა ბოჰემა და ანარქიზმი. მისთვის არ იყო ახლობელი სოციალური საკითხები, გულგრილიც კი იყო ამგვარ თემათა მიმართ. თუმცა 1919 წლიდან მძლავრი რყევა განიცადა. იგი დაშორდა ძველ პოეტურ მუზებს და ეპოქის ხმას შეუერთა თავისი ხმა. იგი მიეკედლა რევოლუციურ ძალებს. მართალია, ჯერ რაღაც სხვა ახლის მოლოდინშია, მაგრამ მაინც ცდილობს სოციალისტურ ტენდენციებს გაუსწორდეს, საზოგადოებრივი ცხოვრების ტემპს აჰყვეს."

გალაკტიონი, როგორც ქართული მწერლობის გამორჩეული ფიგურა, მუდამ კრიტიკოსთა და მკვლევართა ყურადღების ცენტრშია. მის მიმართ ამგვარ ინტერესს განაპირობებს სწორედ მისი „კარგად მოთამაშე" ბუნება.

რა ნიადაგი დახვდა პოეტს მწერლობაში? კრიტიკოსი უპასუხებს: „შოვინისტური, პორნოგრაფიული, მისტიური, პესიმისტური, რელიგიური, ფეოდალური მოტივები. გალაკტიონ ტაბიძე გულწრფელად შეაძრწუნა ამ ჭაობის მდგომარეობამ. ოქტომბრის რევოლუციის გარეშე მას შემოქმედებითი თვითმკვლელობა დაემართებოდა. რევოლუციამ იგი გარდაქმნა, გადააკეთა! გულჩათხრობილი პესიმისტი მისტიკოსი გალაკტიონ ტაბიძე ოქტომბრის რევოლუციამ პროლეტარული

ლაშქრობის ჯარისკაცად გადააქცია" – წერს ჟურნალი („პროლეტ.მწერლობა" 1931:202-205) – აღნიშნული ციტატის არსი კვლევის საგნად უნდა იქცეს, ვფიქრობთ, კრიტიკოსი იდეოლოგიისათვის საოცნებოსა და სასურველს რეალობად აცხადებს.

გალაკტიონი ან იყო გულწრფელად მომლოდინე „მზიანი" მომავლისა, ან მედროვეობის ცდუნებას აჰყვა. ამავეს ვიტყვით კონსტანტინე გამსახურდიაზე, რომელმაც შექმნა ვრცელტანიანი საბჭოური, ბელადის სახოტბო ნაწარმოებები: „ბელადი" და „ვაზის ყვავილობა", გიორგი ლეონიძემ პოემა უძღვნა ბელადს – „სტალინი. ბავშვობა და ყრმობა", გალაკტიონმა ლექსების მთელი სერია – საბჭოეთს და ეს ყველაფერი იმ რეალობაში, რომელიც აშკარად აღიარებდა მწერლობას იდეოლოგიურ ტრიბუნად. ცალკე საკითხია საზოგადოების დამოკიდებულება, მათი განწყობა და აღქმა, თუ რა შეფასებას აძლევდა ამ კორიფეთა მაამებლურ შემოქმედებას. თუ ამას აღიქვამდა, როგორც ფარსს, საქმე არც ისე ცუდად ყოფილა, მაგრამ თუ სჯეროდა მათი გულწრფელობის, მაშინ გამოდის, საქმე გვაქვს ტიპურ იდეოლოგიურ აგიტატორებთან. სხვა საქმეა, გულის სიღრმეში მათ ეს სურდათ თუ არა, მაგრამ, როცა საქმე ეხება ერის სულიერი სიკვდილ-სიცოცხლის საქმეს, მწერლობას ნამდვილად მოეთხოვებოდა წინამძღოლობა. საყურადღებოა ერთი დეტალი – დუმილი, რომლის ნებასაც საბჭოეთი მათ არ აძლევდა! უფრო მეტიც, რეჟიმმა უწიგნურ მუშათაგან შვა პოეტები, იმგვარ ლექსს კი, როგორსაც საბჭოთა ხელისუფლება სტანდარტიზირებულ ნორმად თვლიდა, სულაც არ სჭირდებოდა ნიჭი. აქ ისევ კორიფეთა მისამართით უნდა ვთქვათ, რომ მათი ნაძალადევი უნიჭო ლექსები დიდ საქმეს უკეთებდა, ხელს უმართავდა საბჭოეთს და სურდათ თუ არა, გამოდის, რომ საბჭოეთს „აშენებდნენ" (გარკვეულ დრომდე, უსასტიკეს რეპრესიებამდეც და მის შემდგომაც) გიორგი ლეონიძე, გალაკტიონი და სხვანი.

გადავხედოთ პოეტთა იმ დასს, რომლებიც გენიოსებად შერაცხა საზოგადოებამ, როგორ შეხვდნენ ისინი საბჭოთა რეჟიმს. რამდენადაც ზოგადად, ადამიანი მუდამ უკეთესისკენ ილტვის, რევოლუცია ახალი ცხოვრების ტრფიალებას აღ-

ძრავდა. ბუნებრივია, გააჩენდა ინტერესსა და მოლოდინს უკეთესი ცხოვრებისა. როგორი იქნებოდა, ვის მოლოდინს გაამართლებდა და ვის წისქვილზე დაასხამდა წყალს, ძნელი განსაჭვრეტი იყო რევოლუციის გამარჯვების გარიჟრაჟზე. ამიტომაც, დასაწყისში რევოლუციური მონაპოვრის მიმართ კეთილგანწყობა ჩვეულებრივ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, თუმც, გენიოსთა შინაგანი განწყობა-დამოკიდებულება ჩანს შეფასებებში: „ჯოჯოხეთური სამოთხე შენდება“, „ეს საუკუნე – მეფისტოფელი“ (გალაკტიონი), „ეს საუკუნე მაგონებს მედუზა გორგონას თავს“ (გამსახურდია). ჩვენი ინტერესი უფრო შემდგომ პერიოდს უკავშირდება, გასაბჭოებისთანავე შექმნილ იძულებით და რეპრესიულ მდგომარეობას რომ მოჰყვა. ფაქტობრივი მასალა მოწმობს, რომ მწერლობა ზანტად თუ ენთუზიაზმით, ფარისევლურად თუ დაეჭვებით უმღერდა ლენინს, სტალინს, კოლექტივიზაციას, კოოპერაციას, ინდუსტრიალიზაციას. მთავარი კითხვაა: რატომ?

კომუნისტური ეპოქა საჭიროებდა ხელოვნების ახალ ფორმებს, ეპოქალური მოვლენების ასახვას, რომელიც სრულად შეცვლიდა ლიტერატურულ გემოვნებას. გარდაუვლად გამოაცხადა „ეპოქალური დაწმენდა“, ტერორი კომუნისტურ სახელმწიფოში დარჩენილ „ლიტერატურულ ნაგავის წინააღმდეგ“ (ჩიქოვანი 1924: 212-222). მოცემული სიტუაცია იძლევა საფუძველს ვთქვათ, რომ გალაკტიონმა ეპოქალური გამოწვევა მიიღო. ის ცდილობს, საბჭოეთმა აღიაროს მისი პროტესტი ძველი, დეკადენტური მისწრაფებების მიმართ, ე.წ. „ლიტერატურული ნაგვის წინააღმდეგ“. კარგად შეინიღბა, თუ საბჭოეთს აწყობდა ასე, რეჟიმმა გალაკტიონი საბჭოთა მწერლად აღიარა და პოეტმა განაგრძო ამ ნიღბით ცხოვრება.

საბჭოთა რეჟიმის, ტოტალიტარიზმის ფერხულში ჩაბმა, თანაც მონდომებით, არა „ნახევარი გულითა და შუბლით“ – ეს უპირობო მოთხოვნა იყო. რაც მკაცრი, სასტიკი და შეუვალი ხდებოდა რეჟიმი, მით უფრო შესამჩნევი ხდებოდა რეაქციონერთა პოზიცია და როლი. „კლასიური ბრძოლა გამწვავდა ლიტერატურულ ფრონტზე“. დაიწყო მწერალთა დიფერენციაცია. ეს ერთგვარად პოზიტიური ამბავი იყო, რადგან მეტად თვალშისაცემი, აშკარა, დაუფარავი გახდებოდა

მწერალთა ამა თუ იმ ჯგუფის დამოკიდებულება ახალ მოთხოვნათა მიმართ. სხვათა შორის, ამ დიფერენცირებას სწორედ პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ შეუწყო ხელი. ასოციაცია, როგორც უკვე ვთქვით, „ბურჟუაზიულ-კულაკურ" მწერლობას ებრძვის, სამაგიეროდ, წაახალისებს „თანამგზავრებს", რადგან იდეოლოგიის თვითმიზანია, ყველა გააერთიანოს თავისი იდეის გარშემო.

„ცისფერყანწელმა" აქტივისტებმა აშკარად გამოხატეს საკუთარი პროტესტი „ფედერაციის წმენდის" თაობაზე. პაოლო იაშვილმა ხელი რუსეთისკენაც კი გაიშვირა და პასუხი მოითხოვა, აბა, თუ ენახა ვინმეს იმათ რიგებში ამგვარი წმენდა! ქართული საბჭოთა კრიტიკა კი კატეგორიულად ითხოვდა ყოველი მოწინააღმდეგის, ყოველი განსხვავებული აზრის გაცნობას, გადაბირება იყო პირველი მცდელობა და ნაბიჯი, ხოლო, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი ლიკვიდაცია. ეს საბედისწერო დამოკიდებულება, უპირველეს ყოვლისა, „ცისფერყანწელებს" მიემართებოდათ. ამიტომ დაისვა საკითხი მათი ყოფნა-არყოფნის საჭიროებისა. გარკვევით გაჟღერდა, რომ ერთადერთი საშიში, სახიფათო დაჯგუფება იყო „ყანწელები", რადგან ისინი ფედერაციის წმენდის დროსაც კი არ დაფრთხნენ და საკუთარი პოზიციების შენაჩუნება ან გადარჩენა დაისახეს მიზნად. ყოვლად დაუშვებლად მიიჩნევდა პროლეტარიატი ხიდის გადებას „რეაქციონურ" და პროლეტარულ მწერლობას შორის. პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, ნიკოლო მიწიშვილის მოღვაწეობა კვალიფიცირდა, როგორც „მავნე". ამიტომ იდეოლოგიზებული კრიტიკა ამჯობინებს რადიკალური ზომების მიღებას

აქ წარმოდგენილი ამონარიდები, მასალა ცხადყოფს საბჭოეთის როლსა და ინტერესებს. ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალა ზეტენდენციურია. ეპოქის ეს სურათი ისტორიისთვის იმდენად საინტერესოა, რამდენადაც უკიდურესი სულიერი დაცემის, ჩლუნგობის, მონობის, უგუნურობის გამოხატულებაა. „პროლეტარული მწერლობის" ფურცლები სრულ წარმოდგენას გვიქმნის იმდროინდელ ლიტერატურულ გემოვნებაზე, კულტურაზე, ისტორიაზე, პროლეტარული მწერლობა პარტიულობით ხასიათდება.

ზოგიერთი მწერლის უზნეობას საზღვარი აღარ ჰქონდა. პოეტი უმღეროდა და ხოტბას ასხამდა სუკ-ს, ადამიანების სიკვდილით დასჯას.

ზოგადად, „ყანწელების" ჩაბმა ტოტალიტარულ ფერხულში უამრავ კითხვის ნიშანს აჩენს.

20-იან წლებში, საბჭოეთის გარიჟრაჟზე, „თანამგზავრ" მწერალთა დამოკიდებულების საილუსტრაციოდ გამოდგება ნიკოლო მიწიშვილის წერილი: „პოეზიაში მე მივყვები მხოლოდ საკუთარ გულს და ალბად, ესაა მიზეზი, რომ მე როგორც პოეტი, ჩამოვრჩი დღევანდელი ამბოხებული დროის აქტუალობას. როგორც პოეტი, მე შესაძლებელია დავრჩე წარსულში. მაგრამ მოქმედების, გამბედაობის და სიცოცხლის ლოღიკამ მე გამათანასწორა თანამედროობასთან, როგორც ადამიანი.

შეიძლება მომავალში ეს ორი პარალელი შეერთდეს. მე არ ვიცი. ვიცი, რომ ამ წინააღმდეგობაში ჩავარდნილია მთელი ჩემი დრო და პოეტისთვის ეს წინააღმდეგობა თავდება კატასტროფით" (მიწიშვილი 1926:17), – ვფიქრობთ, ზემოთქმული ტრაგიკული მსოფლაღქმის კონსტატირებაა.

„თანამგზავრ" მწერალთა მოცემული დასი ქართულ მწერლობაში ერთი კუთხით – მოდერნისტულ-სიმბოლისტური შემოქმედებით არის ცნობილი, შეფასებული და მოწონებული. ჩვენ ვფიქრობთ, რომ, უდავოდ, ღირებული ლიტერატურა, უკვდავი საგანძური შექმნეს, მაგრამ, საბჭოთა კრიტიკოსთა თვალით თუ შევხედავთ, სახეზეა მათი პიროვნული გაორება. მრავალგზის ითქვა, რომ იდეოლოგიური წნეხის ქვეშ ურთულესია თავის გადარჩენა და კიდევ უფრო რთულია გმირობა. ამდენად, ისტორიული ფონისა და ლიტერატურული ნარატივის გათვალისწინებით გავაანალიზეთ მათი შემოქმედება, გავმიჯნეთ „თანამგზავრები" და პროლეტარები, ვიპოვეთ საზღვარი „თანამგზავრთა" მოდერნისტულ და მაამებლურ შემოქმედებას შორის, გავიაზრეთ, რომ რეჟიმის პირობებში კლასიკოსებს მოუწიათ მსახურება და რომ მათ „დითირამბებში" იგრძნობა სიცოცხლის გადარჩენის წადილი, შიშის კვალი, გაორება. ამ პირობებში შექმნილ ესთეტიკურად მაღალ მწერლობას კიდევ უფრო მეტი ფასი ედება.

მერყეობა, გაორება, ან მოთამაშეობა – ასე შეიძლება დავაჯგუფოთ პოზიციები, თუმცა, საჭიროა ფაქტებისა და დეტალების მიუკერძოებელი ანალიზი.

20-იანი წლების პროლეტარული მწერლობის მიერ გამოცხადებული ბრძოლის ასპარეზი „მნათობი“ და „პროლეტარული მწერლობა“ იყო. საერთო სივრცეში უწევდათ მოღვაწეობა გიორგი ქუჩიშვილს, სიმონ ჩიქოვანს, ალიო მაშაშვილს, ირაკლი აბაშიძეს, სანდრო ეულს, გიორგი ლეონიძეს, გალაკტიონ ტაბიძეს, კინსტანტინე გამსახურდიას, ტიციან ტაბიძეს, ვალერიან გაფრინდაშვილს, პაოლო იაშვილს, სანდრო ცირეკიძესა და სხვა მრავალ მწერალს, პროლეტარისა თუ „თანამგზავრის“ შემოქმედება ხასიათობრივად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.

იმ ფაქტის გამო, რომ, გარდა სოციალისტური აღმშენებლობის უწყებებისა, არსებობის უფლება არ ჰქონდა ოპოზიციურ პრესას, საზოგადოება თავისთავად მოექცა ინფორმაციულ ვაკუმში, ისმენდა და ეცნობოდა მხოლოდ ერთ მიმართულებას, ერთ აზრს, რომელსაც მთელი ქვეყანა მიჰყავდა ერთიანი საბჭოთა სახელმწიფოს შექმნისაკენ. მწერლობამ და პრესამ საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაში ისტორიული მნიშვნელობა შეასრულა.

ალექსანდრე აბაშელი წერს: ახლა მე რომ ვკითხულობ სტალინის ნამდვილ წერილებს, სადაც გასაგები ენითაა მოცემული რევოლუციის ანალიზი, მიკვირს, რატომ ვერ ვხედავდით ჩვენ იმ დროს რევოლუციის ამ ფართო გზას. სამწუხაროდ, ჩვენთვის ეს გზა მხოლოდ მაშინ გამოჩნდა, როცა „დემოკრატიული ურემი“ გადაბრუნდა... პროლეტარიატის დიქტატურამ გამოიჩინა განსაცვიფრებელი სიმძლავრე და მის ფოლადის მკერდს შეელეწა კონტრრევოლუციის ცოფიანი ტალღები“ (აბაშელი 1936:5).

მიხეილ ჯავახიშვილი ამავე გაზეთში გამოქვეყნებულ წერილში „ხუთმეტი ათჯერ უნდა გამრავლდეს“ განმარტავს უკანასკნელ თხუთმეტ წელიწადში საქართველოს წინსვლის მახასიათებლებს, მრეწველობის გაჩენას, კერძო საკუთრების მოსპობას, კოლექტივიზაციის „გაჩაღებას“, ის მიაწერს „სტალინელობის“ დიად შედეგებს, ემადლიერება საბჭოთა კავშირს,

არადა, ერთი წელია დარჩენილი საზარელ 1937 წლამდე. ლავრენტი ბერიას მიმართვის, „ღიად ისაუბრონ როგორც სხვის, ასევე საკუთარ ნაკლოვანებებზე" (ბერია 1936:2), პასუხად შეიძლება მივიჩნიოთ ტიციანის წერილი „ეს ამბავი ყველას გვეხება", რომელშიც ვკითხულობთ: „დარწმუნებული ვარ, ყველა პატიოსანი საბჭოთა მწერალი გულწრფელად აღიარებს თავის დანაშაულს, შეცდომას და ცოდვასაც, რათა აღმზრდელობითი კრიტიკითა და ხელმძღვანელის ამხანაგური დახმარებით მისცენ საშუალება მწერლებს, რომ მათ გარდაქმნან თავიანთი შემოქმედება, როგორც ამას მოითხოვს სოციალისტური რეალობა" (ტაბიძე 1936:4).

ვალერიან გაფრინდაშვილი ლექსში „მისალმება" „მაღალ ვარსკვლავად" სახავს „დიდ" საბჭოთა კავშირს, გამოთქვამს სურვილს, რომ „კომუნიზმის დროშამ დაფაროს ყოველი სახლი, ყოველი ქუჩა". კონსტანტინე გამსახურდიას მრწამსიც საინტერესო განსჯის საგანია. გაორება თუ გადარჩენისთვის ბრძოლა – ესაა მთავარი ამოცანა. ერთი მხრივ, ვეცნობით მის მოწოდებებს, სტალინისა და ბერიას ხოტბას, რაც იყო დაკვეთაც და დამოკიდებულებაც: „შრომითა და ბრძოლით გავაძლიეროთ საბჭოთა საქართველო, რომელსაც წინ მიუძღვის ჩვენი ძვირფასი, დიდი სტალინის გენია და მისი უწარჩინებულესი მოწაფის, ქართული კულტურის დიდი მეგობრის, ლავრენტი ბერიას ვაჟკაცური მარჯვენა" (გამსახურდია 1936: 3), მეორე მხრივ, ხელთ გვაქვს მისი გენიალური შემოქმედება. მხოლოდ იძულებითი ჩხრეკით მწერლის ფსიქოტიპს ვერ შევიცნობთ, ამიტომ, შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ ორივე პოზიცია. ყველა მწერალი გამოთქვამდა მაამებლურ ლოზუნგებს, განწყობა მეტ-ნაკლებად თანაბარი ჰქონდათ. ეს იყო თამაში თუ გადარჩენისთვის ბრძოლა, მაინც საინტერესო პოზიცია აირჩიეს, რადგან ამ დამოკიდებულების წყალობით შექმნეს შესანიშნავი საგანძური, კლასიკური მწერლობა, რომელიც, ადვილი შესაძლებელია, ქცეულიყო ნაცარტუტად.

ფილიპე მახარაძის სიტყვები „ლექსის დაწერა დაკვეთით არ გამოდგება" (მახარაძე 1926: 228), სიცრუეა, რადგან საბჭოეთი, მართლაც იყო დამკვეთი და იყვნენ შემსრულებელნიც. ვეჭვობთ, იდეოლოგიას აწყობდა თვალის დახუჭვა, თითქოს საეჭვოდ

არაფერი გამოიყურებოდა! ორივე მხარემ კარგად იცოდა, რას ემსახურებოდა: მემარჯვენეებს აწყობდათ სიტყვის ოსტატებს ექოთ საბჭოეთი, მემარცხენეები დროს მოხელთებულად იყენებდნენ. ამგვარად, ორივე მხარე ორმაგი სტანდარტით მოქმედებდა, (თითქოს „ხელი ხელს ბანდა").

პროლეტარული ნარატივი ჟურნალ „მნათობში"

ჟურნალი „მნათობი" ყველაზე ტენდენციური და პოპულარული ორგანო იყო საბჭოთა რეჟიმის პირობებში. ის გამოიცა 1924 წელს და არც შეწყვეტილა საბჭოთა ხელისუფლების მმართველობის დასასრულამდე. (1991) „მნათობი", როგორც დროის სარკე, თემატიკას აქცევდა ყურადღებას და გალაკტიონი, პაოლო, ტიციანი, ვალერიან გაფრინდაშვილი დროს უწყობდნენ ფეხს, წერდნენ სტალინისა და ლენინის შესახებ, საბჭოთა იდეოლოგიური ნიშნით გამორჩეულ ნაწარმოებებს. ამიტომაც, სრულიად ბუნებრივია, რომ ქართულმა საზოგადოებამ ბელადები დაინახა და გაიცნო „მნათობის" ფურცლებიდან.

პაოლო ლენინზე დაწერილ ლექსში წერს: „ლენინი იყო არჩევანი ქვეყნიერების..." (კალანდარიშვილი 1924: 193).

ბესარიონ ჟღენტი წერილში „საბჭოთა ეპოქის ქართული მწერლობა"ასე აფასებს ქართველ მწერლებს:

მიხეილ ჯავახიშვილი: „პროლეტარულ რევოლუციამდე პროფესიონალ მწერლად მას არავინ თვლიდა. თანამედროვე ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ფიგურა... საბჭოთა ატმოსფერომ შექმნა „ჯაყოს ხიზნები", „მართალი აბდულაჰ", „ლამბალო და ყაშა", „კვაჭი კვაჭანტირაძე" და „არსენა მარაბდელი". ამ ნაწარმოებთა მეტი ნაწილი „განთიადში" დაბეჭდა ავტორმა, ამ კონკრეტულ ფაქტზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიხეილ ჯავახიშვილს არსებული დროება საბჭოთა მწერლად მიიჩნევდა.

ნიკო ლორთქიფანიძე, ბესო ჟღენტის განმარტებით, „საბჭოთა მწერალია", სწორედ ამ დროს შექმნა მან ისტორიულ-რევოლუციური წარსული „ლიანდაგიდან ბილიკებამდე" და ახლა „ხელი მიჰყო სოციალისტურ სინამდვილეში აღზრდილი ახალი ადამიანების მხატვრული სახეების შექმნას".

შალვა დადიანმა „მხოლოდ საბჭოთა სინამდვილეში ჰპოვა შემოქმედებით შესაძლებლობათა ნამდვილი გასაქანი". ასახელებს მის რომანს „ურდუმი" და თანამედროვეობის თვალთახედვის გამომხატველად მიიჩნევს.

სანდრო შანშიაშვილმა რადიკალურად იცვალა შემოქმედებითი კურსი. თავი დააღწია დეკადენტურ მწერლობას, ნაციონალიზმისა და მისტიციზმის გამოხატვას შეეშვა და ახლა, უკანასკნელი თხუთმეტი წლის მანძილზე, მისი შემოქმედება, კერძოდ, „ანზორ", „არსენა", „ჰერეთის გმირები" რევულუციური იდეებითაა გაჯერებული.

ლეო ქიაჩელი ისტორიულ-რევოლუციური განწყობის თემაზე ქმნის „ჰაკი აძბას", რომელიც მთლიანად ეფუძნება სოციალისტური აღმშენობლობის იდეას.

კონსტანტინე გამსახურდია, რომელიც „გამოირჩეოდა აშკარად გამოხატული პროლეტარიატისათვის უცხო და მიუღებელი იდეური პოზიციით, უკანასკნელ პერიოდში წერს „მთვარის მოტაცებას", რომანში ავტორი ხატავს „ზედმეტ ადამიანთა" განწირულებას, გვიჩვენებს სოფლად არსებული კლასობრივი ბრძოლის სიმძაფრეს.

წერილის ავტორი იუწყება, რომ ძველი გზა მიატოვეს და საბჭოთა ლიტერატურის შექმნას მიჰყვეს ხელი ალექსანდრე აბაშელმა, იოსებ გრიშაშვილმა, კონსტანტინე ჭიჭინაძემ, პოლიკარპე კაკაბაძემ, დავით სულიაშვილმა, ლევან მეტრეველმა. ავტორი განსაკუთრებით მადლიერია გიორგი ქუჩიშვილისა, რომელიც სრულად უკავშირებს საკუთარ შემოქმედებას პროლეტარიატის იდეებს.

გალაკტიონ ტაბიძე „საბჭოთა საქართველოს პირობებში ამეტყველდა სრულიად ახალი შემოქმედებითი სიცოცხლით და გადაიქცა რევოლუციური სინამდვილის ნამდვილ შთაგონებულ მომღერლად და ამსახველად".

პაოლო იაშვილი „სინამდვილის და რევოლუციური განცდით" წერს უამრავ ლექსს, პოემას „გაფრენა". ნაწარმოები ასახავს სოციალისტურ სინამდვილეს.

ნიკოლოზ მიწიშვილმა დაძლია მერყეობა და ლექსების ციკლით, „სამშობლოს გული", საბჭოთა პოეტის სახელი დაიმსახურა.

ციციან ტაბიძემ, რომელიც დეკადენტურ-მისტიური, ნაციონალისტური განწყობის ლექსებით გაიცნო მკითხველმა, უკანასკნელ წლებში სოციალისტური სინამდვილის ამსახველი ლექსების ციკლი შექმნა: „რიონ პორტი“, „ახალი სომხეთი“, „ორდენოსანი სამშობლოსათვის“ და სხვ.

ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსებში კვლავაც შეინიშნება სიმბოლისტური პოეზიის რეფლექსიები, მაგრამ მის ლექსებში სიმბოლისტური სკოლის კვალი მხოლოდ მხატვრულ ხერხებში ვლინდება. ის ნელა, მაგრამ თანმიმდევრულად ყალიბდება ახალ პოეტად.

გიორგი ლეონიძესთანაც რჩება ესთეტიზმით გატაცების საფრთხე, „მაგრამ სამაგიეროდ, უკანასკნელ ხანებში მან შექმნა რევოლუციური პათოსით და ჯანსაღი გრძნობებით ამღერებული ლექსების ციკლიც.

სერგო კლდიაშვილი საბჭოთა ბელეტრისტიკაში თვალსაჩინო მწერალია. მისი „ფერფლი“ საუკეთესო ნაწარმოებად შეაფასა თანადროულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ.

რაჟდენ გვეტაძემ „საბჭოთა საქართველოს არსებობის პერიოდს“ საუკეთესოდ უმღერა თავისი ლექსებით. მას თავისი შემოქმედებით სოციალური ძვრები შეაქვს ადამიანთა ცხოვრებაში („მერკვილაძის დები“).

საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკა გამოკვეთს კოლაუ ნადირაძეს, შალვა აფხაიძეს. აღნიშნავს, რომ ისინიც თანდათან უერთდებიან საბჭოთა მწერლობის რიგებს (ჟღენტი 1936: 6-7).

სოციალიზმის ეპოქაში ლიტერატურამ პარტიის კვალდაკვალ დაიწყო კლასობრივი ბრძოლის გაძლიერების ქადაგება. ბევრი მწერალი იმდენად მოექცა იდეოლოგიურ ტყვეობაში, რომ აქტიურად ჩადგა ხელისუფლების სამსახურში, დირექტივებიც კი შეჰქონდათ ლიტერატურული მოვლენების განვითარებაში. რეჟიმის დემაგოგიური ინსტიტუტი ახერხებდა პოეტებისა და მწერლების „ნათლობას“.

„ცისფერი ყანწების“ დეკლარაციაში, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „ბარრიკადში“, ვკითხულობთ: „პოეზია ვერ უძლებს იმ ატმოსფერულ გავლენას, რომელსაც ახდენს რევოლუცია. ჩვენ აშკარათ ვამბობთ, რომ ჩვენ ვიყავით და ვიქნებით რევოლუციის მხარეზე, ამ შემთხვევაშიც აქვს ამას ეროვნული

გამართლება, რადგან ქართველი ხალხი ბუნებით არის რევოლუციის მხარეზე... ჩვენ არ ვიცით რა ფორმას მიიღებს რევოლუცია, ჩვენ არ ვიცით რა კომპრომისზე წავა ის - მაგრამ ჩვენთვის ფაქტია, რომ ხერხემალმაგარი პროლეტარიატი ბრძოლას არ წააგებს. პოეზია კი ჰაერია, რომლითაც ის უნდა სუნთქავდეს. შესაძლებელია პირველ ბრძოლის დროს იყო გაუმართლებელი პრეტენზიები – თუნდაც პროლეტარული პოეზიის შექმნისა, მაგრამ პოეზიასაც აქვს თავის შინაგანი დიალექტიკა და ის თვითონ მონახავს თავის ბუნებრივ სახეს" („ბარრიკადი" 1924: 6).

დეკლარანტის გამოსვლა ეხება 20-იანი წლების დასაწყისში პოეზიის რევოლუციურობას.

რა გზა მონახა პოეზიამ? რადიკალურად დაშორდა რევოლუციურ განწყობას, თუ უფრო მიუახლოვდა? რთულია ამაზე გადაჭრით პასუხის გაცემა. ნიშნეულია შემდეგი:

დეკადენტური მიდრეკილებები;
სიახლის მოლოდინი;
შიში;
ეჭვი;
იმედგაცრუება;
თვითგადარჩენის ინსტინქტი.

ამ ფონზე აღარ უნდა გაგვიკვირდეს ტიციან ტაბიძის სიტყვები ლავრენტი ბერიასადმი: „დარწმუნებული ვარ, ყველა პატიოსანი საბჭოთა მწერალი გულწრფელად აღიარებს თავის დანაშაულს, შეცდომას და ცოდვასაც, რათა აღმზრდელობითი კრიტიკითა და ხელმძღვანელის ამხანაგური დახმარებით მისცენ საშუალება მწერლებს, რომ მათ გარდაქმნან თავიანთი შემოქმედება", როგორც ამას მოითხოვს სოციალისტური რეალობა (ტაბიძე 1936:28).

მოყვანილი ფაქტები ცხადყოფს რეალობას, რომ 20-იან წლებში (და მანამდეც) რევოლუციური განწყობის პოეზია ნელ-ნელა გადაიზარდა ახალი საბჭოთა ქვეყნის სახოტბო სიმღერაში. ბურჟუაზიულ-დეკადენტური სკოლის მიმდევარი მწერლები, ცხადია, ვერ იქცნენ პროლეტარ მწერლებად, მაგრამ თანამგზავრობას თავი ვერ ან არ დააღწიეს და ამგვარად, ხელთ გვაქვს მათი საბჭოური მემკვიდრეობა.

ჟურნალ „მნათობის“ N2-ში დაბეჭდილია ფილიპე მახარაძის წერილი „მიმდინარე მომენტი და ქართული მწერლობის ამოცანები“ (მახარაძე 1926:228), ავტორი წერს: „კასტა ძველი მწერლებისა დღეს აღარ არის. იგი გადემოკრატდა“, შეეხო მწერალთა მიმდინარეობის საკითხს. XIX საუკუნის მწერლებს კი ეტყობათ „გადემოკრატება“, მაგრამ მთავრობის წარმომადგენელი შეგნებულად უსვამს ხაზს, რომ არაფერს იტყვის სიმბოლიზმსა და მოდერნიზმზე, ისინი ცალკე მსჯელობის საგანს წარმოადგენენ. იგი მხოლოდ რევოლუციურ მწერლობას უღრმავდება. მთავარი საკითხი ასე დგას: „ქართული მწერლობა სცნობს თუ არა ამ რევოლუციას, რომელიც ხალხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მოხდა, ხალხის საკეთილდღეოდ. ჩვენ დიდად ვაფასებთ მხატვრულ ნაწარმოებს იმისთვის, რომ ამის საშუალებით შეიძლება ლაპარაკი ხალხთან – ეს ანბანური ჭეშმარიტებაა“. მისი აზრით, მუშებს არ აკმაყოფილებდა არც „ივერია“, არც „დროება“. ახალ, თანამედროვე მწერლებს აფრთხილებს, რომ ზედმეტი თავმოწონება არაფრად წაადგებათ: „ბევრი რამ კიდევ გაკლიათ, ისწავლეთ, ისარგებლეთ ბედნიერი დროით, თქვენ ცხოვრობთ ისეთ ბედნიერ დროში, რომელიც არავის არ მოსწრებია.“„ყარიბის“ (პეტრე პავლეს ძე გელეიშვილი, დამფუძნებელი კრების წევრი, მინისტრის მოადგილე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, 1919 წელს შრომის მინისტრი) ფსევდონიმით გამოქვეყნებულია კრიტიკული წერილი, რომლის თანახმად, „ყანწელებს“ ისე არაფრის ეშინოდათ, როგორც საზოგადოების უყურადღებობისა“ (ყარიბი 1926:147-149), მართალია, საბჭოეთი ოპონენტისგან ყოველგვარ რადიკალიზმს გამორიცხავდა და არც „ცისფერყანწელები“ აღმოჩნდნენ საკუთარი პრინციპების ბოლომდე ერთგულნი, „თანამგზავრობა“ და „მერყეობა“ აღიარეს, მაგრამ მათი სამწერლო აქტიურობა და ტენდენციურობა დამკვეთის სასარგებლოდ უფრო პოპულისტურია. აკაკის „გარემოების საყვირის“ იდეოლოგიურ ხაზს მისდევს კრიტიკოსი და უდავო ჭეშმარიტებად თვლის იმ ფაქტს, რომ მწერალმა აუცილებლად უნდა გაუწიოს ანგარიში „გარემოებას“. დემაგოგიური ლოზუნგი: მდგომარეობა ქმნის

შეგნებას!.. მართავდა მწერლობის ორივე ფრთას: მემარჯვენეებსაც და მემარცხენეებსაც.

ამავე ნომერში ყარიბი ეხება გრიგოლ რობაქიძეს, როგორც „ყანწელების“ ორდენის მეთაურს. „გველის პერანგის“ ავტორს უსადაგებს შოთა რუსთაველის შაირს: „ჩემი სჯობსო, უცილობლობს, ვითა ჯორი“, აქვე აშარჟებს და აკრიტიკებს რომანს და შემფასებლად გამოჰყავს თანადროული მკითხველი, რომელთაგან ვერ იპოვებოდა რომანის წამკითხველი კაცი, და თუ წაუკითხავს ვინმეს, აზრი ვერ გამოუტანია. ამას წერილის ავტორი აბრალებს ნაწარმოების უვარგისობას და არა მკითხველის უმეცრებას. „ცარიელი სიტყვების რახირუხს“ უწოდებს, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „მნათობმა“ მოჭარბებული მასპინძლობა გამოიჩინა „ყანწელების“ მიმართ, რადგან აქვეყნებს მათ შემოქმედებას, სახიფათოდ მიიჩნევს წერილის ავტორი ამგვარ მასპინძლობას, რადგან ახალბედა „პროლეტარ მწერლებზე“ გავლენას ახდენენ, რადგან თვლიან. რაკი არ არის უარყოფილი, მაშასადამე, არის მასში სასურველი რამ. არაფერი აქვს ახალ დროებას საწინააღმდეგო, „ყანწელების“ ფორმა და მეტრი გაიმეორონ, მაგრამ უბედურება ისაა, რომ პროლეტარები იდეოლოგიურადაც ბაძავენო (გვ.171), რადგან „აზროვნება პოეტური ფორმების საშუალებით უფრო ვრცელდება, ვიდრე უბრალო მშრალი დეკლარაციების საშუალებით“ (ყარიბი 1926: 172), დასძენს, რომ პუბლიცისტურ წერილს იშვიათი მკითხველი ჰყავს, პოეზიას – მრავალი. წერილის ავტორი იმის წინააღმდეგი კი არ არის, რომ რობაქიძისა და, ზოგადად, „ყანწელთა“ შემოქმედება დაიბეჭდოს, გამოიცეს, არამედ აუცილობლობად თვლის ახსნა-განმარტებების დართვას, რათა სახელგამებმა შეცდომაში არ შეიყვანონ მკითხველი.

საინტერესო დამოკიდებულებას გამოხატავს ავტორი გრიგოლ რობაქიძის პიროვნულ-პოეტური ფენომენის მიმართ. ის მწერალს თავისი მეოცნებეობის გამო მიაკუთვნებს „ჰაშიშით გაბრუებულ მწერალთა“ ნაკადს. ბრალდებას უყენებს სექსუალობის ასე ხატოვნად წარმოდგენისთვის და რომანსა („გველის პერანგი“) და მის ავტორს გარყვნილების წყაროდ, „ვირუსად“ ასახელებს, განსაკუთრებულად შეეშალა ავტორს,

როცა ტიტველი ქალით ვნების დაცხრომა დაუკავშირა რუს ქალს: „შენი საშო ცხელიაო“, ამბობს და ქალს მეტისმეტად აკნინებს, ფუნქციას ერთი მიმართულებით აკისრებს მაშინ, როცა „რუსეთის დიდმა რევოლუციამ არა მარტო რუსეთის ქალებს, არამედ სპარსეთისა და სათათრეთის ჰარამხანებშიაც კი შეანათა და საუკუნოებით მონობაში დამწყვდეული დედაკაცი პოლიტიკური ცხოვრებისთვის გამოაღვიძა“ (ყარიბი 1926: 193). ავტორი პირად შეურაცხყოფად განიხილავს ოლგას „გაბახებას“, მის ტრაღიკულ სიკვდილს ამ გარყვნილების საპირისპირო ქმედებად აღიარებს.

რაჟდენ კალაძე წერილში „ქართული მხატვრული ლიტერატურის ეხლანდელი ვითარება“ აფასებს ლიტერატურულ აზროვნებას, განწყობასა და მიმდინარეობას. აღნიშნავს, რომ გასაბჭოებით ხალხმა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დაკარგა, რომელიც სოციალ-დემოკრატებმა მოუპოვეს პროლეტარული რევოლუციის პროცესში. გაჩნდა განდევნილი მენშევიკური მთავრობის მიმართ თანაგრძნობა და მცდელობა არალეგალური პოლიტიკური გზით „მენშევიზმის რესტავრაციისა“. ამან წარმოშვა „იმპერიალისტური პატრიოტობა ანუ მამულიშვილობა“ (კალაძე 1926:159). საზოგადოება დადგა დილემის წინაშე: ან ისევ მენშევიკური დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ და ფიზიკური არსებობის საფრთხეში ჩაყენება, ან ბოლშევიკურ-პროლეტარული დიქტატურის საშუალებით კომუნიზმისაკენ და მენშევიკური სახელმწიფოებრივი „დამოუკიდებლობის“ უარყოფამდე.

პირველ მიმდინარეობას ეწყობიან „ცისფერი ყანწები“ ანუ სიმბოლისტები და „H^2SO^4“ – ფუტურისტები. კრიტიკოსი სვამს კითხვას: რა მოგვცეს მათ ახალი? თითქმის ვერაფერი, რადგან ამისთვის ორი პირობა იყო საჭირო: უნდა ყოფილიყვნენ პროლეტარული იდეოლოგიის თანაზიარნი; მდგარიყვნენ პროლეტარული რევოლუციის ნიადაგზე.

„ყანწელებისთვის“ ორივე პირობა უცხო იყო, თუმცა მათ შეძლეს ხელოვნურად დგომა პროლეტარული რევოლუციის გვერდზე. მათ თავი თანამგრძნობებად გამოაცხადეს, სინამდვილეში, ისინი პოლიტიკურად „ნეიტრალურები“ დარჩნენ, იდეოლოგიურად კი მისტიკოსები.

კრიტიკოსისთვის საინტერესოა, „ნეიტრალებმა“ და იდეოლოგიურად მიუღებლებმა გასაბჭოებულ საქართველოს მწერლობაში მნიშვნელოვანი ადგილი როგორ დაიკავეს. აქვე უპასუხებს, რომ ეს განაპირობა ქართული ლიტერატურული კრიტიკის სისუსტემ და იმ გარემოებამ, რომ მათ დაგმეს ძველი ლიტერატურული სკოლა და ახალი ფორმის შემომღებებად ითვლებიან. ევროპიდან დაბრუნებულმა ქუთაისელ ახალგაზრდა პოეტთა ერთმა ჯგუფმა ჩამოიტანა ევროპის (კერძოდ, საფრანგეთის) ბურჟუაზიული ლიტერატურის მოტივები, ფორმა, განწყობა, თავი ლიტერატურის „რევოლუციონერებად“ გამოაცხადა. მათ ახალი ხელისუფლების ნდობაც მოიპოვეს, მაგრამ თავი და შესაძლებლობა ამოწურეს, მათ მოუსწრო პროლეტარულმა მწერლობამ, რომელმაც იკისრა მათი დამსამარებლის როლი.

რაჟდენ კალაძე აღნიშნავს, რომ უკვე ორი წელიწადია, რომ ისინი რაღაცნაირი „შერიგების“ ხმაზე ამღერდნენ და ცდილობენ სიმბოლისტური მწერლობა კომუნისტურ იდეალსა და მისწრაფებას შეუთანხმონ. ტიციან ტაბიძე ლექსში „ახალი მცხეთა“ წერს:

> ვინ დაჰხრის დროშას მაღალ ტარიანს,
> როცა ის მოაქვს პროლეტარიატს?!...
>
> *(ტაბიძე 1985:114)*

თუმცა მის მიმართ სრული ნდობა მაინც არ აქვს რეჟიმის კრიტიკას. „სიტყვებით, განცხადებებით რევოლუციონერობენ, კომუნისტებთან „თანამშრომლობენ“ (არ ვიტყვით „თანამგზავრობენ“!), მაგრამ მათ ხშირად კონტრრევოლუცია, ინდივიდუალიზმი და სხვა ამგვარი ანტიპროლეტარული რამ გამოუდით“ (რ.კ). ერთ საკითხში მაინც აღიარებს ავტორი მათ („ყანწელების“) სარგებლიანობას: ერთ წერტილზე შეჩერებული მწერლობა, რომელიც, ილიასა და აკაკის მიერ მოჯადოებული, წინსვლას ვერ ახერხებდა, „ყანწელებმა“ ის თავისი „მრავალჟამიერით“ შეცვალეს. სხვა საკითხია, რომ მათ სრულიად ახალი გზა აირჩიეს, რომელ გზასაც საერთო არ აქვს პროლეტარიატთან.

პროლეტარულად კი ამღერდნენ, მაგრამ გამოუვიდათ „ანტიპროლეტარული." თუმცა, ეპოქის ნარატივი იმდენად მრავალფეროვანია, ერთმნიშვნელოვანი დასკვნა არასრული იქნება.

პროლეტარული მწერლობისთვის, ასევე, უცხო და მიუღებელია „ფუტურისტების" იდეოლოგია. ფუტურისტების აზრით, „ლიტერატურის განვითარება ერთია, ხოლო საზოგადოებისა – სხვა: მათ შორის თითქოს არავითარი ურთიერთობა და დამოკიდებულება არ არსებობს". „H^2SO^4-ის წყალობით ისინი შეუდგნენ „ლიტერატურულ ტერორს". აცხადებდნენ, რომ „პროლეტარი მწერლები ჩვენს გავლენის ქვეშ იმყოფებიან და მალე ჩვენს რიგებში ჩადგებიანო". აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჟურნალ „მნათობში" ფუტურისტების შემოქმედება აქტიურად იბეჭდებოდა. (დემნა შენგელაია – რომანი „გურამ ბარამანდია", სიმონ ჩიქოვანი – პოემა „მყინვარი") (კალაძე 1926:177).

დაბეჭდილია მიხეილ კახიანის მოხსენება „იდეოლოგიურ ფრონტზე", რომლის ერთ ქვესაკითხში, სახელწოდებით „ინტელიგენცია", ავტორი აკრიტიკებს მწერლობას, საკუთრივ, ვალერიან გაფრინდაშვილს, რომელსაც 1926 წელს ჟურნალში „ქართული მწერლები", აგვისტოს ნომერში გამოუქვეყნებია ლექსი:

წყეული იყოს დიდი ქალაქი,
ჩემგან ვით ციხე უარყოფილი,
მე მირჩევნია ქუჩას – ჭალაკი,
ჩემი სამშობლო არის სოფელი!
და ცისარტყელა სჯობია კინოს,
ჩრდილს კოშკებისას – ჭადარის ჩრდილი,
ავტომობილის მჭექავ სირინოზს
სჯობს უსათუოდ ურმული ტკბილი.

(გაფრინდაშვილი 1926:12)

მიხეილ კახიანი პრეტენზიას გამოთქვამს და აღნიშნავს: „მას, ხედავთ, არ სურს არც ქალაქის მოძრაობა, არც მაშინიზაცია, არც ელექტროფიკაცია, ჩვენ ვატარებთ ინდუსტრიალიზაციას, ვალერიან გაფრინდაშვილს კი ეს საქმე სრულიად არ აინტერესებს, მას ურემზე ჯდომა ურჩევნია... მშრომელებს ამგვარი

სიმღერა არ შეეფერება... საჭიროა გამოსცვალონ თავიანთი გრამაფონის ფირფიტები“ (კახიანი 1926: 189).

ავტორი აკრიტიკებს აღნიშნულ ჟურნალში („ქართული მწერლები“ 1926.) გამოქვეყნებულ კიდევ ერთი ლექსის ავტორს – ალექსანდრე აბაშელს. ლექსის ადრესატი ყოფილა ნოე ჩხიკვაძე:

მაგრამ დღეს სხვაა ჩვენი ჰაერი,
დაეცა ლოცვა და პოეზია.
მოკვდა ბრწყინვალე ძველი შაირი,
და ახალს – ჩრდილი შემოესია...

(აბაშელი 1926:190)

ალექსანდრე აბაშელი განიცდის, რომ პარათაშვილისა და ვაჟას შემოქმედება მეორეხარისხოვანი გახდა, ახალ დროებას აღარ აღელვებს „მთიდან ყვირილი ხარისა“ და პროლეტარული მწერლობის ჰანგი სულს უხუთავს: „ლექსი დააღრჩო წვრილმა ამბებმა, ამონაწერმა გაზეთებიდან“ (იქვე:190)[ა]. მიხეილ კახიანი კი ეთანხმება აბაშელს, რომ არ ბეჭდავენ „ანტისაბჭოთა აბდაუბდას“. მათი, აბაშელისა და ზოგადად, „ცისფერყანწელთა“ მისამართით ირონიულად წყრება: „ასეთი მიკიბ-მოკიბული ენით ლაპარაკობენ იმ იმედით, რომ ჩვენ მას ვერ გავიგებთ. არიან ისეთი გულუბრყვილონი, რომლებიც ფიქრობენ, რომ კომუნისტები სათანადოდ ვერ ერკვევიან ლიტერატურის საკითხებში...“ (იქვე)[ბ]. აქვე ისმის მისი მუქარა: „ჩვენ არავის უფლებას არ მივცემთ კონტრაბანდით გააპაროს ყოველგვარი ანტისაბჭოთა საქონელი, ჩვენ ვცდილობთ ჩვენს მხარეზე გადმოვიყვანოთ ინტელიგენცია...“ მაგრამ კატეგორიულად აღნიშნავს, თუ ინტელიგენციის „მცირე ნაწილი“, რომელიც მტრულად არის განწყობილი, ცდილობს ზიანი მიაყენოს საბჭოთა საქმეს, დროულად არ მოხდება მათი სრული გადმობირება, მაშინ დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლონ მისგან საბჭოთა დაწესებულებები (კახიანი 1927:190)[გ].

აქვე, ამავე მოხსენებაში, მიხეილ კახიანი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას „პროლეტარული მწერლობის“ მიმართ. გამოქვეყნდა ლექსები: ალექსანდრე აბაშელის „ჰაეროპლანი სოფლად“, პაოლო იაშვილის „პოეტი და ადა-

მიანი" და ტიციან ტაბიძის „სტალინი". ეს ლექსები ორგვარი ინერპრეტაციით იკითხება: ერთი ახალი დროების ხოტბაა, მეორე – სინანული დაკარგული პოეტური სიდიადისა. იგრძნობა ირონიაც. აბაშელი გლეხის ემოციას, რომელიც ახალმა დროებამ მოჰგვარა, ასე გამოხატავს:

სხვა დრო დაგვიდგა: ჩვენი შვილები
ცაში არწივებს ეჯიბრებიან.
და ისევ მოსწევს თოხის ტარს მკლავი,
მკლავი მაგარი და ჟანგიანი,
გულს ჩაუდგება მოხუცს ვარსკვლავი,
თვალებს აუნთებს სხივი გვიანი.

(აბაშელი1927: 8)

აქ არ ჩანს, ავტორს თუ უხარია ის, რაც გლეხს ახარებს. ამ ტიპის ლექსს თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ ფარსი, რეჟიმისთვის გადახდილი ხარკი, ორმაგი კონცეპტი, რადგან აბაშელი წერს იმას, რასაც იდეოლოგიური მანქანა ითხოვს, მაგრამ პოზა, შეიძლება ითქვას, ნაკლებ სახიფათო შეარჩია. საკუთარი განწყობა თვალს მიაფარა. საინტერესოა, რას განიცდის პაოლო იაშვილი, რა პოზიცია შეარჩია, რამდენად წრფელია მისი დამოკიდებულება, მისტირის ძველს, თუ ეტრფის ახალს:

მე მენატრება ცხოვრება
პატიოსანი,
მაგრამ რა ვქნა, რომ გამათხოვრება
ბედი ყოფილა ქართველ მგოსანის...
არ მასვენებენ ქვეყნის ვალები...
მაგრამ ყოველდღე ჩემთან მოდიან
და აღწერების მოაქვთ ორდერი...

(იაშვილი 1927: 9)

ამავე ლექსში პოეტი ბევრ საგულისხმო ტაეპს წერს. მათში იკვეთება ძალდატანებაც, მევალეობაც, სევდაც, პრინციპულობაც. მაგალითად:

ნუ გეშინია, გულო! დარჩები
ყოველთვის ოქრო უზარმაზარი,

ვინ მისცემს ნებას, მართლა ჩარჩებმა
გამართონ „ძვირფას გულთა ბაზარი"?!

(იაშვილი 1927: 9)

სრულიად გარკვევით ამბობს პაოლო იაშვილი, რომ მას ვალი (ე. წ. ხარკი), გადასახდელი აქვს ახალი დროების წინაშე, ის მკაცრი დაკვირვების საგნად ქცეულა, მოდიან და აღწერენ მის ყოველ ნაწარმოებს. აღწერენ. რადგან „ცისფერყანწელობა" სერიოზული „ნაკლია" მისთვის, როგორც პოეტისთვის, როგორც სახიფათო სუბიექტისთვის. პაოლო, არსებული მდგომარეობის გამო გულს არწმუნებს, რომ „ჩარჩებს" არ მისცემს ნებას, „გამართონ „ძვირფას გულთა ბაზარი". სასოწარკვეთა შეჰპარვია პაოლოს ხმას, გაბზარულია მისი სული:

უიმედობა რად დამიბრუნდა
ან რისთვის დასხდნენ ლექსზე ლაქები,
როცა რჩეულის სიტყვებით „უნდა
ოქროთი ვაგოთ ფეხსალაგები".

(იაშვილი 1927: 10)

არ უნდა იყოს ძნელი ამოსაცნობი, ვისაც გულისხმობს პოეტი „რჩეულში", რომ სიტყვა სასწორზე უნდა დადოს და ათასგზის აწონოს, რათა მოაწონოს „რჩეულს". სწორედ ამ იძულებას არ ფარავს პაოლო, იგრძნობა კიდეც ცინიზმი. როცა სინანულის ფონზე ამხელს და ლექსს საბჭოური ლოზუნგისა და მოწოდების ნოტზე ამთავრებს, მოწოდების, რომელიც მიემართება მათ, ვინც გაიტაცა „ახალმა დროებამ":

ამხანაგებო! ნუ გვეზარება
ჩამოცილება ძველი ფესვების
დროა, გადიქცენ ოქროს ზარებათ
აცრემლებული ჩვენი ლექსები.

(იაშვილი 1927:10)

თვალნათელია ისიც, რომ საბჭოთა ცენზურას არ გამოეპარებოდა არც პოეტის გოდების ტონი და არც ნაძალადევი

შემართება, მაგრამ, როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, მას აწყობდა თვალის დახუჭვა, რადგან ტენდენცია – ნაბიჯები ახალი ცხოვრებისკენ, საბჭოეთის მონაპოვარი იყო.

იმას, რომ „ცისფერყანწელებმა“ ახალ ცხოვრებასთან კავშირი არ გაწყვიტეს, ტიციან ტაბიძის ლექსი „სტალინიც“ მოწმობს. დასაწყის სტროფებში ალექსანდრე აბაშელის რიტორიკას იმეორებს ტიციანი, რეალობას აღწერს:

> შენ ხარ ფოლადი... კახაბერი – მართლა სხვა კაცი –
> რკინის პალოთი ეს ქვეყანა დააბარბაცე...
> გინდა, რომ მზეზეც გააჩინო შენ კომუჯრედი...
> ძველი ქვეყანა ვეღარ იკრებს უკვე არაქათს
> მოდუღს გრიგალი გრიგალებზე გადაგრაგნილი
> და ამ სტიქიას დარაჟრაჟობს კობა სტალინი.
>
> *(ტაბიძე 1927:11)*

ამ სტრიქონებში არფერია პოეტური, თუ ამ ხატოვან სიტყვებს არ ჩავთვლთ: „დარაჟრაჟობს“, „გადაგრაგნილი“, მეტაფორას: „ქვეყანა დააბარბაცე“, ჰიპერბოლას: „მზეზეც გააჩინო კომუჯრედი“, ალიტერაციას: „გრიგალი გრიგალებზე გადაგრაგნილი“. ტაეპებს შორის პოეტის ცინიზმი და ირონიაც შეიმჩნევა:

> კატორღა, ციხე, ეშაფოტზე ხალხს რომ ზიდავენ
> ატირდა ხორცი ბორკილებზე რომ დაიფლეთა
> და როგორც რისხვა ამ ლანდების გამოგზავნილი,
> ბოროტ მეფეთა საფლავებზე დადგა სტალინი.
>
> *(ტაბიძე 1927:11)*

ვერ ვიტყვით, რომ ტიციანი ამ ახალი ჯალათით აღფრთოვანებულია, თუმც, ლექსის დასასრულ, პოეტმა წარსულს გადასძახა:

> ახალ ბრძოლისთვის დროშებია გამოტანილი
> და ამ დროშების თავსარდალი არის სტალინი...

ამ ლექსების განხილვა კვლევისათვის გვაძლევს საფუძველს, რომ ვთქვათ, – 1927 წლისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ახალ

ბრძოლას სიხარულით არ უერთდებიან, მაინც ქედს იხრიან მის წინაშე. თუმცა, ეს დამოკიდებულება ლაქად აღიქვეს თავადვე, როგორც წერს პაოლო: „რისთვის დასხდნენ ლექსზე ლაქები“.

საყურადღებოა ტიციან ტაბიძის ლექსი „არ შევჩერდები მე ამ მოტივზე“, რომელიც 1927 წლის „მნათობის“ N3-ში გამოქვეყნდა, ლექსი წინა ნომერში დაბეჭდილი „სტალინის“ პათეტიკის საპირწონეს წარმოადგენს. თითქოს სინდისის ქენჯნამ განაპირობა მისი შექმნა:

თითქო კვდებოდა თბილისის ღამე
სარაჯიშვილის ხმებით სტიროდა,
თარს ამოქონდა გულის ბალღამი...
...გული რომ – მაინც მომტირის,
თითქო ჩააგდეს ცეცხლის საკირეს...

(ტაბიძე 1927:6)

ტიციანი გლოვობს ახალ დროს, ნოსტალგია და ტრადიციული მოტივები იგრძნობა მის სიტყვებში:

ყოველი კვირა მგონია ბზობა
და ტფილისია იერუსალიმი.

(ტაბიძე 1927:6)

ახალმა დროებამ პოეტის სულში გასრისა „ბავშვი ქრისტეს ღიმილით“ და დღეს ის აქებს „ინდუსტრიის ქარს“, რომელსაც სურს „ძველი დროის დალეწა“. ის იღებს გადაწყვეტილებას:

არ შევჩერდები მე ამ მოტივზე...
მე თვითონ ვცხოვრობ ამ იმედებით.

(ტაბიძე 1927:6)

ამავე ჟურნალის N4-ში დაიბეჭდა ტიციანის პოეტური შედევრი „ლექსი მეწყერი“. ყურადსაღებია ერთი გარემოება, საბჭოთა ცენზურას არ უნდა მოსწონებოდა პოეტის პატრიოტული განწყობა:

და აწვალებდა მას სიკვდილამდე
ქართული მზე და ქართული მიწა,

ბედნიერებას მას უმალავდნენ,
ბედნიერება მან ლექსებს მისცა.

(ტაბიძე 1927:6)[ი]

პოეტის წინასწარმეტყველება იკითხება ტაეპებში:

ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს,
ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს,
რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს.

(ტაბიძე 1927:6)[ი]

ამ ლექსის დაბეჭდვა რას უნდა მივაწეროთ, იქნებ, მართლაც ვერ მიხვდა საბჭოთა კრიტიკა, რომ ტიციანი თავგანწირვისთვის მზად იყო, ოღონდაც ერთ პოეტს მაინც გულზე მოხვედროდა მისი ლექსი, ლექსი, რომელიც უკვდავებას მოუტანდა?! უფრო მიგვაჩნია, რომ ეს ლექსიც სათავისოდ გაიგო, სათავისო ქარგაზე გაწყობილად აღიქვა თანადროულმა კრიტიკამ!

„მნათობში" დაიბეჭდა გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „ქალაქი წყალ-ქვეშ". თვალშისაცემია პოეტის წარსულ დიდებასთან გამოთხოვება, თუმცა მას ძველი, „ქალაქი სფინქსი" უხმობს, კიდეც ეშვება ფსკერზე და ხელების ცეცებით ეხება დამარხულ „ნანგრევებს, ლანდებს, იდეებს, სქემებს" (ტაბიძე 1927:1), აწყდება უძველეს ფეოდალთა თვალების ელვას, მაგრამ ეს მხოლოდ წარსულია, შორეული წარსული ახალ მცხეთაში ახალი ნათებაა, „ელექტრონების გაჩნდა ქალაქი, ათასეული კილოვატებით" (ტაბიძე 1927:1)[ა], გალაკტიონი ლექსს ასეთ ნოტზე ამთავრებს:

მშვიდობით!
ხსოვნით დაკარგულ ფენებს არასდროს აღარ დავუბრუნდები.

(ტაბიძე 1927:1)[ი]

ეს გადაწყვეტილება ასე იოლად არ მიუღია. გამოიარა ბობოქარი ცხოვრება:

ასფუთიანი ჩაქუჩის ცემით ცა ჩემზე ცდილა ძალთა მოკრებას,
მან დაამსგავსა მგზავრობა ჩემი – ცხოვრების ჩემის აბობოქრებას.

(ტაბიძე 1927:2)

ამ შემოტევებს, ახალი დროების დამანგრეველ ტალღებს შეეწირა ბევრი რამ და ვინმე, შეეწირა გალაკტიონის ძველი ცხოვრებაც, „მზემ ჩემკენ შუქი არ მოიღერაო". – წერს პოეტი. ის აღიარებს რეალობას:

„მისთვის ვფერავდი მრავალფერ ჩანგებს
რომ მხოლოდ მტრისთვის დამეტკბო სმენა?" – გაბზარული, სასოწარკვეთილი სვამს რიტორიკულ შეკითხვას, მაგრამ ამ ბობოქარი ბრძოლის შედეგი (თუმცა სავალალო), მაინც დადგა:

გაიძვერას პოეტის ბინა გადაექცია საკუთარ ბინად.

(ტაბიძე 1927:2)

ლექსში აირეკლა დიდი პოეტების სულის ნებსითი თუ უნებლიე მეტამორფოზა, როგორ შეერწყნენ ისინი ახალი დროების, პროლეტარული მწერლობის მდინარეს. ცხადია, ასეთი მუხტი, ასე ფარხმლის დაყრა, „დაკარგულ ფენებს არას დროს აღარ დავუბრუნდები" (გ.ტ) და „არ შევჩერდები მე ამ მოტივზე..."(ტ.ტ). „ლურჯა ცხენებისა" და „ცხენი ანგელოსის" ავტორების შემოქმედებასთან აშკარა დისონანს ქმნის. თუნდაც ამ ტრაგიკული რეალობის დანახვა, ლიტერატურის ისტორიისა და მწერლის ლაბორატორიის შესასწავლად ფრიად ღირებულია.

ტირანულმა სახელმწიფომ გაიმარჯვა, დათრგუნა სიმბოლისტები, აწერინა პროლეტარული ლექსი, პოეტური ღირსება შეულახა, ახალი დროის მკითხველი მათგან ისმენდა იმას, რასაც კალე ბობოხიძისგან, ალიო მაშაშვილისგან... ძნელი ხდებოდა ზღვრის დანახვა, რომ არა საკუთარი ცხოვრების მიმართ ირონია, რომ არა შიგადაშიგ წარსულის გამოტირება, მათი შემოქმედება თითქოს უკვე არც ფორმითა და არც შინაარსით აღარ ეკუთვნოდა ევროპული რადიუსით გამართულ სივრცეს. გასაგებია, რომ უმძიმესი წლები იყო, გაუსაძლისი წნეხიც, მაგრამ პოეტების ქცევა-დამოკიდებულებას შეიძლება დავარქვათ „ხერხი სჯობია ღონესა", რათა ერთი ლექსი ერთ პოეტს მაინც გულზე მოხვდებოდა და ეს ეყოფოდათ გამოსარჩლებად (ტიციან ტაბიძე). ვფიქრობთ, შეიძლებოდა

აქ დაედოთ კალამი და ბელადისა და ხუთწლედების ხოტბა არ ეწერათ, ან, იქნებ, „განგებით ქმნილსა რისხვასა ვერავინ დაჰრიდებია“ (შოთა რუსთაველი), „სიკვდილის ბჭყალით ვერ იხსნიდა“ ვერანაირი ძალა, ამ გარადუვალობის მიჯნამდე ლაფში მაინც არ შეერიათ საკუთარი შემოქმედებითი მარგალიტები. ეს მიდგომაა მოკვლევა არასასიამოვნო ჭეშმარიტებისა: თითქოს საბჭოეთის ფონზე გმირული სული სრულიად გაქრა, ყოველ დროსა და ეპოქას ჰყავდა ნამდვილი გმირი, საბჭოეთმა ყველას შეახო თავისი ბინძური ხელი. ამაზე ფაქტები (პროლეტარული მწერლობა) მეტყველებს. 1937 წელს გალეწილმა სისხლიანმა კალომ ლომისწილად განსაზღვრა მათი რეაბილიტაცია, მომხდარის გამო კი იბადება კითხვები და პასუხთა ძიება გარდაუვალია. აქვე უნდა დავსვათ უმთავრესი კითხვა: ხოტბა რომ არ შეესხათ, რა მოხდებოდა, თუკი მაინც მოხდა ის, რაც მოხდა?!

თითქოს წრეზე ვბრუნავთ. ხელთ გვაქვს მწერლობის აშკარა „მოთვინიერება“(აკაკი ბაქრაძე). საბჭოთა ტირანიამ საუკეთესო შემოქმედნი გატეხა სულიერად, გამოაცხადა „გაწვევა“ და მათაც, ნებით თუ იძულებით, მიიღეს ეს მიწვევა; „მნათობის“, როგორც ტრიბუნის ფურცლებზე პროლეტარ მწერალთა გვერდით დაბეჭდილი მათი ამავე განწყობის შემოქმედება მკითხველისთვის „მსახურებაა“ და არა „ყალბი მსახურება“. ტიციანიც, გალაკტიონიც, აბაშელიც და სხვანიც საბჭოეთის მშენებლებად აღიქმებიან ეპოქის კონტექსტებში გაუთვითცნობიერებელი მასობრივი მკითხველის თვალში.

მოდერნისტების ავტორიტეტული, კლასიკური შემოქმედება ათასგზის მოწონებული, შექებული და აღიარებულია. ამას არავინ და ვერავინ უარყოფს. აუცილებლად მიგვაჩნია გავიხსენოთ დავით გურამიშვილის კონცეპტი: „ავს რომ ავი არ ვუწოდო, კარგს სახელად რა დავარქო?!“ „ხარკად“ აღქმული შეფასება, წნეხით და შეურაცხყოფით შექმნილი „შემოქმედება“ უფრო ტრაგიკული ხომ არ არის, ვიდრე ის გულწრფელობა, თუნდაც მერყეობა, რომელიც, სავარაუდოდ, კიდეც ჰქონდა მათ საბჭოეთის მიმართ?

დროის მანქანამ, ჯავახიშვილის ტერმინოლოგიით, „საქაჯავმა“, მოიყოლა უამრავი შემოქმედი. ეს ფაქტია, მაგრამ სწო-

რედ ამ „გასრესილ“ ნაკადს, ვფიქრობთ, გარკვეულწილად, სჯეროდა საბჭოთა ჰეგემონიისა. დითირამბების შექმნას განაპირობებდა, ერთი მხრივ, წნეხი, მეორე მხრივ, შემოქმედთა მერყევი ბუნება და მესამე მხრივ, იმედის ნასახი, რომელიც რევოლუციებს, ახალ დროებას ყოველთვის ახლავს.

ყურადსაღებია ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსი „პასუხი“, რომელიც 1927 წლის „მნათობის“ N7-ში დაიბეჭდა. „ცისფერყანწელთა“ ერთ-ერთი გამორჩეული და შედარებით მოუთვინიერებელი პერსონისგან მოდის ახალი მოტივი – პასუხს აძლევს იმათ, ვინც მას და მისნაირებს ბრალს სდებს წარსულისადმი ქედის მოხრის გამო, იმ შემოქმედების გამო, რომელშიც აისახებოდა „სინამდვილე მთლად უბადრუკი“ და რომელიც ადიდებდა „შორეულ ლანდებს“. ვალერიან გაფრინდაშვილი უკვე სხვა რეალობას უხრის ქედს:

> მაგრამ მოვიდა ქარიშხალი ცეცხლის ალამით,
> და ნისლიანი სინამდვილე მან გადაბუგა.
> ათრთოლებული მივეგებე გრიგალს სალამით,
> და ვიგრძენ თავი დაუღალავ მებრძოლ ჭაბუკად.
>
> *(გაფრინდაშვილი 1927: 10)*

პოეტი ფსიქოთერაპიას ეწევა, ან მართლაც „შეიგნო,“ რომ ახალ დროს უნდა მოერგოს: „უნდა გათავდეს შთაგონება მხოლოდ წარსულით“ (გაფრინდაშვილი 1927:10)[ა], ან რეჟიმს თავი მოაჩვენა.

ვალერიან გაფრინდაშვილი შეეცადა რევოლუციის გზას გაჰყოლოდა, „თანამგზავრული“ მისწრაფებები გამოიხატა ლექსებში „ლენინი“, „კომუნარებს“, „მიხეილ ბაკუნინი“ და პოემაში „პარიზის კომუნა“.

ყოველ სიახლეს საზოგადოება, ბუნებრივია, იმედით ეგებება, რადგან ადამიანს არასოდეს აკმაყოფილებს ის, რაც აქვს, ის მუდამ ახლის ძიებაშია. სწორედ ამიტომ არ შეიძლება მწერლის სამყარო მიკერძოებულად გამოვაცხადოთ; რეალობა ცხადყოფს აშკარა გაორებას, არჩევანი არ ჰქონდათო, ამგვარი გამართლებაც მიზანშეწონილია, თუმცა ისიც ფაქტია, რომ მათ არჩევანი ჰქონდათ, თუნდაც სავალალო, პრინციპებს

უღალატეს, რაც დაღუპვას უტოლდებოდა, მსახურება აირჩიეს, სამაგიეროდ, ქართულ მწერლობას მსოფლიო დონის შედევრები დაუტოვეს. სისხლით გამოისყიდეს საკუთარი შეცოდებანი და სულიერ იერარქიაში პოვეს ადგილი, სადაც მართალნი განისვენებენ.

ლენინის გარდაცვალებიდან ათი წლის თავზე „პროლეტარიატის ბელადის" ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსების სერიიდან პროლეტარი პოეტი გიორგი ქუჩიშვილის სახოტბო ლექსი „ფიცი ლენინზე" (რომელიც დაიბეჭდა 1934 წლის „მნათობის" N1-ში), გულწრფელ დითირამბად აღიქმება:

ლენინ! შენ იყავ, ვინც ბნელ ყოფიდან
გამოიყვანე ნათელ გზით ხალხი...
თუმცა გაგვშორდი.... მაგრამ ვინც შენი დროშა აზიდა,
აღარასოდეს ძირს აღარ დახრის.

(ქუჩიშვილი 1934:8)

უნდა აღინიშნოს, რომ ლენინის მზესთან გაიგივება და მარადიულ საწყისთან შედარება (ნათელთან) ფსიქო-ისტერიული დამოკიდებულება და ფანატიზმის ნათელი გამოხატულებაა, რაც პროლეტარი მწერლებისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული სიმპტომი იყო.

...ძაძით მზეც იმოსება,
რომ ზეკაცს ჰკარგავს მზე შენი სახით.

(ქუჩიშვილი 1934:8)

აქვე დაიბეჭდა „თანამგზავრად" მიჩნეული ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსი „ათი წლის შემდეგ". საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ლექსიდან ამონარიდს:

ჩვენ უხმო ცრემლებს ვაფრქვევდით ბელადს...
რომელ ბეთხოვენს და რომელ ვაგნერს
შეეძლო ჩვენი სევდის მხილება?..
ბელადს მიწისთვის ვერ ვიმეტებდით
და გაცოცხლება გვინდოდა მისი...

(გაფრინდაშვილი 1934:9)

სტალინის ცნობილი ფრაზა, „ლენინიზმი არის იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის მარქსიზმი“, ერთგვარად პასუხს იძლევა „ლენინიზმის“, როგორც თეორიული მოძღვრების არსის შესახებ (შარია 1934: 207). ამ „მოძღვრების“ აღიარება და პოპულარიზაცია ევალებოდა ყოველ სახალხო მოღვაწეს, რამდენადაც პოლიტიკოსს აქვს გავლენა ხალხის მასებზე, ისევე აქვს პოეტს, მწერალს, ამიტომ სავალდებულო იყო, პოეტური და პოლიტიკური ქადაგება თანმხვედრი ყოფილიყო. გაფრინდაშვილისა (არაპროლეტარის) და ქუჩიშვილის (პროლეტარის) ლექსებში, ლენინურ პათოსთან დაკავშირებით განსხვავებას თითქმის ვერ ვიპოვით. კვლევისას გამოიკვეთა, რომ სიმბოლისტების შემოქმედებითი მუზები (ნებსით თუ უნებლიეთ) იყვნენ პროლეტარიატის ბელადები, მიუხედავად იმისა, რომ წნეხი და თვითგადარჩენის ინსტინქტი აწერინებდა მათ საქებარ, თუ ფიცით გაჯერებულ სამგლოვიარო ლექსებს, ამით ფაქტი არ იცვლება. თუმცა, ბოლშევიკთა მეცხრე ყრილობაზე ლავრენტი ბერიამ შემაჯამებელ მოხსენებაში ლიტერატურის პროლეტარული ხასიათის სიმტკიცესა და ურყეობაზე გააკეთა აქცენტები და მადლიერებაც გამოთქვა უამრავი შემოქმედის მისამართით, მათ შორის, ტიციან ტაბიძის მიმართაც ნარკვევი „რიონის“ გამო, რომელშიც ძველი ცხოვრების რღვევა-განადგურება და მის ადგილზე ახლის დამკვიდრებაა ასახული, ანწლისა და გვიმრების ნაცვლად დაფნა, ფორთოხალი და მანდარინი გაშენდა. ლავრენტი ბერია გაკვრით შეეხო, ასევე, „ჯგუფობრიობის ნაშთებისა და რეციდივების“ არსებობას და ერთგვარი ბრალდება წაუყენა პროლეტარულ მწერლობას, რომლის უმთავრეს პრეროგატივას წარმოადგენდა ამგვარ ჩანასახთა სრული ლიკვიდაცია (სულავა 1934:281).

„მნათობის“ N6-ში ალექსანდრე ჭეიშვილი ვრცელ წერილს აქვეყნებს ტიციან ტაბიძის რჩეული ლექსების გამოცემის გამო. წერილში გამიჯნულია მწერლის „შინაგანი ბუნების ორი მიდრეკილება“: 1928 წლამდე, ანტირევოლუციური განწყობისა და ამის შემდგომ, ახალ დროებასთან ფეხაწყობილი სიარული პოეტისა. 1930 წელს ტიციანი ერთ-ერთ ორატორს ედავება: „თუ თქვენ გგონიათ, რომ შეიძლება მწერალს უთხრან: „რატომ არ

სწერ", ან მოსთხოვოთ დასწეროს რამე კარნახით, რატომ ამას თქვენ თითონ არ აკეთებთ" (ტაბიძე 1934:14). მაგალითებად ტიციანს მოჰყავს ჯორჯ ბაირონი და ტურგენევი, რომელთაც მტრებმა ჰონორარის აღება დასწამეს სახელის გასატეხად. ახალ დროში „მოჯამავირეობა გახდა იდეალი... მოვიდა ნეპის ხანა და ყველა დაუბრუნდა ისევ დაწესებულებას და მწერლობა შერჩა მხოლოდ მათ, ვინც ტანჯვით არის მასთან გადაბმული" (ჭეიშვილი 1934:210). ალექსანდრე ჭეიშვილის თვალთახედვით ტიციანს სჩვევია „ატორღიალება" სხვა შემოქმედებს. მაგალითად, ახსენებს ესენინს. კრიტიკოსი ამ ორი პოეტის მსგავსებას უსვამს ხაზს:

ღმერთი და სჯული... არა ვართ შორი,
მონღოლის სისხლი გვიდუღს ორთავეს,
სული დააპეს და მერე მძორი...
მძორიც ძერებმა გამოათავეს.

(ტაბიძე 1985; 119)

ლექსში, „სალამური რომ სალამურია", ტიციანს უკვე სრულიად გამოცვლილი აქვს პოეტური ნირი:

ჩვენ, კავკასიის ხალხთა პოეტებს,
ერთი გზა გვაქვს და ერთი მანძილი,
რომ სოციალიზმის აშენდეს ფუძე
და ხალხს ეღირსოს მშვიდობის ძილი.

(ტაბიძე 1934:228)

აშკარაა, რომ ის საერთო ნაკადს შერწყმულია (გავიმეორებთ, ნებით თუ იძულებით) და საბჭოეთისადმი მორჩილებამ განაპირობა ასეთი სახეცვლილება და მრწამსის შეცვლა, ის პოეტი იყო და ტრიბუნიდან ასმენინებდა ხალხს თავის სიტყვას. ხალხს, რომელსაც არც აცალეს პოეზიისა და, ზოგადად, მწერლობის ღირებულებებს გასცნობოდა, ისე მოახვია საბჭოურმა რეჟიმმა თავს იდეოლოგია, რომ სიტყვების მიღმა ძიების უნარი სრულიად გაუქრო. ხალხს, რომლისთვისაც არ არსებობდა „ნიღბის" გაგება, რასაც ისმენდა, ის სჯეროდა. ამ ვითარებაში საბჭოეთის ხოტბა, (თვითგადარჩენასაც რომ არ ეკარნახა), მასების დაჩლუნგებას ემსახურებოდა.

საბჭოთა კრიტიკა ასე ხატავს ტიციანის ორგვარ პოეტურ სახეს: „ტ. ტაბიძის შემოქმედება იკვებებოდა გახრწნის პროცესში მყოფ დეკადანსის ლიტერატურის მძორით და თუ მისი „შთაგონების“ და შემოქმედების განვითარება ამ გზით წავიდოდა, ის დარჩებოდა თავისი ფორმით და შინაარსით ისეთი მკვდარშობილი, ეპიგონური, ბერწი და უნაყოფო, როგორიც ის იყო ტიციან ტაბიძის პოეზიის „გასაბჭოების პერიოდამდე (1927-28), ახალი ეპოქისკენ მობრუნებამ, ახალი სამყაროს მხატვრულ აღქმამ ტიციან ტაბიძის შემოქმედებას გადაუშალეს განვითარების ახალი გზები“ („მნათობი“ 1934:230).

ახალი ეპოქა და ახალი სამყარო ტიციან ტაბიძის შემოქმედების ერთგვარი განმსაზღვრელი შეიქნა. მათ ერთმანეთს თანამშრომლობაც კი გაუწიეს გარკვეულ ეტაპზე.

პაოლო იაშვილის ლექსი „მწვერვალებიდან“, რომელიც დაიბეჭდა 1934 წლის „მნათობის“ მე-7 ნომრის პირველივე ფურცლებზე, იკვეთება პოეტის გადაწყვეტილება, რომ ახალ დროებას უნდა აუწყოს ფეხი, ეს უნდა აკეთოს არა ძალდატანებით, მწუხარედ, არამედ, ხალისით შეხსნას და წეროს პოეტური „მარგალიტები“:

> ალბათ, ეს არის ჭაბუკური სულისკვეთება,
> რომ წვიმის დღესაც ჩემი ზეცა მწუხარე არ ჩანს,
> ასე მახარებს უბადრუკი კუბოს კეთებაც,
> როცა ოსტატი მას უმატებს მხიარულ ფარჩას.
>
> *(იაშვილი 1934:4)*

თუმც, უკანასკნელი სტრიქონების ტრაგიკულ-გროტესკული ტონი, შესაძლოა, სულაც საპირისპიროს ამტკიცებს. საგულისხმოა, როგორც კუბოს არსს ვერ შეცვლის ამაზრზენად „მხიარული ფარჩა“, ვერც საბჭოთა ტერორს „მოჰბანს პირს“ პოეტური დითირამბები.

პაოლო ამ პერიოდში ენერგიულად და დამაჯერებლად გაიძახის, „ყველგან სიცოცხლის ქადაგებად უნდა ჩავებათო“ (იაშვილი 1934:4)[9].

დღეს საზოგადოებას სჯერა, რომ საბჭოთა წნეხმა გასრისა უამრავი შემოქმედი, მათ შორის, პაოლო და ტიციანი და არც ტყუის, რადგან აშკარაა, „კუბოს კეთებას“ ჰგავდა მაშინ

საბჭოთა ლიტერატურის შექმნა. ცხადია, მათ ეს არჩევანი გააკეთეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ან არ დაწერდნენ და დაელოდებოდნენ განაჩენს, ან 1937 წლამდე დადგებოდა გარდაუვალი სინამდვილე. სხვა განსჯის საკითხია, ვის მოეწონება, ვის – არა, ვინ თანაუგრძნობს და ვინ – არა, ამით ფაქტებს ვერ შევცვლით.

საინტერესოდ აფასებს მწერლებს მალაქია ტოროშელიძე კრიტიკულ წერილში „საბჭოთა ლიტერატურა“: რევოლუციამდე კონსტანტინე გამსახურდიას უმნიშვნელო ფიგურად აცხადებს, რომელიც რამდენიმე მდარე ლექსში გამოხატავდა მტრულ დამოკიდებულებას პროლეტარული დიქტატურისადმი, ხოლო შემდგომ წლებში იგი აქტიური შემოქმედებითი ძალა გახდა ახალი იდეოლოგიის წინააღმდეგ. წიგნებით „ტაბუ“, „დიონისოს ღიმილი“ და სხვა მისი გოდება წარსულ, ბურჟუაზიულ კლასს უკავშირდება, არქაიზმებით არის სავსე პროდუქცია, გაჟღენთილია „მომაკვდავი სამყაროს სურნელებით“ (ტოროშელიძე 1934: 271-295), თუმცა, 1930-იან წლებში მას უკვე დაეტყო ძველთან გამიჯვნის „სიმპტომები“.

რაც შეეხება მიხეილ ჯავახიშვილს, მას ტოროშელიძე „საბჭოთა ლიტერატურის მნიშვნელოვან ფიგურად“ თვლის. მან პოპულარობა მოიპოვა ავანტიურისტული ჟანრის რომანით „კვაჭი კვაჭანტირაძე“, განსაკუთრებული რეზონანსი მოჰყვა „ჯაყოს ხიზნებს“, რომლის თემატიკა აღებულია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პერიოდიდან, გამოკვეთილია ინტელიგენციის ბედი, ინტელიგენტი თეიმურაზი არის ერთი ლაყაფი, უმაქნისი არსება, რომელმაც თავისი ადგილი ახალ დროებაში ვერ იპოვნა, დაფრთხა და ცხოვრებისგან გარიყული დარჩა. ჯაყომ კი მოახერხა გამოეყენებინა რევოლუციის მონაპოვარი და კიდეც მისცა გზა თავის კულაკურ მისწრაფებებს. თუმცა, ტოროშელიძე ავტორს რომანის წუნად უთვლის იმ გარემოებას, რომ აქცენტს მხოლოდ ერთი ინტელიგენტის დრამაზე აკეთებს და მთელ კლასს არ აპარტახებს. მას უნდა ეჩვენებინა დიფერენციაციის პროცესი და აგრეთვე, იმ ინტელიგენციის „საუკეთესო“ ნაწილის საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობა. კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ პროლეტარულ რევოლუციაში გლეხობის

როლიც არასწორად ასახა მწერალმა. მოკლედ, არ ჩანს პროლეტარიატის მოკავშირეობა, რასაც მნიშვნელოვან შეცდომად უთვლის, თუმცა რევოლუციით დამფრთხალი ინტელიგენციის უბადრუკობა გულს ფხანს საბჭოეთის მეხოტბეებსა და მოამაგეებს. „სწორედ ამ რომანმა შეუქმნა მიხეილ ჯავახიშვილს რევოლუციის „თანამგზავრის“ რეპუტაცია. ამის შემდგომ მიხეილ ჯავახიშვილი რადიკალურად ემიჯნება პროლეტარიატს და გადადის მემარჯვენე ბანაკში. თვალსაჩინო ადგილს იჭერს ანტიპროლეტარულ მწერალთა რიგებში („გივი შადური“). მას აშკარად ემუქრებოდა საფრთხე, გადაქცეულიყო ბურჟუაზიულ მწერლად, მაგრამ მწერალმა შეიგნო, თუ საით მიჰყავდა იგი ასეთი განვითარების ლოგიკას. ორ-სამ-წლიანი დუმილის შემდეგ, მან დაიწყო ახალი რომანის, „არსენა მარაბდელის“ ბეჭდვა, რაც დასტური იყო იმისა, რომ ჯავახიშვილი დაადგა პროლეტარიატის იდეურ პოზიციებთან დაახლოების გზას. ის საბოლოოდ დაშორდა წარსულის იდეალიზაციას და გათავისუფლდა ნაციონალისტური იდეოლოგიისაგან“, – წერს მალაქია ტოროშელიძე (ტოროშელიძე 1934:277-281).

მემარჯვენეთა ნაკადიდან ტოროშელიძის ყურადღებას იპყრობენ სანდრო შანშიაშვილი (დრამატურგი), ალექსანდრე აბაშელი, რომელთა მთავარი „ნაკლი“ დაკარგულ დიდებაზე ვაებაა. უჩივის „ცისფერი ყანწების“ სკოლის წარმომადგენლებს, რომლებმაც დანერგეს მისტიციზმის ტენდენციები, ბოჰემის, ალკოჰოლისა და ეროტიკის კულტი. თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ „ამ სკოლამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განიცადა მკვეთრი დიფერენციაცია და „ცისფერყანწელთა“ უმეტესობისგან მიიღეს ნამდვილი საბჭოთა მწერლები“ (ტოროშელიძე 1934:288), საბჭოური კრიტიკის თვალსაზრისით, „ცისფერყანწელთა“ ძირითადი პოეტური აქტივი, კერძოდ, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ნიკოლო მიწიშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, გიორგი ლეონიძე, კოლაუ ნადირაძე განუწყვეტლივ მუშაობენ საბჭოთა პოეზიის დარგში, თუმცა, სამწუხაროდ, კვლავ რჩებიან ლიტერატურული თანამგზავრის მდგომარეობაში, რადგან ვერ შეძლეს აბსოლუტური უარყოფა სიმბოლისტური მახასიათებლებისა. განსაკუთრებით ვერ შეძლო გამიჯვნა პაოლო იაშვილმა, ტიციან

ტაბიძემ, ვალერიან გაფრინდაშვილმა, კოლაუ ნადირაძემ, გიორგი ლეონიძემ. გარდაქმნის სიძნელე განსაკუთრებით ემჩნევა ნიკოლო მიწიშვილს („ეპოპეა"). მათი შემოქმედება მერყევი ინტელიგენციის განწყობას ვერა და ვერ დაშორდა. „როგორც მოქალაქე აწმყოში ვარ, როგორც პოეტი – მთლიანად წარსულშიო" – ასე ახასიათებს თავის მდგომარეობასა და როლს რევოლუციაში ნიკოლო მიწიშვილი

საბჭოეთი იმედს ამყარებდა პროლეტარულ ავანგარდზე. მართალია, ისინი გაიზარდნენ ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული ლიტერატურის გარემოში, მაგრამ შემოქმედებითი სადავეები იგდეს ხელთ და დაუპირისპირდნენ მანამდე არსებულ ლიტერატურულ სკოლებსა და მიმდინარეობებს. ასეთ „სახელოვან" პროლეტარულ ლიტერატურას ქმნიდნენ სანდრო ეული, იონა ვაკელი, ალიო მაშაშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, კარლო კალაძე, ფრიდონ ნაროუშვილი, ბესარიონ ჩხეიძე, ირაკლი აბაშიძე, ალექსანდრე გომიაშვილი, კალე ბობოხიძე და სხვანი (ტოროშელიძე 1934: 288)*.

„მნათობის" სარედაქციო კოლეგიას წარმოადგენდნენ: ირაკლი აბაშიძე, ნოე ზომლეთელი, ნიკო ლორთქიფანიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, გრიგოლ მუშიშვილი, შალვა რადიანი. გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, ლეო ქიაჩელი, პანტელეიმონ ჩხიკვაძე, დემნა შენგელაია. იმ დროისათვის რედაქციის მისამართი იყო მაჩაბლის ქ.13, მწერალთა სასახლე, რომელიც ეგნატე ნინოშვილის სახელობისა იყო. ეს სია მოწმობს მნიშვნელოვან ფაქტს, რომ მოახლოებული 1937 წლის წინა პერიოდში საბჭოთა მწერლობის, როგორც მემარცხენე, ასევე მემარჯვენე ფრთის მწერლები გაერთიანებული იყვნენ კონკრეტული მიზნით და ეს მიზანი გაპირობებული იყო სხვადასხვა გარემოებით:

დიქტატორული რეჟიმის უპირობო მოთხოვნა – ყველა ფრთა ერთი იდეით გაერთიანებულიყო;

მწერალთა საერთო ინტერესები; მათი შემოქმედების პოპულარიზაციისთვის „მნათობი" საუკეთესო საშუალება იყო;

მემარჯვენეთა ლოიალობა (თვითგადარჩენის მიზნით);

ცხოვრების უკეთესობისაკენ შეცვლის იმედით ახალი რეჟიმის მიმართ მემარჯვენეთა რწმენა და მოლოდინი.

აღნიშნულ თემას ერთგვარად აგრძელებს „მნათობში“ (1935. N4) გამოქვეყნებული გრიგოლ რობაქიძის კონტრრევოლუციონერად მხილებასა და დევნასთან დაკავშირებული განცხადება ოთხი „ცისფერყანწელის“ ხელმოწერით, კერძოდ, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, ნიკოლო მიწიშვილი და ტიციან ტაბიძე.

გიორგი ლეონიძე ერთ უსათაურო ლექსში ამბობს:

ვიგრძენ მე ბევრი უნდა მეომა,
რომ გავმხდარიყავ ხალხის ნაღარა...
ვიგრძენ...ეს ჩირაღდანი ჩემი გულისა
საით მიუშვა, ვის მივანათო!

(ლეონიძე 1935:46)

გასაგებია, რომ პოეტი შემოქმედებითი იდეალით ჩიხში მოექცა და მან აირჩია ის გზა, რომელიც გარემოებით იყო ნაკარნახევი. მისი გულის ჩირაღდანი სტალინსა და მის რეჟიმს უნათებდა გზას.

შალვა რადიანის თქმით, გიორგი ლეონიძე, მიუხედავად იმისა, რომ ყოფილი „ცისფერყანწელია“, მივიდა რევოლუციასთან, მაგრამ ჯერ კიდევ „შორსაა ბრძოლის ხმაურისგან, იგი ძალზე სუსტად იბრძვის ახალი, საბჭოთა თემების დასაუფლებლად... „ხალხის ნაღარად“ გახდომას ბრძოლა სჭირდება, მან ორგანულად და მთელი სისრულით უნდა აითვისოს ეპოქის იდეები, ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ლეონიძის ლექსი სტალინზე (რადიანი 1935:207).

კითხვაზე პასუხი თითქოს გასცა გიორგი ლეონიძემ, ძველი შეხედულებების მსხვრევა „ბევრ ომს“ ითხოვდა, ეს დაძლია და ხალხის აზრისა და ფიქრის გამხმოვანებლად იქცა, „გულის ჩირაღდანი“ კი საბჭოეთს მიაშუქა. ლოგიკურად, ამავე იდეას ემსახურებიან ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი და ნიკოლო მიწიშვილი, როცა ძველ იდეალებს ბრძოლას უცხადებენ.

შალვა რადიანი საუბრობს სიმბოლისტი გალაკტიონის გასაბჭოებულ პოეზიაზე. მის კრიტიკულ შეფასებაში არ ჟღერს სამდურავი, საყვედური ან ეჭვი იმის გამო, რომ გალაკტიონი არასაიმედო მწერლად შეფასდეს.

„პროლეტარული რევოლუციის განვითარებასთან, მის მაღალ საფეხურზე ასვლასთან ერთად, გალაკტიონ ტაბიძე უფრო და უფრო ძლიერად სძლევს თავის თავში წვრილ-ბურჟუაზიულ-ინდივიდუალისტურ წარსულს. უკანასკნელ წლებში გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში თითქმის გაჰქრა ავადმყოფურ-დეკადენტური განწყობილებები, რომელიც მისი შემოქმედების პირველ პერიოდს ახასიათებდა... პროლეტარულ რევოლუციასთან ორგანულად მისვლის შემდეგ... გალაკტიონ ტაბიძე მოვლენების გაშუქებას უდგება სრული უშუალობით“ (რადიანი 1935: 205).

„უშუალობა“ უნდა გავიგოთ გულწრფელობად. სწორედ ამ გულწრფელობის აღმოჩენას ემსახურა ჩვენი კვლევაც. ცხადია, არა მხოლოდ გალაკტიონის, არამედ ყველა თანამგზავრის, სიმბოლისტის, „ცისფერყანწელის“ მიმართ. კვლევამ აშკარა კონტურები შემოავლო მათ შემოქმედებით გზებს, გამოამზეურა აქამდე ჩრდილში მყოფი მათი პროლეტარული განწყობის შემოქმედება და ამით მათ შემოქმედებით ბიოგრაფიას მეტი სიცხადე მიანიჭა.

კრიტიკოსი წერილში ეხება გალაკტიონის გარდაქმნის საკითხსაც, იმ თანდათანობით გზას, რომლითაც იგი „გახდა ნამდვილი საბჭოთა პოეტი“ და, რომ ეს უმტკივნეულოდ არ მომხდარა.

შალვა რადიანი საგანგებოდ არ ეხება მთელი რიგი პოეტების შეფასებას და ამას იმით ხსნის, რომ მათ უკანასკნელი წლის განმავლობაში „არ მოუციათ რაიმე თვალსაჩინო, დამახასიათებელი“ (რადიანი 1935:214). ამას ის ამბობს პაოლო იაშვილზე, სანდრო შანშიაშვილზე, ალიო მაშაშვილზე. წერილის დასასრულს ხაზგასმით საუბრობს „კლასობრივი მტრების, სხვადასხვა ჯურის ბურჟაზიულ-კულაკურ, კონტრრევოლუციურ-ტროცკისტულ, მენშევიკურ განწყობილებათა წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობაზე“ (იქვე: 214)» და თვლის, რომ დღის წესრიგიდან ვერ მოიხსნება აღნიშნული საკითხი.

რადიკალურ ცვლილებასა და ახალი ცხოვრების ფერხულში აქტიურად ჩაბმაზე საუბრობენ თვით ბურჟუაზიული მწერლობის წარმომადგენლები. სერგო კლდიაშვილი წერს: „ჩვენმა სინამდვილემ მწერლობა ჩააყენა სრულიად უჩვეულო

პირობებში, ბუნება შეუცვალა მას. ამ მხრივ ჩვენ არ გვყავს წინაპარი, ჩვენი მწერლობა ახალგაზრდაა და ჯანსაღი... ეს მდგომარეობა ახალ მოთხოვნილებას უყენებს მწერლობას და აიძულებს გადაიხალისოს თავისი თავი, თუ მას უნდა კვალი დასტოვოს... ეპოქის სიდიადის შეგნება და მისი გავლენა ძალას მაძლევს დავძლიო ნაკლი და თანამედროვეობის ამსახველი გავხდე" (კლდიაშვილი 1936: 62).

„ოქტომბერმა ქართველ მწერალს ორი-სამი ათასი მკითხველის მაგიერ მოუყვანა ათიათასები... აკაკისა და ილიას, ყაზბეგსა და ვაჟას არ ღირსებია ყველა თავისი თხზულება ცალკე წიგნებად ენახა, ეხლა კი... ამ თხუთმეტი წლის წინად საქართველოში არ ყოფილა არცერთი მხატვარი მწერალი, რომლის საყოფაცხოვრებო მინიმუმი დამყარებული ყოფილიყოს ლიტერატურულ ჰონორარზე. პარტიისა და ხელისუფლების სიუხვე და ზრუნვა ლიტერატურის საქმეების მიმართ ბევრად აჭარბებს იმას, რაც მოსალოდნელი იყო... მკითხველთა რიცხვის ზრდამ, საზოგადოების ყურადღებამ, შრომის დაფასებამ, მთავრობისა და პარტიის ზრუნვამ, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებამ, მწერალში გამოიწვია პასუხისმგებლობის მეტი გრძნობა, გაამახვილა სურვილი, მართლაც ღირსი გახდეს „სულის ინჟინერის" საპატიო წოდების"(ლორთქიფანიძე 1936: 63).

ამ კონკრეტულ ამონარიდში იკითხება მადლიერება, მნიშვნელობა არ აქვს, წრფელია ის თუ ყალბი. კიდეც რომ ვაღიაროთ სიყალბედ, პოზად, ვფიქრობთ, არაფერი შეიცვლება ამით.

„საბჭოთა მწერალი იმყოფება იდეალურ პირობებში, ეს გარემოება კი მას უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს: საბჭოთა მწერალს ისტორიამ მეტად დიდი და საპატიო როლი მიაკუთვნა სოციალიზმის მშენებლობაში, მის მიმართ დიდ მზრუნველობას იჩენენ პარტია და ხელისუფლება, მაშასადამე, მას ბევრიც მოეთხოვება" (აბაშელი1936· 67).

„მნათობში" დაბეჭდილი მადლიერების წერილები რამდენიმე საკითხზე დაგვაფიქრებს. შესაძლოა ურთიერთგამომრიცხავი იყოს ეს მიდგომები, მაგრამ აზრთა სპექტრი დაახლოებით ასე გამოიყურება:

– მწერლებს ცენზურა ავალდებულებდა ამგვარი განწყობილების წერილების წერას;

– მწერლები რეალურად ცდილობდნენ, კარგი დაენახათ ახალ დროებაში;

– თვითგადარჩენისთვის ამგვარ ხერხს – თვალთმაქცობას მიმართავდნენ;

მართლაც, მადლიერნი იყვნენ ახალი პირობების გამო.

ამ ლოგიკას ეხმიანება გალაკტიონ ტაბიძის „ლექსი განახლებულ ქვეყანაზე“:

დრომ კი ძველი მალარიით
მოშხამული ატმოსფერა,
ახალ ჩაით, ახალ იით,
ახლად გააოქროსფერა.

(ტაბიძე 1936:69)

ვალერიან გაფრინდაშვილი ბელადის ძალასა და მნიშვნელობას ასხამს ხოტბას:

დღეს მისი სიტყვა, მისი სახელი,
ჩვენი ცხოვრების არის მჭედელი...
ეს ოცნებაა ყველა პოეტის –
ასახონ იგი ვით თვალი ნატვრის
და შთაგონება მთელ საბჭოეთის.

(გაფრინდაშვილი 1936: 69)

უმძიმეს 1937 წლამდე ერთი წლით ადრე ტიციან ტაბიძე ლოცვას აღავლენს სტალინზე:

ასე ვიფიცავთ მის მზეს და მთვარეს
და დაულოცავთ მას მშობელ დედას,
ჰყვაოდეს ჩვენი საბჭოთა მხარე,
სანამდის სტალინს დიდ ბურჯად ხედავს.

ასეთი განწყობით გაჯერებული იყო როგორც პუბლიცისტიკა, ასევე პროზა და პოეზია რეპრესიების მიჯნამდე. ძნელი სათქმელია, მწერალთა ღირსეულ ნაკადში შიშმა შვა ყველა ეს პროლეტარული ლექსი და საზოგადოდ, პროლეტარული შინაარსის შემოქმედება, თუ რეალური რწმენა და მოლოდინი

აწერინებდა მათ ამგვარ ნაწარმოებებს. ერთი რამ აშკარად გამოიკვეთა – ყველამ შექმნა ბელადზე ნაწარმოები, ლექსი, პოემა, მოთხრობა ან რომანი. ქართველი კაცის ღირსებიდან გამომდინარე, ასეთ უღირს ნაწარმოებებს მწერლებს აქმნევინებდათ არა სიკვდილის შიში, არამედ პირადი და ოჯახის წევრთა ღირსების შელახვის მუქარა (რაც სიკვდილზე უარესი განაჩენია), იგივე წაიყვანდა მათ ამგვარ კომპრომისზე.

დადგა 1937 წელი. რა იყო ამ დროისთვის გარკვეული, როგორ დაიწყო და როგორ მივიდა რეპრესიებამდე სტალინური რეჟიმი. „მნათობის" ფურცლებზე ვხვდებით ზოგადი შინაარსის მიმართვების ციკლს. მაგალითად, N1-ში გამოქვეყნდა „საქართველოს საბჭოთა მწერლების მიმართვა ამხ. ლავრენტი ბერიასადმი", სადაც საბჭოთა მწერლების კოლექტივი აღშფოთებას გამოხატავს „სისხლიანი აგენტების, გაცოფებული ბანდიტებისა და დივერსანტების უსაზიზღრეს მოღალატურ ბოროტმოქმედებათა გამო", რაშიც უდავოდ გულისხმობენ „ტროცკი-გესტაპოს სისხლიან ტერორს, ჯაშუშობას, მავნებლობას შავბნელი ზრახვების განსახორციელებლად", სიკვდილისთვის ჰქონდათ მომიზნებული მახვილი სტალინისა და მის თანამებრძოლთა. კერძოდ, ლავრენტი ბერიასაკენ (გულისხმობს სტალინის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობას (მ.კ). „...ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა მართლმსაჯულების თვალს ვერ დაემალება ხალხის ვერც ერთი მოღალატე ქვეწარმავალი. ჩვენ მოვითხოვთ აღიგავოს პირისაგან დედამიწისა ჩვენი სამშობლოს მოღალატეთა ბანდის ყოველი მონაწილე". მიმართვას ხელს აწერს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმი („მნათობი" 1937: 31-34).

მიმართვა აშკარა გამოხატულებაა დიდი პროცესის, ე. წ. „წმენდის" დასაწყისისა. მწერალთა მიტინგზე სიტყვით გამოსვლისას სოციალისტური სამშობლოს მოღალატეების მიმართ გამოტანილ განაჩენს დადებით შეფასებას აძლევს პავლე იაშვილი: „უსაზღვროა მთელი ქართველი ხალხის კმაყოფილება ამ ერთადერთი სამართლიანი განაჩენის გამო... კაპიტალიზმის რესტავრატორები, ჩვენი ქვეყნის მოსისხლე მტრები, ბუდუ მდივანი, მალაქია ტოროშელიძე და სხვები მონაწილეობდნენ დიდი ბელადის, სტალინისა და მისი გა-

მობრძმედილი ერთგული მოწაფის ამხანაგ ლავრენტი ბერიას საწინააღმდეგო ტერორის ორგანიზაციაში. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ მთელ ქართველ ხალხთან ერთად ზიზღი და კრულვა შეუთვალოთ მათ და მოვითხოვოთ დასჯა ისე, როგორც ხალხის დაუძინებელ მტრებს და სამშობლოს მოღალატეებს შეეფერება" (მნათობი 1937: 34), ტიციან ტაბიძე კი აცხადებს: „საბჭოთა სასამართლომ გამოუტანა სამართლიანი განაჩენი მავნებლების, ჯაშუშების და კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ ბანდას, სასამართლოს განაჩენი – განაჩენია ხალხისა, რომელიც დაუნდობელია თავისი მოსისხლე მტრების, სოციალისტური სამშობლოს გამცემლებისა და გამყიდველების მიმართ. ასეთივე სისასტიკით უნდა დაისაჯონ კონტრრევოლუციური ტროცკიზმის ქართველი ნაბოლარები" („მნათობი" 1937: 31). მიტინგზე ტიციან ტაბიძის გამოსვლასთან დაკავშირებით ლაშა ბაქრაძე ცნობილ „დისკუსიებში", რომელიც დაცულია „საბჭოთა კვლევის ლაბორატორიაში", წერს: „როცა ამას კითხულობ, ხვდები, რა ისტერიკა იყო, რა დღეში იყვნენ მწერლები, რას განიცდიდნენ. მიტინგზე, რომელიც თბილისში სასწრაფოდ გამართეს მას შემდეგ, რაც მოსკოვში, 31 იანვარს, მემარჯვენე ტროცკისტული ჯგუფის განადგურების შესახებ გამოცხადდა... ხვდები, რა მძიმე მდგომარეობა იყო და არ ფიქრობ, რომ ტიციან ტაბიძე ისეთივე ნაძირალაა, როგორიც, მაგალითად, ლავრენტი ბერია. ამ საკითხებს ძალიან სათუთი მოპყრობა სჭირდება და არ შეიძლება მათზე მხოლოდ გაკიცხვის ტონით ვისაუბროთ (ბაქრაძე 2011: 8). ლაშა ბაქრაძე კატეგორიულად მიჯნავს ტიციან ტაბიძეს ნაძირალა ბერიასგან და ეს ერთმნიშვნელოვნად ასეა. ტიციანს ინსტინქტი ალაპარაკებს, ის სიკვდილის განაჩენის წინაშე დგას და ბუნებრივია, იბძვის გადარჩენისთვის, ამიტომაც მიმართავს მიუღებელ ფორმას, დავეთანხმებით ბაქრაძეს, მაგრამ გავიმეორებთ, რომ ტიციანისა და მისი მეგობრების „ისტერია" ეპოქის სიმძაფრეს უსვამს ხაზს, მარტო ბიოგრაფიისა და შემოქმედების ერთ სიბრტყეზე განთავსება, რომელიც პარადოქსულ სურათს გვაძლევს, საინტერესო მასალაა ისტორიული პერიოდის გასაანალიზებლად.

ყურადღებას იქცევს მიტინგზე ვალერიან გაფრინდაშვილის

გამოსვლა: „ტროცკისტები ლამობდნენ მოესპოთ საბჭოთა ადამიანის დიდი უფლება შრომაზე, განათლებაზე, დასვენებაზე, ცდილობდნენ აღედგინათ კაპიტალიზმი მთელი თავისი საშინელებით“ (გაფრინდაშვილი 1937: 32).

ალექსანდრე აბაშელის თქმით, „ლენინ-სტალინის ნაციონალურმა პოლიტიკამ უზრუნველჰყო საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის კულტურული ბრწყინვალე განვითარება, რომელიც წარმოუდგენელია სხვა რომელიმე წყობილების დროს და რომელზედაც ვერ იოცნებებდა ვერც ერთი ქართველი გულწრფელი პატრიოტი. საბჭოთა ხელისუფლებამ ქართველ ხალხს მისცა დიდებული აწმყო, მის წინ არის კიდევ უფრო დიდებული მომავალი“ (აბაშელი 1937: 33).

„დეე, იცოდნენ ფაშისტებმა, – აცხადებს ამხ. გიორგი ლეონიძე... რომ ჩვენი ქვეყნის მშრომელნი შეკავშირებულნი და შედუღებულნი არიან ერთი ნებისყოფით, ერთი მისწრაფებით განაგრძონ სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობა და ამ თავის დიად მისწრაფებაში მუდამ დღე მზად არიან გამანადგურებელი რისხვა დაატეხონ ყველას, ვინც თავის სისხლიან ხელს აღმართავს საბჭოთა ქვეყნის ხალხთა თავისუფლების და ბედნიერი ცხოვრების წინააღმდეგ“ (ლეონიძე 1937: 34).

ბოლო გამომსვლელი იყო ბესო ჟღენტი (ფუტურისტთა მანიფესტის ავტორთაგანი, სოციალისტური რეალიზმის მადიდებელი, კრიტიკოსთა-კრიტიკოსი და უპირველესი ცენზორი), რომლის მოწოდება ასე გაჟღერდა: „საბჭოთა რევოლუციური სიფხიზლის მთელი სიმახვილით გამოვამჟღავნოთ და აღმოვფხვრათ ქართული მწერლობის სინამდვილიდან ამ მახინჯ და მავნებლურ მოვლენათა უკანასკნელი ნაშთები“ (ჟღენტი 1937: 36-39).

მიმართვაში დამაფიქრებელია პროლეტარიატის ინტერესების გამომხატველი და საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობაში ჩართული „ცისფერყანწელების“ გამოსვლები. რას ემსახურებოდნენ ისინი? მათი „მგზნებარე“ მოთხოვნა თუ იმასვე ემსახურებოდა, რასაც პროლეტარი მწერლებისა, მაშინ საფუძველს მოკლებულია საზოგადოების გამამართლებელი ფრაზები: „სხვა გზა არ ჰქონდათ!“ მათ ტრიბუნა დაიკავეს და თავიანთი სიტყვით მასებზე იმოქმედეს.

ლიტერატურის ისტორიას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ მწერლობა ყოველთვის ემსახურებოდა ხელისუფლებას, რაიმე იდეოლოგიას, პოლიტიკური ცხოვრებისგან აბსოლუტურად თავისუფალი მწერლობა თითქმის არ იძებნება ქართულ მწერლობაში. ცხადია, მით უმეტეს, ვერც საბჭოთა პერიოდის მწერლობა იქნებოდა სრულიად თავისუფალი და დადგენილ ყალიბს მკვეთრად აცდენილი. ლიტერატურა შესანიშავი იდეოლოგიური იარაღია, თვით მწერალი ან საკუთარი არჩევნით ემსახურება მას, ან იმართება სახელმწიფოს მმართველი ან მემარცხენე ძალისგან. დამკვიდრდა ე.წ. „კმაყოფილი მონის“ (გიორგი კეკელიძე) სინდრომი. საბჭოთა პერიოდში თვითცენზურას მიმართავდნენ საუკეთესო მწერლები, მათი პროტესტი – ძალიან ზერელე ნარატივით გამოიხატებოდა, იგრძნობოდა ქსენოფობია, რამაც ერთგვარი „კოლაბორაციონიზმი“ ჩამოყალიბდა მემარჯვენე და ცენტრისტულ ძალებს შორის.

1937 წლის „მნათობის“ მესამე ნომერი იწყება პაოლო იაშვილის პოემით „გზა მშვიდობისა“ და აქვეა დაბეჭდილი ტიციან ტაბიძის ლექსი „ლექსის დაბადება“, რომელიც ეხმიანება პოეტის დამოკიდებულებას მწერლური ვალდებულებისა და პასუხისმგებლობის მიმართ: „არც ერთი სიტყვა არ დამცდენია, მხოლოდ იმისთვის, ლექსი რომ მეთქვა...“ (ტიციანი 1937:19). ის ლექსს „ხალხის სალამურად“აცხადებს და „თაფლის სანთელს“ ადარებს, რომელმაც უნდა „გაანათოს მთელი ქვეყანა“. ლექსი 1936 წელს არის დაწერილი, თუმცა „მნათობისთვის“, კვლავ აქტუალურია ტიციანის შემოქმედება 1937 წლის მარტის თვეშიც, სტალინის მოხსენება საკ.კ.პ. ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1937 წლის 3 მარტს წარმოადგენს სერიოზულ მუქარას ე.წ. „მავნებლების“ მიმართ, რომლებსაც, როგორც ბელადი ბრძანებს, „პარტიული ბილეთი გააჩნიათ, ატყუებენ ადამიანებს პოლიტიკური ნდობის წყალობით“ (სტალინი 1937:19). აშკარაა, „ფარისეველთა“ რიცხვს მიაკუთვნეს „მომიტინგე“ პაოლო, ტიციანი და სხვები. სტალინი ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისთვის აუცილებლობად მიიჩნევს „უდარდელობასთან“ ბრძოლას.

კრიტიკოსი ვანო წულუკიძე წერილში „ისტორიული დადგენილების ხუთი წლის თავი და ქართული საბჭოთა მწერლობა“, საუბრობს „ცისფერყანწელებზე“ და ამბობს: „ცისფერყანწელები“, მართალია, დღეს აღარ გამოდიან ერთმანეთის ხოტბა-დიდებით, მაგრამ ჯერ არა ყოფილა შემთხვევა, რომელიმე მათგანს საჯაროდ ემხილოს და გაეკრიტიკებინოს თავისი ყოფილი კორპორანტის ლიტერატურული შეცდომები და მარცხი... ასევე დაუნდობლად გასაკრიტიკებელია და დასაგმობი ზოგიერთი მწერლის (პავლე იაშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილის, ნიკოლო მიწიშვილის და სხვ.) კავშირი იმ პირებთან, რომლებიც ხალხის მტრები აღმოჩნდნენ, მაგრამ დღემდე ვერ ვხედავთ მათის მხრით ცდას, რომ ეს კავშირი ამხილონ, გამოამჟღავნონ და დაგმონ. უდავოა, რომ მწერალთა ერთ ნაწილს ჯერ კიდევ მტკიცედ ვერ შეუგნია, თუ რა ზიანი მოაქვს ლიტერატურის განვითარებისათვის ჯგუფობრიობის ნაშთებს“. იგივე კრიტიკოსი წერილის დასასრულს ამბობს: „ზოგიერთი მწერალი ცხოვრებას თავისი ოთახის ფანჯრიდან უყურებს, მისი დაკვირვების არე ძალზე შეზღუდულია. ამით აიხსნება, რომ მათ უჭირთ წერა თანამედროვეობაზე და უფრო ეტანება ისტორიულ თემებს“ (წულუკიძე 1937: XLIII-XLVII), ე.ი. ისტორიული თემები წარმოადგენდა გარკვევულ ნიღაბს, თავშესაფარს მწერლობის გადასარჩენად, რაც, აშკარად, არ ხიბლავდა საბჭოთა კრიტიკას და ესეც ბრალდებათა ნუსხის ნაწილად გამოიყენეს. მაგალითისთვის მოვიყვანთ მიხეილ ჯავახიშვილის მოხსენების სტენოგრამიდან ამონარიდს, (წარმოთქმულს საბჭოთა მწერლების კავშირის შემოქმედებით დისკუსიაზე „თანამგზავრობისა და მეკავშირეობის საკითხის შესახებ“) (ჯავახიშვილი 1932: 03.02): „სამართლიანად მისაყვედურეს, დაშორებული ხარ დღევანდელობასო. ამ თვალსაზრისით მივუდექი, რაც ასი წლის წინათ მოხდა“ (ჯავახიშვილი 2005:108), ზემოთქმული თავის მართლებაა, თუმცა მწერალი იქვე დასძენს: „შემოქმედის თავში ხშირად ხდება ხოლმე გაორება... ასეა თუ ისე, მაინც მოვდევ დღევანდელობას და არც ისე ვყოფილვარ მას დაშორებული, როგორც ზოგიერთი ორატორი აგვიწერდაო“ (ჯავახიშვილი 2005;110).

იყვნენ თუ არა მწერლები კონფორმისტები? ზედაპირულად ასე ჩანს, ისინი არსებულ ხელისუფლებასთან, გაბატონებულ შეხედულებებთან, რეჟიმთან დაზავებას ცდილობდნენ, შემგუებლურ ბუნებას ამჟღავნებდნენ. მიხეილ ჯავახიშვილი გალაკტიონ ტაბიძეს სწერს: „ერთმანეთი უნდა გავიტანოთ ყველგან და ყველაფრით, თორემ უპატრონო ქათმებივით შეგვჭამენ. მეტი გზა არ არის, ეპოქის ნაბიჯს უნდა ავყვეთ“ (ჯავახიშვილი 2005;212).

მთელი ეს ნარატივი გვარწმუნებს, რომ მთავრობა, რომელიც ღიად აცხადებდა ტერორს, ამზადებდა „საეჭვო“ მწერლების გაწირვის მყარ ნიადაგს.

ბრალდებებია: „ხალხის მტრობა“; „განაპირება“; „ჯგუფობრიობა“; „მავნებლებთან“ ფარული კავშირები, „დივერსანტობა“, „ჯაშუშობა“, კონტრრევოლუციური ბანდის წევრობა და ა.შ. (ყველა ეს ბრალდება ცნეს სიყალბედ და მოეხსნათ რეაბილიტაციის დროს).

საკითხის უტრირება შეუძლებელია. გავეცნოთ მიხეილ ჯავახიშვილის ქალიშვილის კომენტარს მწერლის რეაბილიტაციის ფაქტზე: „მამა რომ უდანაშაულო იყო, ვიცოდით, მაგრამ ამის თქმა ტრიბუნიდან გახდა საჭირო, რეაბილიტაცია იყო ერთგვარი ბოდიშის მოხდა, გაანადგურეს დიდი მწერალი – ვითომ ტერორისტი, 40 (საქმეებში 240) ქვეყნის ჯაშუში და სამშობლოს მოღალატე“ (ჯავახიშვილი 2005:137), კონტრრევოლუციურ და ჯაშუშურ საქმიანობაში მონაწილეობის ბრალდება ჯავახიშვილს არ დაუმტკიცდა, გაამართლეს, ვერც ერთი დოკუმენტი ვერ დაადასტურებს ჯავახიშვილის ანტისტალინურ, მოღალატურ, ჯაშუშურ საქმიანობას, რაც თავისთავად აჩენს კითხვას: მაშ, ჯავახიშვილი რატომ გახდა სასტიკი განაჩენის მსხვერპლი?! საბჭოთა სახელმწიფომვე მოახდინა მისი რეაბილიტაცია, ეს იყო „დათბობის ხანა“, გასაგებია, მაგრამ ჩვეულებრივი გაგებით ჯავახიშვილი იყო თუ არა კონტრრევოლუციონერი? ამ კითხვაზე პასუხი ერთმნიშვნელოვანი იმ შემთხვევაშიც ვერ იქნებოდა, შსს მასალა რომ გვედოს თვალწინ. საფუძვლად გვრჩება: რეჟიმის მესვეურთა დაუნდობელი დამოკიდებულება „არასანდოდ“ მიჩნეულთა მიმართ; მწერლის მამხილებლური შემოქმედება; მემკვიდრის გულწრფელი სიხარული, რომ „მამა უდანაშაულო იყო“.

ლავრენტი ბერია საქართველოს ბოლშევიკების X ყრილობის შედეგების შეჯამებისას ამბობს: „საქართველოს მწერალთა, პოეტთა და ხელოვნების მუშაკთა დიდი უმრავლესობა წარსულში ანტისაბჭოურად იყო განწყობილი და აქტიურად იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ამჟამად... ლიკვიდირებულია ანტისაბჭოთა დაჯგუფებები და მიმდინარეობანი, რომლებიც არსებობდნენ საქართველოს მწერალთა, მხატვართა და პოეტთა შორის“ (ბერია 1937:9).

ლავრენტი ბერიას მუქარა ცხადია: „დაე, იცოდნენ მტრებმა, რომ ყველა, ვინც შეეცდება აღმართოს ხელი ჩვენი ხალხის ნება-სურვილის წინააღმდეგ, ლენინ-სტალინის პარტიის ნება-სურვილის წინააღმდეგ, – შეუბრალებლად იქნება გასრესილი და მოსპობილი.“„მაგალითად, პავლე იაშვილმა, რომელიც უკვე 40-ზე მეტი წლისაა, დროა ჭკუა ისწავლოს. სიკეთე არ მოჰყვება მის ნავარდს ლომინაძისგან ჯიქიასკენ და, ბოლოს, ელიავას კლანჭებში.

ზედმეტი არ იქნება სერიოზულად ჩაუფიქრდნენ თავის საქციელს აგრეთვე გამსახურდია, ჯავახიშვილი, მიწიშვილი, შევარდნაძე და კიდევ ზოგიერთები...“ (ბერია 1937:20).

ლავრენტი ბერია კატეგორიულად მოითხოვს მწერლებისგან საბჭოთა ხელისუფლების, სოციალისტური სამშობლოს, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულებას, გულწრფელობას, „გულმართლობას“ ნაწარმოებებში. მათი შემდგომი საქციელი, თუ რამდენად სწრაფად გარდაიქმნებიან და დაგმობენ წარსულ საქმეებს, განსაზღვრავს საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულებას მათდამი.

„ფაშისტური ოხრანკის აგენტებად, მოღალატეებად და გამცემლებად“ მოიხსენიებს ლ. პ.ბერია მწერლებს: მ. ჯავახიშვილს, ტ. ტაბიძეს, რუსთველის თეატრის ყოფილ დირექტორს ს. ახმეტელს. მათ ადანაშაულებს დივერსიულ-მავნებლური, ძირგამომთხრელი მუშაობის გაწევაში, პარტიისა და მთავრობის წინააღმდეგ ტერორისტული აქტების ორგანიზებაში, ჯაშუშობასა და კონტრაბანდის მიმოტანაში, ნატახტარის წყალსადენის მოწამვლაში, მუცლის ტიფის გამომწვევი ბაქტერიების გავრცელებაში... საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებმა ყველა ისინი შეიპყრეს, გაანადგურეს და მოსპეს. მთელი ქართველი ხალხი

ზიზღითა და კრულვით იხსენიებს მათ" (ბერია 1937:14). ბერიას თითქმის ყოველ წინადადებას მქუხარე ტაშით ხვდებოდა დამსწრე საზოგადოება (ბერია 1937:17).

მისეილ ჯავახიშვილისა და ტიციან ტაბიძისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გარდა, უნდა მივაქციოთ ყურადღება ბერიას განწყობას გიორგი ლეონიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, ალექსანდრე აბაშელის მიმართ. მათ სახელებს ალიო მაშაშვილის, იაკინთე ლისაშვილის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის გვერდით მოიხსენიებს და საბჭოთა მწერლობის აყვავებას მათ დამსახურებად მიიჩნევს (ბერია 1937:16). რას უნდა ნიშნავდეს ეს – რეალური ფაქტის კონსტატირებას, თუ სასურველის რეალურად გამოცხადებას?

რევოლუციის გამარჯვებიდან ოცი წლისთავზე „მნათობის" მეათე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „ოცი წელი", საუბარია პროლეტარ მწერალთა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაზე, რომ „ისინი გამოდიოდნენ ცარიზმის ბრალმდებლად, ბურჟუაზიული მთავრობა მათ მოქალაქეობრივ გამბედაობას ტერორითა და ციმბირით პასუხობდა... რადიშჩევი იქამდე მიიყვანეს, რომ საწამლავი დალია, ეს თვითმკვლელობა როდი იყო, ეს იყო მკვლელობა, ჩაადაევი შეშლილად გამოაცხადეს და სამუდამოდ აუკრძალეს ხელში კალმის აღება, გერცენი საზღვარგარეთ გააძევეს, რილეევი სახრჩობელაზე აიყვანეს, პუშკინი მოჰკლეს, ლერმონტოვიც მოჰკლეს, გრიბოედოვი ასჩეხეს თეირანში, ბელინსკი შიმშილით და სიღატაკით მოჰკლეს, დოსტოევსკის კატორღელის ხალათი ჩააცვეს, ტოლსტოი დასწყევლეს და ანათემას მისცეს, ყმობიდან ძლივს განთავისუფლებულ შევჩენკოს გადასასლება არგუნეს წილად, ჩერნიშევსკი კატორღასა და სამუდამო გადასახლებაში ჩაკეტეს, ილია ჭავჭავაძეს ტყვიით გაუგმირეს შუბლი - ასეთი იყო ცარიზმის ლიტერატურული პოლიტიკა" (ბერია 1937:15-30). განა იგივე არ გააკეთა საბჭოთა ხელისუფლებამ?!

„ნაციონალისტურ-ბურჟუაზიული ელემენტებით აჭრელებულ მწერლობად" მიიჩნევდნენ „ცისფერყანწელებს", „აკადემიურ ჯგუფს", „არიფიონელებს", რომლებსაც კონტრრევოლუციურ გამოსვლებში ამხელდა საბჭოთა კრიტიკა და შესაბამისად, ხელისუფლება. ამ დაპირისპირებას თავისუფლად შეგვიძლია

ვუწოდოთ ანგარიშსწორება, დეტალების ისტორიას აღარ გავყვებით, ჩვენი მიზანია, ვაჩვენოთ, მართლაც ბურჟუაზიული იყო, თუ, უბრალოდ, საბჭოთა სიმტკიცე აკლდათ ხსენებული ჯგუფის წარმომადგენლებს. აქვე წერია შემდეგი: „საუკეთესო ნაწილი ქართული მხატვრული ინტელიგენციისა, მოწინავე მწერლები, რომლებიც ადრე „აკადემიურ ჯგუფს“, „არიფიონს“ და „ცისფერ ყანწებს“ ეკუთვნოდნენ, საბოლოოდ გადაიარაღდნენ იდეურად, თამამად გაემიჯნენ დასახელებული ჯგუფების რეაქციულ მსოფლმხედველობას და ორგანულად შეუსისხლხორცდნენ საბჭოთა სინამდვილეს“. კრიტიკა საუბრობს „მცირე ნაწილზე“, რომელიც შერჩა ნაციონალიზმისა და სიმბოლიზმის ტრადიციებს და „საბოლოოდ გაიხრწნენ ბურჟუაზიულ ნაციონალისტურ ჭაობში. მათ თვალთმაქცობის, ფარისევლობის გზით ხალხის სამგზის წყეული მტრების ბანაკში ამოყვეს თავი. საბჭოთა მწერლობამ ერთსულოვნად გააძევა ეს მოღალატენი თავისი რიგებიდან“ (ბერია 1937:15-30)[9].

საბჭოთა სინამდვილესთან ორგანულად შეგუების პროცესი არ იყო ბუნებრივი. საბოლოოდ რომ მოეგოთ რეჟიმის მესვეურთა გული, ან მოედუნებინათ რეჟიმისავე ყოვლისმხედველი თვალის მუდმივი მზერა, მცირედი გადახრა და შეცდომაც არ ეპატიებოდათ. მნიშვნელოვანია გარკვევა, ჰქონდათ თუ არა „რევოლუციის მონაპოვრის“, „სოციალისტური სამშობლოს“ მიმართ გარკვეული კეთილგანწყობა, მოლოდინი, იმედი და თუნდაც ერთი აგური დადეს საბოლოოდ გაწირულმა მწერლებმა.

ბესო ჟღენტი წერილში „ქართული საბჭოთა პოეზია“ მწერალთა „გადაიარაღებაზე“ ამბობს, რომ „რთულ წინააღმდეგობათა გზით მიმდინარეობდა“. ეს ე.წ. გადაიარაღება განსაკუთრებით გაუჭირდათ „ცისფერი ყანწების“ ბოჰემურ--დეკადენტური ტრადიციის მიმდევრებს. ისინი სოციალისტური სინამდვილისადმი „ცინიკურ და ნიგილისტურ“ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ (ჟღენტი 1937:207-208).

კრიტიკოსი წერს ვალერიან გაფრინდაშვილიზე, რომ იგი დაბრუნდა „ფანტომებისა და ორეულების სამყაროდან“ რეალობაში. ბესარიონ ჟღენტის აზრით, „პოეტის შემდგომი ევოლუცია“ საბჭოური ლიტერატურის შექმნას ემსახურება. ამავე დასს მიაკუთვნებს კრიტიკოსი გიორგი ლეონიძეს, რო-

მელმაც თავისი პოეტური სიმაღლე განსაზღვრა ბელადი – სტალინისადმი მიძღვნილი ახალი პოემით. საბჭოთა პრობას კი ღირსეულად ემსახურება თავისი კალმით კონსტანტინე გამსახურდია, რომელიც დაშორდა რასისტულ-შოვინისტურ შეხედულებებს („დიონისოს ღიმილი“) და მკვეთრი ნაბიჯები გადადგა თანამედროვე რევოლუციური თემებისკენ („მთვარის მოტაცება“), თუმცა რომანი სრულად ვერ პასუხობს გარდაქმნილი, სოციალისტური ყოფის სურათს და მეტად ამახვილებს ყურადღებას ძველ ფეოდალურ არისტოკრატიაზე. ლავრენტი ბერიას თქმით, „თუ კ. გამსახურდიას სურს იყოს საბჭოთა მწერალი, იგი უნდა განთავისუფლდეს თავისი ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული ნაციონალისტური იდეებისაგან და განწყობილებებისაგან, უფრო დაუახლოვდეს ჩვენს სოციალისტურ სინამდვილეს“ (ასათიანი 1937:241).

მოხმობილი მასალა ცხადყოფს რეჟიმის განწყობა-დამოკიდებულებას საბჭოთა მწერლების მიმართ (ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, გიორგი ლეონიძე, გალაკტიონ ტაბიძე, კოლაუ ნადირაძე, ალექსანდრე აბაშელი, მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია და სხვები). სიცხადისთვის გვინდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან შემდეგი:

– ისინი ქმნიდნენ უკვდავ კლასიკურ ნაწარმოებებს;

– ისინი ქმნიდნენ მაამებლურ მწერლობას;

– ისინი იყვნენ გაორებულნი სოციალისტური აღმშენებლობის სხვადასხვა ეტაპზე;

– ისინი მთლიანად ვერ გათავისუფლდნენ დეკადენტური მისწრაფებებისგან;

– ისინი თვითგადარჩენისთვის იბრძოდნენ.

„მერყეობა“, რაც ტოტალიტარული რეჟიმისთვის ისეთივე მიუღებელი იყო, როგორც დაპირისპირება, საბჭოეთის მესვეურთა მოქმედების, მუქარის და დევნის საფუძველს წარმოადგენდა, მაგრამ ჩამოთვლილ მწერლებს, ვფიქრობთ, ახალ დროებაში ფეხის მოკიდების გარკვეული მცდელობა ჰქონდათ. ეს მცდელობა ან აბსოლუტური ზეწოლით იყო გაპირობებული, ან შინაგანი მისწრაფებებით (შესაძლოა ხან ერთი იყო მიზეზი, ხან მეორე (მ. კ)).

მწერლები სულის გამხრწნელ ზეწოლას ეგუებოდნენ. ქმნიდნენ მაამებლურ შემოქმედებას და, ამის პარალელურად იტანჯებოდნენ წინათგრძნობით, რომ „სხვა დრო წამოეწიათ და ალბათ სადმე ჩააძაღლებენ“ (ტაბიძე „სერგეი ესენინს“) ეს პარადოქსია – სიკვდილის შიში არ უნდა ყოფილიყო საბჭოურ ინტერესებზე „გადაიარაღების“ მიზეზი, შესაბამისად, თვითგადარჩენის გარანტიები. საფიქრებელია, რომ

– ან უჭირდათ ძველთან სრულიად განშორება ისე, როგორც ამას ითხოვდა რეჟიმი;

– ან უჭირდათ ახალი იდეოლოგიის აბსოლუტური გათავისება;

– ან „ნიღბის ქვეშ“ ცდილობდნენ ძველი და დასავლური ფასეულობების გადარჩენას.

იქმნებოდა საბჭოეთისა და ბელადის სახოტბო ტექსტები, რომლებსაც კითხულობდა საბჭოთა საზოგადოება და ძნელი იქნებოდა მათთვის შავისა და თეთრის გარჩევა მაშინ, როცა ტრიბუნა ეპყრათ პროლეტარ მწერალთა გვერდით „ცისფერყანწელებს“, „აკადემიურ ჯგუფსა“ თუ „არიფიონელებს.“ ყოფიერებამ განსაზღვრა ცნობიერება. ვინც გარკვევით ვერ მოხაზა შემოქმედებითი თემატიკის კონტურები, გაიწირნენ. თუმც, რეპრესიებმა მეტი ავტორიტეტი შესძინა მათ. კონსტანტინე გამსახურდიას ნათქვამს გავიმეორებთ: „ქვაი ნასროლი უმართებულოდ მათივე კვარცხლბეკად გამოდგა“.

მნიშვნელოვანია ლიტერატურის, როგორც პოლიტიკური იარაღის როლი, მწერლობა პოლიტიკაში და პოლიტიკა მწერლობაში, პრაქტიკულად ერთმანეთის განმაპირობებელი იგივეობა უნდა ყოფილიყო, ასე სურდა სტალინს და მის დამქაშებს (ბერია, ორჯონიკიძე და სხვანი). ოღნავი გადახვევა-გადახრა „წესრიგიდან" ცენზურით იფილტრებოდა. ანუ ხდებოდა ტექსტის სრული გასაბჭოება. ასე იქმნებოდა „საბჭოთა ქართული მწერლობა". ამ პროცესის სურათს გვაძლევს საქართველოს ეროვნული არქივისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო მასალების გაცნობა.

1937 წლის მაისით თარიღდება საქართველოს კომუნისტური პარტიის X ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ლავრენტი ბერიას მოხსენება, რომელიც სხვადასხვა საკითხთან ერთად, ქართულ მწერლობასა და მწერლებს შეეხება.

დოკუმენტში წარმოდგენილია ბერიას დამოკიდებულება საქართველოში არსებული ლიტერატურული გაერთიანებებისადმი, ცალკეული მწერლებისადმი, მათ მიერ გამოცემული ჟურნალ-გაზეთებისადმი, გამოქვეყნებული წიგნებისადმი, ის კონკრეტულ მითითებებსაც აძლევს მწერლებს, გამოსვლას კი შემდეგი აზრით ასრულებს: „როგორც ნახეთ, ქართველ მწერალთა და პოეტთა დიდი უმრავლესობა, რომელნიც წარსულში ანტისაბჭოურად იყვნენ განწყობილები და თავის გარშემო უკმაყოფილო პირები შემოიკრიბეს, ამჟამად აქტიურად მუშაობენ საბჭოთა თემატიკაზე. ბევრმა მათგანმა კარგი ნაწარმოები შექმნა, რომელნიც ითარგმნა საბჭოთა კავშირის ხალხთა ენაზე, მაგრამ ქართველ მწერლებსა და ხელოვნების წარმომადგენლებს შორის არიან ცალკეული პირები, რომლებმაც უნდა გადახედონ თავიანთ ურთიერთობას ქართველი ხალხის მტრებთან – აღნიაშვილთან, ლომინაძესთან, ჯიქიასთან, ელიავასთან და სხვებთან. სერიოზულად დაუფიქრდნენ ამას და თავიანთი ყველა დასკვნა გამოიტანონ, რადგან არავის მივცემთ ნებას ითვალთმაქცოს, ქართველი ხალხი მოატყუოს და საბჭთა მწერლის ან მხატვრის

სახელწოდებას ამოფარებულმა ხალხის მტრებთან ერთად შავი საქმე აკეთოს... საბჭოთა მწერალი პირველ რიგში ის ადამიანი უნდა იყოს, რომელიც ყველაფერს საბჭოთა ხელისუფლებას, სოციალისტურ სამშობლოს, ლენინისა და სტალინის პარტიას მიუძღვნის. მას უნდა უყვარდეს საბჭოთა ხალხი, თავისი საბჭოთა სამშობლო, და ღრმად უნდა სწამდეს მისი ძალა და ძლიერება. ის მართალი და გულწრფელი უნდა იყოს თავის შემოქმედებაში, მან უნდა განამტკიცოს და გააფართოვოს თავის კავშირები მუშათა ფართო ფენებთან.

ჩემ მიერ ჩამოთვლილმა მწერლებმა (პაოლო იაშვილი, გამსახურდია, ჯავახიშვილი, მიწიშვილი, შევარდნაძე...) უნდა იცოდნენ რომ, მათი შემდგომი საქციელი, ის გარემოება, თუ რა სწრაფად გარდაიქმნებიან და დაგმობენ თავის წარსულ საქმეებსა და კავშირურთიერთობებს, განსაზღვრავს ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულებას მათადმი" (სშსს არქივი №14: საქმე №3: ფ. II, აღწ.№11).

საგულისხმოა, რომ საარქივო დოკუმენტებში ისიც კარგად ჩანს, თუ როგორ შეთანხმებულად მუშაობენ ბერია-სტალინთან ქართველი ბოლშევიკი მწერლები, ე.წ პროლეტარი მწერლები. ამის დასტურია ისიც, რომ პაოლო იაშვილს, სანამ ის თვითმკვლელობით დაასრულებს სიცოცხლეს, თავის კაბინეტში ლავრენტი ბერია იბარებს, რომელიც საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანია. ამის შესახებ ვკითხულობთ 1954 წლის 18 მაისით დათარიღებულ სრულიად საიდუმლო წერილში, რომელიც მოსკოვში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვასილ მჟავანაძემ გააგზავნა. ეს წერილი ასახავს იმავე კომუნისტების ეპოქას, როცა ე. წ. რეაბილიტაციის თემა დადგა დღის წესრიგში, საიმისოდ, რომ „ემხილებინათ" „სტალინის რეჟიმი", (და ესეც უკვე ახალი პოლიტიკის ნაწილი იყო) გადახედეს რეპრესირებულთა საქმეს და „დაასკვნეს" მარტივად, რომ მათი ბრალი არ დასტურდება, რომ არც ერთი მათგანი ფაშისტური ორგანიზაციის წევრი არ იყო და კონტრრევოლუციურ საქმიანობას არ ეწეოდა. ამ წერილს დანართის სახით სრულად წარმოვადგენთ, რადგან, კარგად ასახავს მოვლენებს (Центральный Комитет Коммунистической

Партии Грузии. Особая папка. №3Л), სტალინის ეპოქას, ის იმ მოვლენების დინამიკას ირეკლავს, რაც სტალინის ეპოქაში ხდებოდა. ეხება ქართულ ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებს. თუმცა ჩანს, რომ ზემოთ ხსენებული ადამიანების წინააღმდეგ ყველა საქმე „შეკერილია“, პარადოქსი ისაა, რომ, ვინც მაშინ მათ განაჩენი გამოუტანა, იმ „სამეულის“ სამივე ხელმწომწერი, უკვე „ახალმა კომუნისტურმა დრომ“, თავად დასაჯა სიკვდილით. ესეც ეპოქის ნიშანია, რომ არ არსებობდნენ დაუსჯელი ადამიანები და არც არავის უნდა ჰქონოდა განცდა, რომ ის „ხელშეუხებელია“, ხოლო ტიციან ტაბიძე სწორედ ლავრენტი ბერიას უშუალო გადაწყვეტილებით იქნა დაპატიმრებული და დახვრეტილი. ლავრენტი ბერია სტალინთან შეთანხმებით ატარებს რეპრესიებს ქვეყანაში და სწორედ სამწერლო ელიტის განადგურებას ისახავს მიზნად. საგულისხმოა, რომ საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რომელიც ამ პარტიულ წერილს მესამე პირში წერს, მოსკოვისგან, გარდა ამ საზოგადო მოღვაწეების რეაბილიტაციისა, ითხოვს, რომ მათი ნაწარმოებები დაიბეჭდოს: „ასევე ითხოვს, აკრძალვა მოიხსნას ამ მწერლების ნაწარმოებებზე, რათა მომავალში მაინც დაიბეჭდოს.“ -ეს კი მტკიცებულებაა იმისა, რომ კონკრეტულ მწერლებს ფიზიკურად სპობდნენ, და ასევე აპატიმრებდნენ მათ ნაწარმოებებს, რათა მათაც შეეწყვიტათ არსებობა, ანუ ბოლშევიკური პარტიისთვის ადამიანებიცა და მათი ხელოვნებაც თანაბარი საფრთხის შემცველი იყო (ბელქანია 2016:100).

ასევე ეპოქალურია ფრაგმენტი პარმენ ჩხიკვაძის 1937 წლის 21 მაისის გამოსვლიდან, სადაც ის თავის მეგობრებს და კოლეგებს „ამხელს“; მაგალითად, წერს, რომ პაოლო იაშვილს ცნობილი ბოლშევიკი ბუხარინი მფარველობდა და რომ პაოლო იაშვილის ლექსები არ არის პოლიტიკური. იაშვილი უპარტიოა და, მიუხედავად ამისა, საშუალო ლექსს ფრიადზე უფასებენ (სმსს არქივი № 897: ფ. II, აღწერა №1, ს №1,ფურც. 16), ირკვევა, რომ მოსკოვში პოლიტიკური ლობი ჰყავს. ჩხიკვაძე ამბობს, რომ სწორედ იაშვილი იყო, ვინც დაწერა წერილი ქართველი დელეგაციის სახელით და სოლიდაროობა გამოუცხადა ბუხარინს, რადგან ბუხარინი და

იაშვილი იცნობდნენ ერთმანეთს. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ იმ პერიოდში ბუხარინი ხელისუფლების ოპოზიციად ითვლებოდა და მასთან მეგობრობა უკვე დანაშაული იყო. „...ბუხარინი იაშვილს მფარველობას უწევდა. საჭიროა ყანწელებმა სთქვან, თუ რა დამოკიდებულებაში იყვნენ ისინი არა მარტო ქართველ ხალხის მტრებთან, არამედ რუსეთშიც ხალხის მტრის, ბუხარინის მიმართაც. მე ბუხარინს ვებრძოდი თავიდანვე" (საქართველოს შსს არქივი № 897:ფ. II, აღწერა №1, ს №1. ფურც. №38-39). „ყოფილი ყანწელები ყველგან ძვრებიან; მაგალითად, საიუბილეო კომისიებში, რედკოლეგიებში და სხვა. საჭიროა ჩვენ დავუპირისპიროთ მათ მოქმედებას ჩვენი ორგანოს მუშაობა. ჩვენ უნდა ვიყოთ დიდ ლიტერატურულ საქმეთა ინიციატორებად და არა ისინი...". „ყანწელების" ჯგუფის განადგურება უსათუოდ საჭიროა". როგორც ხედავთ, იმ დროს, როდესაც კომუნისტური პარტია ბუხარინს მტრად აცხადებს, იაშვილისადმი წაყენებული ეს ბრალი სრულიად საკმარისი იყო იმხანად, რათა მისი საჯარო მხილება შემდგარიყო. პრაქტიკულად, ჩხიკვაძე იაშვილს, ერთი მხრივ, უნიჭოდ აცხადებს, მეორე მხრივ, კი კომუნისტური პარტიის მტრებთან კოლაბორაციონიზმში სდებს ბრალს და დანარჩენებს მოუწოდებს, რომ, რადგან პაოლო ხალხის მტრებთან მეგობრობს, ისიც ხალხის მტერია და ყველა „ცისფერყანწელიც". ასე ინათლებოდნენ უპარტიო ადამიანები ტროცკისტებად, ჯაშუშებად, კონტრრევოლუციონერებად. ეს იყო ის მარტივი სქემა, რითაც შეიძლებოდა ადამიანი ტრიბუნიდან ეშაფოტზე აღმოჩენილიყო, ან თავი მოეკლა. ყოველ შემთხვევაში, ამ ტიპის გამოსვლების სულისკვეთება გვანახვებს იმ პერიოდში ძალიან ბევრი „გაუგებარი" საქციელის კონტექსტს. ამ გამოსვლას, ბუნებრივია, საბედისწერო შედეგები მოჰყვა. სწორედ ამ შედეგებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ იდეოლოგთა გამოსვლები იყო დროში გაწერილი და გეგმაზომიერად განხორციელებული ქმედება, რომლის შედეგიც წინასწარ იყო გათვლილი. ეს არ იყო კონკრეტულ პირთა ქაოტური სულის ძახილი. ლავრენტი ბერიას მოხსენება წარმოადგენდა გარკვეულ გაფრთხილებას, რომ მწერლებს თავისი ნებით ეთქვათ უარი ჭეშმარიტ ხელოვნებაზე და ან

პარტიის სამსახურში ჩამდგარიყვნენ, ან საერთოდ. ლექსებისა თუ მოთხრობების წერისთვის თავი დაენებებინათ.

1937 წლის 1-ელი ივნისის საქართველოს მწერალთა კავშირის პარტორგანიზაციის სხდომის ოქმში კიდევ ერთი საინტერესო ჩანაწერია: „გვეგონა, რომ ჩვენი მწერლები სერიოზულად დაფიქრდებოდნენ ცეკას პირველი მდივნის, ლავრენტი ბერიას გაფრთხილების გამო. გულწრფელად აღიარებდნენ წარსულ დანაშაულებრივ საქმიანობას და კავშირს კონტრრევოლუციონერებთან. მწერალთა კავშირის სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ მწერლები: იაშვილი, მიწიშვილი, გამსახურდია, მაგრამ მათი გამოსვლით ჩანდა, რომ ლავრენტი ბერიას მოხსენებიდან სათანადო დასკვნები ვერ გამოიტანეს. პაოლო იაშვილმა პირველ გამოსვლაში სამშობლოს მტრებთან კავშირი არ აღიარა და დიდი პოლიტიკური შეცდომა დაუშვა; იგი ეცადა ლამის გმირებად წარმოეჩინა ლომინაძე, ღოღობერიძე, ჯიქია. როცა მას მწერლებმა სიტყვა შეაწყვეტინეს, იძულებული გახდა მეორედ წარმდგარიყო აუდიტორიის წინაშე, თუმცა არც მეორე გამოსვლაში გამოუსწორებია დაშვებული შეცდომა. მცირედ შეეხო სამშობლოს მტრებთან კავშირს. მაგრამ ბოლომდე არაფერი თქვა და სრული სურათი არ წარმოგვიდგინა. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ იაშვილმა იმის მეათედიც არ თქვა, რაც რეალურად იცოდა. დუმილს განაგრძობს კონსტანტინე გამსახურდია და ნიკოლო მიწიშვილიც. არადამაკმაყოფილებელი იყო ზემოთჩამოთვლილი მწერლების გამოსვლაც. ცხადია, რომ მათი კავშირი სამშობლოს მტრებთან შემთხვევითი არ გახლდათ და მათთვის ცნობილი იყო მოღალატეების შავ-ბნელი საქმეები“ (საქართველოს შსს არქივი № 897: ფ. II, აღწერა №1, ს№1. ფურც.56-60). ამ წინადადებებიდან შეიძლება ადამიანმა მთელი სურათი წარმოიდგინოს. აღადგინოს იმ ერთი სხდომის ვითარება, თუ როგორ გამოვიდა პაოლო იაშვილი, ეცადა დაეცვა საკუთარი ღირსება და ღირსება იმ ადამიანებისა, ვის სიმართლეშიც ისევე იყო დარწმუნებული, როგორც საკუთარში. თუმცა, ამ წერილიდან იმასაც ვიგებთ, რომ მას ამის შესაძლებლობას დამსწრე აუდიტორიის დიდი ნაწილი არ აძლევდა. წერილიდან ასევე ვიგებთ, რომ ეს მხოლოდ პაოლო

იაშვილს როდი ეხება. აქ არის საუბარი ტიციან ტაბიძეზე, გიორგი ლეონიძეზე, რომ მათაც „უნდა გამოეტანათ სათანადო დასკვნები“ ბერიას გამოსვლიდან. და რომ ამ აუდიტორიის წინაშე, როგორც ერთგვარ სამსჯავროზე, მიხეილ ჯავახიშვილიც უნდა წარსდგეს (რომელიც იმ დროს მოსკოვში იმყოფებოდა). წერია ისიც, რომ ამ ადამიანებს, რომელნიც ლავრენტი ბერიას მონიშნული ჰყავდა, კიდეც უთვალთვალებდნენ. „მწერალთა კავშირიდან რომელიმე წევრის გარიცხვას თუ გადავწყვეტთ, უნდა გვქონდეს საფუძვლიანი არგუმენტები და ფაქტები. ჩემთვის ცნობილია, რომ ტიციან ტაბიძის ბინაში იმყოფებოდა დივერსანტი აღნიაშვილი. ტაბიძემ ხელშეკრულება გააფორმა მოსკოვისა და ლენინგრადის გამომცემლობებთან, მაგრამ პირობები არ შეასრულა და ჩრდილი მიაყენა საბჭოთა საქართველოს“ (იქვე). ძნელი სათქმელია, რა „პირობის“ სანაცვლოდ გააფორმა ტიციანმა ხელშეკრულება მოსკოვისა და ლენინგრადის გამომცემლობასთან, მაგრამ ფაქტია, რომ ამგვარი მიდგომაც იყო მწერლებთან, ანუ ისინი იმ შემთხვევაში, თუ მორჩილად შეასრულებდნენ პარტიულ მითითებებს, სანაცვლოდ მიიღებდნენ დიდ ქალაქებში საკუთარი ხელოვნების ლეგიტიმაციასა თუ ასპარეზს. ლავრენტი ბერია ხედავს, რომ ზოგთან ამგვარი მიდგომაც არ ჭრის. ბერიას გარკვეულმა „კონსულტაციებმა“ შედეგი არც კონსტანტინე გამსახურდიასთან გამოიღო, რადგან თავად ბერია აღნიშნავს, რომ გამსახურდიას მსოფლმხედველობა ფაშიზმითაა გაჟღენთილი. მისი აზრით, ბოლო ნაწარმოებში – „მთვარის მოტაცება“, ცდილობს, „ფაშიზმს თავი დააღწიოს“, მაგრამ ეს მცდელობა ჯერ კიდევ სუსტია. ბერიას აზრით, თუ გამსახურდიას სურს „იყოს საბჭოთა მწერალი“, ბურჟუაზიულ-კლასობრივი და ნაციონალისტური იდეებისაგან უნდა გათავისუფლდეს. უფრო ახლოს დადგეს ჩვენს სოციალისტურ რეალობასთან და თავისი დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობა საქართველოს მშრომელ ხალხს მოახმაროს“. როგორც ვხედავთ, ბერია ამ ფორმით, რომელიც შინაარსით უნდა იყოს სოციალისტური, პირდაპირ მითითებას აძლევს მწერალს, თუ რა, როგორ და რა აქცენტებით წეროს. მეტიც, ბერია შემოქმედებით პროცესსაც დინამიკაში ადევნებს თვალ-ყურს. ის აძლევს შესაძლებლობას ხელოვანს, ისე გარ-

დაიქმნას, რომ მისი ნაწარმოები ფართო „მოხმარების“ საგნად აქციოს. ამავე დოკუმენტიდან ირკვევა, რომ გამსახურდიას მისცეს შეასაძლებლობა, ამ აუდიტორიის წინაშე თავი ემართლებინა და ემტკიცებინა, რომ ის ჯაშუში არ არის. ძნელი წარმოსადგენია ამ ფაქტების გარეშე საქართველოს უახლესი ისტორია, ლიტერატურისა, თუ ზოგადად, კულტურის ისტორია, რადგან ჩვენ ვხედავთ, როგორ იგეგმებოდა და იმართებოდა კულტურა და ხელოვნება. მწერალთა, ხელოვანთა დასამორჩილებლად მთავარი ბრალდება იყო „სამშობლოს ღალატი“. ვისთვის რა იყო სამშობლო: ქართველი მოღვაწეებისათვის ეს იყო საქართველო, ბოლშევიკებისათვის კი – საბჭოთა იმპერია... ამიტომაც ვფიქრობთ, რომ საბჭოთა საქართველოს მოღალატედ ადამიანის გამოცხადება არ უნდა ასოცირდებოდეს საკუთრივ ნაციონალურ სამშობლოსთონ. საარქივო დოკუმენტების განხილვა ცხადყოფს, რომ ურთულესი იყო ადამიანებს თავი დაეღწიათ ამ ბრალდებებისგან.

ზემოთ ჩამოთვლილი ადამიანები პირადად სტალინისთვის იყვნენ მიუღებელნი. მიუხედავად იმისა, რომ იმავე გამოსვლაში არც იაშვილი, არც ტაბიძე და არც ლეონიძე არ ადასტურებენ, რომ ან ბუხარინს იცნობენ, ან კამენევს, სხდომის ოქმში ჩანაწერია, რომ ზემოთ ნახსენები მწერლების კავშირი სამშობლოს მოღალატეებთან საქართველოს ფარგლებს სცილდება და რომ კონკრეტულად, იაშვილმა თავს უფლება მისცა და ქართველი მწერლების სახელით იკადრა, დაწერა და გააგზავნა წერილი ბუხარინის დასაცავად. მართალია, ხელს მალაქია ტოროშელიძე აწერს, მაგრამ თურმე, აშკარად „იგრძნობა“ იაშვილისა და ლეონიძის ხელწერა, ამით პარტია მიუთითებს, რომ მან კარგად იცის, ვის რა „ხელწერა“ აქვს (საქართველოს შსს არქივი № 897: ფ. II, აღწერა №1, სს№-1, ფურც. 56-60). ვფიქრობთ, რომ შეუძლებელია საბჭოთა ეპოქის შესწავლა ამ დოკუმენტების გამოქვეყნებისა და სახელოვნებათმცოდნეო კონტექსტში გააზრების გარეშე, მით უფრო, რომ არქივი შესაძლებლობას იძლევა ეს დინამიკაში ვნახოთ, მაგალითისთვის გამოდგება მორიგი საარქივო დოკუმენტი, რომელიც უკვე 1937 წლის 2 ივნისით თარიღდება, ანუ 1-ლი ივნისის მოვლენები უკვე ვნახეთ. ახლა

დავაკვირდეთ, თუ რა ხდება მეორე დღეს, როგორ ვითარდება მოვლენები და რა „შედეგზე" გადის პარტია, ისტორიიდანაც ცნობილია, რომ სწორედ 2 ივნისს დააპატიმრეს ნიკოლო მიწიშვილი, ამ დოკუმენტის მიხედვით კი ვიგებთ, რომ მას არა თუ აღიარებითი ჩვენება დააწერინეს, რამდენიმე ზემოთ ჩამოთვლილი მწერლის საწინააღმდეგო ჩვენების მიცემაც აიძულეს. (არქივში ასევე დაცულია 1954 წლის 10 მაისის ე.წ შინ.სახკომის ზედამხედველის ჩვენება (თვითმხილველის დაკითხვის ოქმი), რაც გვაძლევს საშუალებას ზუსტი წარმოდგენა გვქონდეს, თუ როგორ, რა მეთოდებით ხდებოდა ადამიანთა დაკითხვა და მათგან სასურველი ჩვენების მიღება 1937-38წწ-ში. (საქართველოს შსს არქივი №6: ფ. II, საარქივო №3622407, ტ№9). „საქართველოში დაბრუნების შემდეგ მე დავუკავშირდი ნაციონალისტურად განწყობილ მწერლებს, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ მიხეილ ჯავახიშვილის გარშემო, ასევე დავუკავშირდი ქართველ ლიტერატორებს, „ცისფერყანწელებს", პაოლო იაშვილს და სხვ. ეს ნაციონალისტ-ლიტერატორთა გაერთიანება, საბოლოო ჯამში, არალეგალურ ფაშისტურ გაერთიანებად გარდაიქმნა, რომლის ერთი ხელმძღვანელიც დღემდე მე ვიყავი. ჩვენი მიზანი საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და დამოუკიდებელი საქართველოს ჩამოყალიბება იყო" (საქართველოს შსს არქივი №6: ფ. II, ს №49, ფურც.125). ჩვენთვის გასაგებია, რომ ჩვეულებრივ პირობებში ეს არ დაიწერებოდა, არამედ – მხოლოდ დაშინებისა და შემზარავი ზეწოლის შედეგად. შემდგომ, სულ რაღაც ერთ თვეში, ნიკოლო მიწიშვილი დახვრიტეს, მისი დახვრეტიდან ზუსტად ერთ კვირაში კი 22 ივლისს, პაოლო იაშალი იკლავს თავს. ასე, რომ, როდესაც ისტორია რეპრესიების მსხვერპლთა რაოდენობას ციფრად კრებს, იქ არ მოიხსენიება ადამიანთა ის ჯგუფი, რომელიც პარტიამ თვითმკვლელობამდე მიიყვანა. პაოლო იაშვილი კი ამისი მაგალითია, იაშვილის შემთხვევაში, ის სიკვდილმაც კი ვერ იხსნა „პასუხისმგებლობისგან" და ბოლშევიკების დევნისგან, რადგან მისი თვითმკვლელობიდან მეხუთე დღეს, პარტია აკეთებს განცხადებას, და იმ მწერალთა კავშირის შენობაში, სადაც პაოლომ თავი მოიკლა, საქართველოს საბჭთა მწერლობის კავშირის პარტ-ჯგუფისა

და პარტ-ორგანიზაციის სხდომას ნიშნავს, და იქ სხდომის თავმჯდომარე დავით დემეტრაძე პაოლო იაშვილის თვითმკვლელობას „პ. იაშვილის მიერ ჩადენილ პროვოკაციად“ აფასებს.

„...დაადგინეს – ამხ. დემეტრაძის ცნობა პაოლო იაშვილის პროვოკაციულად ჩადენილი თვითმკვლელობის შესახებ მიღებულ იქნას ცნობად, პარტ-ჯგუფი და პარტ-ორგანიზაცია აღნიშნავენ, რომ გამომჟღავნებული ხალხის მტერი, პავლე იაშვილი, გაექცა პოლიტიკურ მართლმსაჯულებას. ამ პროვოკაციული აქტის საპასუხოდ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა კიდევ უფრო გაამახვილებს კლასობრივ სიფხიზლეს, რათა ბოლომდე გამომჟღავნებულ იქნენ პ. იაშვილის მსგავსი გაიძვერები, რომელნიც შესაძლებელია საბჭოთა მწერლის ნიღბით ჯერ კიდევ იმყოფებიან ჩვენს რიგებში“ (საქართველოს შსს არქივი № 897: ფ.II, ს №1, აღწ. №1ფურც. 73). ფაქტია, რომ ხელოვანის სიკვდილი, სწორად იქნა გაგებული პარტიის მხრიდან და პარტია ცდილობს, რომ ეს ტრაგიკული თვითმკვლელობაც კი „სამაგალითოდ“ დასაჯოს, რომ მსგავსი პრეცედენტი არ დაუშვას. ამის შემდეგ „ხვდება“ პარტია, რომ მსგავსი მოაზროვნეების გაბოლშევიკება შეუძლებელია, და ისინი პირდაპირი მნიშვნელობით იწყებენ მათ განადგურებას; იმავე წლის 17 აგვისტოს სწორედ მწერალთა კავშირის სხდომაზე, სადაც დაადგინეს, რომ პაოლო იაშვილი „გაიძვერაა“, რეპრესირებულთა რიგები მიხეილ ჯავახიშვილმაც შეავსო. სხდომამ საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წინაშე დღის წესრიგში დააყენა საკითხი, რომ მიხეილ ჯავახიშვილი პრეზიდიუმის შემადგენლობიდან გამოიყვანოს, მწერალთა კავშირიდანაც გარიცხოს, როგორც „ხალხის მტერი“ და მეტიც; დაევალოს „ლიტ. საქართველოს „რედაქციას მოამზადოს და უახლეს ჟურნალის ნომერში მოათავსოს სამხილებელი წერილი მიხეილ ჯავახიშვილის შესახებ“ (საქართველოს შსს არქივი № 987: ფ. II, აღწ I. ს – № I, ფურც. 76). ადვილი წარმოსადგენია, რა შიშის ატმოსფერო სუფევდა იმხანად. ფაქტია, რომ ხელისუფლება სრულად აკონტროლებდა საქართველოს მწერალთა კავშირს, აძლევდა კონკრეტულ მითითებებს და მეტიც – ამ ყვე-

ლაფერში აქტიურად იყო ჩაბმული საბჭოთა მედიაც, მოცემულ შემთხვევაში, სახელოვნებო მაუწყებელი (ლიტ. გაზეთი). ბუნებრივია, ამით არ სრულდება პროცესები, რადგან ბერიამ იცის, ვინც ხელისუფლებას წინააღმდეგობას უწევს, არავის დატოვება აღარ შეიძლება. ამიტომ, იმავე 1937 წლის 8 ოქტომბერს, ტიციან ტაბიძის რიგიც დგება. საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაში სასამართლოს ფუნქციას, სწორედ მწერალთა კავშირი ითავსებს, „განაჩენი"-მწერალთა სახლში დგება. მეტად სამწუხარო ფაქტია! მწერალთა კავშირის სხდომაზე ახლა სხვა საკითხებთან ერთად, ამჯერზე ტიციან ტაბიძისა და საყვარელიძის კავშირიდან გარიცხვის საკითხიც დგება (საქართველოს შსს არქივი № 987. ფ. II, აღწ I. ს – № I, ფურც. 89). დამსწრეთა უმრავლესობამ მათ კავშირიდან გარიცხვას მისცა ხმა, რის შემდგომაც მიხეილ ჯავახიშვილი და ტიციან ტაბიძე დააპატიმრეს და სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა (სწორედ „სამეულმა„) მიუსაჯეს, სხდომის ოქმში კი ჩაიწერა "...მწერალთა კავშირში მოქმედებდა კონტრრევოლუციური ორგანიზაცია. ჩვენ მას ხერხემალი გადავუმტვრიეთ და ახლა თუ სადმე დარჩა მათი კუდები, უნდა გამოვძებნოთ, ზოგი გადავხარშოთ და ვინც გამოუსწორებელია, გავაგდოთ" (საქართველოს შსს არქივი № 987: ფ. II, აღწ I. ს – № I, ფურც. 104). დასკვნიდან კარგად ჩანს, რომ ეს სამაგალითო-საჩვენებელი სხდომები და სადამსჯელო ღონისძიებები მიმართული იყო არა მხოლოდ კონკრეტული ხელოვანების წინააღმდეგ, არამედ განკუთვნილი ზოგადად, ქართული კულტურული პროცესების მართვისაკენ, რომ ამოეძირკვათ ყველაფერი ის, რაც თავისუფლებასთან, თავისუფალ აზროვნებასა და ხელოვნებასთან ასოცირდებოდა. დაენერგათ შიშის სინდრომი, ეჩვენებინათ, რომ ხელოვნება პოლიტიკაა, სასამართლო ტრიბუნად კი შეიძლება სწორედ ხელოვნების სახლი იქცეს (მოცემულ შემთხვევაში "მწერალთა სახლის" სახით (მ.კ.)) და განაჩენი შესაძლოა არა „სამეულმა", არამედ შენივე კოლეგებმა გამოგიტანონ. ტოტალიტარული „კულტურაც" ესაა. იგი სწორედ ამგვარი პროცესებით იშვა. საგულისხმო ისიცაა, რომ მათი ლიკვიდაციის გეგმის მიხედვით პარტიის შემდეგი ნაბიჯი იყო ამ მწერალთა ნაწარმოებების „დაპატიმრება", ანუ აკრძალვა. ამ ნარატივის ფონზე უკვე შე-

საძლებელია თანმიმდევრულად წარმოვიდგინოთ მწერლობის ისტორია ტოტალიტარულ ეპოქაში.

„გრიფი – სრულიად საიდუმლო. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. ქ. მოსკოვი. მოგახსენებთ, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეისწავლა რა 1937 წლის დაპატიმრებულ და დახვრეტამისჯილების, მიხეილ ჯავახიშვილისა და ტიციან ტაბიძის საქმეები, ასევე, იმავე წელს მომხდარი მწერალ პაოლო იაშვილის თვითმკვლელობის ფაქტი, დაადგინა: 1880 წელს დაბადებულ მიხეილ ჯავახიშვილის საარქივო საგამოძიებო საქმიდან (№97318) ირკვევა, რომ 1937 წლის ივნისში იგი დაპატიმრებულ იქნა პროკურატურის სანქციის გარეშე. მისი დაპატიმრება ფაქტობრივი დაკავებიდან ორი თვის დაგვიანებით, 1937 წლის 13 აგვისტოს გაფორმდა. მიხეილ ჯავახიშვილი აჯანყების მომზადების, ჯაშუშობის, მავნებლობის, ტერორისტული აქტის მომზადების ბრალდებით აიყვანეს. აღნიშნული ბრალდებები საქმის მსვლელობის დროს ჯავახიშვილისთვის არ წაუყენებიათ. საბრალდებო დასკვნაში კი ამ ბრალდების დამამტკიცებელი არცერთი ფაქტი არ ფიქსირდება. ზემოთ ჩამოთვლილი სისხლის სამართლებრივი საქმეების ერთი პროტოკოლი და სამი განცხადება დევს, რომელთაგან მხოლოდ ერთ განცხადებას აქვს იურიდიული ძალა, როგორც დედანს, ჯავახიშვილის ხელმოწერით, დანარჩენი სამი დოკუმენტი კი ასლია, რომლებსაც არავითარი იურიდიული ძალა არ გააჩნიათ. უცნობია, სად ინახება დედნები. საგამოძიებო საქმეში თავმოყრილია იმ თორმეტი მოწმის ჩვენების ასლები. რომლებიც იმავე პერიოდში არიან დაპატიმრებულნი სხვა საქმეების გამო. აქედან, ხუთი მოწმე ჯავახიშვილის საქმესთან დაკავშირებით საერთოდ არანაირ ჩვენებას არ იძლევა, დანარჩენების ჩვენებები კი არადამაჯერებელი და ურთიერთგამომრიცხავია. მიხეილ ჯავახიშვილის საგამოძიებო საქმის ანალიზიდან ირკვევა, რომ არა მხოლოდ სისხლის სამართლებრივი საქმეების პროცესუალური ნორმები დაირღვა უხეშად, არამედ არსებობს წინააღმდეგობა, როგორც თავად ჯავახიშვილის, ასევე მოწმეების ჩვენებებში და აქედან გამომდინარე, ბრალდების

საფუძველიც არადამაჯერებელია. თუმცა, მიუხედავად ამისა, მიხეილ ჯავახიშვილს 1937 წლის 30 სექტემბერს სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა, მიესაჯა. საარქივო საგამოძიებო საქმიდან (№8046) ჩანს, რომ ქობულოვის მიერ ხელმოწერილი ცნობის საფუძველზე, 1899 წელს დაბადებული მწერალი ტიციან ტაბიძე 1937 წელს სამშობლოს მტრების – გოგლიძის, ქობულოვისა და კრიმიანის მიერ იქნა დაპატიმრებული. ტიციან ტაბიძის საქმის ანალიზიდან ვიგებთ, რომ უხეშად დაირღვა სისხლის სამართლებრივი საქმეების პროცესუალური ნორმები, რადგან ტიციან ტაბიძე 58-ე -10 და 58-11-ე მუხლებით გათვალისწინებული ბრალდების საფუძველზე დააპატიმრეს; დაპატიმრებიდან 2 თვის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ დაიკითხა; მისთვის დამატებითი ბრალდებები არ წაუყენებიათ. თუმცა, საბრალდებო დასკვნაში, ზემოთ ჩამოთვლილი მუხლების გარდა, 58-6, 58-7, 58-11 მუხლები აქვს წაყენებული. არ მომხდარა მოწმეებისა და ტაბიძის დაპირისპირება. რისი საფუძველიც ნამდვილად არსებობდა. ამას გარდა, ტაბიძის საქმეში არსებული დაკითხვის ოქმები არადამაჯერებელია. მოწმეების ჩვენებებიდან ირკვევა, რომ ტიციან ტაბიძე, ერთსა და იმავე დროს, სხვადასხვა პირების მიერ რამდენიმე კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში იყო გადაბირებული, რაც რეალურად წარმოუდგენელია. 1937 წლის 15 დეკემბერს, „სამეულის გადაწყვეტილებით“, ტიციან ტაბიძეს სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა, მიესაჯა. მწერლის მეუღლე განცხადებაში წერს, რომ ტიციან ტაბიძე, 1937 წლის ოქტომბერში, ლავრენტი ბერიას პირადი განკარგულებით იქნა დაპატიმრებული. ბერიამ თავისთან დაიბარა ტაბიძე, ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ რუს მწერლებთან მეგობრობა დააბრალა და მოსთხოვა ცილი დაეწამებინა პოეტ პაოლო იაშვილისთვის, რომელიც ორი თვით ადრე, სწორედ ბერიამ მიიყვანა თვითმკვლელობამდე. როცა ტიციან ტაბიძემ უარი განაცხადა მეგობრის ხსოვნის შეურაცხყოფაზე, ბერიამ მისი დაპატიმრების განკარგულება გასცა. 1937 წლის 22 ივლისს თავი მოიკლა გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა პაოლო იაშვილმა. როგორც იმ პერიოდში დაპატიმრებულ პირთა ჩვენებებიდან და ასევე, სხვა საქმეებიდან ირკვე-

ვა, პაოლო იაშვილი, საქართველოში რამდენიმე წლის განმავლობაში მოქმედი კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ერთ-ერთი ვითომ ხელმძღვანელი იყო. თუმცა ეს მასალები ურთიერთგამომრიცხავი, ყალბი და არაფრის დამამტკიცებელია. წლების შემდეგ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მწერლების – მიხეილ ჯავახიშვილის, ტიციან ტაბიძისა და პაოლო იაშვილის სიკვდილისშემდგომ რეაბილიტაციას ითხოვს. ასევე, ითხოვს, მოიხსნას აკრძალვა ამ მწერლების ნაწარმოებებზე, რათა მომავალში დაიბეჭდოს. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვასილ მჟავანაძე. 18 მაისი 1954 წ. ქ. თბილისი (ბელქანია 2016:101-116).

ფაქტობრივად, ლავრენტი ბერიას ინიციატივით დაიწყო ქართველი მწერლების „წმენდა" და სისხლიანი რეპრესიები, რომელმაც მთელი საქართველო მოიცვა.

1937 წლის მწერალთა კავშირის სხდომების ანგარიში ერთგვარი სარკეა იმისა, თუ რა ხდებოდა ზოგადად, მთელ ქვეყანაში და როგორ ვითარდებოდა მოვლენები: დასმენა, ინტრიგები და თავის გადარჩენა.

პაოლო იაშვილის თვითმკვლელობის ფაქტი პროვოკაციულ ქმედებად მონათლეს; ნიკოლო მიწიშვილი დააპატიმრეს, ზეწოლის ქვეშ სასურველი ჩვენება დააწერინეს და დახვრიტეს; ტიციან ტაბიძე და მიხეილ ჯავახიშვილი ჯერ მწერალთა კავშირიდან გარიცხეს, შემდეგ კი სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯეს.

კომუნისტური რეჟიმისათვის ქართული მწერლობა და კულტურა განსაკუთრებით საინტერესო იყო და უმთავრეს ამოცანასაც ქართველი ინტელიგენციის დამორჩილება წარმოადგენდა. ცენტრალურ კომიტეტში სწორედ ამ მიზნით შეიქმნა აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილება და პოლიტიკური განათლების მთავარი სამმართველო. აღნიშნულ სამსახურებს მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგში ჩარევისა და ცენზურის შეუზღუდავი უფლებები ჰქონდათ. ლიტერატურის კუთხით ამ ტიპის ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანიზაცია „რაპპი" (რუსეთის პროლეტარ მწერალთა ასოციაცია) გახლდათ, რომლის ფილიალი საქართველოშიც ფუნქციონირებდა.

ოცდაათიან წლებში არსებული პროლეტარ მწერალთა ასოციაცია განსაკუთრებული დასაყრდენი იყო ბოლშევიკური ხელისუფლებისთვის. ორგანიზაციაში გაერთიანებული მწერლებისთვის ეროვნული ფასეულობები არ არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ პროლეტარ მწერალთა შემოქმედება უნიჭობით „გამოირჩეოდა“, ხელისუფლება განსაკუთრებით უწყობდა ხელს და მათ წინა ფლანგზე წამოწევას ცდილობდა.

საქართველოს მწერალთა კავშირში არსებობდა ჯგუფი, რომელსაც ქართველ მწერალთა შემოქმედების გაკონტროლება ევალებოდა. მწერლების ნაწარმოებები მხოლოდ პარტიისა და ბელადის ხოტბის შემსხმელი უნდა ყოფილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ კავშირის რიგებს დაატოვებინებდნენ. თუმცა, ისიც ცხადი იყო, რომ მხოლოდ ამით არ შემოიფარგლებოდა ბოლშევიკური ხელისუფლება.

ყველა ის პირი, ვინც ბოლშევიკურ ხელისუფლებას ტაშს არ უკრავდა, „მოღალატედ“, „კონტრრევოლუციონერად“, „ტროცკისტად“ და „ჯაშუშად“ ინათლებოდა, შედეგად კი აპატიმრებდნენ, სასურველ ჩვენებას აწერინებდნენ, ათობით პიროვნებას „ჩააშვებინებდნენ“, დაბოლოს, ხვრეტდნენ. ეს იყო ის მარტივი სქემა, რომლითაც ხელისუფლება მოქმედებდა და ინტელიგენციის დიდ ნაწილს უსწორდებოდა. გამონაკლისი არც ქართველი მწერლები იყვნენ. ლავრენტი ბერიას 1937 წლის საანგარიშო მოხსენება იმის მანიშნებელი იყო, რომ მწერალთა რიგებში „წმენდა“ დაიწყო. პროლეტარმა მწერლებმა „ფრთები შეისხეს“, ეროვნული მწერლები კი კიდევ უფრო დიდი წნეხის ქვეშ აღმოჩნდნენ. იმ პირთა აშკარა კრიტიკა და შევიწროება დაიწყო, რომლებიც ბერიამ თავის ანგარიშში ახსენა (ყიფშიძე 2015:).

რევოლუციურ მწერალთა საერთაშორისო კონგრესზე გალაკტიონ ტაბიძემ წარმოთქვა სიტყვა, რომელიც ასე დაიწყო: „რევოლუციურ მწერალთა ამ საერთაშორისო კონგრესზე მე გამოვდივარ, როგორც საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ლიტერატურის წარმომადგენელი“. ის გმობს „მენშევიკურ დემოკრატიას, რომელსაც მხატვრული შემოქმედების დაკნინებას უკავშირებს, ხოლო აღორძინებას – საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას, ლენინურ პარტიას

და ხალხთა დიდ ბელადს – სტალინს. საბჭოთა ლიტერატურა იბრძვის ადამიანზე ადამიანის ბატონობის წინააღმდეგ... ძველი სამყაროს ყველა ნაშთების წინააღმდეგ..." (სეა საქმე №470: საქართველოს ეროვნული არქივი ,ფონდი 8. აღწერა 1. 1935. 15-17).

რაჟდენ გვეტაძე თავის მოხსენებაში შეშფოთებას და საყვედურს გამოთქვამს კრიტიკოსთა მიმართ, რომ „კონკრეტული კრიტიკის უქონლობამ უთუოდ შეუშალა ხელი ზოგიერთ თანამგზავრს და მოკავშირეს, უფრო ადრე გამოესწორებია შეცდომები, გამოეჩინა უფრო მეტი აქტიურობა... რომ დიდი დახმარება შეეძლო გაეწია იმ მწერლებისთვის, რომელნიც გულწრფელად არიან მოსურნენი იმუშაონ პროლეტარიატის საკეთილდღეოდ, ეს უდავოა... მრავალი მწერლისთვის გაურკვეველი რჩებოდა, თუ რაში ჰქონდა მას (მწერლობას) გადახრა, თუ რა ხასიათის იყო მისი შეცდომები და რა ზომებით უნდა დაეძლია ეს... რა თქმა უნდა, მე უთუოდ შეცდომა დაუშვი, რომ 6-7 წლის წინათ დაწერილი ლექსი, რომელიც ჩემს დღევანდელ აზროვნებას და მსოფლმხედველობას სრულებით არ შეეფერება, ხელახლა გამოვაქვეყნე გასულ წელს, მაგრამ უმართებულოდ მიმაჩნია, რომ ამის გამო მოხსენებიდან ვინმეს დარჩეს ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს მე მოკავშირეც ვარ და იმავე დროს რეაქციონერიც, მე არ მინდა ასეთ გაუგებრობას ქონდეს ადგილი... რა თქმა უნდა, იმ მწერლების მიმართ, რომლებიც არ არიან მშრომელ ხალხთან და „ამინდს" უცდიან, ამხანაგური კრიტიკა შეუძლებელია და მათთან ისეთივე ბრძოლაა საჭირო, როგორც მტრების წინააღმდეგ, მაგრამ ყველა არაპროლეტარული მწერლისადმი მიდგომა მიზანშეწონილი არ იქნებოდა" (გვეტაძე 1932: 278).

რაჟდენ გვეტაძე საუბრობს ე.წ. „წითელ ხალტურაზე", რაც გამოწვეულია როგორც თანამგზავრებსა და მოკავშირეებში, ასევე პროლეტარებშიც კრიტიკის ნაკლებობით. კონკრეტულად, ყურადღებას ამახვილებს გალაკტიონ ტაბიძეზე, ტიციან ტაბიძეზე, პროლეტარებიდან – ალიო მაშაშვილზე, მეტიც, საყვედურს გამოთქვამს, რომ ალიო მაშაშვილი „სალიტერატურო გაზეთში" დაბეჭდილ თავის ერთ-ერთ ლექსში თანამგზავრობისა და მოკავშირეობის მიმართ უპასუხისმგებლოდ სვამს აქცენტებს,

რაც ხელს შეუშლის ახალი კადრების ჩადგომას პროლეტარიატის რიგებში. „...აქეთ წამოსულ კაცს, ძალიან გულითაც რომ მოდიოდეს, არ ხვდება მეგობრული ხელი, ეს კი ხელის კვრას ნიშნავს... უნდა ვუსაყვედურო ამხ. რადიანს, რომ მან გამოსტოვა თანამგზავრების სიაში ისეთი მწერლები, რომელნიც გულწრფელად არიან მონდომებული იბრძოლონ პროლეტარულ კულტურის შექმნისათვის, ცდილობენ გარდაქმნას და მოდიან პროლეტმწერლობისაკენ, მაგრამ არ ყვირიან... ხშირად მასას აღარ სჯერა მწერლის, რადგან მწერალი ხშირად ერთი ხელით სწერს ასე, მეორე ხელით სწერს სხვანაირად და მკითხველმა არ იცის როდის სტყუა მწერალი, ან როდის არის ის გულწრფელი... ჩვენ თვითონ მწერლები უნდა შევეცადოთ ვიყოთ, ეპოქის მწერლების სიმაღლეზე, გამოვიჩინოთ მეტი გულწრფელობა და მწერლური სინდისი... ახალგაზრდებმა ამხ. რადიანის სამართლიანი და სწორი მითითების მიხედვით მოსალოდნელია იფიქრონ: ერთ და იმავე დროს ეს კაცი მოკავშირეც ყოფილა და რეაქციონერიცო“, ამბობს რაჟდენ გვეტაძე. ჩვენი კვლევის ორიენტირიც სწორედ რაჟდენ გვეტაძის ლოგიკას მისდევს, მნიშვნელოვანია „მწერლური სინდისის“ გარკვევა. ფაქტია, რომ იმ დროსაც იდგა დღის წესრიგში ორმაგი დამოკიდებულების საკითხი, რისი დაზუსტებაც ლიტერატურის ისტორიისთვის მნიშვნელოვანი დასკვნა იქნება (გვეტაძე 1932:279).

ტიციან ტაბიძემ საკავშირო კპ(ბ)ცკ-ის 23 აპრილის დადგენილების გამო ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში მუშაობის გარდაქმნის შესახებ პოლიტიკური შეფასება მისცა, მან, როგორც „ერთ-ერთმა საბჭოთა მწერალმა“ (ტ.ტ.) მნიშვნელოვნად მიიჩნია დადგენილების განაღდებისათვის აქტიური მუშაობა. მას „ლოღიკური დოკუმენტი“ უწოდა. დასასრულ განაცხადა: „მე ვფიქრობ ყველა ჩვენგანი მოწმე ვართ, რომ ჩვენს ქვეყანაში იმდენი რამ შენდება, რომ ჩვენ არ ვეყოფით იმისათვის, რომ ვსთქვათ, თუ რა შენდება, ამას სჭირია წარმოების დაუფლება და ენტუზიაზმი, რომელიც აქვს მუშათა კლასს, რომ შევქმნათ ღირსეული პროდუქცია და ღირსნი გავხდეთ თანამედროვე ეპოქის“ (სეა საქმე № 264: ფონდი 8, აღწ. 1, 1932.18).

„შთამბეჭდავად“ დაასრულა თავის გამოსვლა ზომლეთელმა, რომელმაც ეჭვი გამოხატა ზოგიერთი მწერლის მიმართ, რომ მათ „დროებით თავი ამოაფარეს“ „დაკარგულის მოსაპოვებლად“ და იქვე განმარტავს, რომ ეს ნიშნავს „ბურჟუაზიულ იდეოლოგიას“ და მის „რესტავრაციას“, „ის გასწორდება მოკლე დროში და თუ არ გასწორდება... ბოლო ერთია – სიკვდილი და მეტი არაფერი“ (იქვე:20).

ნიკოლოზ მიწიშვილიმა თავის სიტყვაში საინტერესო დეტალი განმარტა, ეს ეხება 23 აპრილის დადგენილებაში შესულ უფლებას მემარცხენეობის ლეგალურობაზე. მისი განმარტებით, „დაარსდა მხოლოდ ორი მწერლობა. ერთი პროლეტარული მწერლობა და მეორე მხრივ, ყველა ის, რომელიც ერთი მეორეს ცხვირ-პირს ამტვრევდა...მწერალს ეძლევა უფლება, რომ ის თუ მოისურვებს მემარცხენე იყოს და აქ აშკარად გამოჩნდება ვინ არის თანამგზავრი და ვინ რა არის საერთოდ... მე ვესალმები ამ დადგენილებას“(იქვე:26). მიწიშვილს ამავე სხდომაზე ღიად დაუპირისპირდა პროლეტარი მწერალი სანდრო ეული, რომელმაც თქვა: „ამხ. მიწიშვილი გამოვიდა აქ და ორიოდე სიტყვა უძღვნა ამ დადგენილებას, მეტის თქმა ვერ შესძლო, არ ვიცი, დრო არ ქონდა თუ სხვა მიზეზი იყო/მიწიშვილი – ყველაზედ მეტი შენ უნდა ილაპარაკო იმიტომ, რომ შენგან იწყება ეს ამბავი/. მისი ღრმა რწმენით დადგენილება კი არ აერთიანებს პროლეტარ და არაპროლეტარ მწერლებს, ერთი რამ გასაგებია, რომ მათ, ორივეს ავალდებულებს პარტიის ინტერესების ასახვას, მაგრამ ამავდროულად, ამგვარი დადგენილება ხელს შეუწყობს „ბრძოლას ორ ფრონტზე, ბრძოლას ბურჟუაზიული ტენდენციების წინააღმდეგ... ბრძოლა იქნება იმ მწერალთა წინააღმდეგ, რომლებიც ამ ორგანიზაციის გარეშე დარჩებიან და აგრეთვე მათ მიმართ, რომლებიც ვერ შეიგნებენ პარტიის დადგენილებას და ექნებათ ესა თუ ის გადახვევები“ (იქვ:28-29). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სხდომის თავმჯდომარე ჩხიკვაძემ თავისებურად განუმარტა მონაწილეებს დეტალი, რომ „ლაპარაკი მასზე, რომ რეაქციონურ ნაწარმოებსაც იმავე ყალიბით და იმავე ხალისით მიიღებს საბჭოთა მკითხველი, როგორც პროლეტარულ ნაწარმოებს, ეს არაა სწორი... ყველაზე

კარგი იქნება ის, ვინც დასწერს დამკვრელობაზე და მოგვცემს იმ ნაწარმოებს, რომელსაც მოითხოვს პროლეტარიატი. აი, ეს არის მთავარი საყრდენი იმისი, რასაც ჩვენი დადგენილება გულისხმობს და არავითარ შემთხვევაში ის, თითქოს რაღაც სალტე მოიხსნა და დღეის შემდეგ რასაც დასწერს, ამაზე არავინ პასუხს არ მოსთხოვს, მარქსისტული კრიტიკა მეტ ამოცანებს დასახავს, რომ მათ სწერონ მარქსისტული პროლეტარული მსოფლმხედველობის მეთოდით და შექმნან ისეთი ნაწარმოებები, რომლებსაც მიიღებს ჩვენი საბჭოთა მკითხველი“ (სეა საქმე №264: საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 8, აღწ. 1, 1932.32).

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის შემადგენლობაში 1939 წლის 29 სექტემბრისთვის შედიოდნენ:

ირ. აბაშიძე
ალ. აბაშელი
დიმ. ბენაშვილი
ვ. გაფრინდაშვილი
ალ. გომიაშვილი
ი. გრიშაშვილი
რ. გვეტაძე
შ. დადიანი
ს. ეული
პ. ინგოროყვა
ს. კლდიაშვილი
კ. ლორთქიფანიძე
პ. ლორია
გ. ლეონიძე
მარიჯანი
ილ. მოსაშვილი
ნ. ნაკაშიძე
ბ. ჟღენტი
შ. რადიანი
გ. ტაბიძე
ლ. ქიაჩელი
გ. ქიქოძე
ს. შანშიაშვილი

დ. შენგელაია
ს. ჩიქოვანი
ხარიტონ პლიევი
ლავროს კვიცინია

ეს სია დაცულია ეროვნული არქივის მერვე ფონდში (სცსა №795: საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 8, აღწ. 1, 1939,20). სურათი ნათელია. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირს შეადგენს ძირითადად ე. წ. „თანამგზავრთა“ ნაკადი. რა უნდა ვიფიქროთ, არ მოსწონდათ სამსახური, მაგრამ ემსახურებოდნენ? ეს ადამიანები ამიტომაც იყვნენ ტრაგიკულნი, მსხვერპლნი, რადგან მოუწიათ ეპოქით ნაკარნახევი ცხოვრებისთვის ქედი მოეხარათ.

სამართლიან დასკვნას შევძლებთ მწერლების რეაგირებითი ხასიათის ნარატივიდან. ზოგადი სურათის წარმოდგენის საშუალებას გვაძლევს მიხეილ ჯავახიშვილის უბის ჩანაწერები, სტენოგრაფიული მასალები, ასევე, მწერალთა პირადი არქივები და ა.შ. ქართული პრესის ელექტრონულ ჟურნალში, „ლიტერატურული საქართველო“, ვკითხულობთ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის თამაზ წივწივაძის სიტყვას, წარმოთქმულს საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლ ქართველ მწერალთა მემორიალური დაფის გახსნისას (2002). დღემდე მიღებული პათეტიკით ბატონი თამაზი „ზნეობრივ გმირობას“ უწოდებს რეპრესირებულ მწერალთა ბედს. „თუკი ხელოვნების საბოლოო მიზანი ის არის, რომ ადამიანს შთაუნერგოს თავისუფლების სულისკვეთება, მაშინ რეპრესირებულ მწერალთა ბედი და მათ მიერ შექმნილი შედევრები უნდა მივიჩნიოთ დაუმორჩილებლობის დოკუმენტებად, რომლებსაც ძალუძთ ყველა დროში დაასაბუთონ, რომ ვერანაირი ძალადობა და ვერანაირი ავტორიტარიზმი წინ ვერ აღუდგება წმინდა ზნეობისა და ადამიანურ ფასეულობებს... თუმცა მათ შეეძლოთ განზე გამდგარიყვნენ და ასკეტური ცხოვრების წესი აერჩიათ. მაგრამ მოვალეობის შეგნება, პასუხისმგებლობა ქვეყნის, ერისა და კაცობრიობის წინაშე, აიძულებდათ უარი ეთქვათ სიყალბის სამსახურზე და მონაწილეობა არ მიეღოთ კომუნისტური მითოლოგიის შექმნაში, სადაც მარადიული ფასეულობების

ადგილს კოლექტიური ანტიჰუმანიზმი იკავებდა" (წივწივაძე 2002:). მოყვანილი ეპიზოდი საზოგადოებრივი შეხედულების გამოხატვაა. ჩვენ ვიზიარებთ აზრს, რომ დიდი გამბედაობა, რისკი და დაუმორჩილებლობა იყო თავისუფლების იდეით გაჯერებული ნაწარმოებების შექმნა იმ უმძიმესი ვითარების კვალდაკვალ. თუმცა ისიც ვიცით, რომ მწერლები ხელის კანკალით ცდილობდნენ ამ მაღალი ზნეობრივი ფასეულობების შექმნასაც და გამომზეურებასაც, რაც გმირობის ტოლფასი ღვაწლია. ძალადობამ და ავტორიტარიზმმა ვერ მოკლა ადამიანური ფასეულობები, თუმცა გამოსავალი ვერანაირად ვერ იქნებოდა ასკეტიზმი, ვერ დავეთანხმებით მწერალთა კავშირის მაშინდელ თავმჯდომარეს, თითქოს მათ უარი თქვეს სიყალბის სამსახურზე. პირიქით, მათ დიდი წვლილი მიუძღვით „კომუნისტური მითოლოგიის" შექმნაში (წივწივაძე 2002). ეს იყო გარდაუვალი: ან სიკვდილი, ან სრული პასუხისმგებლობით ჩაბმა კომუნისტური იმპერიის შექმნაში. მწერლებმა გარკვეული კომპრომისების გზა აირჩიეს, რაც თავისუფალი საქართველოს ღალატის საფრთხის შემცველი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ხალხის სიბრძნემ განჭვრიტა ეპოქის სიმწვავე და კომპრომისებზე წასვლა მკრეხელობად არ შერაცხა. პირიქით, გმირობად აღიქვეს მათი „გადახრები", „თანამგზავრობა", რადგან, ეს იყო ხარკის გაღება და არა პრინციპების ღალატი. მიხეილ ჯავახიშვილის 1927 წლის უბის წიგნაკში ვაწყდებით ჩანაწერს: „ვინ იცის, შეიძლება ხელოვნება მარტო იმითაც იყოს გამართლებული და მისი ერთად-ერთი მიზანიც ის იყოს, რომ მან ადამიანს გაუადვილოს ეკლიანი გზის გავლა, რომელიც დედის მუცელში იწყება და სასაფლაოზე თავდება. ყოველივე დანარჩენი, თქმული ხელოვნების შესახებ, ან უქმი ყბედობაა, ან დავა იმაზე, თუ როგორ უნდა გაადვილდეს ამ გზის დაძლევა – სიმართლით თუ ტყუილით, უხეში რეალობით თუ ლამაზი ზღაპრით" (ჯავახიშვილი 2005: 169) ჯავახიშვილი ახსნა-განმარტებას იძლევა, ხელოვნების მნიშვნელობა აიხსნას იმით, რომ მას შეუძლია ადამიანების ცხოვრება გახადოს მსუბუქი, ადვილი, რაც შეეხება ფორმას, არ აქვს მნიშვნელობა, ტყუილით მოახერხებს ამას თუ სიმართლით. მისივე უბის წიგნაკიდან იკვეთება მწერლის

პოზიცია, როცა ამბობს: „ზოგჯერ, ვისაც ცხონება უნდა, მან უნდა სული წაიწყმიდოს“ და რომ „პატიოსანიც შესცდება ან შეიძლება შესცდეს, თუ ქალს ძუძუები დაუნახა ან ღია სალაროს წააწყდა“(ჯავახიშვილი 2005:158).

როგორ გამოიყურებოდა, რას გრძნობდა, რას განიცდიდა, რა პოზიციები ჰქონდა მიხეილ ჯავახიშვილს, მისი ფსიქოლოგიური პორტრეტის საუკეთესო გასაღებს წარმოადგენს სწორედ მისი უბის წიგნაკის ჩანაწერები. რომლიდანაც იგრძნობა მწერლის უკიდეგანო მწუხარება, სევდა, უძლურება, რომანტიკული გლოვა წარსული დიდებისა, მწარე რეალობისა და მომავლის აუხსნელი (გაურკვეველი) მოლოდინი. „დღევანდელი ქართული მწერლობა, ხელოვნება და მეცნიერებაც, მეტად მცირე გამონაკლისის გარდა, მოსკოვის ნაბუშარია. საკუთარი ქართული სული იშვიათად მოსჩანს სადმე. მხოლოდ სრულ თავისუფლებას შეუძლიან ეს უცხო სისხლი მოგვაშოროს. მხოლოდ ქართულის ფოლადურ რომანტიკას შეუძლიან სავსებით განგვკურნოს, მაგრამ ამისთვის საჭიროა, რომ ჩვენს ირგვლივ და ჩვენს სულიერ-ფიზიკურ ცხოვრებაშიც ნამდვილი გამაჯანსაღებელი კატაკლიზმი მოხდეს „ჩვენ კი ჩვენ ჩვენს თავს ვეყუდნით“ და ამიტომ მოლოდინის მეტი აღარა დაგვრჩენია რა“ (ჯავახიშვილი 2005:161). ერთი განსაკუთრებით გამომწვევი წინადადებაც ჩაუწერია მწერალს: „ვინც ვაჟკაცია, გამოკვლევა დასწეროს ამ თემაზე: ვაჟკაცობის კულტი ქართულ მწერლობაში და ხალხურ პოეზიაში. ეს დედაღერძი უნდა აღსდგეს, თორემ სულ დავიღუპებით“ (ჯავახიშვილი 2005:162). ვფიქრობთ, ეს აღიარებაა იმ ფაქტისა, რომ ტოტალიტარულმა რეჟიმმა მწერლობა მოწყვიტა ვაჟკაცობის ღირსებას, როგორც პირად ცხოვრებაში, ისე სამწერლო თემებში. გასაბჭოების შემდეგ, 1923-1924 წწ-ში, როცა ბოლშევიკურმა საბჭოთა რუსეთმა საზარელი რეპრესიები განახორციელა, ქართული ინტელიგენცია უმწეო, დაბნეული, ღირსებააყრილი შეიქნა. მწერლებს უმალ გამოეცალა ხელიდან კალამი, რომელსაც ჯავახიშვილი „გოლგოთურ ჯვარს“ ადარებდა, რომელთანაც ციურ შეუღლებას გრძნობდა, ნიჰილიზმი იგრძნობა მწერლის სიტყვებში: „ისე დავდივარ ჩემს დედაქალაქში, როგორც სასაფლაოდან დაბრუნებული ქვრივი“. ძლიერი აპათია იგ-

რძნობა ჩანაწერში: „ჩხეიძემ თავი მოიკლა. მიზეზი ცხადია – თავგანწირულობა, სასოწარკვეთილება, უიმედობა. „ძლივს არ გამოჩნდა ერთი პატიოსანი კაცი საქართველოში! არის ჟამი ერის – ადამიანის ცხოვრებაში, ოდეს მაუზერის გავარდნა ერთადერთი ვაჟკაცური აქტია: ან სხვას უნდა დაუმიზნო, ან საკუთარი თავი გაიხვრიტო. დღეს ასე უნდა მოიქცეს ყოველი პატიოსანი ქართველი და ვინც ამას ვერ ჰბედავს – პირწავარდნილი თეიმურაზ ხევისთავია. დღეს თვითმკვლელობა გარდუვალი მოვალეობაა“ (ჯავახიშვილი 2005:166). უბის წიგნაკის ამ ჩანაწერებს თვითცენზურული ხასიათი აქვს, დღეს ამ ჩანაწერებს თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ მწერლის აღსარება.

მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ამ ჩანაწერებში ცხადად იკვეთება მწერლის შინაგანი და გარეგანი პორტრეტი, ასევე მთელი ეპოქისა და ზოგადად, საბჭოთა დროის მწერლისა და მწერლობის სახე-ხატი. ჩანაწერებში არის მწერალთა და ქართველთა მახასიათებელი ეპითეტები, რომლებიც სწორი ანალიზისა და შეფასების შედეგია. ჩანაწერები 1924-1935წწებშია გაკეთებული. სწორედ, სტალინური ავბედობის ჟამს. ჯავახიშვილის დღიურიდან აზრები ეპოქალური ნიშნით გამოვარჩიეთ. ამ ნარატივმა მეტი ნათელი მოჰფინა კვლევას. ჯავახიშვილის უბის წიგნაკის ჩანაწერები გვეხმარება გავიგოთ, თუ როგორ აფასებდა მწერალი თანადროულ ცხოვრებას და ამ ცხოვრებაში საკუთარ მდგომარეობას.

„არ შეიძლება შველის ან პეპელას შებმა ურემში“;

„არის დანაშაული, რომლის დავიწყება ისევე ძნელია, როგორც მეძავისგან თავის წარსულისა. ამას მოსდევს უიმედობა, ურწმუნობა, დამცირება, აპატია, სულერთიანობა“;

„თეიმურაზ ხევისთავი ამბობს: ჩვენი ცხოვრების ღერძი და იდუმალება ის არის, რომ ხელისუფლება და ხალხი ერთმანეთს ატყუებენ. ამიტომ დღეს მოტყუება უდიდეს მეცნიერებად და ეშმაკობად გადაიქცა“;

„ვისაც უმღერია, მან კარგად იცის, რომ ადამიანი მთელის არსებით მღერის და არა მხოლოდ ტვინითა – ყოველგვარ შემოქმედებაზედაც იგივე ითქმის“;

„X-ს დახვრეტა აქვს გადაწყვეტილი. ცოლმა ინახულა, სიხარულით მიულოცა. „წაგიყვანენ საბურთალოზე, მაგრამ იქ გადარჩებიო“. დაუჯერა. მხიარულად წავიდა. დახვრიტეს“;

„ერთი კუზიანი შეხვდა მეორეს: „კუზი როგორ მოიშორეო?“ ასწავლა: „იმ უდაბნოში დანგრეული აბანოა. წადი, ეშმაკები გამოვლენ. რასაც იტყვიან, შენც გაიმეორე“. წავიდა. გამოვიდნენ ეშმაკები. ათამაშდნენ და იძახდნენ: „შაბათია, შაბათი“. კუზიანიც ათამაშდა: „ხუთშაბათია დღეს, ხუთშაბათი“. ნამდვილად ხუთშაბათი იყო. ეშმაკებს მოთმინება დაეკარგათ. ჩამოიღეს პირველის კუზი და ისიც ზედ დაადგეს. წამოვიდა და ფიქრობდა: „არა, რა მრჯიდა, სიმართლისთვის რომ მეორე კუზი მოვიმატე, ვიტყოდი, შაბათიაო და მოვრჩებოდიო“.

„ხელისუფლებისა და ქართველი ხალხის შესარიგებლად საჭიროა ერთ-ერთი: ან ქართველი ხალხი უნდა გარუსდეს, ან ხელისუფლება გაქართველდეს. ჯერ-ჯერობით არც ერთია შესაძლებელი და არც მეორე. მაშასადამე, ხრამი ისევ ხრამად დარჩება“;

„კომუნისტების ლოზუნგი: ყველაფერი და ყველანი პოლიტიკისთვის. 5 წლის ბავშვებსაც პოლიტიკაზე ზრდიან. ის კი არ იციან, რომ ზოგჯერ მცირედის კვერცხიდან გველის წიწილები გამოიჩეკებიან ხოლმე. აკი იჩეკებიან კიდევაც!“„დღევანდელ ეპოქას სული არა აქვს, და თუ აქვს, მძულვარებაა მისი სახელი“;

„ჩვენი ეპოქა – რევოლუცია ჩემთვის საშინელი ტრაღედიაა, ვინაიდან ჩემს თვალწინ კვდება ძველი ქვეყანა – დედა, ზოგისთვის კი უზენაესი სიხარულია, ვინაიდან იბადება შვილი – ახალი ქვეყანა. ამიტომ არის მგლოვიარედ გუშინდელი პოეტი, ამიტომვე ხარხარებს დღევანდელი ჭაბუკი კომკავშირელიც. სჯობდა, სჯობდა ან უფრო ადრე გავჩენილიყავი, ან უფრო გვიან“;

„ერთ ქვეყანაში ბრძანება გამოვიდა, ყველა იადონს ენა მოაჭერითო. დააჭრეს. იმ ქვეყანაში იმ დღიდან სიხარული მოკვდა“;

„პროლეტმწერლები დაბადებიდანვე საჭურისები არიან და ჩვენს დადუმებასაც ლამობენ. თუ დროზე არ გვეშველა, ქართული მწერლობა ხუთიოდე წელიწადში სულ დაიღუპება“;

„რა ბედნიერია ის, ვისაც ყოველ ღამეს, ძილის წინ შეუძლიან სთქვას: „მე დღეს ჩემი მოყვასი არ გამიკილავს“;

„ხელისუფლებამ ხალხს დუმილის უმძიმესი მეცნიერება და უძნელესი ხელოვნება ასწავლა. მივიდოდა ხელისუფალი სოფელში და შეუდგებოდა ლაქლაქს, ხალხი კი სდუმდა.

სკოლა არ გინდათ?

დუმილი.

– კოოპერატივს დაგიარსებთ.

ისევ დუმილი.

– კოლექტივი უნდა შეადგინოთ, აშენდებით.

კვლავ დუმილი.

ჩაგაცვამთ, დაგხურავთ (მაინც დუმილი, მუდამ დუმილი, მხოლოდ დუმილი)“;

„პროლეტარული მწერლობა მადით სავსე სიცარიელეა“;

„როცა ქვის სეტყვა მოდის, თავს ნუ შეუშვერ. სადმე მღვიმეში გამოდარებას მოუცადე, და შემდეგ ისევ შენი გზით წადი“;

„ყოველ ქართველს ყოველ ჟამს უნდა ახსოვდეს, რომ ნახევარმა საქართველომ მარაბდის ბრძოლის დროს 10 000 მოკლული გასწირა, ხოლო ერთობლივმა საქ-ომ 1921 წ. თავის დამოუკიდებლობას ასი მოკლული ვერ შესწირა“;

„ღმერთმა რომ საქართველოს გადმოხედოს, ატირდება“;

„მე მწერალი, დღეს სასაფლაოზე ვცხოვრობ. ირგვლივ ვაება და კაეშანია. მეუბნებიან, გმირული რამ დასწერეო. თუ სხვებთან ერთად ვიგლოვე – თავში ჩამირახუნებენ, თუ ავტლიკინდი – სირცხვილით დავიწვები. ვარ მდუმარე და დარდიანი“;

„სოციალიზმი სულის ჭლექია, გამოფიტულ გონებას შეეპარება, ჩაჰბღუჯავს, დაიმორჩილებს, გამოხრავს და მოჰკლავს“;

„ჩემი ბედი ძლიერ ჰგავს გ.ერისთავის, ორბელიანებისა და სხვათა ბედს. ჯერ სიკვდილი გადაუწყვიტეს, მერე აპატიეს. დიდი მწერლები გამოვიდნენ. ჩეკაში ამაზე ვფიქრობდი“ (ჯავახიშვილი 2005:157-183).

1986 წელს სერგი ჭილაიამ გამოაქვეყნა „ოცწლეული (1921-1940) წლები და პრობლემები“. კრიტიკოსი შეეხო ჟურნალ „პროლეტარული მწერლობის“ტენდენციურობას ძველი თაობის მწერლების მისამართით: „ეს ჟურნალი მართლაც იბრძოდა მაღალიდეური და მაღალმხატვრული მწერლობისთვის, მაგ-

რამ მეტისმეტად ტენდენციურად ეკიდებოდა ძველი თაობის ცნობილ ოსტატებს, იმავე მიხეილ ჯავახიშვილსა და ლეო ქიაჩელს, იოსებ გრიშაშვილსა და ალექსანდრე აბაშელს... რასაკვირველია, რომანების – „ჯაყოს ხიზნები“ და „სისხლის“ ავტორები „გაუსწორებელი რეაქციონერების“ ეპითეტს არ იმსახურებდნენ. ჟურნალი „პროლეტარული მწერლობა“ და თვით ასოციაციის ხელმძღვანელობა მთლიანად იზიარებდა რაპპის მცდარ ლოზუნგებს; ყოველივე ამან დიდი ზიანი მიაყენა პროლეტარული მწერლობის ასოციაციის მუშაობას და იგი შემაფერხებელ მოვლენად იქცა, ხელი შეუშალა ძველ თაობასთან თანამშრომლობის ლენინური პრინციპების განხორციელებას. ლენინიზმი გვასწავლის, რომ საჭიროა ძველ თაობასთან, სიტყვის გამოცდილ ოსტატებთან მეგობრული თანამშრომლობა, რათა ისინი ჩავაყენოთ პროლეტარიატის სამსახურში; რაპპელები კი, მეგობრული თანამშრომლობის ნაცვლად, უხეშად ესხმოდნენ თავს ძველი თაობის საუკეთესო წარმომადგენლებს, რომელთაც გულით ეწადათ საბჭოთა მწერლობის პლატფორმაზე გადმოსვლა“ (ჭილაია 1986:103). მოცემული ამონარიდი გვაუწყებს, რომ ზედმეტი ტენდენციურობა და თავდასხმა ხელს უშლიდათ მწერლებს, მთელი ძალით ჩართულიყვნენ პროლეტარულ ღვაწლში, კრიტიკოსი ამაზე საუბრობს არა ტირანიის სიმძაფრის ჭამს, არამედ მაშინ, როცა საბჭოთა სახელმწიფოს უკვე წყალი აქვს შემდგარი და საცაა ჩამოიშლება. რასთან გვაქვს საქმე, მაშინ ჯანსაღი კრიტიკა ჯერ კიდევ ცენზურის მონა იყო? ან იქნებ სერგი ჭილაიას მოსწონდა სტალინური ქვეყანა, ან იქნებ სიმართლეს ბრძანებს?! იკვეთება დასკვნა: ძველი იდეების მოტრფიალე მწერლებს არ ჰქონდათ რადიკალური პოზიცია, თუნდაც ჰქონოდათ, ისინი თანამშრომლობაზე უარს არ ამბობდნენ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ პროლეტარიატი უფრო აგრესიული იყო, ვიდრე დეკადანსის წევრი მწერალი, პროლეტარიატს რომ მთელი გულით სდომებოდა „გადმობირება“, თანამგზავრობა, გაპროლეტარება, კიდეც შეძლებდა. „გველსა ხვრელით ამოიყვანს, ენა ტკბილად მოუბარი“ – აი, ამ მეთოდის არცოდნაზე საუბრობს სერგი ჭილაია.

შეფასებისას ავტორი ყურადღებას ამახვილებს რაპპე-

ლების ზღვარგადასულ „სიბრმავეზე", რადგან ისინი თანამშრომლობაში ხელს უშლიდნენ ძველ მწერლებს, შექმნეს ქაოსი. მათ ზურგი გაიმაგრეს 1925 წლის ცნობილი დადგენილებით „პარტიის სალიტერატურო პოლიტიკის" შესახებ, რომელიც თანამშრომლობისა და პროლეტართა რიგებში მიწვევას უნდა მომსახურებოდა და არა გაყრასა და თავდასხმებს. ატეხილი ქაოსის გამო დაიხურა ჟურნალი „პროლეტარული მწერლობა" 1932 წელს. როგორც სერგი ჭილაია გვაუწყებს, გარდაქმნის შესახებ „დადგენილებამ უდიდესი ისტორიული როლი შეასრულა საბჭოთა მწერლობის აღმავლობის საქმეში" (ჭილაია 1986:106).

მოცემული ნარატივი მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაძლევს ძველი და ახალი თაობის მწერალთა ურთიერთმიმართებაზე, ძველებს, რა თქმა უნდა, უმძიმდათ ღირებულთან განშორება, რეალურად არც განშორებიან, ამის საფუძველი თავად პროლეტარიატმა გაამყარა თავისი ხისტი დამოკიდებულებით. არ მისცა გასაქანი მწერლებს, ახალ ცხოვრებას მეტად დაახლოებოდნენ. თითქოს, პროლეტარიატის დახურულ კართან იდგნენ ძველი თაობის მწერლები, კართან, რომელიც ორ ბანაკად ყოფდა მწერლობას: „მოკავშირე და მტერი". რეალურად კი, როგორც სერგი ჭილაიას „ოცწლეულიდან" ვიგებთ, სულაც არ იყო ასე ცუდად საქმე. რომ არა უნიჭო მწერალთა ეჭვიანობა და აგრესია, „დათბობა" ბევრად ნაადრევ ეტაპზევე იქნებოდა შესაძლებელი.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის პირველ სხდომაზე, რომელიც გაიმართა 1937 წლის 27 მაისს და რომელიც ეხებოდა ლავრენტი ბერიას მოხსენების გარშემო მწერალთა გამოსვლებს, ყურადსაღებია პაოლო იაშვილის სიტყვა. ის თავს იმართლებს ბერიას და საბჭოთა მწერალთა წინაშე იმ ბრლადების გამო. რომელშიც მუქარა ისმის: „დროა პაოლო იაშვილმა ჭკუა ისწავლოს..." იგი ხაზს უსვამს ბერიას „ბოლშევიკური სიმკაცრით" აღსავსე კრიტიკას. იაშვილი ელიავას, ჯიქიას და აღნიაშვილის, როგორც საბჭოეთის მოღალატეებისა და მტრების თანამებრძოლად და მეგობრად თავს არ თვლის. დაწვრილებით იწყებს მათთან ურთიერთობათა ისტორიის წარმოდგენას, სადაც იგრძნობა

მათი კრიტიკა, გაკიცხვა და მხილებაც კი. მისი თქმით, ელიავა „ტიპიური ლაზღანდარა იყო, ყოველთვის პირში მომღიმარი, გულის დამპყრობი, არსებითად ორჭოფი და შურის ჩამგდები... მე მასთან მეგობრობა არ მქონია. ელიავა მე ყოველთვის მაგინებდა ზურგს უკან, მიწყობდა ხრიკებს... ვეჯავრებოდი, ხალხს ჩემს თავს აძულებდა... პეტრე აღნიაშვილი არასოდეს არ მიმაჩნდა მთლიან პიროვნებად, ხშირად სტოვებდა შთაბეჭდილებას არანორმალური ადამიანისა, სულიერი სნეულის... სრულებით გაანადგურა ახმეტელი, უწოდა მას ხულიგანი, ფაშისტი, გაიძვერა... უეცრად პოზიცია გამოიცვალა, ახმეტელი მე ძალიან მიყვარსო, განუმარტავს, რომ სხვების თანდასწრებით ასე იყო საჭირო თქმა... მეც მფარველობდა ერთ დროს, შემდეგ ჩემგან პირი იბრუნა... ლევან ღოღობერიძესთან, ბესარიონ ლომინაძესთან და ვლადიმერ ჯიქიასთან ბავშვობიდან ვიყავი დაახლოებული... მენშევიკების დროსაც (ლომინაძე) იყო ერთად ერთი კაცი, რომელმაც ჩვენ კიდევ მენშევიკების თარეშის დროს ჩაგვინერგა გატაცება დიდი ოქტომბრის რევოლუციით. მე თუ გასაბჭოების ღამეს ტფილისში დავრჩი, მონაწილეობა მივიღე ქალაქში წესრიგის აღდგენაში, არ დავემორჩილე იმ ჭორებს ტერორისა და აწიოკების შესახებ, რომელსაც მენშევიკები ავრცელებდნენ წითელი არმიის შესახებ, ეს იყო უმთავრესად ლომინაძის გავლენით, რომელიც გვიხატავდა მომავალ სურათს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას საქართველოში... მას შემდეგ, რაც ლომინაძე და ღოღობერიძე მოხსნეს ა/კავკასიის და საქართველოს ხელმძღვანელ მუშაობიდან, ჩვენ და კერძოთ მე, უნდა გაგვეწყვიტა მათთან ყოველგვარი კავშირი, ეს იქნებოდა პატიოსანი საქციელი ერთგული და ფხიზელი საბჭოთა მოქალაქისა, მაგრამ ძველი გავლენა იმდენათ ძლიერი იყო... ურთიერთობა არ გამიწყვეტია... არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ლომინაძეს ჩემთვის გაემჟღავნებინოს თავისი მზაკვრული ორჭოფული ზრახვა, მოენდომებინოს ჩემი ჩათრევა თავის ბნელ საქმეებში, ოდესმე დამცდენოდეს მასთან ან რომელიმე სხვა გამოუმჟღვნებელ მტერთან რაიმე ორჭოფული, არა საკადრისი, არასაპატივცემლო სიტყვა დიდი სტალინის და მისი შესანიშნავი თანამებრძოლთა შესახებ, ან იმ ადამიანის

შესახებ, რომელმაც ბოლშევიკური პარტიის ნების თანახმად საქართველო ყოველ დარგში არყოფილ სიმაღლემდე აიყვანა. მე ვამბობ ამხ. ბერიას შესახებ... ღოღობერიძეს შეეძლო ჩემი ჩათრევა რაიმე მზაკვრობაში... მაგრამ 4 წელიწადია მე მასთან ყოველგვარი კავშირი გავწყვიტე...

ჯიქიასთან ყველაზე უფრო დაახლოებული და დამეგობრებული ვიყავი, ერთად ვსწავლობდით... გიმნაზიაში ჯიქია რაინდათ მიგვაჩნდა, ის ძლიერი კაცი იყო და მოწაფეების დამცველი, დაურიდებელი და მასწავლებლებს მისი შიში და რიდი ჰქონდათ" (სეა საქმე №29: საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 8, აღწ. 1, 1937, 27 მაისი, 29-43). ყრმობისდროინდელი მეგობრობა, როგორც პაოლო ყვება, დიდი ხნის გაწყვეტილი ჰქონდათ. იხსენებს ერთ შემთხვევით შეხვედრას, როცა რიონჰესის მუშების შეგროვება უთხოვია ჯიქიას მისთვის და პაოლოც ჩართულა ჰესის მშენებლობაში. ამ ორ წელს უმძიმეს ტვირთად იხსენებს და საყვედურით აღნიშნავს, რომ ამ საქმიანობამ ის ჩამოაშორა საყვარელ საქმეს – მწერლობას: „ჩამოვცილდი მწერლობის ოჯახს, ვიქეც საქმის კაცად, ავაბნიე საკუთარი გზა და კვალი და დღევანდელ მდგომარეობაში ჩავარდი. ჯიქიას მე ვენდობოდი, პატივსცემდი, მე დიდათ ვცდებოდი და დამხმარე კი არავინ მყავდა. შეეძლო, რა თქმა უნდა, მწერალთა კავშირსაც იმ დროს ჩემი დახმარება, ლაპარაკი და ჩურჩული ბევრი იყო და პირდაპირი თქმა არსაიდან არ მესმოდა. მხოლოდ ტიციან ტაბიძემ გამიმჟღავნა ყველაფერი რაც ჩემს გარშემო ესმოდა. წავედი ამხ. ლ. ბერიასთან და უამბე ყველაფერი. მან მირჩია მწერლობისთვის მომეკიდა მაგრად ხელი და უფრო მეტი მემუშავნა... ჯიქიასთან ურთიერთობას განვაგრძობდი, ორჯერ მომცა ბერიამ ნიშანი ამ კავშირის შესახებ, მაგრამ მე ვერ გავარკვიე და სწორად ვერ დავაფასე ამხ.ბერიას გაფრთხილება. მხოლოდ მაშინ, როდესაც დაისტამბა ამხ. ბერიას წერილი ხალხის მტრების გაცამტვერების შესახებ, მე მოვედი გონს, ის ეხებოდა ზოგიერთ კომუნისტებს, რომელნიც დაკავშირებული არიან უპარტიო ინტელიგენციასთან და დიდ გავლენას ახდენენ მათზედ. მე მივხვდი, რომ ეს ადგილი მეც მეხებოდა. იმ დღესვე გავწყვიტე კავშირი ჯიქიასთან... მე არ ვიცოდი ამხანაგებო, თუ ის ხალხის

მოღალატეებში გაერეოდა, როდესაც გავიგე მისი დაპატიმრება, ამან ჩემზე უღრმესი შთაბეჭდილება მოახდინა. ჩემ თვალში ის არ გავდა ორჭოფ ადამიანს და დიდხანს ვიყავი გაოცებული, რომ მან არ დააფასა პარტიის და ხელისუფლების ყურადღება. მას არაფერი არ აკლდა... ამხანაგებო, ზიზღის გარდა სხვა გრძნობა ხალხის პირშავ, გაიძვერა მტრის ტოროშელაიძისადმი არა მქონია... არა ერთხელ საჯაროდ მრავალ ამხანაგთა საუბარში გამომითქვამს ჩემი აღშფოთება და სიძულვილი ფაშიზმის წინააღმდეგ... უნაპირო გრძნობით მე მიყვარს ჩემი სოციალისტური სამშობლო, ყოველ წუთში მზად ვარ სტალინს და მის საქმეს შევსწირო თავი. ამხ. ბერია მოითხოვს ჩემი ძველი საქმეების დაგმობას და გარდაქმნას. მე მაქვს შესაძლებლობა ამ გარდაქმნისა, მაქვს სურვილი თავდადებულ მუშაობისა. მე ვიღებ ამხ. ბერიას ყველა შენიშვნას და გაფრთხილებას. არ გაივლის ერთი წელიწადი და... ყველა ჩვენი წინსვლის მოხარული ადამიანი დარწმუნდება, რომ ამხ. ბერიას დაურიდებლმა კრიტიკამ მე სარგებლობა მომიტანა. ამ წლის ბოლომდე მე შევასრულებ ყველა ვალდებულებას, რომელიც ჩემს თავზე ამიღია და თქვენ ყველანი იქნებით მოწმენი, რომ მომავალ წელიწადს მე შევხვდები სრულებით გაწმენდილი როგორც ცხოვრების, ისე შემოქმედების შეცდომებისგან (სეა საქმე №29: საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 8, აღწ. 1,1937, 27 მაისი, 29-43). პაოლოს სიტყვიდან ჩანს, რომ თვითგადარჩენის ინსტინქტი მას ბევრ აუგს ალაპარაკებს მეგობრებზე, მართალია, საბჭოური პათეტიკა გამოსჭვივის მის ე. წ. „პატაკში“ (პირობაში), მაგრამ აშკარაა, რომ ის თავს აიძულებს, საბჭოეთის მსახურება გასწიოს ისე, რომ სასაყვედურო არაფერი ჰქონდეს ხელისუფლებას და ჩასაფრებულ მოთვალთვალეებს. რა შინაგანი ხმა ალაპარაკებს, შიში, სურვილი თუ მოვალეობა, ეს, ვფიქრობთ, შედეგს ვერ შეცვლიდა. აქვე დავაზუსტებთ ერთ დეტალსაც: არ გამოვრიცხავთ, პაოლოს შინაგანი ხმა სუიციდის გზით გამოსყიდვას უკიჟინებდა „ცხოვრებისა და შემოქმედების შეცდომებისა“, როცა ის „სრულებით გაწმენდის“ პირობას დებდა.

ნიკოლო მიწიშვილის სიტყვა სხდომაზე იყო გამოხმაურება ლავრენტი ბერიას ცნობილ მუქარასთან: „ჩემს შესახებ ნათქვამიდან გამოვიტანე ის დასკვნა, რომ არსებობს სურვი-

ლი არა ჩემი უფსკრულში გადადევნისა, არამედ სამშვიდობო გზაზე გამოყვანისა, ჩემი ლიტერატურულად და პოლიტიკურად უფრო მეტი გააქტივებისა... მე, ცხადია, მქონდა სხვადასხვა სახის შეცდომები... არ ჩამიდენია არცერთი შეგნებული დანაშაული პარტიისა და ხელისუფლების წინაშე. მე ვიყავი საბჭოთა ხელისუფლების ერთგული, რიგითი მუშაკი და როგორც შემეძლო ვიბრძოდი ჩემი ქვეყნის კულტურული აღორძინებისთვის, რომელიც მე საბჭოთა სინამდვილის გარეშე არ მაქვს წარმოდგენილი. მე ვმუშაობდი სინდისის კარნახით და არ ჩამიდენია ისეთი რამ, რაც საბჭოთა მწერლებისა და საბჭოთა საზოგადოებრივობის გარეშე დამაყენებდა, არა თუ ვინმე წამიყენებს მე ასეთს ბრალდებას დღეს... არ იქნება ძნელი დასამტკიცებელი ის ფაქტი, რომ არავითარი კავშირი იმ ბოროტ საქმესთან, რომელმაც ის (ღოღობერიძე) მიიყვანა ქვეყნის გამცემლობამდე, მე არ მქონია არავითარი სახით... „ის ადგილი ცენტრალური კომიტეტის ანგარიშიდან, სადაც ჩემს შესახებაა ნათქვამი – მე გაბეთიდან ამოვსჭერი და დავაწებე იმ პაპქას, რომელშიაც მე ყოველ საღამოს ვაწყობ ხოლმე ჩემი ახალი პოემის ახალ-ახალ ფურცლებს. როდესაც მე ამ პოემას დავამთავრებ, მე ვეცდები, რომ ეს მალე მოხდეს, გაუგზავნი ამ ნაშრომს იმ ადამიანს, ვინც უბრალოდ რომ ვსთქვათ მიმაბა ამ საქმეზე... ერთგულება და სოციალისტური სამშობლოსადმი სიყვარული... აქ ამხანაგების წრეში ვიძლევი მე ამ ორ თამასუქს და თქვენ იცით, რომ ყოველ თამასუქს სჭირდება განაღდება მთელი ასი პროცენტით“ (იქვე:58-61)[9]. მის სიტყვაში შეიმჩნევა გულწრფელობაც, დამაჯერებლობაც, ცოტა წყრომაც, ასე ვთქვათ, ტყუილი ბრალდების გამო. რაც, თავისთავად, ბადებს საეჭვო კითხვებს და მისი პიროვნებისა და შემოქმედების საფუძვლიანი კვლევისკენ გვიბიძგებს.

გვსურს ამ ნაშრომში ხაზი გავუსვათ ისეთ მნიშვნელოვან დეტალს, რასაც ჰქვია ძირეული კვლევა იაშვილის, მიწიშვილის, გამსახურდიას, ჯავახიშვილის, ტაბიძის, გალაკტიონის, ცირეკიძის, არსენიშვილის, კლდიაშვილის, გაფრინდაშვილის, შანშიაშვილის და სხვათა შემოქმედებისა. არა მხოლოდ შემოქმედების, არამედ მათი პიროვნულობისა, დამოკიდებულებებისა და პოზიციებისა. საორჭოფო შინაარსის დოკუმენტები, როგორც ისტორიული

კონტექსტის მნიშვნელოვანი ნაწილი – ეს თავიდან ააცილებს ჩვენს მწერლებს უსაფუძვლო ბრალდებებს, ან შეცვლის აქამდე დამკვიდრებულ და ტაბუდადებულ შეფასებებს.

სხდომაზე საინტერესო გამოსვლა ჰქონდა კარლო მელაძეს. მას არ სჯერა პაოლოს გულწრფელობისა და „გულუბრყვილობისა", მის გამოსვლას მოჩვენებითს უწოდებს, ბასრად გაჰკრა კბილი მიწიშვილს, სანდრო შანშიაშვილს, ტიციანს... „პ. იაშვილს და „ცისფერ ყანწელებს" ხალხის მტრებთან ქონდათ საქმე და კავშირი... აქ ტყუილად იკატუნებენ თავს ამხანაგი ნიკოლო და პავლე, მე მახსოვს მათი პადხალიმური დამოკიდებულება ვ.ჯიქიასადმი". კარლო მელაძე აკრიტიკებს პაოლოს ელიავასადმი დამოკიდებულებას და მისი ნაამბობი „ანეგდოტების" არ სჯერა. მას, უპატიოსანო საბჭოთა მწერლად აღიარებს და მის თვალთმაქცურ ქმედებაზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც შეეხება პაოლოს მიერ 1924 წელს ლენინისადმი დაწერილ ლექსს, რომ ლექსიდან „მავნებელი" ფრაზების ამოყრა მას ვერ გადააქცევს სანდო მწერლად, საჭიროა გონებიდან ამოყაროს ანტისაბჭოური აზრები! კრიტიკოსის შენიშვნზე დარბაზიდან პაოლოს რეპლიკები ისმოდა: „ეს ჩემი შეცდომაა, ვაღიარე ეს შეცდომა". მელაძემ მიწიშვილს ბრალად წაუყენა აღნიაშვილთან მჭიდრო ურთიერთობა, რაც გამოიწვია მიწიშვილისავე ნათქვამმა: „პეტრე აღნიაშვილი შემხვდა ტიციანის ოჯახშიო". მელაძე „პოლიტიკურ მლიქვნელებს" უწოდებს პაოლოს, ტიციანს, მიწიშვილს, პაოლოს ბუხარინთან კეთილი დამოკიდებულების, ელიავასთან ერთად ჯაშუშობის ღრმად სჯერა და ამიტომაც მათ ანტისაბჭოთა მწერლებად მიიჩნევს.

აშკარად იკვეთება მწერლების ორმაგი სახე, შესწავლას მოითხოვს საბჭოთა მწერლის ფენომენი. „აკლდათ სიფხიზლე" ერთი საკითხია, „პადხალიმური დამოკიდებულება" – მეორე, „ჯაშუშური ურთიერთობა" – მესამე. ყველა ეს გამონათქვამი მიემართება ტიციანს, პაოლოს, მიწიშვილს, მათ კრიტიკა „პოლიტიკურ მლიქვნელებს" უწოდებს (სეა საქმე N29: საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 8, აღწ. 2, ფურც.61: 1937: 50-61).

ტოტალიტარულმა რეჟიმმა ცრუ ბრალდებათა სერია

შექმნა, ამაზე უკვე ვისაუბრეთ. მაგრამ ეს მწერლები საბჭოთა კონიუნქტურისთვის მაინც დამნაშავენი იყვნენ. ისინი თვალთმაქცობდნენ, ორპირობდნენ, ვერ მოიპოვეს ნდობა და ეს ცხადია, საინტერესო ფაქტია, რაც, ამავდროულად, გვაძულებს სტალინურ ეპოქას, ეს ურთიერთობები მრავალი კრიტიკოსისა და მეცნიერის, აკადემიკოსისა და ხელოვანის მიერ მრავალგზის აღნიშნული საკითხია. სათქმელი, რომელიც წინამდებარე კვლევაშია აქცენტირებული, გახლავთ სინამდვილე, რომლის გამომზეურება და ხმამაღლა გაცხადება საფრთხილოა, რომ არ დაიჩრდილოს რეპრესირებულ კლასიკოსთა ავტორიტეტი. სიმართლეა ის, რომ ეს ადამიანები ნებით, ძალით, შიშით, მძულვარებით, რყევით თუ იმედით საბჭოეთს ემსახურებოდნენ, მათი ძირგამომთხრელი კავშირებისა და საქმეების დამამტკიცებელი დოკუმენტი, გარდა „შეკერილი" ბრალდებებისა, გაცილებით ნაკლები მოიპოვება, ვიდრე მათი ე.წ. მტკიცებით-აღიარებითი გამოსვლები. გავიხსენებთ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებას, 12 ტომიდან 10-ზე მეტი სოციალისტური სამშობლოს (საბჭოეთის) დითირამბებია. მწერლები საბჭოეთს უმღერიან, ეთაყვანებიან და პირობასაც დებენ, რომ შეცდომებს დააღწევენ თავს. ამას არ ამბობენ შეუგნებლად, პირიქით, მთელი შეგნებით და სიცოცხლის გადარჩენის სანაცვლოდ, უკეთესი ხვალინდელი დღის სანაცვლოდ, ოჯახის გადასარჩენად, დიდი სირცხვილისა და შეურაცხყოფის თავიდან ასაცილებლად, თავისუფალი საქართველოს მთავრობა და ინტელიგენცია ევროპაში არ კარგავდა იმედს საქართველოს ხსნისა, მწერლები ცდილობდნენ სამშობლოში დაპირისპირებოდნენ რეჟიმს, მაგრამ, ფაქტობრივად, ეს შეუძლებელი იყო. შედეგად გვაქვს მწერლების სოციალისტური აღმშენებლობის რიგებში ჩადგომა, საბჭოთა საზოგადოების დამოძღვრა ლენინ-სტალინბერიას იდეებით, ხვეწნა და მუდარა შეცდომების პატიებისა და მაინც აბსურდული ბრალდებებით უმკაცრესი გასამართლება, სიკვდილით დასჯა.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის სხდომათა ოქმების ნუსხიდან განსაკუთრებული ინტერესის ობიქტად უნდა გამოვყოთ 1937 წლის 28 ივლისის ოქმი №4, რომლის თავმჯდომარე იყო დავით დემეტრაძე და მდივანი

ირაკლი ქავჭარაძე. ოქმში დაცულია ინფორმაცია პაოლო იაშვილის მიერ ჩადენილი „პროვოკაციული აქტის“ შესახებ. ინფორმაციის გარშემო აზრი გამოთქვეს ირაკლი აბაშიძემ, იაკინთე ლისაშვილმა, გიორგი ბუხნიკაშვილმა, შალვა რადიანმა, მიხეილ ჯავახიშვილმა, ტიციან ტაბიძემ, კონსტანტინე გამსახურდიამ, სანდრო ეულმა, ვალერიან გაფრინდაშვილმა, სანდრო კლდიაშვილმა, ბესარიონ ჟღენტმა და სხვ.

ყველა ორატორი ერთსულოვნად სასტიკად გმობდა და კიცხავდა პავლე იაშვილის მოღალატურ მუშაობას, საბჭოთა ხალხის მოსისხლე მტრებთან უშუალო კავშირსა და მათ შავბნელ საქმიანობაში მონაწილეობას. ზიზღითა და აღშფოთებით აღნიშნავდნენ პაოლო იაშვილის მიერ მწერალთა კავშირის სასახლეში ჩადენილ „პროვოკაციულ აქტს – თვითმკვლელობას“ (ეპოქის აბსურდისა და ტრაგიზმის დასტურად ეს სიტყვათშეთანხმებაც საკმარისია).

„დაადგინეს: საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის ყოფილი წევრი პავლე იაშვილი მთელი რიგი წლების განმავლობაში საბჭოთა მწერლის ნიღაბს ამოფარებული თვალთმაქცურად აწარმოებდა მოღალატურ-ჯაშუშურ მუშაობას ქართველი მშრომელი ხალხისა და ჩვენი სოციალისტური სამშობლოს წინააღმდეგ. იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული საბჭოთა ხალხის მოსისხლე მტრებთან ტროცკისტ-ბუხარინელ ბანდიტებთან და უშეალოდ მონაწილეობდა მათს დივერსანტულ-მავნებლურ მუშაობაში სისხლიანი ფაშიზმის სასარგებლოდ. და როდესაც მისი მავნებლურ-მოღალატური მუშაობა ურყევი ფაქტებით საბოლოოდ გამომჟღავნებულ იქნა, მან მოინდომა გაქცეოდა საბჭოთა ხალხის რისხვას და პოლიტიკურ მართლმსაჯულებას. მისი თვითმკვლელობა მწერალთა სასახლეში, მწერალთა პრეზიდიუმის სხდომის მიმდინარეობის დროს წარმოადგენს პროვოკაციულ აქტს, რომელიც ზიზღსა და აღშფოთებას იწვევს ყოველ პატიოსან საბჭოთა მწერლის შეგნებაში. ქართველი საბჭოთა მწერლობა მთელი სიმკაცრით ჰკიცხავს პავლე იაშვილის მოღალატურ მუშაობას და მის სახელს განუსაზღვრელი ზიზღით მოიხსენიებს ჩვენი სამშობლოს ყველა გარეწარ მოღალატეთა და გამყიდველთა სახელებთან ერთად.

საქართველოს საბჭოთა მწერლობა დაუნდობლად და განმანადგურებლად შეებრძოლება კლასობრივი მტრის უკანასკნელ ნამსხვრევებს ლიტერატურულ ფრონტზე და კიდევ მეტი ერთსულოვნებით დარაზმავს მთელ თავის შემოქმედებით ძალებს ლენინ-სტალინის დიადი პარტიისა და სოციალისტური აღმშენებლობის ამოცანების გარშემო (სეა საქმე №599: საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 8, აღწ. 1, 1937, 47 ფურც.28 ივლისი,77-78).

1937 წლის 17 აგვისტოს საბჭოთა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე მოისმინეს „ინფორმაცია გამომჟღავნებულ ხალხის მტერ მიხ.ჯავახიშვილის შესახებ (მომხ: დ.დემეტრაძე): „მიხეილ ჯავახიშვილი ჩვენი სამშობლოს და საბჭოთა ხალხის მოღალატეთა ბანდის, ჯაშუშებისა და დივერსანტების, გარეწარის ხროვის მონაწილე აღმოჩნდა. ეს ურყევი ფაქტები იქნა დადასტურებული. ეს არავის არ გააკვირვებს, რადგანაც მიხ. ჯავახიშვილს მთელი მოქალაქეობრივი და სამწერლო ბიოგრაფია მკაფიოდ ახასიათებს მას, როგორც მუხანათურად შენიღბულ და უაღრესი თვალთმაქცობით შეიარაღებულ კლასობრივ მტერს უსაზღვროდ გაცოფებულს პროლეტარული რევოლუციის მიღწევებისადმი მტრობით და სიძულვილით“ (სეა №599: საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 8; აღწ.1, 1937, 47 ფურც; 9 ოქმი - 5).

ოქმში შეტანილი მასალის თანახმად, მიხეილ ჯავახიშვილი „ჯაყოს ხიზნების“ გამო „ცილისმწამებლურ და სინამდვილის უხეშად გამყალბებელ“ მწერლად აღიქვა დემეტრაძემ: „ეს ნამდვილი პარაზიტი (იგ.ჯაყო), ეგოისტური ინსტინქტით შეპყრობილი ცხოველი, ველური სტიქიის ყოვლად ტლანქი ჭურჭელი „მწერალმა“ წარმოგვიდგინა ისეთ ძალად, რომელიც თითქოს წინ წამოსწია და განახლებული ცხოვრების საჭესთან დააყენა პროლეტარულმა რევოლუციამ“. მომხსენებლის განმარტებით, ეს არის „გაცოფებული კლასობრივი მტრის ცინიზმი, მისი საზიზღარი ცილისწამება პროლეტარული რევოლუციის მამოძრავებელ ძალებზე“. მან „მუსუსს“ „პორნოგრაფიული მოთხრობა“ უწოდა, რომლის მიზანია საბჭოთა ხალხის მორალური გახრწნა. რაც შეეხება „არსენა მარაბდელს“, იგი შეაფასა, როგორც „მძაფრი ნაციონალიზმის გამოვლინება“.

ამ ყველაფერმა კი ჯავახიშვილი „მიიყვანა უკვე საბოლოოდ განადგურებულ ჯაშუშ დივერსანტთა საზიზღარ ბანდაშიო".

დაადგინეს, რომ „მ. ჯავახიშვილი, როგორც ხალხის მტერი, ჯაშუში და დივერსანტი გარიცხულ უნდა იქნას მწერალთა კავშირის რიგებიდან და აღგვილი დედამიწის ზურგიდან" (სცსსა №599: საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 8, აღწ.1, 1937,47 ფურც; 9 ოქმი – 5). ამავე წლის ოქმი №8 -ში წარმოდგენილია ინფორმაცია ტიციან ტაბიძის შესახებ, რომელიც „მთელი რიგი წლების მანძილზე მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფებოდა უკვე გამომჟღავნებულ ხალხის მტრებთან".

პროლეტარმა მწერლებმა ურჩიეს ტიციან ტაბიძეს „გულახდილად აღიაროს ყველა ის დანაშაული, რომელიც მას ჩაადენინა ხალხის მტრებთან მჭიდრო კავშირურთიერთობამ". ოქმში ნათქვამია: „არც წერილობით განცხადებაში და არც პრეზიდიუმის ამ სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში ტ.ტაბიძემ არ ისურვა ეთქვა სიმართლე და ბოლომდე განაგრძო თვალთმაქცობა. ამ სხდომაზედაც ტიციან ტაბიძე შეეცადა საქმე ისე წარმოედგინა, თითქოს გულუბრყვილობის გამო არ იცოდა, თუ რა საზიზღარ მოღალატეობას ჩადიოდნენ მისი ამხანაგები, თითქოს თვით იგი ამ პირებისგან მუდამ „დაჩაგრული და დევნილი იყო" (იქვე: 26)[ა].

დადგენილების თანახმად, „ყოველგვარ ეჭვსგარეშეა ტ. ტაბიძის ახლო კავშირი ხალხის მტრებთან... არაერთხელ მიეცა საშუალება ეღიარებია თავის დანაშაული, მაგრამ მან ეს არ ისურვა, – ტიციან ტაბიძე გაირიცხოს საბჭოთა მწერლების კავშირის რიგებიდან. დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად" (იქვე:26)[ბ].

როგორც ფაქტები მეტყველებს, პროცედურა იყო მარტივი. სხდომაზე ხდებოდა „ხალხის მტრად გამოცხადება", რაც სასიკვდილო განაჩენს უდრიდა, მწერალთა კავშირის რიგებიდან გარიცხვის შემდეგ იყო „დახვრეტის" განაჩენი სისრულეში მოჰყავდათ.

ამ ფაქტორივ დოკუმენტებს, ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით. ოქმების მასალა ცხადყოფს მწერლების კონტრრევოლუციურ, ჯაშუშურ საქმიანობაში მხილებას, თუმცა, ისიც გაირკვა, რომ

მათი რეაბილიტაციის პერიოდში ხელახლა გამოიძიეს მათი საქმეები და არცერთი დოკუმენტი და მამხილებელი საბუთი არ მოწმობს მათ ჯაშუშობას ან „მტრობას“, რაც საჭიროებს კვლევების ჩატარებას რეალური ისტორიის შესასწავლად. საზოგადოება იმსახურებს სიმართლის ცოდნას. წარსულისა თუ აწმყოს ფაქტების ფალსიფიცირება ჩვევად არ უნდა ჩამოყალიბდეს.

რეაბილიტაციის დროს და ვერც შემდგომ ვერსად იქნა მიკვლეული მათი, როგორც კონტრრევოლუციონერობის, ჯაშუშობისა და „მტრობის“ დამადასტურებელი მტკიცებულებანი, აღნიშნული სახის დოკუმენტები არ არსებობს. ინტელიგენტი მწერლები ძირგამომთხრელ ქმედებას, არა ისტორიულად დამოუკიდებელი სამშობლოს, არამედ „საბჭოთა სამშობლოს“ მიმართ არ ეწეოდნენ და როგორც ქადაგებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია II, შესაძლოა მათი წმინდანებად გამოცხადების მოთხოვნილებაც გაჩნდეს ერში (თამაზ წივწივაძე).

სამაგიეროდ, სახეზე გვაქვს საბჭოთა პროპაგანდისტული „შემოქმედება“. აღწერილი კონტექსტის გათვალისწინებით, რამდენად შეიძლება დღეს ეს შემოქმედება შეფასდეს ბრალეულობად? საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურის გაცნობისას გამოიკვეთა, რომ კრიტიკაც და საზოგადოებაც თვალს ხუჭავს ძალდატანებით თუ ორჭოფული პოზიციით ნაკარნახები პროლეტარული ხასიათის ლიტერატურის შეფასებაზე. ეს ხელოვნურად შექმნილი იზოლაციაა, რაც, ვფიქრობთ, გაპირობებულია ჯერ კიდევ იმ ისტერიით, რაც მოიტანა რეპრესიებმა. მიგვაჩნია, ანგარიშგასაწევი და მით უფრო, დასაფასებელია მათი შრომა, რომ იმ საშინელი წნეხის ქვეშ მაინც შეძლეს და შექმნეს ასეთი მწერლობა. სწორედ სრული სურათისა და ისტორიის გამოკვეთის ფონზე მეტი ფასი დაედება მათ ნაღვაწს. რაც შეეხება ღირსების შელახვას, ვფიქრობთ, ამ საფრთხის წინაშე ისინი არ დგანან.

კვლევა ეფუძნება ისტორიულ ნარატივებს, საბჭოთა მწერლობას. მთავარ ორიენტირს წარმოადგენდა 1920-1941 წლების პრესა, ფაქტობრივი მასალა მოძიებულია საქართველოს ეროვნული პარლამენტის ბიბლიოთეკაში, პროლეტარული

ნარატივი, რომელსაც გავეცანით საბჭოთა პრესის ფურცლებზე, გვაძლევს დასკვნის საშუალებას, რომ იდეოლოგიურ მსახურებას ეწეოდნენ გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე და მრავალი ქართველი მწერალი, რომელთა ზემოქმედება აშკარად ისახებოდა ქართული საზოგადოების განწყობაზე. წიგნში შევეცადეთ გვეჩვენებინა, თუ რის ფასად მოუწიათ ქართველ მწერლებს პრინციპების დათმობა თუ შენარჩუნება. ასევე, მათი შემოქმედების ეს უსიამოვნო მიმართულება როგორ იძლეოდა საბჭოთა ქვეყნისთვის სასურველ შედეგს.

თავი III

სტალინის მხატვრული სახე სალიტერატურო სივრცეში

ბელადის სახე კონსტანტინე გამსახურდიასა და გიორგი ლეონიძის მხატვრულ ტექსტებში

იოსებ ბესარიონის ძე სტალინს პრინციპული დამოკიდებულება ჰქონდა ინტელიგენციის მიმართ. ის საუკეთესო მწერლობას ითხოვდა, ისეთს, ყოველგვარ კონკურენციას რომ გაუძლებდა და ყველაზე მაღლა დადგებოდა. ამიტომაც არ მოსწონდა ბოლშევიკ-პროლეტარ მწერალთა შემოქმედება. თამარ ბელქანია თავის წიგნში „სტალინური კულტურა" წერს: „სტალინი ხვდებოდა, რომ ახალი თაობის ბოლშევიკური „ხელოვნება" უბრალოდ სუსტია და ამიტომ საჭიროა, რომ „ხელოვნება ხალხს" სულ სხვანაირად მიაწოდოს. ამისათვის კი აუცილებელი იყო არსებული ინტელიგენციის „გამოყენება" ამ საქმეში. ისინი, ცხადია, ამას უფრო მაღალი „გემოვნებით" შექმნიდნენ, და თანაც თავადვე გახდებოდნენ პარტიის პროპაგანდისტები. თუმცა ბელადი იმასაც ხვდებოდა, რომ ეს არ იქნებოდა მარტივი პროცესი (ანუ ქართველი მწერლების ჩაყენება ბოლშევიკური, ერთპარტიული სახელმწიფოს სამსახურში).

სტალინი თავადვე ამკვიდრებს „სტალინიზმის" პრინციპებს. უმთავრეს ორიენტირად იღებს საკუთარ ავტორიტეტულობას და გასაკვირი არაა, რომ იგი თავადავეა დამკვეთი, რომ მაღალი დონის, ინტელიგენტმა და საუკეთესო მწერლებმა შემოქმედებით მუზად გაიხადონ ის. მოკლედ, სტალინი იყო მთავარი ვერტიკალი და მის გარშემო უნდა გაწყობილიყო ცხოვრება. „სტალინის მოქმედების არეალი სამ სივრცეზეა გათვლილი: ე. წ. ლოკალური ეროვნული სივრცე, სადაც იქმნება ნაწარმოების ორიგინალი, მოცემულ შემთხვევაში, საქართველოში. მეორე – საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა, სადაც უნდა გავრცელებულიყო და ავტორიტეტი შექმნოდა ბელადს. მესამე – უკვე მსოფლიო

საზოგადოება გახლდათ. სამივე მიმართულებით ინფორმაციის მანიპულირებისათვის საჭირო ხდება ისეთი შედევრის მოძიება, რომელიც უპასუხებს ერთდროულად ყველა წარმოქმნილ კითხვას. ამ ყველაფერს საერთო უნდა ჰქონოდა სტალინთან, მის წარმომავლობასთან და მის მიერვე შექმნილ საზოგადოებასთან." სტალინი საკუთარ იმიჯს ქმნის და მას სახელმწიფოსთან აიგივებს. მისი ღრმა რწმენით, ადამიანს აქვს უნარი წარსულს სრულიად გაემიჯნოს. ამ მოტივით ის სრულიად ახალი იდენტობით წარუდგა მსოფლიოს, როცა დაივიწყა სახელი, გვარი და ოჯახის ისტორია. როდესაც სახელმწიფო მოხელის რანგში ასული, უკვე" სტალინს" ამკვიდრებს, რაც რუსულად „сталь" ფოლადს ნიშნავს (ბელქანია; 2016:68-74).

პოეზიაში ბელადის ხოტბას ასე თუ ისე შევეხეთ. „საბჭოთა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაში" ბელადის თემამ განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა (კერძოდ, არა ლენინის, არამეს სტალინის სახოტბო ლიტერატურამ).

ლავრენტი ბერიას უშუალო ძალისხმევით საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა „სძლია ჯგუფობრიობას, თავის რიგებში მოსპო ზღუდეები."კანდიდ ჩარკვიანის ხუთწლედის შემაჯამებელ სიტყვაში ნათქვამია: „საქართველოს პროლეტარ მწერალთა ასოციაცია, რომლის ხელმძღვანელთა უმრავლესობა, როგორც შემდგომ გამოირკვა, წარმოადგენდა მტრის აგენტურას ლიტერატურულ ორგანიზაციებში, ეწეოდა ძირგამომთხრელ მუშაობას ლიტერატურულ ფრონტზე. აცხადებდნენ რა ლოზუნგს „თანამგზავრი ან მტერი" ლიტერატურაში, ანტისაბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები მტერთა ბანაკისკენ ისროდნენ ძველი სკოლის საუკეთესო მწერლებს" (ჩარკვიანი 1938:155). თუმცა, „ლიკვიდირებულ" მწერალთა გარდა, დარჩნენ ისეთნი, რომლებიც გადაურჩნენ რეპრესიებს და ერთგვარ თავშესაფრადაც გაიხადეს საბჭოთა მწერლობა. მათ განსაზღვრული თემატიკა და მიზანი ჰქონდათ, – აღეწერათ სოფლის, ქარხნებისა და ფაბრიკების, კოლმეურნეების ცხოვრება, ელექტრიფიკაციის პროგრამებში ჩაერთოთ ხალხი, გაეღვივებინათ სოციალისტური აღმშენებლობის ფერხულში ჩაბმის წადილი და ლენინ-სტალინის გეგმით ცხოვრების რწმენა გაეძლიერებინათ. ამ მიმართულებით და ამ თემატიკით გაეჯერებინათ ქართული საბჭოთა ლიტერატურა.

აღსანიშნია ფაქტი, რომ „ლიკვიდირებული“ მწერლებიც ემსახურებოდნენ ამ საქმეს, მაგრამ „მცირედი“ გადახრები აგენტებად და საშიშ დამნაშავეებად აქცევდა ყოველ მათგანს, რომლებზეც ვისაუბრეთ. საბჭოთა სოციალისტური აზროვნების დამკვიდრებაში აღმშენებლობითი დანიშნულება ჰქონდათ თუ არა „თანამგზავრთა“ მიერ ბელადისადმი მიძღვნილ ლექსებს, პოემებს, პროზას, თარგმანებს და სახალხო გამოსვლებს, თუნდაც მთავრობის დაკვეთით შესრულებული დავალება ასრულებდა თუ არა შთაგონების გაძლიერების როლს, ხალხს რისი სჯეროდა, რასაც ეს მწერლები აქვეყნებდნენ, თუ რასაც ჩრდილში ტოვებდნენ (ოდესმე სამზეოს ნახვის იმედით!) – საკითხის ასე დასმა, ვგონებთ, არ უნდა იყოს უსაფუძვლო.

განსაკუთრებით საყურადღებოა სტალინისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები. სტალინი იქცა პოეტთა მუზად, კერპად და ცხოვრების გარანტად. ღირსეულ მწერლად ითვლებოდა ის, ვინც ეთაყვანებოდა სტალინს და მის მიერ განსაზღვრულ ცხოვრებას. ბელადის სახე აღაფრთოვანებდათ პოეტებსა და მწერლებს. 1938 წელს გამოიცა წიგნი „ქართული ლექსები და სიმღერები სტალინზე“. პროლეტარი მწერლებისგან გასაკვირი არაა, რომ ასხამენ ხოტბას ახალი ცხოვრების შემოქმედს (ალიო მაშაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, სანდრო ეული და სხვანი), მაგრამ ჩვენი ყურადღების ობიექტივში კვლავ რჩებიან გალაკტიონ ტაბიძე (ლექსი „სტალინი“), (ტიციან ტაბიძე უკვე დახვრეტილია!), ალექსანდრე აბაშელი (ლექსი „ფოლადური“), ვალერიან გაფრინდაშვილი, სანდრო შანშიაშვილი (ლექსი „იოსებ სტალინს“), გიორგი ლეონიძე (ეპიკური ტილო, პოემა „ბავშვობა დ ყრმობა“), კონსტანტინე გამსახურდია („ბელადი“) და სხვანი. მათ შემოქმედებას მაღალ შეფასებას აძლევდა იმდროინდელი საბჭოთა კრიტიკა და ჭეშმარიტად სახავდა სოციალისტური განვითარების მთავარ პერსპექტივად, შალვა დადიანის, ლეო ქიაჩელის, რაჟდენ გვეტაძის (ყოფილი „ცისფერყანწელი“), დემნა შენგელაიას, კონსტანტინე ლორთქიფანიძის, კანდიდ ჩარკვიანი ამატებს კონსტანტინე გამსახურდიას სახელსაც: „სოციალისტური სინამდვილის გავლენით გამსახურდიამ სცადა დაეტოვებინა წინანდელი იდეური პოზიციები... „მთვარის მოტაცებაში“ მწერალმა მიზნად დაი-

სახა დაეხატა ჩვენი საბჭოთა სინამდვილე, ჩვენი საბჭოთა ადამიანები, მაგრამ ეს ცდა ვერ გამოუვიდა“ (ჩარკვიანი 1938:166). ეს „შეცდომა“ როგორმე უნდა გამოესწორებინა მწერალს და დაეწერა ნაწარმოები, რომელიც არანაირ ეჭვსა და ქვეკითხვებს აღარ გააჩენდა, რომელშიც არ იქნებოდა ტირილი და სიმპათიები ბურჟუაზიული ელემენტების მიმართ.

იდეოლოგიური წნეხით იყო გამოწვეული თუ მწერლის სურვილით, შედეგი სოციალისტური მენტალიტეტის რეფლექსია, საბჭოთა ადამიანის ძერწვა იყო.

1931 წლის სრულიად საქართველოს მწერალთა ფედერაციის კომისიის სხდომის ოქმი ეძღვნება მის გადახალისებასა და მწერალთა რიგების „წმენდას“, გამორიცხვას საფუძვლად დაედო რეაქციონერობა. გარიცხულ იქნენ პავლე ინგოროყვა, კონსტანტინე გამსახურდია, გერონტი ქიქოძე, შალვა შარაშიძე და იოსებ იმედაშვილი. აღნიშნულ საქმეში კონსტანტინე გამსახურდიას ბრალდება დევს: „რეაქციონური და ანტისაბჭოთა მწერალი ამ ათი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ იბრძვის მხატვრული პროდუქციით და ზეპირი გამოსვლებით ფეოდალიზმის თავად-აზნაურული იდეოლოგიის, შოვინიზმისა და „შავი ჩოხის“ ტრადიციის დასაცავად. თავის გამოსვლებით მან არა ერთხელ საბჭოთა საზოგადოებრივობის ზიზღი და სიძულვილი დაიმსახურა. ხსენებული გამოუსწორებელი რეაქციონერი მწერალი დღევანდელობისთვის პოლიტიკურად მავნე ნაწარმოებებს აქვეყნებს და თავის პოლიტიკური მავნებლობით ამაყობს მწერლობაში და საბჭოთა საზოგადოებრიობის წინაშე“ (სეა №12: საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 8, აღწ.2,1931, 8-9).

აღნიშნულს მოჰყვა გამსახურდიას საპასუხო განცხადება, რომელიც დაცულია (სეა №13: საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 8, აღწ. 2,1931. 13).

„იმ დღიდან, რაც მე ფეხი დავდგი საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მიწაზე მე ვიყავი, ვარ და ვიქნები საქართველოს საბჭოთა მთავრობასთან... გარწმუნებთ, არც ერთი ჩემი შეცდომა არ ყოფილა ბოროტი ზრახვით საბჭოთა ხელისუფლების საზიანოდ წინასწარ განზრახული“. მწერალი განცხადებაში შეახსენებს ფედერაციას, რომ ევროპიდან,

სწორედ, ბრალდების გამო დაბრუნდა, მას დიდი კარიერა ელოდა დასავლეთში, მაგრამ უპირობოდ დაბრუნდა საქართველოში: „ვიღაცეებმა დაარწმუნეს საქარ. საბჭოთა ხელისუფლება საზიანო საქმეს ვაკეთებდი, მე არ მინდოდა საქარ. საბჭოთა ხელისუფლების მტერისა და მოღალატის სახელი მეტარებინა და ამიტომაც დაუყოვნებლივ დავბრუნდი საქართველოში, სრულიად დარწმუნებული, რომ მე ბოლშევიკები უმართებულოდ არ დამსჯიან და არც თუ იოლად გამიმეტებენ... დაშვებულ შეცდომების წყალობით მე დავისაჯე, ხოლო 1927 წელს ...მაპატიეს“.

„...აქვე საჭიროა ითქვას პალიარული ხასიათის ბრალდებებზე: ჩოხა, ნადირობა, და სხვა თუ ბაირონს კოსტუმში შეეძლო ეარნა, მაიაკოვსკის ქალის კოფთა ჩაეცვა, მეც უნდა მეპატიოს პატარა და უვნებელი კაპრიზი: ქარ.ჩოხის ტარება, მას არავითარი სხვა მნიშვნელობა არ აქვს, გარდა იმისა, რომ მე ეს კოსტიუმი მიყვარს. არც ვაჟას და ყაზბეგს სძულდა იგი“ (მე მჩვევია ყოველი ქმნილების გვიან გამოქვეყნება... პრინციპად მაქვს: ხანდაზმულობის ქურაში გამოვცადო ყოველი ახალი ქმნილება“ – „ჩემს ნაწერებს ერთი შეხედვით აღარა აქვთ კონტაქტი დღევანდელობასთან“ (სეა №13: საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 8, აღწ. 2,1931. 18). ამგვარი თავის მართლება უწევს მწერალს საბჭოთა კრიტიკის წინაშე.მეტიც, ის მადლიერებას გამოთქვამს: „ჩემი სიჭაბუკისა და ვაჟკაცობის მანძილზე 10 წელი მითანამშრომლნია...მადლობით შემიცვნია, რომ საბჭოთა ხელისუფლება თუ ცალი ხელით მსჯიდა, იმავე დროს დროსა და საშუალებას მაძლევდა ჩემი შეცდომები გამომესწორებინა“(სეა საქმე №13: ფონდი.8.აღწ.2. 18)[9]. მწერალი აქ გულისხმობს 1927 წელს პატიმრობიდან გათავისუფლებას.

საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმისადმი მიწერილ წერილს კ. გამსახურდია ეპიგრაფით იწყებს: „ქვაი ნატყორცნი უმართებულოდ ყოველივე გულმართლის მიმართ, ძეგლისა თვისის კვარცხლბეკად გამოადგება მასვე“ (ძვ. ებრაული ზოდიაქო./ზადიკი) (სეა საქმე №17: საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 8, აღწ.2, 1931) და ამთავრებს შემდეგი სიტყვებით:„პროტესტს ვაცხადებ სავსებით უმართებუ-

ლო დევნისა და კომისიის განუკითხავ დადგენილების გამო. ბევრის, ძალიან ბევრის მიმართ, წერილის ეპიგრაფად მოყვანილ სიტყვებს უნდა მივუმატო: „საულ, საულ, რად მდევნი მე?“

როგორც ფონდი 8.აღწ. 2. №17 საქმიდან ირკვევა, გამსახურდია მწვავე კრიტიკის ცეცხლში გახვეულა და ასეთივე სიმწვავით ჩაება ის პოლემიკასა და დავაში საკუთარი მწერლური ღირსების დასაცავად, თუმცა პრეტენზიები, რომელიც უკავშირდება მის „კლასობრივ მტრად“ შერაცხვას, შინაარსობრივად და პრინციპულად უარყოფს ამ ბრალდებას: „მე თავის დროზე ციხეშიაც ვმჯდარვარ, მაგრამ ჩემს დღეში პიროვნული შეურაცხყოფა არ მახსოვს, რადგან ნამდვილი ბოლშევიკები იქაც იყვნენ და ყოველ კაცს ინდივიდუალურად ექცეოდნენ. 2 თვის წინად მე ვთხოვე ამხ. აღნიაშვილს დავეფარე ასეთი ბარბაროსული და უსამართლო ლანძღვისაგან, ზომების მიღებას დამპირდნენ და სწორედ ამის შემდეგ ყოვლად გაუგონარი ლანძღვა დამიწყო კრიტიკამ. მართალია, ჩემი მუშაობის პირველ პერიოდში მე მქონდა მრავალი შეცდომა, მაგრამ მე ისინი ვაღვიარე, სხვა და სხვა ამხანაგებმაც აღნიშნეს ჩემი გულწრფელი ცდა მათი დაძლევისა და ხომ არ შეიძლება ადამიანი ძველი შეცდომებისთვის ყოველდღე ხელახლა ჯვარს აცვან და ახალი მიღწევები არ გაუხსენონ? ხომ ცნობილია, ბოლშევიკებს არა აქვთ შურისძიების გრძნობა, და ისიც მწერლის მიმართ?.. მე 7 წელია ამ წიგნზე („მთვარის მოტაცება“) ვმუშაობ, ხელმძღვანელობას იმდენი ტაქტი უნდა გამოეჩინა, ეცლია ჩემთვის რომანის დათავება. მიმღებმა კომისიამ უდიდესი შეურაცხყოფა მომაყენა, მათ ეს უნდათ, როგორმე ბოლშევიკების მტრების ბანაკში გადამაგდონ, რისთვისაც პროტესტს ვუცხადებ ხელმძღვანელობას მწერალთა კავშირისას... ეს ფაქტი ტერორს ახდენს გამომცემლებზე (...) გარდა ამისა, მე მუშაობის ხალისს მიფუჭებს ასეთი განუკითხავი და ყოვლად უმართებულო მოპყრობა. დასასრულ ვთხოვ ცენტრალურ კომიტეტს გამოასწოროს ეს უსამართლობა, გამიწიოს მფარველობა და დამიცვას „რაპპის“ ტრადიციებზე გაზრდილ უხეშ კრიტიკისაგან“ (სეა N17: საქართველოს ეროვნული არქივი,ფონდი 8, აღწერ.2, 1931). გამსახურდიას განსაკუთრებული წყრომა უკავშირდება დავით დემეტრაძეს,

ყოფილ რაპპელს, რომელმაც, მწერლის განმარტებით, „ხელში ჩაიგდო მწერალთა კავშირის სამდივნოს სვებედი და ბუაჩიძეზე მეტად უშრობს სისხლს თავის ცილისწამებით სავსე წერილებით“ (გამსახურდია 1934:7-9).

დიმიტრი ბენაშვილმა ვრცელი პუბლიკაცია მიუძღვნა კონსტანტინე გამსახურდიას პიროვნულ და შემოქმედებით შეფასებას, რომელსაც ეპიგრაფად წაუმძღვარა გერმანელი განმანათლებლის, გოტფრიდ ლესინგის სიტყვები: „არიან მწერლები, რომლებიც თითქოს განგებას შეუქმნია ამოცანად... რა საზომითაც არ უნდა მივუდგეთ მათ, რაც არ უნდ ვეცადოთ მათი ხასიათის ძირითადი თვისებების გაგებას, ჩვენ ყოველთვის წავაწყდებით რაღაც წინააღმდეგობათა გაუგებარ შეხამებას. იმ ფაქტებთან ერთად, რომლებიც ამტკიცებენ ასეთი მწერლების კეთილშობილებასა და სულის სიდიადეს, ჩვენ ვხედავთ უღირს, პირდაპირ დამამცირებელ ფაქტებს. განუსაზღვრელი სიამაყე და ხასიათის სიმტკიცე ერთად არის თავმოყრილი სულმდაბლობისა და ამპარტავნების გრძნობებთან. კეთილშობილ, სათუთ პოეტურ გრძნობებთან ერთად ვხვდებით ეგოიზმისა და განდიდების მოყვარეობას. ასეთი მწერლები აღტაცებულ თაყვანისცემასთან ერთად იწვევენ ამაზრზენ გაღიზიანებასა და გაბრაზებას“ (ბენაშვილი 1938: 96). ეს სიტყვები ნათელს ხდის, თუ საბჭოთა კრიტიკა რა კონტექსტში მიმართავს ლესინგის სიტყვების მოშველიებას. ერთმნიშვნელოვანია, რომ ერთგვარად დაბნეული იყო კონსტანტინე გამსახურდიას მისამართით, თუმცა განწყობა აშკარაა: „გაღიზიანებული და გაბრაზებულია“. მიზეზის დადგენა არ გაგვიჭირდება. იგივე დიმიტრი ბენაშვილი წერს: „თუ მწერლებს ერის, ხალხის სამსახური უნდოდათ, ისინი უნდა გაჰყოლოდნენ იმ გზას, რომელიც რევოლუციამ უჩვენა. კ. გამსახურდია, თუმცა ზიგზაგებით, მერყეობით, ზოგჯერ წინააღმდეგობებით, მაგრამ არსებითად მობრუნდა რევოლუციისაკენ“ (ბენაშვილი 1938:96)[9]. „დიონისოს ღიმილი“, ბენაშვილის აზრით, ბოლომდე არაა თავისუფალი დეკადენტური მისტიციზმისგან. თუმცა კრიტიკოსისთვის მეტად მნიშვნელოვანია არა ფორმა, არამედ იდეა, რითაც, ზოგადად, განიზომება მხატვრული ნაწარმოების ღირებულება. „დიონისოს ღიმილში“ ავტორი მთავარ გმირს,

კონსტანტინე სავარსამიძეს „ზედმეტ ადამიანს“ უწოდებს, კრიტიკოსი კი – „ყოფილ ადამიანს“. მას თათქარიძისა და სამანიშვილის ნაშიერად წარმოადგენს და „მომაკვდავი წოდების სასიკვდილოდ განწირულ ნაშიერს“ (იქვე: 96)[ბ] არქმევს. მშობლიური კერიის მიტოვების შემდგომ კონსტანტინე სავარსამიძე ევროპაში მიდის, თუმცა ვერაფერი გაუგო იქაურ ცხოვრებას და იქაც ზედმეტი ბარგი შეიქნა, თემცა ამას, კონსტანტინე გამსახურდიასავე განმარტებით, განაპირობებდა „უკუღმართი სოციალური წრე“, რაც საბჭოთა კრიტიკამ ძალიან იუკადრისა და ცხვირაბზუებით თქვა: „რომელ უკუღმართ წრეზე ლაპარაკობს ავტორი?“ აქვე შენიშნავს: „კ. გამსახურდია გვთხოვს: „ნუ ამკიდებთ სავარსამიძის ცოდვებსო“, მაგრამ ნაწარმოების პერსონაჟთა მეტყველება და ავტორის მიერ კრიტიკულ წერილებში გამოთქმული ფრაზები სიტყვა სიტყვით ემთხვევა ერთმანეთს, რაც ცალსახად განსაზღვრავს მწერლის მსოფლმხედველობასო – შენიშნავს ბენაშვილი. რაც შეეხება იდეას, მთავარი გმირის უმიზნო და უშინაარსო ცხოვრება განასახიერებს „დროის ნიშანს“: „დღეს, 32 წელი შემისრულდა. ნახევარი ხმელეთი მომივლია. შვიდი ენა შემისწავლია, შვიდი ხალხის ცხოვრება შემიცვნია. ტაია შელია, მე მარტო ვარ ამ უღრან ტყეში. შვიდი პროფესია გამოვიცვალე და ვერ ვიპოვე ადგილი ამ ცხოვრებაში. ტაია შელია! ჩემი ცხოვრების ნახევარ გზაზე შემომაღამდა, ისევ შენ გიგონებ და გეძახი – გულთმისანო ჩემო გამზრდელო, ეგებ შენ მასწავლო გზა, როგორ გავიდე ამ უღრან ტყიდან... გზა!.. მე ყველა ვნახე, მე ყველას ვკითხე და ვერავინ მასწავლა გზა“ (გამსახურდია 1961: 669). ეს დეტალი სიმბოლურ სახეს იძლევა, თუ რისი თქმა სურდა მწერალს და ცხადია, ჩივილიც შეეფერება: „ამ საქართველოში მე მაინც ზედმეტი კაცი ვარ...ამ ხალხის მე ვერაფერი გავიგე. არც მათ უნდათ ჩემი გაიგონ. ჯამბაზობის ნიჭი ჩემთვის ღმერთს არ მოუცია, ბოლოს და ბოლოს კურიოზული ადამიანის როლიც მოსაწყენია. ყველას და ყველაფერს ჩამოვცილდი. მონადირეთა საზოგადოებაში შევედი. ადამიანებს ვერაფერი გავაგებინე, ეგებ საქართველოს ნადირებს შევასმინო რამე... ყველაფერი ამ ცხოვრებაში სწორედ ისე მოხდა, როგორც მე არ მინდოდა... ჩემი ხელთნაწერები? ეს ღმერთმა უწყის, თუ ოდესმე

გამოქვეყნდება ჩემი „სისხლისთვის“ (გამსახურდია 1961:928-929). გამსახურდიას რომანი ფოტოგრაფიული სიზუსტით უჩვენებს მკითხველს ახალი დროების მანქანაში გამოსრესილი ადამიანის ბედს. თაობის მწერალთა განზოგადებულ სახედ უნდა გავიაზროთ კონსტანტინე სავარსამიძე. დეტალები უტყუარად ემთხვევა კონსტანტინე გამსახურდიას სულიერ მდგომარეობას, მის შინაგან დუღილს. თხრობას აშკარად ახლავს სენტიმენტალური განწყობის ტონი. ნადირებში ვის გულისხმობს ავტორი? არც ამ ამოცანის ამოხსნაა რთული. ის დღემდე აღიქმება „კურიოზულ“ ტიპად საბჭოთა მწერლობაში. „.დიონისოს ღიმილი“, უდავოდ, ალეგორიული რომანია, მაგრამ ეპოქის სურათს ზედმეტი გამჭვირვალობით იძლევა.

კონსტანტინე გამსახურდიას სულიერი პორტრეტი აისახა როგორც თარაშ ემხვარის, ასევე კონსტანტინე სავარსამიძის მხატვრულ სახეებში. ცხოვრებამ და ახალმა დროებამ მას ნიღაბი მოარგო. ამიტომაც მწერლის ტკივილიან ოცნებად დარჩა, დარჩენილიყო „კრისტალივით გამჭვირვალე“ მწერლად და კაცად: „მინდა ბერივით სათნო ვიყო, თეთრი ოლარი მეცვას. ჩემს გულში მაღალი სათნოების თეთრი სანთლები ანთია და არ იშრიტება. მინდა კრისტალივით გამჭვირვალე ვიყვე, ამღვრეული ვარ. როგორც კახური მაჭარი“ (გამსახურდია 1961:677).

სულიერი პორტრეტის აღსაწერად გვეხმარება „კონსტანტინე სავარსამიძის ავტოპორტრეტი“: „მუდამ გზაჯვარედინზე ვირყევი. როცა შორს მივდივარ, ვერ გადამიწყვეტია: ზღვით თუ ხმელეთით? სასყიდელში ორნაირი ნივთი მომეწონება. ერთსა და იმავე დროს ორ კაცს ვემეგობრები. მუდამ ორ ქალზე ვარ შეყვარებული... ხშირად, როცა ძლიერი გრძნობის გამოთქმა მინდა, ერთი ცნებისთვის ორი სიტყვა მომადგება პირზე. მესამეს ვირჩევ, ის არ გამოდის, რაც მინდოდა“ (იქვ: 678). კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებითი გაორება სარკისებურად აირეკლა მისივე რომანში. „შეგონებაში“ გვიამბობს ქადაგზე, რომელსაც „ბნელი წართქმის ოსტატად“ იხსენიებს. თუ რამ ბნელი და უსახურია მის შემოქმედებაში, საბჭოთა სინამდვილეს და ბელადს უკავშირდება.

შეგონება:

„...იხმო ქადაგი იმ ქვეყნის მეფემ:

„შენს გამო ამბობენ: ენაარეული მოუბარი ხარ, ბნელი წართქმის ოსტატი, ალბათ ჩემი გეშინია, მიტომ ეწევი ბნელმეტყველებას.

უპასუხა მეფეს ქადაგმა:

„მე დამბადებლის მეტის არავის მეშინია, მზეგრძელო მეფევ! თუ მართლაც ენაარეული მოუბარი ვარ და ბნელი წართქმის ოსტატი, ეგ იმიტომ, რომ ეს ქვეყანა არეულია და ბნელი"...

„მერმე არ გეშინია, ადამიანებმა ვერ გაგიგონ, შლეგი გიწოდონ?" „ქვეყანა ვრცელია, მზეგრძელო მეფევ! ყველგან ურიცხვი საგანია, ყველგან ურიცხვი სული და არც ერთი მარცვალი სიცარიელეში არ ჩავარდება. ყოველი ხმაურობა ამ ქვეყანაზე ადრე თუ გვიან გამოძახილს პოულობს. მით უფრო, ადამიანის სიტყვა."(იქვე: 679)

როცა მწერალი ალეგორიას მიმართავს, მით უმეტეს, საბჭოეთში, ეს „ბნელმეტყველებად" აღიქმებოდა ცენზურის პირობებში. ორაზროვნებას მუდამ ახლავს ეჭვი, ბუნდოვანება და იქცევა განსჯისა და კამათის საგნად, რაც იცის მწერალმა და ამაზე არ ჯავრობს, ამაო და ფუჭი არ იქნება მისი შრომა, რადგან არცერთ შემთხვევაში არ ემუქრება „სიცარიელეში ჩავარდნა". გამოძახილი როგორი პოვა გამსახურდიას შრომამ? ბევრი ადამიანი წერს, იკვლევს, აფასებს მის პიროვნებასაც და შემოქმედებასაც, არის არაერთგვაროვანი შეფასებები, ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან კონსტანტინე გამსახურდია კლასიკოსია, ქართული რომანის დიდოსტატი. ერთი მხრივ, სამწუხაროა, რომ მას მოუწია საბჭოთა ეპოქის ყალიბში ეცხოვრა, არტახებგადაჭერილს და მეორე მხრივ, საგულისხმოა, რომ სიდიადე სწორედ ავბედითი პირობების ფონზე გამოიკვეთა.

ქადაგისა და მეფის დიალოგში იკითხება გზავნილი ბელადის მიმასამართით. მწერალი ამ ქვეყნის მბრძანებელს შეახსენებს სოლომონ ბრძენის („ეკლესიასტესეულ") ფილოსოფიას: „ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო. უნდა გცოდნოდა მზეგრძელო მეფევ, რომ ყველა ზარი ოდესღაც უნუგეშოდ აჟ-

ღრიალდება. ყველა ბორკილი დაწყდება ერთხელ... და მოვა ჟამი, როცა ყველაფერს წყალი წალეკავს, ყველა ხმას ქარი წაიღებს, ყველა ხმელს ცეცხლი დასწვავს, როცა ცეცხლი ჩაჰქრება, მაშინ ქარიც ჩასდგება და არ შერჩება კაცს დედით შობილს აღარც გვირგვინი და აღარც სკიპტრა... ისმინე ჩემი, მზეგრძელო მეფევ, და გაეცალე ამ ქვეყანას, ბილწსა და წყეულს, და რვალისგან გამოაკვეთინე შენივე სახის სრული ქანდაკი... სულზე იფიქრე მზეგრძელო მეფევ, რადგან მოწეულია ჟამი, როცა საკუთარ სულზე უნდა იფიქროს როგორც მეფემ, ისევე მონამ" (გამსახურდია 1961:936). მოცემულ ფრაგმენტში ბევრი საგულისხმო რამ იკითხება. პირველი, რომ მწერალი ქვეყნის მბრძანებელს გარდაუვალ სიკვდილს შეახსენებს, რომ ადამიანმა ისე უნდა იცხოვროს, როგორც უკანასკნელი ჟამის მუშაკმა; მეორე – რვალისგან გამოკვეთილი სახე სტალინთან ასოცირდება. „სტალ" – ფოლადია და რვალიც გაფოლადებული რკინაა; მესამე – სულზე ზრუნვა ადამიანის უმთავრესი მისიაა. სწორედ აქ ჩნდება შეკითხვა: როგორ იზრუნეს გამსახურდიამ და მისმა თანამედროვე მწერლებმა სულის უკვდავებისთვის. პასუხი ცალსახაა თითქოს. მათ შექმნეს შედევრები! ამით ყველაფერია ნათქვამი, მაგრამ დასკვნაში,უდავოდ, თავს გვახსენებს საბჭოთა მწერლობა, პროლეტარული თუ ბელადის სადიდებელი და კვლავ საჭირო ხდება მთელი ნარატივისა და დისკურსის გადასინჯვა. მით უმეტეს, როცა დაწერილია „ვაზის ყვავილობა" და „ბელადი".

„მთვარის მოტაცებაში", როგორც „დიონისოს ღიმილში", მწერალმა გვაჩვენა ადამიანები, რომლებსაც თავიანთი სახელოვანი წინაპრებისგან მხოლოდ ძონძებიღა შერჩენოდათ. თარაშ ემხვარის ცხოვრებას, ისევე, როგორც კონსტანტინე სავარსამიძისას, ავტორი შეპარული სარკაზმით გადმოგვცემს, თუმცა მახვილ თვალს არ გამოეპარება მწერლის შინაგანი გლოვა, თავადაზნაურული ყოფის დაცემით გამოწვეული. თარაშის გმინვა, „როგორც ჩრდილოეთის ფიორდში დადგმულ ქართულ პალმას ქარბუქი ეკვეთოს, დასეტყვოს და დააბროს, ისე მომეჭრა ამ უშველებელი, უცხო ცივილიზაციის გრიგალი, მეძგერა, შემარყია და ამაფორიაქა. და ქარისაგან გატაცებული ძეწნის ფოთლის დარად დამაქროლებდა ცხოვრება ქალაქიდან

ქალაქად" (ბენაშვილი 1938:111). გადამდები ეფექტის მქონე იყო, ამიტომაც ერთგვარად საფრთხილო და საშიშიც კი. ეს ნიუანსი გამოკვეთს ზემოთ მოყვანილი ეპიგრაფის იდეას. გამსახურდიამ თავისი შინაგანი ხმა აამეტყველა თარაშშიც და სავარსამიძეშიც, რაც, რა თქმა უნდა, ტოტალური საბჭოთა მდინარებიდან ნაპირზე ისროდა მწერალს და მას სჭირდებოდა იმგვარი ნაწარმოების შექმნა, რომელიც კითხვის ნიშნების გარეშე აღიარებდა მას „საბჭოთა მწერლად".

გამსახურდიამ ხარკი გადაუხადა საბჭოთა ლიტერატურას, მან დაწერა რომანები „ბელადი" (დაუმთავრებელი) და ვრცელტანიანი „ვაზის ყვავილობა". ის თითქოს ბოდიშს იხდის, თარაშ ემხვარის სიტყვებში გაჟღერდა მისი ეს უხერხულობა: ვინც დღევანდელ დღეს ვერაფერი არგო, იგი ვერც მომავალ საუკუნეებს ვერ არგებსო. გამსახურდიამ გადაწყვიტა „ეპოქის მდინარების ალღოს აღება" და ამიტომაც დაწერა სტალინის სადიდებელნი. თუმცა, გვინდა ხაზი გავუსვათ არა იმ გარემოებას, რომ ალღოს აღება დროებით იყო ნაკარნახევი, არამედ თავად ფაქტს, კონტექსტსა და ზეგავლენას მკითხველზე. მკითხველი თარაშის ბედს იგლოვებდა, თუ სტალინის იდეალს მოუყრიდა მუხლს?! რას ფიქრობდა გამსახურდია, თავს გადაირჩენდა და საზოგადოება ამას გაგებით მოეკიდებოდა? „გვადი ბიგვაზე", „კოლხეთის ცისკარზე", „პირველ ნაბიჯზე" „სტალინის ბავშვობა და ყრმობაზე" გაზრდილი თაობები გამსახურდიას შემოქმედებაშიც ხომ იპოვნიდნენ საბჭოეთისა და სტალინის ხოტბას! იდეოლოგიური მრწამსისადმი მათი თუნდაც იძულებითი მსახურება თავისებურად ასაზრდოებდა და კვებავდა საბჭოეთს. გასაგებია, რომ ამ ფაქტორს ვერ დააღწევდნენ თავს და ვერც დააღწიეს, დრომ თითქოს კიდევაც გასცა პასუხი კითხვებს: „რატომ წერდნენ," „როგორ გადარჩნენ," და ა.შ. მაგრამ, ისტორიული სინამდვილის მიუხედავად, ვფიქრობთ, აღნიშნული თემა ახლიდან საჭიროებდა გადახედვას. შესაძლოა მათში შევნიშნოთ მეტი თანაგრძნობა, ან პირიქით, მეტი იძულება და თუნდაც მცირედი თანაგრძნობა. კვლევის მიზანია, რომ დავადგინოთ სინამდვილე, რეალური შეფასება მივცეთ მათ ქმედებასა და იდეათა სპექტრს. სხვაგვარად, კერძოდ, ცალსახად იმის

მტკიცება, რომ ეს მწერლები ატყუებდნენ საბჭოეთს, საკუთარ თავს და მკითხველს, ვფიქრობთ, მეტ უხერხულობას აჩენს და უპრინციპობის დაღით ბეჭდავს მათ სახელებს. ანუ, შეფასება, რომ ემსახურებოდნენ იმას, რისიც თავად არ სწამდათ და საზოგადოებასაც აქეთ უბიძგებდნენ, სრულ პარადოქსს ქმნის მათი შეფასების დროს. გამსახურდია გარკვევით საუბრობს „ორი გზის შესახებ" „მთვარის მოტაცებაში": „დღეს მთელ ქვეყანაზე ორად ორი გზაა დარჩენილი – ერთია სტალინის გზა, გზა ბოლშევიკებისა, მეორე მუსოლინისა და ჰიტლერისა". თარაშ ემხვარი მერყეობას დაძლევს და ყოველგვარი ევროპული „იზმისგან" შორს იჭერს თავს, თუმცა სტალინის გზის არჩევასაც მისგან არავინ დაიჯერებს, რადგან თავადია და წინაპრების ცოდვებს მოჰკითხავს ახალი დროება, ამიტომაც ამბობს: „ძალიან საეჭვოა ბოლშევიკებმა ჩემი გულწრფელობა იწამონ". გამსახურდია ამოეფარა თავის გმირს და საკუთარი განწყობა თარაშით შეფუთა. უნდა დავფიქრდეთ, რომელ „გულწრფელობაზე" საუბრობს მწერალი.

„ჩეკას" ინტრიგების წყალობით, 1940-იანი წლებიდან მწერლის პირადი ცხოვრებაც გართულდა. მისი მეუღლის, მირანდა ფალავანდიშვილის ნათესავები ხან ჩუმად, ხან აშკარად კილავდნენ კონსტანტინეს, არ მოსწონდათ მისი პოზიცია: მთავრობას აქებსო, ბოლშევიკებს მიეყიდაო. განსაკუთრებით მირანდას მამიდა – ოლღა ფალავანდიშვილი-კობიაშვილი აქტიურობდა. მას სხვა ნათესავებიც აჰყვნენ: მიზეზი ჰქონდათ – ისინი რეპრესირებული ოჯახიდან იყვნენ. მირანდას ნათესავები დედის ხაზით – ერთი ნაპატიმრალი ჭაბუკი და ბიძამისი – კონსტანტინეს საყვედურობდნენ, როგორ შეიცვალე, ბოლშევიკებმა შეგაშინესო. მწერლის გაფრთხილება არც ერთმა ყურად არ იღო – მალე ისინი დააპატიმრეს და დახვრიტეს. კონფლიქტი გაღრმავდა: მირანდამ ოჯახი დატოვა და ლენინგრადში წავიდა.

მწერალი თავისებური სარკაზმით და, მაშასადამე, გაბედულებით გამოირჩეოდა. გამსახურდიას აშკარად მფარველობდა ბერია, თორემ მის მიმართ ისევე ამოქმედდებოდა რეპრესიების მანქანა, როგორც ათასობით და მილიონობით ქართველის მიმართ.

რა ვითარებაში დაიწერა კონსტანტინე გამსახურდიას „ბელადი“? რომანი მწერალს ჩაფიქრებული ჰქონდა ტრილოგიად, მაგრამ მხოლოდ პირველი ნაწილი გამოაქვეყნა და შემდეგ წერა შეწყვიტა. შესაძლოა ამის მიზეზი ადრესატის უკმაყოფილო დამოკიდებულება იყო. იოსებ ბესარიონის ძეს წაუკითხავს და არ მოსწონებია: „ასეთი ბავშვი არ ვყოფილვარო“ – აღუნიშნავს.

რომანს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ლამარტინის სიტყვები: „...ესე იყო იგი და ეს რომ იგი იყო ზედვე ეტყობოდა“ (გამსახურდია 1939:5).

ბელადის ცხოვრების აღწერას მწერალი მისი ჩვილობიდან იწყებს. ისეთი სისათუთით, ისეთი სიამით ახასიათებს აკვანში მწოლარე პატარა იოსებს, შეუძლებელია მკითხველს სიყვარული არ აღეძრას მის მიმართ. მწერალი სათუთ, კეთილ, გულწრფელ, უბრალო ქალად ხატავს კეკეს, სტალინის დედას, რომელიც ქრისტიანი, ეკლესიური წესის მიმდევარია, შვილის აღზრდისას ზომიერებას იცავს. რომანი ერთგვარად დიდაქტიკურ ხასიათს ატარებს. მიუხედავად იმისა, რომ გამსახურდიას ხელწერა ემჩნევა, ის მისი სხვა რომანებისგან აშკარად განსხვავდება სისადავით, სიუჟეტის სიმარტივით, წნეხის კვალი არ ეტყობა, თუ არ გავითვალისწინებთ ნაწარმოების შექმნის ისტორიას, რომ კონსტანტინე გამსახურდიას ლავრენტი ბერიამ დაუკვეთა ბელადის მაქებარი ნაწარმოების დაწერა. რომანი იძლევა ბელადის შესახებ ისეთ ისტორიას და განწყობას, რომ ის დადებით პერსონაჟად ჰყავს დახატული, თანაც ისე, რომ მკითხველი ეჭვს ვერ შეიტანს სიყალბეში.

როგორი ბავშვი იყო სტალინი? რამ მოახდინა მასზე განსაკუთრებული ზეგავლენა, შთაბეჭდილება, რა იყო მისი ინტერესის საგნები და ა.შ. ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ როცა საქმე არაჩვეულებრივ კაცს ეხება, მაშინ ყოველი დეტალი და ნიუანსი ანგარიშგასაწევი ხდება.

რომანში ყურადღებას იქცევს სიმბოლურ-ალეგორიული ფონი. მწყემსი უფლისა არაბული ლოცავს ახალშობილ, აკვანში მწოლარე იოსებს: „ეს მგლის კბილებია და არწივის პნკალები. აკვანზე ჩამოუკიდე ბატარია ბალღსა, გაიზარდოს, გახადოს უფალმა ქომაგი გლეხკაცისა, ჩუენითანა გაჭირვებულის მოჯამაგირისა, სუყველა იმათი, ვინც ჩუენსავით ცრემლნარევი

ოფლით სჭამდეს პურსა, ვის ნაშრომსც სხვები იტაცებენ. ღმერთო დიდებულო და დიდად სახსენებო, შენ გაუმარჯვე ჯუღაანთ იოსებსა... არწივის სილაღე მიე და მუხლი მგლისა... დეე მთელმა ქვეყანამ შეიყვაროს, გულის პირში ჩაიხვიოს იგი“ (გამსახურდია 1939:17).

მეზობელ ცოქალას თამაშ-თამაშით დასწავლილი „ლოლია, ლოლია“ ცხოვრების რეალობად იქცა სტალინის ცხოვრებაში. ხელის ყოველი თითის ფუნქცია ასე იხატება:

„ამან დაჰკლა,
ამან გაატყავა,
ამან შესწვა,
ამან მოიტანა
და ამან შესჭამა“.

სოსო ჯუღაშვილის როლური თამაში კავკასიის ქედზე მიჯაჭვული ამირანისა ასევე, სიმბოლურ-ალეგორიულია. სრულიად ადეკვატურ, სათნო და კეთილ ყმაწვილს სევდა იპყრობს ძმის სიკვდილის გამო. საინტერესოა მისი სწავლისადმი საოცარი მიძალება, ცოქალას ქმრის, მიხა ქილიფთარის სწავლებანი მისი ყოველდღიური აუცილებლობა და მოთხოვნილებაც კი გახდა. იტაცებს საგმირო ისტორიები, ემატება ცოდნა და თავდაჯერებულობა. აშკარად ვერ ეგუება „თეთრ ცხენზე“ შემჯდარი თამაზ ამილახვრის ქედმაღლობას. სასულიერო სასწავლებელშიც ყველაზე თავმომწონედ უჭირავს თავი, მიუხედავად იმისა, რომ მისი გლეხური გვარი არაფრისმთქმელია თანატოლთა წრეში. წუხს სტალინის დედა, ეკატერინე, რომ „ეხლანდელ სკოლაში გარყვნიან მხოლოდ“, ეს დეტალი მწერლისგან უმნიშვნელოდ ვერ ჩაითვლება, ეს ის მარგალიტია, რომელიც ბელადის საამებლად გამოდგება, მაგრამ ყოველი მწერალი მკითხველის აჩრდილს განიცდის, გამსახურდიასთვის ნათელია, რომ მკითხველი სათანადო ანგარიშს გაუწევს ამგვარ ფრაზებს და სიხარულით დაუცდის დროს, როცა ყრმანი არ გაირყვნებიან სკოლაში. ამგვარი ფრაზები, მართლაც, სახიფათოა ცნობიერების შეცვლის საქმეში. რომანში ჩანს, ჯუღაშვილი სწავლის დაწყების პირველივე დღიდან როგორ დაუპირისპირდა ამ გამრყვნელ და აბეზარ

ვითარებას. „ცხვირპაჭუა დალასკუტას“, ეპისკოპოსის ვაჟს „ძაღლის მწერი“ დაარქვა (გამსახურდია 1939: 50).

დედაზე უსაზღვროდ შეყვარებული, რაინდული ბუნების სოსო მის სამსახურს ამილახვრებთან სასტიკად ვერ ეგუება. ვითარებას იმგვარად აღწერს ავტორი, რომ მკითხველი თანატოლებში გამორჩეულ ჯუღაშვილს გულშემატკივრობს.

მწერალი საინტერესოდ აღწერს მის ცინიკურ დამოკიდებულებას მასწავლებელ ლავროვის მიმართ, რომელსაც თამაშის დროს კენჭისყრით ვირის ნიღაბი არგუნა. შთამბეჭდავია სოსო ჯუღაშვილის ნათქვამი: „წუხელ დარვინი გავათავე... იმაზე ვფიქრობ, მართალი ყოფილა მიხა ქილიფთარი, ღმერთი არა ყოფილა და ჩვენ კი ამდენხანს გვატყუებდნენ თურმე... იგი მართლაც რომ არსებობდეს, უეჭველად მიეშველებოდა საწყალ ხალხს“, რის გამოც პეტა (მეგობარი) შემოიჭრა და იყვირა: „ღმერთო, უშველე“. სოსო კი თავად ექცა მხსნელად ამილახვრიანთ რუსიკოს, რომელიც ლიახვს დასახრჩობად მიჰყავდა (გამსახურდია 1939: 188).

1940 წელს გაიმართა სხდომა, სადაც დაწვრილებით განიხილეს „ბელადი“ და კონსტანტინე გამსახურდიას იდეოლოგიური მრწამსი თუ პიროვნული დამოკიდებულება ბელადის მიმართ. ნაწარმოები ერთსულოვნად დიად რომანად მიიჩნიეს. დიმიტრი ბენაშვილმა და პავლე ინგოროყვამ საუკეთესო ნაწარმოებად შეაფასეს, სერგო კლდიაშვილმა თქვა: „მე ისე აღტაცებული ვარ ამ წიგნით, რომ არ ვიცი როგორ გამოვთქვა...“ (სეა საქმე №83: საქართველოს ეროვნული არქივი ფონდი 8, აღწ.1, 145), თუმცა მას მაინც აქვს „წვრილმანი შენიშვნები, როგორებიცაა: ნაკლები ყურადღების გამახვილება საკუთარი მამის ოჯახზე, ვიდრე ქილიფთარისა, ასევე, არაბულებზეც ზედმეტად ეჩვენება აქცენტები, სტალინის ბავშვობის ეპიზოდები მწირია... ურჩევს ავტორს, მომდევნო ნაწილში ქილიფთარზე თხრობა განაგრძოს. ისაუბრა რომანის აღმზრდელობით მნიშვნელობაზე.

სერგო კლდიაშვილი ამბობს: „რომანს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ყოველი ჩვენი ბავშვი სიამოვნებით წაიკითხავს და ინატრებს, რომ ბელადს დაემსგავსოს“ (სეა №831: საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 8, აღწ.1,ფურცელი

67.I სხდ. 41)[9]. აღნიშნული პოზიცია, სულაც არაა გასაკვირი, ამგვარ ნაწარმოებთა შექმნის მიზანიც ხომ სწორედ ეს იყო, მიზანი მიღწეულ იქნა და ქართულმა საბჭოთა საზოგადოებამ ეს აღზრდა, დიახაც, მიიღო. ჩვენი მიზანია გავუსვათ ხაზი ამგვარ ნაწარმოებთა ისტორიულ მნიშვნელობას. აქ არსებითია ის ფაქტორი, რომ პროლეტმწერლებისგან სარწმუნო და ეფექტური ვერ იყო საბჭოთა მწერლობა, როგორიც დიდი მწერლების ხელით შექმნილი, კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი ლეონიძის, გალაკტიონ ტაბიძის, ტიციან ტაბიძისა. სიტყვას უზარმაზარი ძალა აქვს, ისარივითაა, რომელიც ხშირად ჩრდილს აყენებს გულში ნადუღ წრფელ ფიქრებს. ამას თუ ზედ ემატება სიტყვის ადეკვატური ქცევა, გულისთქმანი ბნელში იჩქმალებიან და სამზეოზე მხოლოდ სიტყვა ჩნდება. ამაში იდო რისკიც, ხიფათიც, მაგრამ ფაქტები ჯიუტია.

ბესარიონ ჟღენტი ასეთ შეფასებას აძლევს კონსტანტინე გამსახურდიას, როგორც „ბელადის" ავტორს: „რომანი არის ახალი გამსახურდიას შემოქმედებაში... აქ იგი უკვე თავისუფალია დეკადენტობის ყველა ცოდვებისაგან, რომ იგი აქ ნამდვილად დგას ჩვენი სოციალისტური ლიტერატურის მოწინავე პოზიციებზე... ამ რომანიდან ახალი სტადია იწყება კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებითს ბიოგრაფიაში. თუ აქამდე ჩვენ ვლაპარაკობდით გამსახურდიაზე როგორც საბჭოთა მწერალზე, მაგრამ ყოველთვის რაღაც მძიმეს ვსვამდით, რაღაც „მაგრამ"-ს ვლაპარაკობდით, ვლაპარაკობდით რაღაც ტვირთზე, რომელიც ეზიდება უკან სოციალისტური თემატიკის მთავარი ხაზისგან, დღეს შეიძლება ვთქვათ, რომ ამ რომანით გამსახურდია დადგა ჩვენი მწერლობის პირველ რიგში". (სეა საქმე №832: საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 8.აღწ.1. ფურცელი 60.II სხდ. 32).

კონსტანტინე გამსახურდია ამავე სხდომაზე თავის გამოსვლაში აღნიშნავს: „თუ ხელოვანს ხელი აუკანკალდა, ისევე დაემართება, რაც ქირურგს ოპერაციის დროს" (გამსახურდია 1939). ის ამბობს, რომ ნაწარმოების შექმნა და მთავარი გმირის სახის გამოძერწვა ძალიან საპასუხისმგებლო საქმეა და ამას დიდი სიყვარულით სჭირდება მიდგომა.

მწერალი საინტერესოდ განმარტავს რომანის ერთ-ერ-

თი გმირის, ლავროვის სახე-სიმბოლოს. მას წარმოადგენს ბურჟუაზიული წრის ყავლგასულ არსებად. ქარი – გროტესკია და ქუდი – რეჟიმიო – ამბობს მწერალი. „ველური ქარი ამოვარდა და გადაუგდო ქუდი ლავროვს. ეს ნიშნავს მთელი მეფის რეჟიმის გადაგდებას". ეს ეპიზოდი მწერლის ირონიაა და მიემართება ლავროვს. დაცინვა, რასაც ვხვდებით აღნიშნულ ეპიზოდში, უნდა მივიჩნიოთ მწერლის პოზიციად. ე.ი. გამსახურდია საკმარისად მაამებლური ჟესტით გვევლინება „ბელადში".

„სტალინს რომ ხატავ, ყველაფერი მისხლამდე უნდა იყოს აწონილიო", – წერს მწერალი და ცხადი ხდება, რამდენი იწვალა, იშრომა, ოფლი ღვარა თითოეულ მისხალზე. „სამი წლის განმავლობაში ვმუშაობდი ამ წიგნზე და მე უნდა მოგახსენოთ, რომ არცერთი წიგნის დაწერა არ გამძნელებია ისე, როგორც ამის დაწერა, იმიტომ რომ აქ არის თავიდან ბოლომდე ბეწვის ხიდზე სიარული...დავიწყე. ავიღე ხელში კალამი, ვწერე, მაგრამ არ გამოვიდა, ქაღალდები დავხიე, დავწვი...მინდოდა ეს რომანი ყოფილიყო როგორც კანდელი ქართველი ერის საუკეთესო ადამიანების ცხოვრებისა...ცოცხალ ადამიანთა შორის არავის არ გაუხელებია ჩემი შემოქმედების უნარი, ისე, როგორც ამხანაგ სტალინს (ხანგრძლივი ტაში) (სეა საქმე №832: საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 8, აღწ.1, ფურც. 60.II სხდ. 46-57). ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ ბელადის საამებელ ლიტერატურას ნაკლები გარჯა დასჭირდებოდა, ვიდრე მის შედევრებსო. ვფიქრობთ, რომ ამ შემოქმედებითი პასაჟებისთვის გვერდის ავლა არ იქნება მართებული ლიტერატურის ისტორიისა თუ მწერლის შემოქმედებითი ასპექტების განხილვისას. სხდომის ბოლო გამომსვლელი, დიმიტრი ბენაშვილი ამბობს: „მისი (გამსახურდიას) ბოლო სიტყვა ისეთი გულწრფელი იყო, რომ მე არაფერი დამრჩენია, გარდა მადლობისაო" (ბენაშვილი 1939). მეტად საგულისხმოა, რომ ეპოქისა და კრიტიკის გათვალისწინებით, გამსახურდიას გულწრფელობაში ეჭვი არავის შეუტანია.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის პირველი გაფართოებული სხდომა ლავრენტი ბერიას მოხსენების გარშემო გაიმართა 1937 წლის 27 მაისს, სადაც მოხ-

სენებით გამოვიდნენ დავით დემეტრაძე, პაოლო იაშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, კარლო მელაძე.

დემეტრაძე კონსტანტინე გამსახურდიას მისამართით ამბობს, რომ „უნდა მოეღოს ბოლო მერყეობას, ქანაობას ორ წერტილს შორის" (სეა საქმე № 29: საქართველო ეროვნული არქივი. ფონდი 8. აღწ.2. 1937. ფურცელი 61. 17), წინააღმდეგ შემთხვევაში მას ელის დაღუპვა. დემეტრაძე ამხელს, როცა ამბობს, რომ „ზოგიერთი ჩვენი მწერალი, რომელთაც აქვთ მთელი რიგი საბჭოთა ნაწარმოებები, ისინი თავიანთ მოქმედებებში, თავის ყოფა-ქცევის დროს არ იქცევიან ისე, როგორც საბჭოთა მწერლები, აი აქ არის დასახელებული ამხ. პ.იაშვილი, მ. ჯავახიშვილი, ნ. მიწიშვილი, კ. გამსახურდია..." სერიოზულად დაუფიქრდნენ ამას და გამოიტანონ თავისთვის ყველა საჭირო დასკვნა, ვინაიდან, არავის ნებას არ მივცემთ ითვალთმაქცონ, ქართველი ხალხი მოატყუონ და საბჭოთა მწერლობის სახელით აკეთონ თავისი შავი საქმე, ხალხის მტერთან ერთად. მაგ. პავლე იაშვილმა დროა ისწავლოს ჭკუა..." (იქვე: 34-35).

„კაცობრიობის ისტორიას ჯერ არ ახსოვს ისეთი გმირი, ისეთი წინამძღოლი, რომელზედაც ხალხი ასე ამღერებულიყოს, როგორც მღერის დღეს იგი მშრომელთა მამაზე – დიდ სტალინზე", წერს შალვა რადიანი გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნილ წერილში (რადიანი 1939:112-118). იმ დროის დაფასებულ კრიტიკოსად იყო აღიარებული შალვა რადიანი და მისგან ამგვარი სიტყვები ლეონიძის მიმართ, უდავოდ, კეთილად განაწყობდა ხელისუფლებასაც და საზოგადოებასაც. ცხადია, ლეონიძესაც აკვირდებოდა საბჭოთა კრიტიკა და მისი დამკვეთი ხელისუფლება. მაგრამ ცალკე კრიტიკოსთა კეთილგანწყობამ და ცალკე მწერლის ალღომ, ყველასათვის გასაგებია, იხსნა მისი სიცოცხლე ტირანის ხელყოფისგან.გიორგი ლეონიძემ პოემა „ბავშვობა და ყრმობა" დაწერა 1936 წელს. გასაგებია პოემის შექმნის ეპოქალური კონტექსტი, „როგორც ამ თვენახევრის წინედ გაცნობეთ, მე ვმუშაობ პოემაზე „სტალინი". პოემა იწერება ამხ. ლ. ბერიას ისტორიული მოხსენების საფუძველზე..." (ლეონიძე 1935:17), მაგრამ უამრავი კითხვა გაჩნდა პოეტის სტალინთან დამოკიდებულების

გამო. სტალინის სიჭაბუკის წლები პოეტმა ხოტბით შეამკო. მის დაბადებას ზარ-ზეიმით შეეგება ყველა. პოეტი გორს ქალაქთა შორის ყველაზე დიად ქალაქად სახავს, დიადია, რადგან მის წიაღში დაიბადა იოსებ ჯუღაშვილი.

საინტერესოა კრიტიკოსთა დამოკიდებულება ეპიკური ნაწარმოებების მიმართ. მაგალითად, იპ.ვართაგავას აზრით, მისი ყოფილი მოსწავლე, გიორგი ლეონიძე, პოეტი-აკადემიკოსი, „უდაო სახელით და პოპულარობით სარგებლობს საბჭოთა კავშირში, პოემამ „სტალინი. ბავშვობა და ყრმობა" 1937 წლიდან სახელი გაუთქვა მწერალს, რომელმაც პოემის ნაცვლად „ეპოპეა" უწოდა. ვართაგავა აკრიტიკებს და განმარტავს, რომ ეპოპეა გულისხმობს სრულ ამბავს, სტალინი კი ჯერაც ცოცხალია. პოეტი აშკარად გეგმავდა პოემის გაგრძელებას, რაც ვერ შეძლო, კრიტიკოსი ჰიპერბოლიზაციად თვლის პოემისთვის ეპოპეის დარქმევას, რითაც, მისი განმარტებით, „უყოყმანოდ ამოუყენა თავისი ქმნილება ჰომეროსის „ილიადასა და ოდისეას". ამ საქციელს ვართაგავა მკრხელობად უთვლის. ლეონიძეს არ უჩვენებია სტალინის ცხოვრების ისეთი მომენტები, რომლებიც ეპოპეისთვის იქნებოდა შესაფერი... საბჭოეთში ფეტიშიზმს ნიადაგი გამოცლილი აქვს, უცოდველად და სრულყოფილად არავინ და არარა არ ცხადდება... პოემაში სიტყვა „სტალინიც" შეუსაბამოა, რადგან სოსო ჯუღაშვილის ფიზიკური, გონებრივი, პოლიტიკური დასრულება-დავაჟკაცება არაა მოცემული. სწორედ პოპულარიზების მიზანს ემსახურებოდა სიტყვა „სტალინი" აღნიშნულ პოემაში. პოეტი სტალინური პრემიით დაჯილდოვდა გაწეული შრომისათვის. აღნიშნული კრიტიკა მხოლოდ ძალიან სკრუპულოზურ დეტალებზე ამახვილებს ყურადღებას, ან ვინ გაბედავდა მოხარკეობისთვის ხაზის გასმას, პრობლემას, თურმე, მხოლოდ ტერმინთა არაადეკვატური გამოყენება წარმოადგენდა.

გიორგი ლეონიძე პოემის ერთ თავში („სახრჩობელა"), ჭაბუკ სოსოს ათქმევინებს:

> რომ დაჰკიდეს, ხომ არ იყვნენ
> ძაღლები და კატის კნუტი ?

ეს ხელმწიფემ ჩაიდინა?..
მერე თავზე ხურავს ქუდი?"

(ლეონიძე 1936)

მკითხველისგან ერთგვარი ირონია უნდა დაიმსახუროს პოეტმა. რა არის ეს? მხილება თუ კადნიერება, წინასწარმეტყველება თუ გულმოწყალების ჩვენება სტალინისა? იპოლიტე ვართაგავა კრიტიკულ ნარკვევში ლეონიძეს ბრალს სდებს „სიყალბეში", „ტრაფარეტულობაში" („ნეტავი გმირი მე ვიყო... შეყვარებული ხალხისგან"), რაც, მისი აზრით, ხიბლს უკარგავს ავტორს, ნაწარმოებს. ვართაგავამ პოემას „პოლიტიკური ლირიკა" უწოდა. განსაკუთრებულია მისი დასკვნა: „კლასიკურ ნაწარმოებად ის არ გახდება. ჩვენ ვიცით, თუ რა მკაცრი და თან სამართლიანია ხალხის, შთამომავლობის განაჩენი" (სსლმ ს. 22808: ვართაგავა 1954: 1-7 რვეულები). ვფიქრობთ, რომ ვართაგავს შენიშვნები, ერთი მხრივ, საკმაოდ გაბედულია, მან გაუსვა ხაზი „სიყალბეს", მეორე მხრივ, კრიტიკოსს აქვს უკმარისობის განცდა, მას უფრო დამაჯერებელი, უფრო მაღალღირებული უნდა. თუმცა სასკოლო სახელმძღვანელოებში შესული პოემა თაობებს ხიბლავდა და სტალინის მიმართ სიყვარულის ცეცხლით მსჭვალავდა აშკარად მაამებლური მოტივით არის შექმნილი ნაწარმოები.

ნინო ტაბიძის ერთ წერილში ვკითხულობთ: „იმ საშინელ დღეებში, როცა ტიციანი ელოდა თავის დაღუპვას, სულ გაიძახოდა, ღმერთო, გოგლა გადაარჩინე, ბავშვი ვერ აიტანსო" (სსლმ 28600) ეს ამონარიდი გვაფიქრებინებს, გოგლა გაორებულ კაცად წარმოვიდგინოთ. ცნობილია სტალინის გამორჩეული სიმპათია მის მიმართ, თუმცა ტიციანის შიშიდან გამომდინარე, მან იცოდა, ალბათ, ისეთი ისტორიები, რომლებიც სტალინურ კონიუნქტურას თვალში მოხვდებოდა და დადგებოდა ყოფნა-არყოფნის დრო. მაგრამ მნიშვნელოვანი ის ფაქტია, რომ ეს დღე არ დადგა!

როცა გიორგი ლეონიძის ბელადისადმი ხოტბაზე ვსაუბრობთ, ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტი აუცილებლად უნდა გამოვკვეთოთ: პოეტის ძმა, ლევან ლეონიძე, 1937 წელს დახვრიტეს. რძალს, მარია ჰოფმანს გადასახლება მიუსაჯეს,

გიორგი ლეონიძემ დაიხსნა ის ამ სატანჯველისგან, როგორ? – სწორედ თავისი შემოქმედებით. ანგარიშგასაწევია, რომ პოეტს ამ მძიმე წნეხის ატანა, თუნდაც ღირსებაშემლახავის, უწევს ოჯახისა და შემოქმედების გადასარჩენად, მაგრამ ხომ შესაძლოა, რომ პოეტს გულწრფელად სჯეროდა სტალინის სიდიადისა, ხიბლავდა მისი გენია! მით უმეტეს, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებში შეიტანეს პოემა და მკითხველმა დიდი სიყვარულითაც მიიღო. ეპოქის მომავალი თაობა ამ იდეალს პროლეტარულმა აზროვნებამ აზიარა და ამაში დიდი წვლილი თვით ლეონიძემ, გამსახურდიამ, გალაკტიონ ტაბიძემ და „ცისფერყანწელებმაც“ შეიტანეს. ე. ი., უნდა დავასკვნათ, რომ აბსოლუტური რადიკალიზმი არ ახასიათებდათ სიმბოლისტ-დეკანდეტური მიმდინარეობის წევრებს. ისინი არა თუ ემიჯნებოდნენ (გასაგებია, რომ ვერ ემიჯნებოდნენ!), არამედ აქტიურად ემსახურებოდნენ. არ უარვყოფთ, რომ სჭირდებოდათ ნიღბის მორგება და ტარება, და, სწორედ, ამ ნიღბის გამო იყვნენ ისინი ეჭვის ქვეშ. ერთი რამ ფაქტია, ლეონიძე „ხალხის მტრად“ არ გამოუცხადებიათ. კვლევის ერთ-ერთი საკითხია ამ დიდებულ შემოქმედთა პოლიტიკური ორიენტაციისა და პოზიციის დადგენა. რეპრესიები შეეხო, მაგრამ პირადად ის მაინც დარჩა სოციალიზმის მშენებელთა რიგებში.

ისტორიული ნარატივის ხელახალმა გადასინჯვამ მოგვცა დასკვნების გამოტანის საშუალება. ნებით თუ ძალდატანებით, იქმნებოდა მლიქვნელურ-მაამებლური შემოქმედება, მნიშვნელობა არ აქვს, შიში კარნახობდათ, თუ დიქტატორულ რეჟიმთან დაბავების აუცილებლობა, თუნდაც კარიერისტული აღმასვლის წადილი.

ყოველი რევოლუციის მიზანია ადამიანებს გაუჩინოს უკეთესის რწმენა. ვერც იმას გავექცევით, რომ სტალინს მართლაც ჰქონდა მომნუსხველი და ადამიანებზე მძაფრი ზემოქმედების ნიჭი, შთაგონების უნარი. რაც შეეხება ახლობელთა „მოღალატეობაში“ დარწმუნებას, ის საბჭოთა ტირანიის უმთავრესი დემაგოგიური მეთოდი იყო. გაორება და ეჭვი ადამიანური სისუსტეებია, რისი აღიარებისაც არ უნდა გვეშინოდეს, არ უნდა ვნიღბავდეთ ერთმნიშვნელოვანი დასკვნებით, რადგან ამით მცდარ ისტორიას ვწერთ. ფასეულსა და უფასურს დრო და თაობები გაარჩევენ.

სტალინის ფსიქოტიპი გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში

სტალინის სრულიად განსხვავებულ სახეს ქმნის სხვა განზომილებაში, ევროპაში მცხოვრები გრიგოლ რობაქიძე რომანში „ჩაკლული სული“ და ესეში – „სტალინი, ვითარცა არიმანული ძალმოსილება“.

გრიგოლ რობაქიძის დახასიათებით, სტალინი ფლობდა დამანგრეველ ძალას, ისეთს, როგორსაც არც ლენინი, არც ჰიტლერი, არც მუსოლინი, სტალინის სტილი ადამიანების არარაობად გადაქცევა იყო. ამის ნათელი დასტურია ბერზინის სახე („ჩაკლული სული“). რომანში მწერალმა XX საუკუნის მთავარი დილემა – კაცობრიობის სულიერი კრიზისი აღწერა, რაც მან ტირანიის პირისპირ დარჩენილი ხელოვანის ტრაგედიის ფონზე გააცხადა.

„ჩაკლული სული“ 1932 წლის მიწურულს დაიწერა (გამოიცა 1933 წ.) ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა, როცა ლიტერატურში პირველად გამოაშკარავდა „ბოლშევიზმის ქვესკნელური გამხრწნელი ძალა“ (ბაქრაძე 2003:246), ამას რომანის ბოლოსიტყვაობაში თავად ავტორი განმარტავს. მასში აღწერილია შემზარავი პროცესები, ადამიანთა სულიერი დეგრადაციის მიზანმიმართული პროცესი, სულიერი და ფიზიკური ნგრევის შეუნიღბავი კამპანია, ამიტომაც წერს რობაქიძე: „ ძალზე ძლიერი გამოხმაურება ჰპოვა ნაწარმოებმა გერმანიაში და სხვაგანაც: შეიქმნა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაშრომებისა წიგნის შესახებ... ეს წიგნი გადამწყვეტ მოვლენად ქცეულა“ (რობაქიძე;1991:155).

გრიგოლ რობაქიძე აღგვიწერს ბელადის პიროვნებას. მის ყოველ გამოსვლაზე ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს ეს პირველად ხდებაო, – წერს რობაქიძე. ათასობით ადამიანი მასთან უშაუალოდ ლამობს შეხვედრას, მილიონები მოუთმენლად ელიან მისი ხმის გაგონებას რადიოში, ზამბარასავით დაჭიმული ხალხი პარადოქსულად განიცდის შიშს, სიხარულს, მოკრძალებასა და სიამაყეს მასთან შეხვედრისას.

გრიგოლ რობაქიძემ „ჩაკლულ სულში“ დიდი სითამამე გამოიჩინა სტალინის დახასიათებისას. ცხადია, ეს სითამამე

მას მისცა უცხოეთმა, ევროპა მისთვის ერთგვარი ჯავშანი და უსაფრთხოების გარანტი შეიქნა.

ემიგრაციაში მყოფმა მწერალმა, 1933 წელს, გერმანიის ქალაქ იენაში გამოაქვეყნა რომანი. „ჩაკლული სულის“ პრობლემა სათაურშივეა გაცხადებული. მწერალი უშიშრად ამხელს კერპადქცეული ბელადის – „ღმერთის სიკვდილს“. სტალინმა, როგორც მთავარმა ვერტიკალმა, მართლაც შექმნა საზოგადოების (ჰორიზონტალის) ისეთი აზროვნება, რომელიც ერთმნიშვნელოვნად აღიარებდა მას სამყაროს ღერძად, რომლის გარშემოც უნდა ებრუნა სამყაროს, მარიონეტებად ქცეული ადამიანებიანად. საკანში თამაზის მიერ არაერთგზის გაჟღერებული და კედელზე ფანქრით მქრქალად წარწერილი კითხვა: „სად არის ღმერთი?“, პირდაპირ ეხმიანება სათაურში გაცხადებულ რეალობას. ეს არის რობაქიძის უმთავრესი საძიებო ორიენტირი, კითხვა, რომელიც ყოველ ეპოქაში აქტუალური უნდა იყოს და განსაკუთრებით, ტოტალიტარისტულ სამყაროში.

ქართულ საბჭოთა მწერლობას, რომელსაც თვითმიზნად ჰქონდა დასახული მწერლობა გადაექცია ტრიბუნად და მწერალი – რუპორად, ცხადია, გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების პოპულარობა კატასტროფად მიაჩნდა. ამიტომაც ის აკრძალული იყო და მისი მკითხველი აუცილებლად დაისჯებოდა. რამდენადაც იკრძალება ესა თუ ის მოვლენა ან საგანი, მით უფრო ცხოველ ინტერესს იწვევს. ფაქტია, რომ რობაქიძემ ნიღაბი ჩამოხსნა საბჭოეთს, დახატა სტალინის ისეთი პორტრეტი „ჩაკლულ სულსა“ და ესეში - „სტალინი, ვითარცა არიმანული ძალმოსილება“, რომლის მსგავსი სითამამე ვერ გამოიჩინა ქართულ სივრცეში ვერც ერთმა შემოქმედმა. „ასეთი წიგნის ავტორს საბჭოეთში აღარც ჩამოესვლებოდა. ბოლშევიზმისა და სტალინის კრიტიკას არავინ აპატიებდა“ (სიგუა;2008:171), ამის საპირისპიროდ გაჩნდა სახოტბო პროზა და პოეზია, დითირამბები. ასე შეიქმნა სტალინის პარადოქსული სახე-ხატი: გამსახურდიას, ლეონიძისა და სხვა მრავლის შემოქმედებაში „დიდი ბელადი“, რობაქიძესთან კი გამოიკვეთა „პრეისტორიული ხვლიკის გაქვავებული სახე“ (რობაქიძე 1991:95).

რობაქიძე წერს: „ლენინმა განსაკუთრებული სახელი უწოდა სტალინს – „ლეგენდარული ქართველი". ლეგენდარული ჭარბად იყო სტალინში, ოღონდ ქართველი – მეჩხერად" (რობაქიძე 1991:94). დიქტატორს, რომელსაც მოგვიანებით „პრეისტორიული ხვლიკის გაქვავებულ თავს" შეადარებს, რობაქიძე შემდეგნაირად აღწერს: „...დროებით დენის ქსელიდან გადმობობღდებოდა დარეტიანებული და გაუცხოებული. როცა შეშინებული გრძნობდა, როგორ ეცლებოდა ღონე, აი, მაშინ სტალინი მხოლოდ სოსო ჯუღაშვილი იყო, უბრალოდ ქართველი. მაშინ ახსენდებოდა შორეული საქართველო, რომლისგანაც ესღა შემოენახა: საცივისა და კახური ღვინის გემო, მრავალჟამიერი ჰანგი და ქართული გინება: „მაგათი დედა კი ვატირე" (რობაქიძე, 1991 : 108).

გრიგოლ რობაქიძეს, როგორც იმ დროების სხვა მწერლებს, თავისებურად ხიბლავდა კიდეც სტალინის მონოლითური ფიგურა. ისინი შინაგანად კი არ ეტრფოდნენ სტალინს, არამედ გატაცებული იყვნენ მისით, როგორც მსოფლიო დონის გენიით (ეს განწყობა დღემდე შეიმჩნევა). ცნობილი ფაქტია რობაქიძის დაინტერესება ძლიერი პერსონებით, ჰიტლერით, მუსოლინით, სტალინით. ნიშანდობლივია ის სითამამე და გამბედაობა, რაც მან გამოიჩინა სხვათა დითირამბების ფონზე. ექსპერტის სიზუსტით შექმნა სტალინის სახე, რისთვისაც დახვრეტა არ ასცდებოდა, მაგრამ ზურგს ევროპა უმაგრებდა.

რობაქიძე გარკვევით წერს: „სტალინი დიქტატორი იყო... ოპოზიციური ჯგუფები მარჯვნიდან და მარცხნიდან თავს ესხმოდნენ სტალინს, სტალინი, მრავალმხრივ გამოცდილი, მუდამ იმარჯვებდა, დამარცხებულნი მის წინაშე ქედს იხრიდნენ და იჩოქებდნენ და თავიანთ ცოდვებს ინანიებდნენ... გამარჯვება გამარჯვებას მოსდევდა და სტალინი დღითი-დღე იზრდებოდა და მისი ძლევა ვერავითარ ძალას ვერ შეეძლო. მითისგან განძარცვულ დროში ყოფილ რუსეთის იმპერიას მოევლინა კაცი, არნახულად ტოტემური ძალით... რევოლუციის საჭე სტალინის ხელშია. ის კრემლში ზის, როგორც ადამიანად ქცეული რადიომიმღები... მუდამ უჩინარი, მაგრამ ქმედითი ელემენტი... ის მეტად აღარ არის ადამიანი, ის არსებაა, ან არაარსება, საშიში და სასტიკი... ის ცივსისხლიანია" (რობაქიძე 2012:100).

რობაქიძისეული სტალინის პორტრეტი ლაბორატორიულ-ექსპერტულ დასკვნას ჰგავს. ხელაღებით აძაგებს და ამავდროულად აიდეალებს, როგორც განსაკუთრებულ მოვლენას კაცობრიობის ისტორიაში. თუ ლეონიძე და გამსახურდია სტალინის ბავშვობას ზედმიწევნით დადებით კონტექსტში აშუქებენ, რობაქიძე პირიქით, ამბობს, რომ „ბავშვობის ასაკში მას ბავშვობაც არ ჰქონია. მას იმთავითვე რაღაც ამძიმებს და თამაში არ უყვარს“ (რობაქიძე 2012:102). როგორც მწერალი აღწერს, „მამამისი ლოთი, სასტიკი და გესლიანი იყო, სიმთვრალისას დედას სცემდა, ის თავის ერთადერთ პატარა ვაჟსაც სცემდა ხოლმე. საცხოვრებელ ქოხში სიღარიბე, ცოფიანის დორბლი და ცრემლები მეფობდა... მამა მას ურჩხულად ეჩვენებოდა... შვილი წყევლიდა მამას... გაბოროტებულს სძულდა თავად ქმნადობა... მისთვის არ იყო სიყვარული... სიხარული“ (რობაქიძე 2012:64-65).

ნათელია, რომ ერთსა და იმავე ეპოქაში, ოღონდ სხვადასხვა სივრცეში იქმნება სტალინის რადიკალურად განსხვავებული სახეები. ეს რეალობა იმას მოწმობს, რომ იქ, სადაც სიკვდილის შიში დანერგეს, ზემოქმედებითმა ფაქტორმა შექმნა დიადი ბელადის სახე-ხატი, იქ კი, სადაც სტალინის ბოროტი ძალმომრეობა ვერ წვდებოდა, შეიქმნა სტალინის, როგორც კულტის, მომაკვდინებლის ფსიქო-ხატი. გრიგოლ რობაქიძემ უზარმაზარი წვლილი შეიტანა საბჭოთა ცნობიერების ნგრევაში.

„სტალინი ზის კრემლში, საქმეებში ჩაფლული, ძალაუფლების მქონე, მაგრამ არა ხელმწიფე, არსება და არა ადამიანი – ელექტროგამაფრთხილებელი წარწერით: ...სახიფათოა სიცოცხლისათვის!“ მასთან სატელეფონო საუბარიც კი თრგუნავს. მისი სახიფათო, დამუქრებული ზემოქმედებისგან არავინაა დაზღვეული. ის... ცივი და ბრმა ბედისწერა“ (რობაქიძე 2012:104).

„დამარცხებულნი მის წინაშე ქედს იხრიდნენ და იჩოქებდნენ და თავიანთ ცოდვებს ინანიებდნენ... გამარჯვება გამარჯვებას მოსდევდა“ – ამონარიდი სინამდვილის ზუსტი გადმოცემაა. ხელთ გვაქვს უამრივი მასალა, რაც მეტყველებს „დამარცხებულთა ცოდვების აღიარებას“, არქივში დაცული ოქმების სტენოგრამები გვაუწყებენ მისი აჩრდილის, ლავრენტი ბერიას წინაშე ადამიანების „აღიარებითი“, „შეთითხნილი“ თუ წნეხის ქვეშ მიცემული ჩვენებების შესახებ.

რობაქიძეს ფაშისტობა დასწამეს და აკრძალეს მისი ნაწარმოებების გამოცემა. გამოცხადდა „წმენდა“ და გაჩნდა ცნობილი ლოზუნგი: „არავითარი დანდობა კლასობრივ მტერს“ – ამ სათაურით დაიბეჭდა „მნათობის“ 1935 წლის N4-ში გრიგოლ რობაქიძის, როგორც მოღალატის მიმართ დაუნდობელი ბრძოლის გამოცხადების საგანგაშო წერილი, მიმართვა და დადგენილება.

ჟურნალი „მნათობი“ წერს: „გრიგოლ რობაქიძის უკანასკნელმა გამცემლურმა მოქმედებამ დიდი აღელვება და სამართლიანი ზიზღი გამოიწვია საბჭოთა მწერლებს შორის. პირნათლად დანიშნულმა ბურჟუაზიულმა მწერალმა რობაქიძემ თავისი ლოღიკური დასასრული ჰპოვა ფაშისტურ კონტრრევოლუციის კალთებში. მთელი თავისი სამწერლო მოღვაწეობის მანძილზე, დაწყებული რევოლუციის წინადროინდელი ნაწარმოებებით და თეორიებით და დამთავრებული უკანასკნელი დროის რომანებით, რობაქიძე, თუმცა ხშირად მიკიბ-მოკიბულად, მაგრამ მაინც რეაქციურ საქმეს აკეთებდა. დღეს რობაქიძე კლასობრივი მტრების პოზიციებზე დაუფარავად დადგა... საბჭოთა მწერლები ერთხმად გმობენ მოღალატე რობაქიძის უკანასკნელ საქციელს და აღვიარებენ, რომ არავითარი დანდობა კლასობრივ მტერს რობაქიძეს!“ (იაშვილი, ტაბიძე, მიწიშვილი, გაფრინდაშვილი; 1935: აპრილი).

განცხადება, რომელსაც ხელს ოთხი „ცისფერყანწელი“ აწერს, სასტიკი ზიზღით ამხელს „ჰიტლერ-როზენბერგის გათავხედებულ ბანდებს, რომლებიც აძევებენ თავისი ქვეყნიდან სამშობლოს რჩეულ შვილებს, ხვრეტენ, საპყრობილეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში ალპობენ მებრძოლი პროლეტარიატის საუკეთესო ძალებს... ასეთ დროს ქართველი მწერლების რიგებს მოღალატურად სტოვებს და როზენბერგის ბანდებს ეკედლება ერთი ქართველი მწერალი, რომლის სახელი ამიერიდან ხდება სამარცხვინოდ ყოველ საბჭოთა მწერლისა და მოქალაქისათვის. ეს მწერალი არის გრიგოლ რობაქიძე. ეს თვალთმაქცი ადამიანი, დღიდან საქართველოში საბჭოთა წესწყობილების დამყარებისა, ატყვილებდა რა ხელისუფლებას, მწერლობას და საბჭოთა საზოგადოებას, გულში ატარებდა მშრომელთა ქვეყნის და საბჭოთა საქართველოს ღალატის მუხანათურ აზრებს. და ეს ზრახვები დღეს გრიგოლ რობაქიძემ

განახორციელა საბჭოთა საქართველოდან ქურდულად უცხოეთში წასვლით, ფაშიზმის ბანაკში აშკარად გადასვლით და იქ ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს წინააღმდეგ მოღალატური, გამცემლური მუშაობით". (იაშვილი, ტაბიძე, მიწიშვილი, გაფრინდაშვილი; 1935: აპრილი)

განცხადებაში აღნიშნულია, რომ „ფალესტრა" ბულვარული, ხოლო „გველის პერანგი" იდეალისტურ-რასისტული ხასიათის რომანებია და მწერალი განდიდების სენით შეპყრობილი, გადაგვარებული პიროვნებაა.

განცხადების ავტორები ზიზღს გამოხატავენ, გმობენ რობაქიძის ანტისაბჭოურ საქციელს და პირობას დებენ, რომ მისი „უღირსი საქციელის" საპასუხოდ უფრო მეტად შეამჭიდროვებენ თავიანთ რიგებს კომუნისტური პარტიის გარშემო, ძალასა და ღონეს მთლიანად უძღვნიან ახალი სოციალისტური ხელოვნების აყვავებას. მათი ღრმა რწმენით, წინსვლის ერთადერთი ნათელი გზა, უდიდესი ბელადი და უსაყვარლესი ადამიანი იოსებ სტალინია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, თუ ბელადისადმი ხოტბა მლიქვნელურია, მაშინ რობაქიძისადმი ზიზღი და მოღალატედ გამოცხადებაც ფარსია. ეს ფაქტი ცალკე კვლევის საგანია, მიუხედავად იმისა, რომ განცხადებაში მკვდრად აცხადებენ გრიგოლ რობაქიძის სახელს და რადიკალურად ემიჯნებიან, იმასაც აღიარებენ, რომ ერთ დროს უახლოეს ლიტერატურულ-შემოქმედებით დამოკიდებულებაში იყვნენ მასთან, მაინც, დოკუმენტის ხელმომწერთა სანდოობა ეჭვს იწვევს.

„მივმართავთ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმს, რომ ფაშისტი გრიგოლ რობაქიძე, სოციალისტური სამშობლოს ღალატისთვის და გამცემლური მუშაობისათვის გამოცხადებულ იქნას სოციალისტური სამშობლოს მოღალატედ და აღიძრას საკითხი საქართველოს საბჭოთა მთავრობის წინაშე გრიგოლ რობაქიძის წინააღმდეგ სათანადო სახელმწიფოებრივი აქტის განხორციელების შესახებ" პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ნიკოლო მიწიშვილი

1935 წ. 5 აპრილი. ტფილისი. „მნათობი"

აღნიშნულ განცხადებას ერთსულოვნად შეუერთდა საბჭოთა საქართველოს მთელი აქტივი, ხოლო საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა გამოსცა დადგენილება:

„ეთხოვოს ს.ს.ს.რ. ცაკის პრეზიდიუმს, რათა გრიგოლ რობაქიძე, როგორც აშკარა მტერი ჩვენი ქვეყნის მშრომელი ხალხისა, თვალთმაქცურად გადასული კონტრრევოლუციურ, ფაშისტურ ბანაკში, გამოცხადებულ იქნას სოციალისტური სამშობლოს მოღალატედ და ჩამოერთვას მას საბჭოთა მოქალაქეობა, აქედან გამომდინარე ყველა შედეგების განხორციელებით“ („მნათობი“ 1935: 187).

აშკარად გამოიკვეთა საბჭოთა რადიკალიზმი და საგულისხმო ამ ვითარებაში არის ფაქტი, რომ მთავარ მომჩივანს წარმოადგენენ პაოლო, ტიციანი, გაფრინდაშვილი და მიწიშვილი. ისმის კითხვა: რასთან გვაქვს საქმე? იქნებ წინასწარ გათამაშებული სცენარის მიხედვით მოქმედებდნენ „ცისფერყანწელები“? მაგრამ განცხადების შინაარსი აშკარად ადამიანის დევნას, გაწირვას ემსახურება, რასაც ანგარიშგაუწევლად მოიყვანდა სისრულეში განცხადების ადრესატი – საბჭოთა ხელისუფლება. ან, იქნებ, ამ განცხადებაზე იძულებით მოაწერინეს ხელი „ყანწელებს“, რაც ტირანი ხელისუფლების კარგად ნაცნობი ხელწერა იყო.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის დადგენილებას გრ. რობაქიძის სამშობლოს მოღალატედ გამოცხადებისა და საბჭოთა მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ ახლავს დანართი – ამონაწერი ოქმიდან საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის სხდომისა, დათარიღებული1935 წლის 19 აპრილით.

აშკარად საქმე გვაქვს „სამკურნალო წმენდის დაწყებასთან“. საბჭოეთი ბინძური ხრიკებით აღასრულებს აღნიშნულ წმენდას, რაშიც თვალსაჩინოა, რომ ხელი გაისვარა რობაქიძის იდეოლოგიურმა საძმომ, ცხადია, თუ ამას დავიჯერებთ. ამ ამაზრზენი ფაქტის შესახებ უამრავმა ადამიანმა გამოხატა საკუთარი შეხედულება, თუმცა კონკრეტული, ფაქტობრივი მტკიცებულება არ არსებობს, რაც ნათელს მოფენდა აღნიშნულ ნარატივს. ამ მხრივაც, ანტისაბჭოთა პროპაგანდაში ყველაზე გამორჩეული ფიგურაა გრიგოლ რობაქიძე და ეს აუცილებლად

ხაზგასასმელია. ეპოქის ზემოქმედებით ნირშეცვლილ და „თავმოჭრილ მწერლობას“ (ლევან ბერძენიშვილი) საუკეთესოდ გამოხატავს მწერალი „ჩაკლულ სულში“. რომანში ძალიან ფაქიზად არის ნახატი ხელოვანი ადამიანის ცხოვრება, თანაც ისე, რომ რეალობა და იდეალიზმი ერთმანეთისგან არაა გამიჯნული და არც ერთი მათგანი არ არის დამახინჯებული.

მწერალს, უპირველეს ყოვლისა, ხელოვანის, თამაზ ენგურის, ტრაგიკული ბედი აღელვებს და მის ბედს, ზოგადად, ქართველი ხელოვანების, ერის ინტელექტუალური ძალების გადაგვარებას, დაკნინებას, ქართველი ერის ბედს უკავშირებს. „ეს წიგნი, რომელსაც ტყუილად როდი ეწოდება „ჩაკლული სული“, ცდილობს მხატვრულად წარმოაჩინოს ბოლშევიზმის ქვესკნელური გამხრწნელი ძალა მის ატმოსფერულ ზემოქმედებაში“, – წერს გრიგოლ რობაქიძე 1937 წლის აპრილში რომანისთვის დართულ ბოლოსიტყვაში და თავმდაბლობის გარეშე მიანიშნებს რომანის წინასწარმეტყველურ ღირებულებაზე, რომელიც მოსკოვის „ბნელ მოვლენებს“ (სტალინის დამხობის ცდას) შეეხება და გახსნილია ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟის, ბერზინის, სახით. სწორედ ამ შეთქმულების მონაწილეობაში შემჩნეულია თამაზი, მას გამომძიებელი დაკითხვისას სათავისოდ სახარბიელო თვისებას, – გულწრფელობას შენიშნავს და ანკესს მუდამ ამ მიმართულებით ესვრის, „დესპანის“ საქმეში ვინმე „უშიშარი“ თამაზმა უნდა დაასახელოს, გამოძიება უცდომელ გზას ადგას, თამაზი უახლოეს მეგობერს, ლევანს, დაასახელებს გულუბრყვილო რწმენით, რას დაუშავებენ, ლევანს ბრალი ხომ არ მიუძღვის. კვირადღეს უკანასკნელად დაკითხეს თამაზ ენგური, ოთხშაბათს ლევანი დახვრიტეს!

რომანის დრამატული ნაწილი სწორედ თამაზის სულის ტკივილია, სიკვდილგამოცდილი სულისა, უნებური ცოდვის სინანულით განცდილი.

რომანში მოქმედება თბილისში იშლება. მთავარი გმირი თამაზ ენგური, მწერალია და როგორც ყველა ხელოვანი, მოწოდებულია, თავისი სულიერი მონაპოვარი სხვებსაც გაუზიაროს, მაგრამ მას განადგურებას უქადის გაბატონებული საბჭოთა დიქტატურა. წითელი ტერორი ცდილობს, ყველა

ხელოვანი თავის იდეოლოგიას დაუმორჩილოს, უზნეო ხელისუფლების შესანიღბად გამოიყენოს. სასტიკი რეპრესიების შიშმა შედეგი გამოიღო: „ლიტერატურაში, თეატრში, კინოში _ ყველგან მუშაითობდნენ, ყველა ცდილობდა, სწორად გაევლო ბაგირზე. შესაფერის თემებს ეძებდნენ, ამგვარი ცდებისთვის უფრო გამოსადეგს. ათასგვარ მხატვრულ ხერხს იგონებდნენ, მიზნის მიღწევა საეჭვო რომ არ ყოფილიყო. გარკვეული ოსტატობა ჩამოყალიბდა, ერთგვარი აკრობატიკა. მაგრამ თემებთან და მხატვრულ ხრიკებთან ერთად, სიძნელეებიც იზრდებოდა. თუ თვით სამუშაოს ძირითადი ხაზის გარკვევას მოისურვებდნენ, მხოლოდ მექანიკურ სქემას იღებდნენ, რომელიც ვერავითარ აღფრთოვანებას ვერ გამოიწვევდა... ამ სიძნელეებს ყველაზე იოლად კინო აუდიოდა: ის ხომ ყველაზე შორს იდგა ნამდვილი ხელოვნებისგან. შემდეგ მოდიოდა თეატრი, სულ ბოლოს – ლიტერატურა და პოეზია... ლირიკა სულ მთლად გადაშენდა...“ (რობაქიძე 1991 : 89). ეპოქამ სული დაუმახინჯა ყველას, ვისაც თავისუფლება ეწადა და ხელეწიფებოდა. თუმცა ლევანის სახით მწერალი წარმოგვიდგენს მამაცი, უშიშარი და ღირსებაშენახული ქართველი კაცის იდეალს. ერთ ცეცხლზე იწვოდნენ ლევანიც და თამაზიც, ერთნაირად უყვარდათ სამშობლო, თავისუფლება, მაგრამ მათი გზები რეჟიმმა გაყარა. თუ თამაზში ჩაკლული სულის გამოშუქება ხდება სინანულით („თამაზი ქვებზე დაემხო, ცრემლი ცივ ლოდებს ეწვეთებოდა“ (რობაქიძე 1991:154), ლევანი სულით ეცხადება საიქიოდან, მან „მწველი სხივები მოაბვედრა თამაზს“ (იქვე), ეს იყო ნამდვილი ხსნა მავედრებლისა: „ო, შენ, ქრისტეს სისხლო, დაჭრილი ნეკნებიდან გადმოღვრილო, შენს ერთ წვეთს მაზიარე, მხოლოდ ერთ პატარა წვეთს, რათა განვახლდე, გავნათლდე, ვითარცა ბავშვი, როგორც ქალწული“ (რობაქიძე 1991:154)[9].

ვფიქრობთ, ლევანის გამოცხადებით მწერალმა ხაზი გაუსვა შეუბღალავი სულის მარადიულობას, ხოლო მიტევებით ერთგვარი გამართლება მიუსადაგა მათ, ვისაც რეჟიმმა ჩაუკლა სული (ბულგაკოვთან ოსტატმა ნათელი ვერ ნახა, მაგრამ სიმშვიდე მოიპოვა).

ამგვარი ინტერპრეტაცია კვლევისას გვეხმარება ახსნა მივცეთ მაამებლური შემოქმედების ავტორთა ქცევა-დამოკიდებულებას,

ცხადი ხდება, რომ გმირსაც და ანტიგმირსაც შობს ეპოქა. სწორედ ამიტომ აქ გვინდა გავავლოთ მიჯნა. პრეტენზიას არ ვუყენებთ მათ, ვინც თამაზ ენგურის გზა გაიარა, შეიძლება არსებული რეჟიმის პირობებში ერთგვარად, ბუნებრივადაც კი მივიჩნიოთ, მაგრამ, რომ ნამდვილად ჰქონდა ადგილი „გადახრებს“, ამ ფაქტის უგულვებელყოფა არ შეიძლება.

საილუსტრაციოდ მნიშვნელოვანი დეტალია ლევანის მწერლისეული შეფასება: „ლევანს ძმაზე მეტად უყვარდა თამაზი, მაგრამ რაღაც აკავებდა, რომ ეს დიდმნიშვნელოვანი საიდუმლო გაენდო მისთვის, უნდობლობა არა, რა თქმა უნდა: მისი დამძიმება არ სურდა მხოლოდ. დატყვევებული ლევანი ციხეში იჯდა, დარწმუნებული, რომ ამ საქმეში მის კვალს ვერავინ მიაგნებდა. არც ისე უგუნებოდ იყო, ის იყო ნაშიერი რაინდული საქართველოსი. საქართველოს დამონებისა და დაცემის დროსაც კი უცვლელი დარჩა ეს ზნე. ეს სიცოცხლის ლხენაა თვითონ, სადაც ის გამოჩნდება, იქ მზე გამოაბრწყინებს... ახლა გპუ-ში იჯდა და მისი ჯადოსნური ძალა აქაც მოქმედებდა. მან გამომძიებელი და ჯალათებიც მოხიბლა. ყოველგვარი დანაშაული უარყო. ვერავინ აიძულა, საიდუმლო გაეცა. განდობილი საიდუმლოს შენახვა უწმინდესი ვალი იყო მისთვის. მაგრამ არ გაუთავისუფლებიათ. სურდათ, რადაც უნდა დასჯდომოდათ, რამე გაეგოთ მისგან. როგორც უნდა ჩასციებოდნენ, უბრალოდ პასუხობდა: „მე არაფერი ვიცი", ხოლო როცა მოსალოდნელი შედეგებით დაშინებას დაუპირებდნენ, სიცილით პასუხობდა: „თქვენ ხომ ისედაც მომკლავთ!" (რობაქიძე 1991: 134).

გპუ-დან გამოსულ თამაზ ენგურს კი „რცხვენოდა... ნეტარება სულის სიღრმეში არ ატანდა" (რობაქიძე 1991:146).

საზოგადოების ზნეობრივი დეგრადაციის დასტურად მწერალი გვიჩვენებს, რომ ერთ დროს ზნეობის უმაღლეს საფეხურზე მდგომი ხალხი დღეს ყველაფერს იკადრებს, ოღონდ სიცოცხლე შეინარჩუნოს. ადამიანებისთვის აღარ არსებობს ღირსება, თანაგრძნობა, ერთგულება, პატიოსნება. ეს არის ეპოქის ტრაგიზმი, რადგან, ყველა ეს თვისება დამახასიათებელია ქართველი კაცისთვის. მაშ, ახლა რა მოხდა? რა ძალამ შეძლო ამ კეთილშობილი გენის დეგრადაცია?

პასუხი ერთია: ყოველგვარი ზნეობრივისა და ამაღლებულის დამთრგუნველი ბოლშევიკური იდეოლოგიაა, რომლის სახესიმბოლოს „ჩაკლულ სულში“ წარმოადგენს „ხვლიკისთავიანი სტალინის“ სახე. მისი შემზარავი პორტრეტის დახატვით გრიგოლ რობაქიძემ ნათლად წარმოაჩინა დამოკიდებულება სოციალისტური იდეოლოგიის მიმართ, რომლის ძალაუფლებამ ყოველგვარი ზნეობრივ-მორალური საზღვარი გადალახა.

ბოლშევიზმი თავისი დამთრგუნველი ძალით ახერხებდა ადამიანისთვის პატივის აყრას და მერე, უკვე პატივაყრილს, იოლად იგდებდა ხელთ. „ასეთი ატმოსფერო სუფევდა. უნდობლობა და შიში ბატონობდა... ასე გაჩნდა გადახრის ნამდვილი მანია: მარცხნივ, მარჯვნივ და ღმერთმა იცის, კიდევ საით. ერთ თანამშრომელს რომელიმე გადახრას აღმოუჩენდნენ და მერე გაზეთებში, უჯრედებში, კრებებზე ბობოქრობდნენ, საპროტესტო რეზოლუციებს ადგენდნენ. გაზეთები, უჯრედები, კრებები, რეზოლუციები – ამ ქარბორბალას უმაღლესი მოხელეც ვერ გაუმკლავდებოდა. ის მოუხელთებელი რაღაც აქაც საშინელ გავლენას ახდენდა; არავინ იყო თავისუფალი, ყველა საკუთარ თავს ადანაშაულებდა. მხოლოდ ერთი ხსნა არსებობდა: მონანიება, თვითმხილება და დანაშაულის აღიარება, რაც ეპიდემიასავით მოედო მთელ საბჭოეთს... იმ ატმოსფერომ, რომელშიც სინამდვილე და მოჩვენება ერთმანეთში გადადიოდა, ჩაუდენელი ცოდვის რეალურად აღქმის შესაძლებლობაც შექმნა...“ (რობაქიძე 1991 : 87).

გრიგოლ რობაქიძე ზოგადად აღწერს ვითარებას. ის ამბობს, რომ „გაჩნდა გადახრის ნამდვილი მანია“. ეს არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი საკვლევი ობიექტი, ვის შეეხო გადახრა და რა დოზით! რაც შეეხება კვლევის აუცილებლობას, იგი განაპირობა ჩვენი საზოგადოების ცალსახა დამოკიდებულებამ, რომ წნეხის პირობებში მსხვერპლი (ხარკის სახით!) ერთადერთი გამოსავალი იყო, რომ ისინი, სიკვდილის შიშით დამფრთხალნი, მხოლოდ იძულებით მოქმედებდნენ. აუცილებლობად მივიჩნევთ, დღევანდელმა მკითხველმა იცოდეს სინამდვილე, გაიაზროს ტერმინები: მერყეობა, გადახრა, გადარჩენა, გაწირვა, „თანამგზავრობა“, პროლეტარობა და მრწამსის ერთგულება!

გრიგოლ რობაქიძის მწერლური ნიჭი, მხატვრული და ფი-

ლოსოფიური წარმოსახვა, იძლევა შესაძლებლობას, რომანში განზოგადდეს არა მხოლოდ ბოლშევიკური ტირანიის ხასიათი, არამედ გაიხსნას ტოტალიტარული სახელმწიფოს ჭეშმარიტი სახე. რომანში ხაზგასმულია, რომ ადამიანის ზნეობრივი დეგრადაციის ერთ-ერთ მიზეზს ღმერთის უარყოფა წარმოადგენს. მთავარი გმირის, თამაზ ენგურის მიერ ჩადენილი ცოდვის (მეგობრის გაცემა) სათავე იმ სულიერ მერყეობაში მდგომარეობს, რომელიც მას ბოლშევიკების შიშით ეუფლება. მეგობრის გაცემამდეც არაერთხელ წასულა თამაზი ზნეობრივ კომპრომისზე: ჯერ კინოსტუდიაში (ამგვარი რეალური მაგალითებით სავსეა ეროვნულ არქივსა და ლიტერატურის მუზეუმში დაცული მასალები), სცენარის განხილვის დროს, შემდეგ – მწერალთა სხდომაზე, სიტყვით გამოსვლისას „სისხლის გამოშვების" შესაძლებლობას რომ დაუშვებს; ყოველი კომპრომისის შედეგად იგი იმ სულიერ კრიზისს უახლოვდება, რომელსაც ლევანის უნებლიე გაცემა აგვირგვინებს. სინდისის ქენჯნის გრძნობა მხოლოდ ამ საქციელის ჩადენის შემდეგ უჩნდება თამაზ ენგურს. ის აცნობიერებს, რომ ძალას, რომელმაც ამ ცოდვისაკენ უბიძგა ხელოვანს, შიში ერქვა.

გრიგოლ რობაქიძე თამაზის მხატვრულ სახეში ალეგორიულად გამოხატავს თანადროულ სინამდვილეს. გამცემობა, ნებითი თუ უნებური, უსასტიკესი განაჩენი იყო საბჭოეთის საეჭვო პირთათვის. ამ ფაქტს ძნელია უწოდო ღირსეული საქციელი, მაგრამ ღირსებას რომ ხელაღებით შეეხო, აუცილებელია კონტექსტუალური ვითარების შესწავლა. უღირს ადამიანად ვერ შევრაცხავთ თამაზ ენგურს და მათ, ვის პროტოტიპადაც ის წარმოადგინა მწერალმა, რადგან ეპოქა იყო უმძიმესი. ეპოქის სურათის აღწერისას მომავალ თაობას მეტი სიცხადე სჭირდება. ამიტომაც უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან მერყეობა და სიმტკიცე. მრავალი ადამიანი, ლევანის ალეგორიული სახე-ხატი, რეპრესიების მსხვერპლი გახდა, უმნიშვნელოვანესია დეტალი: სტალინი და მისი დამქაშები არც გამცემებს ინდობდნენ. ამ რეალობის ფონზე იბადება კითხვა: ვინ გადაურჩა სტალინს, რით მოხიბლეს ბელადი?

მრავალმნიშვნელოვანია რომანის ფინალი, რომელიც ცოდვის ჭაობში ჩაფლვას, ტოტალიტარული წნეხისგან „სულის ჩაკვლის" მცდელობას მოსდევს. თამაზ ენგური ამგვარი დაცემით

იძენს კათარზისისა და უფალთან მიახლების უნარს. ცოდვილი სულის ჩაკვლით იგი უნდა აღდგეს და დაძლიოს შიში, რომელსაც ღალატის ცოდვამდე მიუყვანია. მწერალმა სინანულის გზაზე შეაყენა ცოდვილი, რათა უფალმა ხელახლა ჩაჰბეროს მას სული, რადგან თამაზი ღვთისაკენ მიილტვოდა გულითა და გონებით, მთელი არსებით უხმობდა ცოდვით დაცემული ხელოვანი მაცხოვარს („ო, შენ, ქრისტეს სისხლო...") (რობაქიძე, 1991: 154)ბ. თამაზი აღიარებს საკუთარ ცოდვას! საზოგადოებას კი სჯერა შეწირულ-გაწირულთა უდანაშაულობა. პარადოქსია, მაგრამ რეალურად არსებობს „უდანაშაულო დამნაშავეობის" პრეზუმფცია. ვითარების ამგვარი კვალიფიცირება მიზნად ისახავს ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტის გამიჯვნას:

წნეხი აიძულებდა ადამიანებს დანაშაულს;

წნეხი განაპირობებს უდანაშაულობად კვალიფიცირებას.

მთავარია, რეალობის შენიღბული ან დამახინჯებული ინტერპრეტაცია არ მოხდეს.

გზა, რომელსაც ნაწარმოების მთავარი გმირი გაივლის VITA NUOVA-სკენ, ერთადერთი ხსნაა სულიერი კრიზისით გათანგული კაცობრიობისათვის. თამაზ ენგურს ნამდვილად სჭირდება შინაგანი ცვლილება, სულიერი ტრანსფორმაცია. ხელახლა დაბადება ღვთიური ქმედებაა, უკვდავება კი მხოლოდ მორწმუნის ხვედრია, რომელმაც იცის, რომ დაცემული სინანულით განიწმინდება. ბოლშევიკური დიქტატურის პირობებში „ყველამ სცოდა და მოაკლდა ღვთის დიდებას" (რომაელთა 3.23.), ამიტომაც ყოველი მათგანი ხელახლა უნდა დაიბადოს ცოდვების მისატევებლად, ღმერთთან ურთიერთობის დასამყარებლად – ასეთია გრიგოლ რობაქიძის რომანის კრედო (ყალიჩავა, „სპეკალი" N4). სულის მოძრაობის პრიზმაში ყველაზე მნიშვნელოვანია ორი მოპირდაპირე სიბრტყე: ფსკერი და ჭერი, დაცემა და აღდგომა. ამ ლოგიკის თანახმად, კვლევისას წინ წამოწეული „დანაშაულთა" სერია, ციკლი, აღარ უნდა ქმნიდეს საფრთხეს, რომ კვლევამ თითქოს ტალახი ესროლა მწერლებს. რობაქიძის რომანის ერთ-ერთი მთავარი შეტყობინება ეპოქის პრესში მოყოლილი ხელოვანი ადამიანების რეაბილიტაციაა.

ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ხელოვანს აიძულებენ არჩევნის გაკეთებას: იგი ან სასტიკი რეჟიმის მორჩილ

ქვეშევრდომად უნდა იქცეს (დიქტატის მორჩილებაში მყოფი ხელოვანი კი, როგორც წესი, ადრე თუ გვიან აღზევებული უსამართლობის თანაზიარი ხდება) ან უნდა დაუპირისპირდეს მას და შეინარჩუნოს შემოქმედებითი თავისუფლება (ყალიჩავა, „სპეკალი“ N4)[5].

მწერლის განწყობის კვალდაკვალ იკვეთება, რომ რეცეპტი, (მონანიება), რომელიც რობაქიძემ შესთავაზა „ცოდვილთ“, იმ სინამდვილის გამოაშკარავება იყო, რომელსაც თავის დროზევე აღიარებდნენ მწერლები (თამაზის მსგავსად), ხოლო მომდევნო ეპოქამ საკუთარი ინტერპრეტაციით მხოლოდ დასჯა დაინახა და „ცოდვა“ არ აღიარა. დღესაც გახელებით კამათობენ იმაზე, რომ სიკვდილმისჯილ მწერლებს მოსანანიებელი არაფერი ჰქონდათ. ჩვენ კი ვთვლით, რომ არის განსხვავება მსახურებას, გადახრას, თანამგზავრობასა და პრინციპულობას შორის! სწორედ, რომ პრინციპულობით განაპირდა გრიგოლ რობაქიძე არსებული სინამდვილისგან და საკუთარი „ალტერ ეგო“ ტირანული რეჟიმის მიერ ნაგვემ ხელოვანად გააცნო მსოფლიოს. კრიტიკა სტერეოტიპულ ჩარჩოშია ჯერ კიდევ. მისმა ერთმნიშვნელოვანმა მიდგომებმა განაპირობა ბოლშევიზმის ისტორიული ნარატივის სამზეოზე გამოტანის აუცილებლობა.

საბჭოთა ცენზურას არ აინტერესებდა გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების ლიტერატურული ღირებულება; მას მხოლოდ ის აღიზიანებდა, რომ მწერლის ნაწერებს შეეძლო პოლიტიკური საფრთხე შეექმნა ძალადობასა და ტერორზე დამყარებული წყობისთვის (ყალიჩავა, „სპეკალი“N4)[6].

„ჩაკლული სული“ არ არის მხოლოდ შემოქმედებითი თავისუფლების აღკვეთის კლასიკური მაგალითი; იგი მარადიული წრებრუნვის გამომხატველი ნაწარმოებია, რომელშიც თამაზის სულიერი განახლება ბიბლიურ, ანუ „ზეციდან შობას“ იმეორებს – „ვინც ქრისტეშია, ახალი ქმნილებაა; ძველი წარხდა და, აჰა, ყოველივე არის ახალი“ (კორინთელთა II 5:17). „ის თამაზი აღარ იყო, იგი სხვა იყო, იქნებ აღარც იყო ადამიანი. მის წინ დიდი, ძლიერი სინათლე გამოჩნდა... უეცრად აკანკალებულმა. შეშინებულმა ღმერთი იხილა იქ. თამაზი წამოხტა, უნაპირო სივრცეებს გადახედა და მთელი ხმით იყვირა: „შენ ხარ, შენ ხარ, შენ ხარ“ (რობაქიძე, 1991: 154)[8].

გრიგოლ რობაქიძემ სულიერი კათარზისით დაანახა მკითხველს ჭეშმარიტი შემოქმედის ამოუწურავი ენერგია და ძალა. რომანში ხაზგასმით არის წარმოჩენილი, რომ ყოველ ხელოვანს, და არა მხოლოდ, ღმერთთან ზიარების მადლით ახალი სიცოცხლე ენიჭება; იგი უკვდავებას იმკვიდრებს მსხვერპლის წყალობით, უკვდავებას ეზიარება სინანულით განწმენდის გზით. რობაქიძის რომანი და ესეები გვაძლევს ბიძგს ერთმანეთისგან გავმიჯნოთ ღირებულებები და საბჭოეთისთვის მსხვერპლის შეწირვა (ყალიჩავა, „სპეკალი“N4).

XX საუკუნის საბჭოურ სინამდვილეში ხელოვნებისადმი დამოკიდებულებას ასე გვიხატავს გრიგოლ რობაქიძე: „ისტორიამ არ იცის დაკვეთა, გარნა არა საბჭოური. მიქელ ანჯელომ მოხატა „სიქსტინის კაპელა“ პაპის დაკვეთით, ხოლო პაპი არ ჩარეულა ხელოვანის შემოქმედებაში. ჩარეულიყო, ნათითხნი გამოვიდოდა ნახატი. არავინ იქნება წინააღმდეგი იმისა, მწერალმა გაშალოს შეკვეთილი, თუ, რასაკვირველია, შემკვეთელი არ ჩაერევა ავტორის მწერლურ პროცესში. ჩარევა გამოვა „ხალტურა“ (რობაქიძე, 1996 61).

ყველაზე დიდხანს გაჭიანურდა გრიგოლ რობაქიძის რეაბილიტაციის პროცესი. ე. წ. „დათბობის პერიოდში“ მკითხველს დაუბრუნდა რეპრესირებულ მწერალთა აკრძალული ლიტერატურა, თუმცა ამგვარი ამინისტია არ შეხებია რობაქიძის შემოქმედებას. მხოლოდ 1980-იან წლებში მოიხსნა მასზე დაწესებული ყოველგვარი სანქცია და დაიწყო მისი შემოქმედების პოპულარიზაცია. ნიშანდობლივია, რომ ამ დროისათვის საბჭოეთის საძირკველი უკვე ირყეოდა. დიდია მისი ღვაწლი საბჭოთა ცნობიერების ნგრევაში. რობაქიძისეული სტალინის სახის გააზრებით საზოგადოებამ დაიწყო სინამდვილის შეცნობა.

რობაქიძეს და ბულგაკოვს, როგორც ერთი ეპოქის მწერლებსა და თვითგანმცდელებს, ანათესავებთ გაბედული კალამი. მათი შემოქმედება აშკარა რევიზიაა სტალინური ეპოქისა. მაშინ, როდესაც კონიუნქტურშჩინა და შიში ღუპავდა ნიჭიერ და ჭკვიან ადამიანებს, ბულგაკოვი და რობაქიძე დარწმუნებული იყვნენ, რომ არასოდეს გადაიქცეოდნენ მეხოტბეებად და დაშინებულ ლაქიებად. როგორც აკაკი ბაქრაძე წერს, „კომუნისტებმა შეძლეს ისე მოეწყოთ საზოგადოება, რომ, „არსებობა თუ გინდა

შეინარჩუნო, აუცილებლად ნამუსი უნდა გაყიდო" (ბაქრაძე 2004:49), თუმცა, რობაქიძე არ თვლიდა, რომ მწერლები „გაბოლშევიკდნენ", რადგან „შინაგანად დამთავრებულ" ადამიანს ვერაფერი გარდაქმნის, რაოდენ სასტიკი გარეგანი ძალაც არ უნდა დაუპირისპირდეს. გარდაქმნა შესაძლებელია მხოლოდ გარეგნულად, ფასადურად და დაინტერესებული მხარე ამას შეეგუება თუ ხელყოფს, ეს უკვე მისი მიზნებისა და განწყობის საქმეა.

ესეში „სულის დაშლა" გრიგოლ რობაქიძე ქართველ მწერლებთან დაკავშირებით წერს: „მათ შეეძლოთ უთუოდ მწიფობის ხანაში მნიშვნელოვანი რამ მიეცათ ქართული ლიტერატურისათვის. საბჭოთა ატმოსფეროში მათ არ ძალუძთ მისცენ უკანასკნელის მეათედიც იმისა, რისი მიცემაც მათ შეეძლოთ. – სწორედ იმ „სინამდვილობის" გამო, ბოლშევიკებად რომ იქცნენ? – შემეკითხება მკითხველი. ჯერ ერთი, მათი ქცევა ბოლშევიკებად ძალიან ძნელი ამბავია, გარდა ორი-სამისა. მე კარგად ვიცნობ მათ: ისინი შინაგანად დამთავრებულნი იყვნენ, როცა მე საბჭოეთი მივატოვე, მეორე, ასეთი ქცევა შინაგან გარდატეხას მოითხოვს, რაიც შესაძლოა მხოლოდ თავისუფალ არეში; ბოლშევიზმის არეში კი, სადაც მხოლოდ გარეგანი ძალაა გამეფებული, ასეთი გარდატეხა საეჭვოა. მესამე, კიდევაც რომ იქცნენ ბოლშევიკებად შინაგანად და ამრიგად გახდნენ „ნამდვილნი", მაშინაც ვერ გამოიღებს მათი ნიჭი ნაყოფს, რადგან ბოლშევიზმი და ხელოვნება ერთიმეორეს ეწინააღმდეგებიან. აქ არაა ადგილი ამ საკითხს შევეხო, ვიტყვი მხოლოდ, მთელს საბჭოეთში მე არ მეგულება არც ერთი ნაწარმოები, რომელიც არსებითად ბოლშევიკური იყოს და იმავე დროს ხელოვნური. თუ რამ თვალსაჩინო შეიქმნა საბჭოეთში ამ მხრით, ეს მხოლოდ და მხოლოდ ოსტატური „გვერდის ავლით" ბოლშევიზმისა. მაგალითების მოყვანა ზედმეტია" (რობაქიძე 1996: 59). მწერალი აშკარად კლასიკურ ნაწარმოებებს გულისხმობს, რომელთა არსში, წიაღში უეჭვოდ საბჭოთა სინამდვილეა საძიებელ-საცნაური. „ოსტატურ გვერდის ავლაში" უნდა ვიგულისხმოთ ნაწარმოებთა ალეგორიულობა, ორსახოვნება და ნიღბების ხელოვნება. რობაქიძე მეტისმეტი ჰუმანურობითა და სიწრფელით ეკიდება პროლეტარიზმის პე-

რიოდის თანამოკალმეების ავტორიტეტს. მის ხმაში ოდნავაც არ კრთის საყვედური, არამედ, ის გარდაუვალ პროცესად მიიჩნევს იმას, რაც საბჭოეთმა დამართა ქართულ მწერლობას.

გრიგოლ რობაქიძე, რომელსაც გამბედაობა შემატა ევროპამ, არ იყო ერთადერთი მწერალი, ვინც ნიღაბი ჩამოხსნა სტალინს. სტალინის შესანიშნავ ალეგორიულ მხატვრულ სახეს ქმნის საბჭოთა პერიოდის არანაკლებ თამამი მწერალი მიხეილ ათანასეს ძე ბულგაკოვი.

ბულგაკოვმა ტოტალიტარული რეჟიმით მოცულ გარემოში დაწერა სატირული, ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური და ეპიკური რომანი „ოსტატი და მარგარიტა“.

დღემდე უცნობია ბულგაკოვის პოლიტიკური შეხედულებები, მისი დამოკიდებულება რელიგიასთან. 1930 წელს მთავრობისადმი მიწერილ წერილში მან აღიარა: „მე არასოდეს მიცდია კომუნისტური პიესის დაწერა, იმიტომ, რომ ვიცოდი, ასეთი პიესა არ გამომივიდოდა“. ეს წარმოუდგენელი სითამამე, როგორც ჩანს, გამოიწვია იმან, რომ ბულგაკოვს არასოდეს დაუხევია უკან შემოქმედებითი პოზიციებიდან, იდეებიდან და ინარჩუნებდა თავის მეობას ცხოვრების უმძიმეს წუთებში. ასეთი წუთი კი ბევრი იყო. მან სრულად განიცადა სტალინის დროში ძლიერი ადმინისტრატიულ-ბიუროკრატიული სისტემის ზეწოლა. ებრძოდნენ მის შემოქმედებით და ცხოვრებისეულ მიდგომას. ბულგაკოვის ცხოვრებაში იყო ხანგრძლივი კრიზისები, როდესაც მის ნაწარმოებებს არ ბეჭდავდნენ და პიესებს არ დგამდნენ, არ აძლევდნენ საყვარელ „მხატში“ მუშაობის უფლებას. მწერალი მშვენივრად აცნობიერებდა, რომ საკუთარი თავის მთავარი „მტერი“ თვითონვე იყო, რადგან ის „არას“ ეუბნებოდა ცენზურას, ბიუროკრატიას, სტალინს და ყოველგვარ მაამებლურ და კარის მსახურის უღირს საქციელს.

სტალინთან ბულგაკოვს ჰქონდა განსაკუთრებული დამოკიდებულება. მწერლის თავნება ქცევებს ბელადი აკრიტიკებდა, მრავალ ნაწარმოებზე პირდაპირ მიანიშნებდა მათში ანტისაბჭოთა აგიტაციის არსებობაზე. ამის მიუხედავად, ბულგაკოვი არ გადაუსახლებიათ საშინელ ბანაკებში (გულაგში). ის გარდაიცვალა არა ციხეში, არამედ საკუთარ ლოგინში მამისგან მემკვიდრეობით მიღებული ნეფროსკლეროზით.

ბულგაკოვმა იცოდა, რომ საბჭოთა კავშირში მას არ ელოდა ბრწყინვალე ლიტერატურული მომავალი, მის ნაწარმოებებს მუდამ აკრიტიკებდნენ. მას დაემართა ნერვიული აშლილობა და სტალინს მიმართა გახმაურებული წერილით: „...მე მოგმართავთ და გთხოვთ შუამდგომლობას საბჭოთა მთავრობასთან, რათა მე და ჩემი მეუღლე ლ .ე. ბულგაკოვა, რომელიც ამ თხოვნას უერთდება, გაგვაძევონ საბჭოთა კავშირიდან. არ არსებობს გაჩუმებული მწერალი, თუ ნამდვილი მწერალი ჩუმდება, ის იღუპება“ (აბულაშვილი, 2012).

ფაქტია, რომ ბელადმა არ მოსპო ანტისაბჭოთა „ბურჟუაზიული მწერალი“ ბულგაკოვი. ამბობენ, რომ სტალინზე იმოქმედა ბულგაკოვის მომხიბლაობამ და იუმორის გრძნობამ. ამას გარდა, სტალინს მოსწონდა ბულგაკოვი, როგორც დრამატურგი. „ტურბინთა დღეები“ მან 15-ჯერ ნახა! ასევე შესწავლილია სტალინის პირადი ბიბლიოთეკა, მოწონების მიუხედავად, იქ აღმოჩენილ ბულგაკოვის რომანის წიგნის შიდა, პირველ ყდაზე წითელი ფანქრით, რუსულ ენაზე, ლამაზად, დიდი ასოებით მიუწერია: „აიკრძალოს. საბჭოთა ხალხისთვის ამ წიგნის კითხვა ჯერ ადრეა“ („ქართული აზრ“, 2016).

ბულგაკოვი იყო წარმომადგენელი ინტელიგენციის იმ ნაწილისა, რომელსაც არ დაუტოვებია ქვეყანა ძნელ წლებში და ცდილობდა შეცვლილ პირობებში თავისი სახის შენარჩუნებას.

ვინ განასახიერებს მეს? ოსტატის ტრაგედიაა საკუთარი „მეს“, მეობის დაკარგვა. „მე ეხლა არარაობა ვარ... მე არა მაქვს ოცნებები, და შთაგონებაც არ მაქვს.. მე გამტეხეს, მე მოწყენილი ვარ და მინდა სარდაფში ყოფნა“, ამბობს ის (ბულგაკოვი, „ოსტატი და მარგარიტა“), რაც საბჭოთა რეჟიმის შედეგად დამცრობილ და არარაობადქცეულ საზოგადოებას მიესადაგება. ამ განწყობით ალუზიურად გვახსენდება თამაზ ენვური (გრიგოლ რობაქიძე, „ჩაკლული სული“) მონანიებამდე, საკუთარი განცდებითა და ტკივილიანი სინანულით გაცამტვერებული რაობა და არა ვინაობა.

რომანის იდეისა და პრობლემების გასარკვევად აუცილებელია ნაწარმოების მოქმედი პირების, პროტოტიპების უფრო დაწვრილებით განხილვა. ნაწარმოების ყველა გმირი იმ „სენით“ არის შეპყრობილი, რაც 30-იან წლებში იყო გავრცელებული

(მექრთამეობა, ლოთობა, სიხარბე...). „ცუდი ბინიდან" ხალხის გაქრობაც საეჭვოდ ჰგავს რეპრესიებს.

ვოლანდის ერთ-ერთ პროტოტიპად თვლიან სტალინს. ვოლანდი არის ეშმაკი, ადამიანის სახის სატანა, ბოროტების განსახიერება. მაგრამ რატომ მოვიდა ის 1930-იანი წლების მოსკოვში, ქალაქში, სადაც ღმერთი აღარ იყო, ყველაფერი ბოროტებას და ჯოჯოხეთურ ქაოსში გახვეულიყო. მისი მიზანი იყო ადამიანში ბოროტი საწყისის გამოვლენა. უნდა ითქვას, რომ ვოლანდი, იეშუა გა-ნოცრისგან განსხვავებით, ადამიანებს თვლის ბოროტ არსებებად და მოსკოვში, სადაც ის ჩავიდა ბოროტების მსახურად, ნახა, რომ საქმე აღარ აქვს, იმდენადაა წალეკილი მოსკოვი ბოროტებით. ბოროტებით იყო გამსჭვალული მოსკოვის ყველა კუთხე-კუნჭული. ამიტომ ვოლანდი ბოროტების უსასტიკეს ფორმებს ნერგავს. მოსკოველებს უბიძგებს სისასტიკეების ჩადენისკენ, თან დასცინის და არწმუნებს, რომ არცერთი უკეთური ქცევისთვის პასუხი არ მოეთხოვებათ, აბრიყვებს ადამიანებს და შემდეგ უსწორდება. ვოლანდს სტალინთან აიგივებენ, მართლაც, ბულგაკოვის გმირი დიდ ბელადს იმით ჰგავს, რომ ცუდის ჩადენა სურს, ის ოსტატურად ნიღბავს თავის ბოროტებას სიკეთით და, როგორც იტყვიან, წყლიდან მშრალი ამოდის. გახმაურებული ფაქტია, რომ სტალინმა სწორედ უსასტიკესი რეპრესიების პერიოდში დაიცვა მწერალი, როგორც ვოლანდმა – ოსტატი.

ვოლანდი თავად წყვეტს, ვინ იხილოს სინათლე და ვინ – არა. (დიდი მეჯლისი სატანასთან 50-ე ოთახში) მეჯლისზე თავი მოუყრიათ მომწამლველებს, დამსმენებს, გამცემებს, შეშლილებს, გარყვნილებს. ამ მეჯლისზე კლავენ ბარონ მაიგელს, ადამიანს, რომელიც ვოლანდის მთავარი კონკურენტია, იგი მას მოსპობით ემუქრება, რადგან ის (ვოლანდი) ღუპავდა მოსკოვს, მაიგელი მზადაა ღალატის, ჯაშუშობის, მაბეზღარობის დასასჯელად.

სიკეთისა და ბოროტების ერთ სივრცეში არსებობა ნაწარმოების მთავარი ხაზია. ისინი ერთმანეთის არსს ამკვეთრებენ. ამიტომაც არსებობს ვოლანდი – ბოროტება და იეშუა გა-ნოცრი – სიკეთე. ოღონდ ერთი რეალურ სამყაროშია, მეორე – იდეაში (აქ, ხელოვნებაში).

რომანში „ახალი აღთქმის“ სიუჟეტურ ქარგას მისდევს მწერალი, იეშუა, რომელი სახეც ამოზრდილია სახარებიდან, ამკვიდრებდა აზრს, რომ ადამიანები კეთილები არიან და ოდესმე დედამიწაზე სამების ზეობა დამკვიდრდება. ეს ის მთავარი ხაზია, რომელსაც უნდა გაჰყვეს ადამიანის შეგნებული გონი. რაც შეეხება პილატე პონტოელს, მართალია, მან სიკვდილი მიუსაჯა იეშუას, მაგრამ გამარჯვება მაინც ვერ იზეიმა. მან მოსვენება დაკარგა, რადგან წადილი, პატიმარს ეთქვა ტყუილი, რაც მას გადაარჩენდა, ვერ აისრულა, იეშუას სწამს, რომ სიმართლეზე სასიამოვნო არაფერია დედამიწაზე. იეშუა სიკეთის და სიმტკიცის სახე-სიმბოლოა, ბულგაკოვი ხელისუფლების ხელში მარიონეტად გადაქცეულ ადამიანებს არ თანაუგრძნობს, ის პირადი ცხოვრებითაც ამოწმებს ამ აზრს და ნაწარმოების იდეური მრწამსითაც. ამ კონკრეტულ დეტალში იყოფა რობაქიძისა და ბულგაკოვის გზები. რობაქიძეს ებრალება თამაზ ენგური და თანაუგრძნობს მას, რადგან სინანული და უფლის იმედად დარჩენილი მისი არსება კათარზისის გზით აბსოლუტურ მეტამორფოზას განიცდის.

ბულგაკოვის რომანში ის შინაგანი უკმარობის გრძნობა, რომელიც ღრღნის პროკურატორს, რადგან მან ვერ დაასრულა საუბარი განსაკუთრებულ პატიმართან (აქ ალუზიურად ჩნდება ლევანის სახე („ჩაკლული სული“) უნდა გავიგოთ მწერლის პოზიციად, რომ თითოეული გაწირული, დახვრეტილი, გადასახლებული, დასჯილი ადამიანი დამსჯელის (სტალინის) სულს მოსვენებას არ მისცემს, მისი ტანჯვა მარადისობაში გაგრძელდება. თუმცა მწერალი ხელოვნებას, როგორც უზენაეს ფასეულობას და შემოქმედს, როგორც სამყაროს მბრძანებელს, სარეაბილიტაციოდ ხელში უგდებს მსახვრალს. ოსტატმა მას აპატია, როცა მისცა გა-ნოცრისთან საუბრის დასრულების საშუალება. ამგვარად, ბულგაკოვმა შექმნა რეცეპტი, რომ ხელოვნებას შეეძლო ეჩვენებინა გზა ჭეშმარიტებისკენ. ამას ადასტურებს პილატე პონტოელის უკანასკნელი საუბარი იეშუასთან. აქვე უნდა გამოვკვეთოთ ოსტატის (ხელოვანის) შუამავლის, მოციქულის როლი სატანურ საწყისს – ვოლანდსა და ღმერთს – იეშუა გა-ნოცრის შორის.

რომანის მეორე თავში მწერალს მსახვრალი და ბოროტი

არსის სახე-სიმბოლო შემოყავს: „სისხლისფერქობიანი თეთრი მოსასხამით, დილააადრიან, გაზაფხულის თვის ნისანის თოთხმეტს, დიდებული ჰეროდეს ორფრთიანი სასახლის გადახურულ სვეტოვანში, ცხენოსნის ფლატუნა ნაბიჯით შემოვიდა იუდეველთა პროკურატორი პონტოელი პილატე“ (ბულგაკოვ 2011:18), სისხლში მდგარი სიწმინდე რომანის ქვეტექსტადაც კი შეიძლება აღვიქვათ.

ტოტალიტარიზმმა „უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები“ (ტაბიძე, „მზეო თიბათვისა“), ბულგაკოვს შემთხვევით არ დაუდია თავისი რომანისთვის ქარგად იესოს ჯვარცმის ამბავი: „ორმა ლეგიონერმა შემოიყვანა და პროკურატორის საკარცხულთან დააყენა ოცდაშვიდიოდე წლის კაცი. მას დაკონკილი, ცისფერი ქიტონი ემოსა, თეთრი თავსახვევი შუბლზე ზეზით ჰქონდა შემოჭერილი და ხელები უკან გაკრული. მარცხენა უპე ჩალურჯებოდა. ტუჩის კუთხეებზე სისხლი შეხმობოდა“ (ბულგაკოვი 2011:20) სცენა ნაცნობია. მსაჯული ცივი და უკმეხია. მას სიკეთის ნასახიც არ გააჩნია, დაუნდობელი და ვერაგია: „შენ მე მიწოდებ კეთილ კაცს? ცდები. იერუშალაიმში ხალხი ჭორაობს, რომ ურჩხულივით საბარელი ვარ, არცა ცდებიან“ (იქვე:20)[9].

სტალინის პოლიტიკა ბრალდებათა შეთხზვის ნიჭს არ უჩიოდა. შეკერილ საქმეებს, რომლებსაც სიყალბის დაღი ესვათ, ყოველგვარი საფუძველი ჰქონდათ გამოცლილი, ხალხი, რომელიც ბრბოდ აქცია რეჟიმმა, შიშმა და დემაგოგიამ, უწიგნურობამ და გაუნათლებლობამ, ურეაქციოდ წირავდა ალალ-მართალ ადამიანებს, ეს ხალხი ჰგავდა იმ ბრბოს, რომელმაც ქრისტე ჯვარზე გააკრა. ბულგაკოვთან სიმბოლოების ალეგორიული სახეების გახსნისას თვალში გვხვდება სწორედ პილატესთან გალილეველის დაკითხვის ეპიზოდი, რომელსაც ბრალად იერუშალაიმის ტაძრის დანგრევას სდებდნენ. საჩივარს ხალხი აწერდა ხელს. მწერალი ტაძარში გულისხმობდა საბჭოთა იმპერიას, დამანგრეველ ძალაში კი – ყოველ მოწინააღმდეგეს. პილატეს გადაწყვეტილება არ შეიცვლება: „აქ ბევრი არაფერი წერია, ჩამოსახრჩობად ესეც კმარა“ (ბულგაკოვი 2011:23). ფრაზა აბსოლუტურ შესაბამისობაშია რეჟიმის თვისობრივ და ქმედით

მახასიათებლებთან. ბულგაკოვის მიზანი პირდაპირ ჩანს. მისი ნიღბები იმდენად გამჭვირვალეა, რომ მკითხველს არ უჭირს მხატვრული ფონის მიღმა რეალობა შეიცნოს. რომანში წარმოდგენილი რეალური თუ ირეალური სახეებისა და ეპიზოდების სერია ამარტივებს ნაწარმოების ნამდვილი არსის წვდომას.

რელიგიური ხაზის გარეშე ბულგაკოვი ბოროტებას, როგორც არასრულ არსს, როგორც სიკეთენაკლულ ფენომენს, ერთგვარი დანდობითაც კი ეკიდება: „ბოროტები არ არიან ამქვეყნად", – ეუბნება იეშუა გა-ნოცრი პილატეს (იქვე:27)ა, მას სჯერა, რომ ყოველი ადამიანი, რაოდენ დამახინჯებულიც არ უნდა ჰყავდეს ცხოვრებას, ღვთის ხატია: „უბედური კაცია (ვირთხათმძლე)... მასთან რომ მალაპარაკა, მჯერა, მოვაქცევდი" (იქვე:28)ბ; ეს აისახება პილატეს უკიდურესი სურვილის აღსრულებაშიც. მისი საუბარი იეშუასთან უნდა აღვიქვათ, როგორც გამარჯვება ღვთაებრივისა, რომლის უზენაესობას თვით ეშმაკის მსახურიც აღიარებს.

ბულგაკოვი თავის სათქმელს პირდაპირ ამბობს რომანში გა-ნოცრის პირით: „ყოველი ძალაუფლება ძალადობაა. მალე მოაწევს ჟამი, გაქრება კეისარიცა და მისი ძალაუფლებაც. ადამიანი ჭეშმარიტებისა და სიმართლის საუფლოში გადასახლდება, სადაც აღარ იარსებებს არავითარი მმართველობა" (ბულგაკოვი 2011:30). რელიგიური და ფილოსოფიური ხაზები ერთდება ამ კონკრეტულ ფრაზაში. მწერლის ჩანაფიქრი გზავნილია საბჭოთა ხელისუფალთათვის. ის შეახსენებს უმაღლეს ფასეულობას, ახედებს იქითკენ, სადაც არაა ძალაუფლება, გარდა უფლისა. სწორედ ამ საუფლოში განისვენა ოსტატმა: „მიაყურადე და დატკბი იმით, რაც არ გაღირსეს სიცოცხლეში - სიჩუმით... ვიღაც თავისუფლებას ანიჭებდა ოსტატს, როგორც ახლახან თავად უბოძა თავისუფლება თავის მიერვე შექმნილ გმირს" (ბულგაკოვი 2011:42). ესაა უმაღლესი მონაპოვარი ამქვეყნადაც და იმქვეყნადაც. აქ ალუზიურად „დიდოსტატის მარჯვენა" გვახსენდება, სამთავროს ტაძარში მელქისედეკ კათალიკოსის წირვისშემდგომი ქადაგება, ბიბლიური იაკობის შესახებ, როდესაც ის „ამქვეყნიური დიდებით შეპყრობილებს" შეახსენებს, რომ ადამიანი ვერასოდეს გაუტოლდება ღმერთს.

ამგვარი გაგება-გააზრებით კონსტანტინე გამსახურდია ისევე უარყოფს „ბელადის“ ფენომენალურ ჰეგემონურ ძალმოსილებას, როგორც რობაქიძე და ბულგაკოვი.

როცა ბულგაკოვი პილატეს და გა-ნოცრის ეპიზოდს ქმნიდა, მას მხედველობაში ჰყავდა არსებული წყობა. პატიმარი იეშუა განზოგადებული სახეა სიკეთისა, რომელიც განსაკუთრებულ მოფრთხილებას საჭიროებს, რადგანაც პროკურატორის ნება ეუწყა, რომ იეშუა სხვა პატიმრებისგან გაეცალკევებინათ და მცველთათვის, უმძიმესი სასჯელის შიშით, აეკრძალათ მასთან ლაპარაკი, ან მის შეკითხვებზე პასუხის გაცემა“ (ბულგაკოვი 2011:32), ეს არის ნათელი მაგალითი, თუ როგორ იდევნებოდა სიმართლე, სიკეთე, ღირსება. ისიც ნიშანდობლივია, რომ პილატეს ეშინია გა-ნოცრისი და არა პირიქით, გა-ნოცრის - პილატესი. აქ ავტორი უფლისადმი შიშის ფენომენს იძლევა, რომლის წინაშე წარხდება ყოველგვარი ძალა და ასეც მოხდა.

ნაწარმოებში ვოლანდი ჩნდება პატრიარქის ტბორებზე, როცა ის წარუდგება საბჭოთა ლიტერატორებს, ბერლიოზსა და ივან უსახლკაროს, რომლებიც ასამართლებენ ქრისტეს და უარყოფენ მის ღვთაებრიობას. ვოლანდი დაბეჯითებით ცდილობს დაარწმუნოს ლიტერატორები, რომ იეშუა არსებობს, რათა საკუთარ არსებობას მისცეს მნიშველობა და დამაჯერებლობა. ამ მომენტიდანვე ვოლანდი მკითხველის სიმპათიასაც კი იმსახურებს. მისი შეუცნობლობა ზრდის მისადმი მკითხველის ინტერესს. ბულგაკოვი დიდი ოსტატობით ეკიდება ვოლანდის სახის ხატვას. იგრძნობა მწერლის სიმპათია მის მიმართ, ეს განწყობა ნაცნობია საბჭოთა ადამიანისთვის სტალინს ჰქონდა მომნუსხველი ძალა, ის პირდაპირი გაგებით ბოროტებას არ სჩადის. კომპრომატების გარეშე მოქმედებს და „შედეგსაც“ აღწევს. აქ ბულგაკოვი და რობაქიძე ბელადის ერთ თარგს ქმნიან.

ვოლანდი ადამიანთა გულუბრყვილობასა და სისულელეს, მათ ურწმუნოებასა და ისტორიას მასხრად იგდებს. ვოლანდი სასჯელია, რომლის შემდეგ მარადიული ნეტარება ეღირსება ადამიანს.

რომანის ერთ-ერთი ყველაზე იდუმალი ფიგურა უეჭველად არის ოსტატი, მწერლად გადაქცეული ისტორიკოსი, რომელსაც

ავტორმა გმირი უწოდა, მაგრამ მკითხველს გააცნო მხოლოდ მე-13 თავში. მკვლევრები თვლიან, რომ ოსტატი არაა რომანის მთავარი გმირი. სხვა გამოცანაა ოსტატის პროტოტიპი. ჩვენთვის ის განასახიერებს საბჭოთა დროის ხელოვანს, რომელსაც ცხოვრება მოუწია ქაოსში, წუმპეში, შიშში, რომელიც სულიერად მოკლა ყოფიერებამ, მაგრამ იმავე დროებამ აღაზევა, გაიყვანა სამშვიდობოს. ოსტატის ხელშია ბოროტების უმძიმესი სასჯელისგან გამოხსნის იარაღი: „თავისუფალი ხარ! თავისუფალი! ის გელის!" – ეუბნება ოსტატი პონტოელს.

ოსტატი მრავალი თვალსაზრისით ავტობიოგრაფიული გმირია. რომანში ის დაახლოებით 38 წლისაა. ისტორიულ სინამდვილეშიც უამრავი ოსტატი, ხელოვანი დაახლოებით ამ ასაკში იყო სტალინური რეჟიმის პირისპირ. თავისი რომანის გმირის ასაკის იყო ბულგაკოვი 1929 წლის მაისში. ოსტატი ბულგაკოვს ჰგავს იმით, რომ მწერალი, დევნის მიუხედავად, არ იქცა დაშინებულ შემგუებლად და დარჩა ნამდვილი ხელოვნების მსახურად. ოსტატიც ასე ქმნიდა თავის შედევრს პილატე პონტოელზე, ასე მისწვდა ჭეშმარიტებას და მიუძღვნა ცხოვრება წმინდა ხელოვნებას. მან იპოვა შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი – ერთადერთი მოსკოველია კულტურის მუშაკებიდან, რომელიც არ წერდა დაკვეთით, იმაზე „რაც შეიძლება". ეს ხაზი განსაკუთრებით ნათელ ფერად გასდევს რომანში ოსტატის სახე-ტიპს.

რა თქმა უნდა, შეუძლებელია ვერ დავინახოთ მსგავსება ოსტატსა და მის მიერ შექმნილ იეშუა გა-ნოცრის შორის. იეშუა ზოგადადამიანური ჭეშმარიტების მატარებელია, ოსტატი კი ერთადერთი ადამიანია მოსკოვში, ვინც სწორი შემოქმედებითი და ცხოვრებისეული გზა აირჩია. მათ აერთიანებთ ამქვეყნად მოვლინებისა და დანიშნულების მისია და ამ მიმართების დანახვა რომანის მთავარი ფილოსოფიური საფუძველია: ზოგადი კონკრეტულში, ანუ ნაწილი – მთელში.

თუმცა, თუ ასე გავიაზრებთ, რომ ოსტატი განასახიერებს იეშუას, მაშინ აშკარად გამოიკვეთება მისი ადამიანური სისუსტე, როცა ის განუდგა წმინდა, ღვთაებრივი ხელოვნებისადმი მსახურების მიზანს, როცა დაწვა რომანი და სასოწარკვეთილებაში ჩაიგდო თავი. ამიტომაც ვერ შეერია

ნათელს, მაგრამ ოსტატი იმსახურებს სიმშვიდეს, მარადიულ სახლს, მხოლოდ იქ შეძლებს სულიერად გატანჯული რომანის ისევ ხილვას და თავის რომანტიულ მარგარიტასთან გაერთიანებას. მარგარიტა კი, რომელიც ეშმაკს გაურიგდა ოსტატის გადასარჩენად, პატიებას იმსახურებს და ამიტომ რჩება ოსტატთან. ოსტატისა და მარგარიტას დანტესეული ისტორია, ან ფაუსტური რომანული ხაზი, საბჭოთა სინამდვილეს შეერწყა, როგორც გზა გადარჩენისა. ადამიანი მუდმივ გამოცდას გადის. ბიბლიური ევას და ადამის საცდურიდან მოყოლებული, ვერც დანტეს ეპოქა გადაურჩა, ვერც გოეთეს და ვერც ბულგაკოვისა. მწერლობა და ზოგადად, ხელოვნება, ვალდებულია ღვთაებრივი გზა აჩვენოს კაცობრიობას და, თუ ამ მისიას მწერალი პირადი ცხოვრებისეული მაგალითითაც დაამოწმებს, მისიაც შესრულებულია.

ბულგაკოვის მიზანი აშკარაა – ადამიანებმა დაინახონ სტალინური რუსეთის გამხრწნელი სინამდვილე, რომელიც წლების განმავლობაში სპობდა, ანადგურებდა ფასეულობებს, თუმცა მწერალი რომანის პოზიტიური დასასრულით გამოხატავს რწმენას, რომ რუსეთი დაადგება სწორ გზას: „იმ შავი უფსკრულის თავზე, რომელშიც კედლები ჩაემხო, თვალგაუწვდენი ქალაქი გაჩახჩახდა“ (ბულგაკოვი 2011:420).

ბულგაკოვი, ცხადია, ამას თავის სიცოცხლეში ვერ მოესწრო. მეტიც, მან იცხოვრა მუდმივ შიშში. რომ მის სახლთან გამოჩნდებოდა შავი მანქანა, რომელიც უცნობი მიმართულებით წაიყვანდა. ლიტერატურულმა დევნამ და მუდმივმა დაძაბულობამ, შიშმა ბულგაკოვი მძიმედ დაასნეულა. ის ნერვიული ავადმყოფი იყო. ეშინოდა საშინელი ბოროტებისა, დაბეზღებებისა და ჯაშუშობისა. ეს აისახა რომანშიც: ვოლანდის ბრძანებით მოკლული ერთადერთი კაცი იყო ბარონი მაიგელი, დამსმენი და მაბეზღარი, რომელიც, შეიძლება ითქვას, რომ განაგებდა მრავალი ადამიანის ბედს, რაც აბსოლუტურად დაუშვებელი იყო.

„ბოროტების იმპერიაში“, დევნის, შეურაცხყოფის, აკრძალვისა და ტერორის მიუხედავად, ბულგაკოვმა მოახერხა მთავარი რომანის დაწერა. თუმცა, რომანის პირველი ვერსია „ღუმელში“ დაწვა, სამი წლის შემდეგ კი თავიდან დაიწყო წერა და 1938

წლის მაის-ივნისში რომანის ფაბულურად დასრულებული ტექსტი პირველად იქნა გადაბეჭდილი. მწერალს არ სჯეროდა, რომ რომანი ოდესმე სამზეოს იხილავდა და ამაზე ცოლთანაც ჰქონია საუბარი, სინამდვილეში ცენზურაც ვერ გაიარა რომანმა, მაგრამ ხელნაწერმა, რომელიც გადაურჩა საბჭოეთს, იხსნა რომანი გაქრობისგან. ის 1966 წელს დაიბეჭდა.

რა იყო საბჭოეთისთვის მიუღებელი რომანში „ოსტატი და მარგარიტა"?

ხელოვანის ცხოვრება მაშინ იყო სახიფათო, როცა ის რწმენას, შინაგან ხმას, თავისუფლებას ემსახურებოდა. სწორედ ამ რწმენით აღსავსე მშვენიერებას სპობდა რეჟიმი. რომლის შიში ყველას მისწვდა. ცახცახებდნენ უძლეველი ძალის წინაშე. ბულგაკოვის ოსტატიც ვერ გადარჩა და ეს გამოიხატა მის მიერ საკუთარი რომანის დაწვაში. ასე გაანადგურა ბევრმა ხელოვანმა თავისი შედევრი, თუმცა ქმნილებებში იდო მათი უცილობელი გადარჩენისა და მარადმყოფობის რწმენა. აი, ეს რწმენა უნდა დაეთრგუნა საბჭოეთს, კერპი გაეიდეალებინა, რწმენაგამოცლილ არარაობებად გადაექცია ადამიანები, მით უმეტეს, ხელოვანები. იმაზე უფრო საცოდავი ადამიანი ვერ გახდება, როგორიც რწმენაგამოცლილი, შიშით მობუზული, მარიონეტად გადაქცეული არსება. ამ საცოდაობას შეუძლია თვით ეშმაკიც კი მოათვინიეროს. ეს ხდება რომანშიც, ვოლანდი სიბრალულით ივსება და მხსნელად ევლინება ოსტატს.

მთავარი დაპირისპირება ვოლანდსა (სტალინი) და ოსტატს (ხელოვანი) შორის, ესაა ბოროტი და კეთილი ძალების დაპირისპირება. აქ გამარჯვებული ოსტატია, რომელსაც მარადიული სიმშვიდე ელის. რა ელის ვოლანდს? მწერალი ასე პასუხობს ამ კითხვას: „შავი ვოლანდი გზის გაუკვლევად გადაეშვა უფსკრულში". „ავტორი ვოლანდს – „წყვდიადის მეუფეს", ერთერთ ყველაზე რეალურ და ყველაზე სიმპათიურ არსებადაც კი გვიხატავს... სწორედ ვოლანდი ასახიერებს ერთადერთ რეალურ ძალას, რომელსაც უნარი შესწევს დათრგუნოს მოძალებული ბოროტება. მასში მწერალი ხედავს მხსნელს და სიკეთის მთესველს... ვოლანდი რომანში ის ძალაა, რომელსაც ბოროტება სწადია, მაგრამ მაინც მოჩვენებით „სიკეთეს იქმს", ხოლო გოეთესეული გააზრებით – ბოროტი ძალა, რომელ-

საც მოჩვენებითი სიკეთე მოაქვს ადამიანთათვის, ეშმაკეულია, რადგან „მოჩვენებითი სიკეთე მხოლოდ და მხოლოდ ბოროტებაა, ადამიანის არასულიერში შთანთქმა, მიწიერ (არიმანულ) ან ირეალურ (ლუციფერულ) სამყაროში მისი დაკავება და სულიერი ნათელისგან – ღმერთისგან განდგომაა" (http://eon.ge). გოეთესეული ინტერპრეტაციით ვოლანდს ჯოჯოხეთი ელის. ის სტალინის პროტაგონისტია, ბოროტების გამსახიერებელი, სიკეთის მანტიით შემოსილი, მაგრამ – მოჩვენებითი, ღმერთისგან შორს მყოფი, ბუნებრივია, ნაწარმოების კითხვა იკრძალებოდა, როგორც სახიფათო იდეოლოგიის შემცველი რომანისა. გასაკვირი ისაა, რომ სტალინმა, რომელმაც თავად აკრძალა რომანი, მწერალს გაუღო თეატრის კარი და მოღვაწეობის თავისუფლება მისცა.

ვფიქრობთ, კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი ლეონიძის, გრიგოლ რობაქიძის, „ცისფერყანწელთა" შემოქმედებაში სტალინის სახე საბჭოთა საზოგადოების კონიუნქტურას მორგებული – „სიკეთის ხატი"; ამ პარადოქსულ სინამდვილეს აქვს თავისი მიზეზი – საბჭოთა დიქტატურა. რუსეთი და ევროპა სრულიად განსხვავებული ორიენტაციისა და ფასეულობების გამომხატველნი იყვნენ, თუმცა მიხეილ ბულგაკოვი და გრიგოლ რობაქიძე, რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, საბჭოთა სისასტიკის ფონზე გაბედულად ამხელენ სტალინს და სტალინური რუსეთის სასტიკ სინამდვილეს. როგორც სარკეში, ისე მოჩანს ბელადის რეალური სახის ანარეკლი რომანებში „ჩაკლულ სული"და „ოსტატი და მარგარიტა." ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ რობაქიძეს „მოხერხებულ" პირობებში მოუხდა რომანისა და ესეების წერა, ბულგაკოვი კი სტალინის სამყაროში ქმნიდა ეპოქის სახეს.

„ჩაკლული სული" და „ოსტატი და მარგარიტა" გზის გამკვალავი ნაწარმოებებია, ქართულმა და რუსულმა ლიტერატურამ, რომელსაც სასტიკად გაუსწორდა სტალინის რეჟიმი, მოძღვრის როლი იკისრა, დაანახა მკითხველს, როგორ ათამაშებს და ბოლოს ამ სათამაშოს როგორ ანადგურებს საბჭოთა სინამდვილე, რომ ბოროტება ვერასდროს იქცევა უზენაეს ძალად, რომ დიდი თუ მცირე, დანაშაული დანაშაულია და გამოსავალი – სინანულის გზით განწმენდა.

დაბოლოს, იძულება და წნეხი არ უნდა ყოფილიყო შემოქმედებითი მრწამსის განმსაზღვრელი. ერთ სიბრტყეზე განფენილი ძაგება და ხოტბა, ტყუილი და მართალი, გამბედაობა და შიში სხვადასხვა რელსზე აყენებდა მწერლებს. სახოტბო მწერლობას სამართლიანად დაუპირისპირდა ჭეშმარიტი ხელოვნება. საბოლოოდ, ორივე მიმართულებამ შექმნა ეპოქალური მწერლობა.

დასკვნა

წიგნში თავმოყრილია XX საუკუნის უმნიშვნელოვანესი და უმძიმესი ისტორიული მოვლენის, საქართველოს გასაბჭოების ფონზე აღმოცენებული „პროლეტარული ნარატივი“ (1921 -1940 წლები).

აღნიშნული პერიოდი ხასიათდება მწერალთა პოზიციების ცვლილებებით, მერყეობით, ორმაგი სტანდარტებით, მეხოტბეობით. ერთ მხარეს არის პროლეტარული მწერლობა, მეორე მხარეს – ნირწამხდარი, მუქარით დაშინებული, დაუზუსტებელი პოზიციების მწერლობა, რომელიც განუზომელი მასშტაბურობით ქმნის პროლეტარულ ნაწარმოებთა სერიას.

გაბატონებულმა შიშმა ახალ პლატფორმაზე დააყენა კლასიკოსებიც. მათი შემოქმედება ჩადგა საბჭოეთის სამსახურში და მოექცა ერთიანი პროლეტარული მწერლობის ფარგალში.

სახეზეა შემდეგი რეალობა:

მწერლობა ყოველთვის ემსახურებადა ხელისუფლებას და მის იდეოლოგიას, პოლიტიკური ცხოვრებისგან აბსოლუტურად თავისუფალი მწერლობა თითქმის არ არსებობს. ცხადია, ვერც საბჭოთა პერიოდის მწერლობა იქნებოდა სრულიად თავისუფალი და დადგენილი ნიშნულიდან მკვეთრად გადასული. რამდენადაც ლიტერატურა შესანიშავი იდეოლოგიური იარაღია, თვით მწერალი ან საკუთარი არჩევნით ემსახურება მას, ან იმართება სახელმწიფოს მმართველი ან მემარცხენე ძალისგან. განსაკუთრებით 30-იან წლებში დამკვიდრდა ე. წ. „კმაყოფილი მონის“ (გიორგი კეკელიძე) სინდრომი.

პროლეტარული ნარატივი, რომელიც უხვად გვხვდება საბჭოთა პრესის ფურცლებზე, გვაძლევს დასკვნის საშუალებას, რომ იდეოლოგიურ მსახურებას ეწეოდნენ ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე. კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე და მრავალი ქართველი მწერალი, რომელთა სიტყვიერი ზემოქმედების კვალი აშკარად ისახებოდა ქართულ საზოგადოებაზე. მათ უწევდათ პრინციპების დათმობა და გადაფასება, განიცდიდნენ მეტამორფოზას და მსახურება არ იყო ოდენ ნებით გაპირობებული. იკვეთება აშკარა კონფორმიზმი. ქართულმა მწერლობამ ნებითა თუ ძალით მოირგო საბჭოთა იდეოლოგიის მსახურება.

ჯალათის როლი დაეკისრა საბჭოთა ცენზურას და მისი დამსა-

ხურებით მოხდა ბურჟუაზიული მწერლობის ტრანსფორმაცია, საბჭოთა მწერლობად გარდაქმნა. ცხადია, ტრანსფორმაციის პროცესი არ იყო იოლი. პრინციპების დათმობა მტკივნეული იყო არაერთი ქართველი მწერლისათვის, იყო ძველის გლოვა და გამოტირება, მაგრამ სახეზე გვაქვს მათი საბჭოთა მემკვიდრეობაც (სხვა საქმეა, რას დაწერდნენ ისინი, გრიგოლ რობაქიძესავით თავშესაფარი უცხოეთში რომ ეპოვნათ).

გამოიკვეთა მწერალთა რამდენიმე კატეგორია: „გაწირულები", „შეწირულები" და „გადარჩენილები".

ე. წ. „გადარჩენილების" (ლეო ქიაჩელი, გერონტი ქიქოძე, ლევან ასათიანი, ნიკო ლორთქიფანიძე) ცხოვრება და შემოქმედება კვლევას საჭიროებს. თუმცა, მათ შესახებ შეგვიძლია ვთქვათ ის, რომ მწერალთა სახლში მისვლას და მწერალთა დაუსრულებელ სხდომებს ერიდებოდნენ, მათი სახელები იმდროინდელ „ლიტერატურულ საქართველოში" არ გვხვდება. 1937 წლის რეპრესიებს ისინი გადაურჩნენ.

წიგნში მხილებულია საბჭოეთის გამხრწნელი მექანიზმი – მწერლების მუდმივი კონტროლი და კრიტიკა, ამ ფონზე მწერლობის გადაქცევა „საბჭოთა მანქანის" მესაჭედ. შეიქმნა „მაამებლური" ლიტერატურაც და კრიტიკაც. ამდენად, შეუძლებელი ხდება იმის დაჯერება, რომ ქართველი კლასიკოსები საბჭოთა ტირანს და მის პოლიტიკას არ ემსახურებოდნენ.

ხაზგასმით გამოვკვეთეთ ბელადის, კერძოდ, სტალინისადმი მიძღვნილი დითირამბული ხასიათის თხზულებები, მათი ავტორების გამოაშკარავებული შინაგანი პოზიციები, სივრცული სხვადასხვაობა. ზოგი თავის გადასარჩენად მოხარკეობას თანხმდება, ზოგი რადიკალურად ემიჯნება.

პროლეტარული განწყობის ტექსტთა მოცულობა, კლასიკოსთა მიერ სამწერლო ტრიბუნიდან საბჭოთა საზოგადოების დამოძღვრა ლენინ-სტალინ-ბერიას იდეებით მასშტაბურია.

არაპროლეტარების პროლეტარული განწყობის შემოქმედება გავმიჯნეთ ორ მთავარ მიმართულებად:

- რეჟიმის მიერ ნაკარნახევი პარტიული შემოქმედება;

ლაღი, თავისუფალი, ზეკაცური შემოქმედება.

სიკვდილის შიში არ უნდა ყოფილიყო საბჭოურ ინტერესებზე „გადაიარაღების" მიზეზი, შესაბამისად, თვითგადარჩენის გარანტია. აქ უფრო სავარაუდებელია შემდეგი:

უჭირდათ ძველთან სრულიად განშორება, განშორება ისე, როგორც ამას ითხოვდა რეჟიმი;

- ძნელი იყო ახალი იდეოლოგიის აბსოლუტური გათავისება;

„ნიღბის ქვეშ" ცდილობდნენ ძველი და დასავლური ფასეულობების გადარჩენას.

შემოქმედებითი მრწამსის გათვალისწინების შედეგად გამოვლინდა მწერალთა სამი კატეგორია: დამორჩილებულნი, ემიგრაციაში გაქცეულნი და განადგურებულნი.

რევოლუციით ბევრი მწერალი აღფრთოვანდა, ზოგი მუდმივ რყევას განიცდიდა, ზოგიც განსხვავებულ პოზიციაზე იდგა სხვადასხვა დროს. „ცისფერყანწელები" თავდაპირველად იყვნენ რევოლუციის მხარეს. მოგვიანებით კი „თანამგზავრებად" იქცნენ.

რეჟიმის დემაგოგიური ინსტიტუტი ახერხებდა მათ გადარწმუნებას და ე.წ. „ნათლობას". მოხდა მწერალთა გაპროლეტარება და პროლეტართა გამწერლება.

ორმაგი ბუნება, პოზა, განწყობა საბჭოთა მწერლისათვის იყო დამახასიათებელი. უმძიმესმა პერიოდმა ბუნებრივ მოვლენად აქცია მწერალთა და ზოგადად, შემოქმედთა გაურკვეველ-დაუზუსტებელი ორიენტაციები. საზოგადოება შეეგუა იმ აზრს, რომ განურჩევლად ყველას ჰქონდა „საბჭოთა პოეტის" სტატუსი. მსახურება იყო ყოველი მოქალაქის შრომითი ვალდებულება. ამდენად, გასაკვირი არაა, რომ მწერლები წერდნენ დაკვეთით, წერდნენ იმაზე, როგორ შენდებოდა ახალი, სტალინური ქვეყანა, მათივე მონაწილეობით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბაშელი 1921: აბაშელი ა., „ჩამქრალი სანთელი", „პოეზიის დღე", თბ. 1921.
2. აბაშელი 1927: აბაშელი ა., „ჰაეროპლანი სოფლად", „მნათობი", N2 თბ.1927.
3. აბაშელი 1936: აბაშელი ა., „საბჭოთა მწერლობის მაღალი მწვერვალები", „მნათობი", N2, თბ.1936.
4. აბაშელი 1936: აბაშელი ა., „სოციალისტური შემოქმედების ფერხულში", „ ლიტერატურული საქართველო", N3, თბ. 1936.
5. აბაშელი 1936: აბაშელი ა., „საამაყო საბჭოთა მოქალაქეობა", „ლიტერატურული საქართველო", თბ. 1936.
6. აბაშიძე 1931: აბაშიძე ი., „პირველი საბჭოთა თოვლი", „პროლეტარული მწერლობა," თბ.1931.
7. აბაშიძე 1986: აბაშიძე ი., „ოცი ლექსი გალაკტიონ ტაბიძის", თბ.1986;
8. აბულაშვილი 2012: აბულაშვილი ა., „ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა" და საქართველო", „რეზონანსი", თბ. 2012. [http://resonance-daily.com]
9. ანი 1927: ანი, „ბიბლიოგრაფია" „პროლეტარული მწერლობა" N3, თბ.1927.
10. ასათიანი 1937: ასათიანი ლ., „ქართული საბჭოთა პროზა", „მნათობი", N10, თბ.1937.
11. ბაქრაძე 1990: ბაქრაძე ა., „მწერლობის მოთვინიერება", თბ. 1990.
12. ბაქრაძე 1990: ბაქრაძე ა., „კარდუ", თბ. 1999.
13. ბაქრაძე 2004: ბაქრაძე ა., რჩეული. ტ.III. თბ. 2004.
14. ბენაშვილი 1938: ბენაშვილი დ., „ჯონსტანტინე გამსახურდია", „მნათობი", N8, თბ. 1938.
15. ბელქანია 2016: ბელქანია თ., „სტალინური კულტურა", თბ. 2016.
16. ბერია 1937: ბერია ლ., „სიტყვა ქალაქ თბილისის საბჭოთა მშრომელი ინტელიგენციის საერთო საქალაქო წინასაარჩევნო კრებაზე", „მნათობი", N11, თბ. 1937.
17. ბერია 1937: ბერია ლ., „საქართველოს ლიტერატურა და ხელოვნება", „მნათობი" N5, თბ. 1937.
18. ბერია 1937: ბერია ლ., „თვითკრიტიკის მახვილით", „ლიტერატურული საქართველო", მარტის 28, თბ.1936.
19. ბერძენიშვილი 2018: ბერძენიშვილი ლ., „ლიბერალი", 12 ივლისი, 2018: http://liberali.ge
20. ბობოხიძე 1931: ბობოხიძე კ., „ბოლშევიკური განთიადი" „პროლეტარული მწერლობა" N1, თბილისი, 1931.

21. ბოჭორიშვილი 1923. ბოჭორიშვილი მ., „ქართული პროზა“ ლომისი“, N32, თბ. 1923.
23.ბრეგაძე 2013: ბრეგაძე კ., „ქართული მოდერნიზმი“, მერიდიანი, თბ. 2013.
24.ბუაჩიძე 1927: ბუჩიძე ბ., „თეორია და პრაქტიკა“, „პროლეტარული მწერლობა“, N1, თბ.1927.
25. ბუაჩიძე 1929: ბუაჩიძე ბ., „პროლეტარული მწერლობა“, N1, თბ. 1929 წ.
26. ბუაჩიძე 1931: ბუაჩიძე ბ., „ქართული მწერლობის ათი წელი“, „პროლეტარული მწერლობა“, N2, თბ. 1931.
27. ბუაჩიძე 1930: ბუაჩიძე ბ., „პროლეტარული ლიტერატურის რიგების გადახალისებისათვის“, „პროლეტარული მწერლობა“, N6, 1930.
28. ბულგაკოვი 2011: ბულგაკოვი მ., „ოსტატი და მარგარიტა“, პალიტრა L, თბ. 2011;
29. გამსახურდია 1961:გამსახურდია კ., რჩეული თხზულებანი ტ.V; გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1961.
30. გამსახურდია1990: გამსახურდია კ., „მთვარის მოტაცება“, მერანი, თბ.1990.
31. გამსახურდია 1934: გამსახურდია კ., „საქართველოს ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსადმი“. სეა, ფონდი 8, აღწ.2. №17.1934.
32. გამსახურდია 1939: გამსახურდია კ., „ბელადი“, „მნათობი“, N8, თბ.1939.
33. გამსახურდია 1936: გამსახურდია კ., „ხორცსხმული მისწრაფებანი“, „ლიტერატურული საქართველო“ , ივლისი, თბ. 1936.
34. გაფრინდაშვილი... 2008: გაფრინდაშვილი ნ., მირესაშვილილი მ., წერეთელი ნ., „ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები“, ნეკერი, თბ. 2008.
35. გაფრინდაშვილი... 2008: გაფრინდაშვილი ნ., მირესაშვილი მ., წერეთელი ნ., „სოციალისტური რეალიზმის თეორიული ისტორია“, წ.I, თბ. 2010.
36. გაფრინდაშვილი 2008: გაფრინდაშვილი ნ., „სოცრეალისტური დისკურსი და ქართული საბჭოთა ლიტერატურის რამდენიმე თავისებურება“, სპეკალი, 2008.
37. გაფრინდაშვილი 2010: გაფრინდაშვილი ნ., „სოცრეალისტური დისკურსი და ქართული საბჭოთა ლიტერატურის რამდენიმე თავისებურება“, „სპეკალი“ N1, თბ. 2010.
38. გაფრინდაშვილი 1924: გაფრინდაშვილი ვ., „პასუხი“, „მნათობი“ N4, თბ. 1924.
39. გაფრინდაშვილი 1934: გაფრინდაშვილი ვ., „ათი წლის შემდეგ“, „მნათობი“, N1, 1934.

40. გიგაშვილი 2008: გიგაშვილი მ., „ლევან გოთუა ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში", „კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა", 2008, www.nplg.gov.ge
41. გენძეხაძე 2002: გენძეხაძე ც., „ტრაგიკული 30-იანი წლების ექო ქართულ კრიტიკაში", „ლიტერატურული ძიებანი" N22; http://www.nplg.gov.ge
42. გვეტაძე 1932: გვეტაძე რ., საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის შემოქმედებითი დისკუსიის I სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში „თანამგზავრობისა და მოკავშირეობის საკითხის შესახებ", სეა, ფონდი 8.აღწ. 1. № 279. 193.
43.გომართელი 1997: გომართელი ა., „ქართული სიმბოლისტური პროზა", თსუ, თბ. 1997.
44. ელბაქიძე 2016: ელბაქიძე მ., „ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა", 1921-1924". გამომცემლობა „მწიგნობარი", თბ. 2016.
45. ეული 1927: ეული ს., „თებერვლის ღამე და გათენება", „პროლეტარული მწერლობა", N2, თბ. 1927.
46. ეული 1929: ეული ს., „რატომ მქვია ეული, „პროლეტარული მწერლობა", N1, თბ.1929.
47. ეული 1937: ეული ს., „გავაძლიეროთ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა მწერლებში", „ლიტერატურული საქართველო", 28 მაისი, 1937.
48. ვართაგავა 1954: ვართაგავა ვ., „სტალინური პრემიით დაჯილდოვებული ქართული მხატვრული ნაწარმოებები." სსლმ. 22808. I-VII რვეულები, 1954.
49. იაშვილი 1927: იაშვილი პ., „პოეტი და ადამიანი", „მნათობი" N2, თბ.1927.
50. იაშვილი 1934: იაშვილი პ., „მწვერვალებიდან", „მნათობი",N7, თბ.1934.
51. კალანდარიშვილი 1924: კალანდარიშვილი გრ., „პოეზია ლენინზე", „მნათობი", N4, თბ.1924.
52. კალაძე 1922; კალაძე რ., „ქართული მხატვრული ლიტერატურის ეხლანდელი ვითარება" „კომუნისტი", N263, თბ.1922.
53. კაპანელი კ., გაზ. „პორზიის დღე", „პოეზიის დღე", N1, აჭარა, 1923.
54. კასრაძე 1923: კასრაძე დ., „მხატვრული ქრონიკა ნახშირის ხაზებით", „პოეზიის დღე", N1,აჭარა, 1923.
55. კახიანი 1927: კახიანი მ., „იდეოლოგიურ ფრონტზე", „მნათობი",N1, თბ. 1927.
56. კვარაცხელია 2013: კვარაცხელია ზ., „ლევან ლეონიძის მწარე ფრაზა", 2013. http://mastsavlebeli.ge/?p=2949
57. კლდიაშვილი 1936: კლდიაშვილი ს., „მწერალი და თანამედროვეობა", „მნათობი", N2, თბ. 1936.

58. კორინთელთა. 1989. კორინთელთა მიმართ II ეპისტოლე. ბიბლია. თბ. საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა.
59. კუპრეიშვილი 2005: კუპრეიშვილი ნ., „მთვარის მოტაცების" რეინტერპრეტაციის მცდელობისათვის" „ხელოვნებაა თავად უკვდავება" საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, 2005.
60. კუპრეიშვილი 2013: კუპრეიშვილი ნ., „სიტყვის დეგუსტაცია", გამომც. „საუნჯე", თბ. 2013
61. ლაბაძე 2015: ლაბაძე შ., „ბერიას ცნობილი მწერლების დითირამბები აინტერესებდა, თორემ უნიჭოები ძალდატანების გარეშეც ასხამდნენ ხოტბას". „კვირის პალიტრა", თბ. 2015.
62. ლეონიძე 1935: ლეონიძე გ., „მწერალთა კავშირის სამდივნო", სეა, ფონდი 8.აღწ. 1.479. 1935.
63. ლეონიძე 1935: ლეონიძე ლ., „ორი ლექსი", „მნათობი", N9, თბ.1935.
64. ლეონიძე 1933: ლეონიძე გ., „სტალინი. ბავშვობა და ყრმობა", „მნათობი", თბ.1933.
65. ლიტერატორი 1927: ლიტერატორი, „ბიბლიოგრაფია". „პროლეტარული მწერლობა", N3, თბ. 1927.
66. ლორთქიფანიძე 1936: ლორთქიფანიძე ლ., „საბჭოთა მწერალი და მკითხველი", „მნათობი", N2, თბ.1936.
67. მარჯანიშვილი 2012: მარჯანიშვილი გ., „მიხაილ ბულგაკოვი და მისი რომანი „ოსტატი და მარგარიტა", 2012.
68. მახარაძე 1926: მახარაძე ფ., „მიმდინარე მომენტი და ქართული მწერლობის ამოცანები", „მნათობი", N2, თბ.1926.
69. მინდიაშვილი 2014: მინდიაშვილი ნ.. „მოთვინიერებული მწერლობის" რეფლექსიები", ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო კონფერენცია: „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში", ბათუმი, 2014.
70. მიწიშვილი 1926: მიწიშვილი ნ., „ფიქრები საქართველოზე". „მნათობი", N2, თბ.1926.
71. მუშიშვილი 1927: მუშიშვილი გ., „თანამედროვე ლიტერატურის ვითარება" „მნაოობი", N11-12, თბ.1927.
72. ნადირაძე 1923: ნადირაძე კ., „წითელი მოედანი", „მნათობი", N6. 1923.
73. ნაკუდაშვილი 1997: ნაკუდაშვილი ნ., „ლიტერატურული მიმდინარეობები". თბ. 1997.
74. ნიკოლეიშვილი 2002: ნიკოლეიშვილი ა., „XX საუკუნის ქართული მწერლობა". ქუთაისი, 2002.
75. ნიცშე 1993: ნიცშე ფ., „ესე იტყოდა ზარატუსტრა", „ფილოსოფიური ბიბლიოთეკა", თბ.1993.
76. ჟღენტი 1937: ჟღენტი ბ., „ქართული საბჭოთა პოეზია", „მნათობი", N10. თბ.1937.

77. რადიანი 1939: რადიანი შ., „გიორგი ლეონიძის შემოქმედება“, „მნათობი“, N8, თბ. 1939.
78. რადიანი 1939: რადიანი შ., „სოციალისტური რეალიზმის პოეზიისათვის“, „მნათობი“, N11-12, 1935.
79. რომაელთა... 1989: „რომაელთა მიმართ ეპისტოლე“, ბიბლია, საქ. საპატრიარქოს გამოცემა. თბ.1989.
80. რობაქიძე 1923: რობაქიძე გრ., „პოეზიის დღე“, პოეზიის დღე, აჭარა, 1923.
81. რობაქიძე 2012: რობაქიძე გ., „დემონი და მითოსი“, გამ. „არტანუჯი“, თბ. 2012.
82. რობაქიძე 1991: რობაქიძე გ., „ჩაკლული სული“. თბ. 1991.
83. რობაქიძე 1990: რობაქიძე გ., „სოციალისტების სახელმწიფოებრივი უძლურება“. სახელმწიფო და სამართალი №12, თბ. 1990.
84. რობაქიძე 1996: რობაქიძე გ., „სიმართლე ჩემთვის ყველაფერია“, თბ.1996.
85. რობაქიძე 2010: რობაქიძე გ., „ადოლფ ჰიტლერი“, გამომც. „არტანუჯი“, თბ. 2010 (გერმან. თარგმნეს ალ. კარტოზიამ და დ. ფანჯიკიძემ).
86. რობაქიძე 2010: რობაქიძე გ., „მუსოლინი“, გამომც. „ინტელექტი“, თბ.2010.
87. რონდელი 1927: რონდელი დ., „თანამედროობა და ქართული მწერლობა“.
`პროლეტარული მწერლობა“ , №1, თბ. 1927.
88. სარია 2003: სარია ზ., „გალაკტიონ ტაბიძის ინტიმურ-მედიტაციური და სამოქალაქო პუბლიცისტური ლირიკა“, უნივერსიტეტი, თბ. 2003. https:// atsu.edu.ge/
89. სიგუა 2008: სიგუა ს., „მოდერნიზმი“ გამომც. „მწერლის გაზეთი“, თბ. 2008.
90. სიგუა 1991: სიგუა ს., „მარტვილი და ალამდარი“ ტ.I, განათლება. თბ. 1991.
91. სიგუა 1989: სიგუა ს., „კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა“, „მერანი“, თბ. 1989.
92. სულავა 1930: სულავა ა., „ბიბლიოგრაფია“`,პროლეტარული მწერლობა“, N7-8, თბ.1930.
93. სულავა 1934: სულავა ა., „საქ.კ.პ. მე-IX ყრილობა და საქართველოს საბჭოთა მწერლობა“, „მნათობი“, N2, თბ.1934.
94. ტაბიძე 1966: ტაბიძე გ., თხზულებათა თორმეტტომეული, ტ.III, თბ.1966.
95. ტაბიძე 1924: ტაბიძე გ., „1917“, „მნათობი“, N6, თბ.1924.
96. ტაბიძე 1925: ტაბიძე გ., „პროლოგი 100 ლექსისა“, თბ.1925.
97. ტაბიძე 1936: ტაბიძე გ., „ლენინის ორდენის მიღების დღე“, „მნათობი“, თბ. 1936.

98. ტაბიძე 1931: ტაბიძე გ., „ყველა წითელარმიელი იდგეს როგორც ლომი", „პროლეტარული მწერლობა" N6, თბ.1931.
99. ტაბიძე 1931: ტაბიძე გ., „მოდიან ლეგიონები",პროლეტარული მწერლობა", N1, თბ.1931.
100. ტაბიძე 1927: ტაბიძე გ., „ქალაქი წყალ-ქვეშ", „მნათობი", N5, თბ.1927.
101. ტაბიძე 1971: ტაბიძე გ., „გალაკტიონ ტაბიძე" (რჩეული ლირიკა ორ წიგნად), წ.I, თბ.1971.
102. ტაბიძე 2015: ტაბიძე ტ., „ტიციან ტაბიძე", წიგნი I, ლიტერატურის მუზეუმი, თბ. 2015.
103. ტაბიძე 2015: ტაბიძე ტ., „ტიციან ტაბიძე",წიგნი II, ლიტერატურის მუზეუმი, თბ. 2015.
104. ტაბიძე 1931: ტაბიძე ტ., „მხურვალე სალამი პროლეტარულ მწერლებს", „პროლეტარული მწერლობა", N4, თბ. 1931.
105. ტაბიძე 1922: ტაბიძე ტ., „ცისფერყანწელთა დეკლარაცია", „ბარრიკადი", N4, თბ.1922.
106. ტაბიძე 1927: ტაბიძე ტ., „არ შევჩერდები მე ამ მოტივზე", „მნათობი", N3, თბ. 1927.
107. ტაბიძე 1936: ტაბიძე ტ. „ალავერდობა", „მნათობი', N10-11, თბ.1936.
108. ტაბიძე 1936: ტაბიძე ტ., „ლიტერატურული საქართველო", მარტი, „ეს ამბავი ყველას გვეხება", თბ. 1936.
109. ტაბიძე 1930: ტაბიძე ტ., „ქართული მწერლობა", „ოქროყანა", თბ. 1930.
110. ტაბიძე 1985: ტაბიძე ტ., „სერგეი ესენინს", „მერანი", თბ.1985. 111. ტაბიძე 1985: ტაბიძე ტ., „ილაიალი", „მერანი", თბ.198.
112. ტაბიძე 1993: ტაბიძე ნ., „გალაკტიონის შემოქმედებითი ლაბორატორია", თსუ-ს გამ-ბა,თბ. 1993.
113. ტაბიძე 1997: ტაბიძე ნ., „გალაკტიონი" – თსუ-ს გამ-ბა, თბ. 1997.
114. ტაბიძე 2000: ტაბიძე ნ., „გალაკტიონი" – ცხოვრება და შემოქმედება, თბ. 2000.
115. ტოროშელიძე 1934: ტოროშელიძე მ., „საბჭოთა ლიტერატრა, „მნათობი", N8, თბ.1934.
116. ქიაჩელი 1933: ქიაჩელი ლ., „ჰაკი აძბა", თბ.1933.
117. ქიქოძე 1927: ქიქოძე გ., „პროლეტარული მწერლობა", N2, თბ.1927.
118. ქუჩიშვილი 1924: ქუჩიშვილი გ., „ჰიმნი პროლეტარიატისა", „მნათობი", N6, თბ. 1924.
119. ყალიჩავა 2011: ყალიჩავა თ., „ხელოვანის შემოქმედებითი თავისუფლების პრობლემა ტოტალიტარულ. სახელმწიფოში", ელ.-ჟურნალი „სპეკალი", N4, 2011.
120. ყარიბი 1926: ყარიბი., „რევოლუცია და ხელოვნება", „მნათობი", N7, თბ.1926.

121. ყიფშიძე 2015: ყიფშიძე ნ., „რეპრესირებული ქართველი მწერლები“, 2015.
122. შარია 1934: შარია შ., „ლენინის გარდაცვალების ათი წლის თავისათვის“, „მნათობი“, N2, თბ.1934.
123. ჩარკვიანი 1938: ჩარკვიანი კ.`,საქართველოს საბჭოთა ლიტერატურა უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე“, „მნათობი“ N6, თბ.1938.
124. ჩიქოვანი 1924: ჩიქოვანი ს., „H2SO4“. ჟურნალი „მნათობი“. N4.1924წ.
125. ჩიქოვანი 1924: ჩიქოვანი ს., „სასწრაფო განმარტება ჟურნალ H2SO4 გამოსვლის“.
126. წივწივაძე 2002: წივწივაძე თ., სიტყვა, „წარმოთქმული საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლ ქართველ მწერალთა მემორიალური დაფის გახსნისას“, „ლიტერატურული საქართველო“, 2002.
127. წულუკიძე 1937: წულუკიძე ა, „ისტორიული დადგენილების ხუთი წლის თავი და ქართული საბჭოთა მწერლობა“, „მნათობი“N4, თბ. 1937.
128. წიფურია 2016: წიფურია ბ., „ქართული ტექსტი საბჭოთა/პოსტ-საბჭოთა/პოსტმოდერნულ კონტექსტში“, ილიას სახ უნივ. გამომც. თბ. 2016.
129. წოწორია 2012: წოწორია თ., „გალაკტიონ ტაბიძის რითმა“, გამ. „ინტელექტი“, თბ.2012.
130. ჭილაია 1986: ჭილაია ს., „ოცწლეული (1921-1940)“, თსუ-ს გამომც, თბ. 1986.
131. ჭეიშვილი 1934: ჭეიშვილი ა., „ტიციან ტაბიძე“, „მნათობი“, N6, თბ.1934.
132. ხარშილაძე 2013: ხარშილაძე ი., „სად და როგორ დაიწერა ლევან გოთუას „გმირთა ვარამი“, 2013. www.ambebi.ge
133. ჯავახაძე 2013: ჯავახაძე ვ., „უცნობი“, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2013
134. ჯავახიშვილი 2005: ჯავახიშვილი მ., „1927 წელი. უბის წიგნაკი N8“. ლელვარი, ლიტ.ინსტ. თბ. 2005;
135. ჯავახიშვილი 1936: ჯავახიშვილი მ., „ხუთმეტი ათჯერ უნდა გამრავლდეს“, „ლიტერატურული საქართველო“, N3, თბ. 1936.
136. ჯავახიშვილი 2012: ჯავახიშვილი გ., „მიხაილ ბულგაკოვი და მისი რომანი „ოსტატი და მარგარიტა“ , 2012;
137. ჯიშკარიანი 2017: ჯიშკარიანი ჯ., „შურსა და ცილზე ამაღლებული“, თბ. 2017.
138. „ერთობა“ 1920: „ერთობა“, N104, თბ.1920.
139. „ერთობა“ 1920: „ერთობა“, N141, თბ. 1920.
140. კომუნისტი 1920: „კომუნისტი“, N4. თბ.1920.
141. კომუნისტი 1922: „კომუნისტი“, N263. თბ.1922.

142. კომუნისტი 1922: „კომუნისტი“, N166, 1922 წ.
143.ლიტერატურული საქართველო“ 1936: „ლიტერატურული საქართველო“, N3, თბ.1936.
144. ლიტერატურული საქართველო“ 1936: „ლიტერატურული საქართველო“, N5-6, თბ.1936.
145. ლიტერატურული საქართველო“ 1936: „ლიტერატურული საქართველო“, N8-9, თბ.1936.
146. ლიტერატურული საქართველო“ 1937: „ლიტერატურული საქართველო“, N2-3, თბ.1937წწ.
147. ლიტერატურული საქართველო“ 1937: „ლიტერატურული საქართველო“, N7-12, თბ.1937წწ.
148. მნათობი 1924-1939: „მნათობი“. ყველა ნომერი. თბ.1924-1939 წწ.
149. „პოეზიის დღე“ 1921: „პოეზიის დღე“. 7 მაისი. აჭარა, 1921წ.
150. „პოეზიის დღე“ 1923: „პოეზიის დღე“, აჭარა, 1923წ.
151. „პროლეტარული მწერლობა“ 1927-1931: „პროლეტარული მწერლობა“, თბ,1927-1931წწ.
152. „შეისწავლეთ სოციალიზმი“ 1920: ყოველკვირეული სახალხო გაზეთი ; N2, თბ.1920.
153. სეა, საქმე №599; საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 8; აღწ.1; 1937.
154. სეა № 470: საქ. ერ. არქივი. ფონდი 8. აღწ. 1. 1935.
155. სეა № 264: საქ. ერ. არქივი. ფონდი 8.აღწ. 1. 1932.
156. სეა №795: საქ. ერ. არქივი. ფონდი 8.აღწ. 1.1939.
157. სეა №29: საქ. ერ. არქივი. ფონდი 8; აღწ.1,1937.
158. სეა №831: საქ. ერ. არქივი. ფონდი 8.აღწ.1.
159. სეა №599: საქ. ერ. არქივი. ფონდი 8;აღწ. 1. 1937(28 ივლისი).
160. სეა №12: საქ. ერ. არქივი. ფონდი 8.აღწ.2.
161. სეა №13: საქ. ერ. არქივი. ფონდი 8. აღწ.2. 1931.
162. სეა № 29: საქ. ერ. არქივი. ფონდი 8. აღწ.2. 1937.
163. სმსსა №14: საქართველოს შსს არქივი, II. ფ, აღწ. №11 ს №3.
164. სმსსა № 897: საქართველოს შსს არქივი. II.ფ, აღწ.№1.ს №1. №38-39.
165. სმსსა №3622407: საქართველოს შსს. არქივი. II.ფ, აღწ.№6, საარქივო, ტ№9.
166. სმსსა № 897: საქართველოს შსს არქივი. II.ფ, აღწ. №1, ს №1.
167. სმსსა №49: საქართველოს შსს არქივი. II. ფ. აღწ.№ 6.
168. სმსსა № 897: საქართველოს შსს არქივი, II. ფ. აღწ. №1.
169. სმსსა № 987: საქართველოს შსს არქივი. II. ფ. აღწ I. №I.
170. დისკუსიები 2011: „საბჭოთა წარსულის გააზრება“, 2011.
171. Миндиашвили Н. 2014. Архетипические образы и Национальный

характер в тоталитарном пространстве (Г. Робакидзе"Чаклули сули››)" АРХЕТИПИКА И ГОСУДАРСТВЕННОЕ УПРАВЛЕНИЕ" – http://afonined.livejournal.com
172. Агирре М. Позиция писателеи Кубы// Социалистический реализм за рубежом. Москва, 1985.
173. Балашова Т.Споры о реализме во Франции на рубеже 20-30-ых годов// Генезис Социалистического реализма в литературах стран Запада, Москва, 1965.
174. Борев Ю. Социалистический реализм Взгляд современника и современный Взгляд. Москва, 2008
175. Гиленсон Б. Джон Рид у истоков Социалистического реализма США. Москва,1987.
176. Лувсанвандан Сономын. Особенности формирования метода Социалистического реализма// Социалистический реализм за рубежом. Москва,1985.
177. Europian Socialist Realizm edited by M. Scriven end D.Teit Berg Oxford// NewYork/Hamburg.1988.
178. Ermolaev H. Soviet Literary Theories (1917-1934). The Genesis of Socialist Realizm; Berkleyend Los Angeles.1963.
179. Vaughan J.Soviet Socialist Realizm; Origins end Theory; MacMilian. London.1973.